# გაუხმაურებელი სკანდალი ავიაციაში

PRIME Time
N28 (226) ორშაბათი 15 ივლისი 2013 წ.
ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge



## ექსკლუზიური ინტერვიუ სუბართან

„ცხადია, საფრთხე არსებობს, შეიძლება ძალიან მძიმე შედეგით დამთავრდეს და ამას მაქსიმალურად ვერიდებით“

## საქართველოს საჰაერო სივრცე ავიაკატასტროფას გადაურჩა



# რაფალიანცების სკანდალური აღიარება

## 26 წლის უზბეკი გოგონა ხულოში სასტიკი მეთოდებით მოკლეს



„დიასამიძემ ძალის გამოყენებით მას მოტეხა კისერი, ხაეტ რაჯაბოვმა კი ქვა ჩაარტყა თავის არეში, რის შედეგადაც გოგონა ადგილზე გარდაიცვალა“

EXCLUSIVE

## რა კადრები მიაწოდეს პროკურატურას გირგვლიანის საქმეზე



„ეს არის კადრები, რომელიც საზოგადოებას არ უნახავს“

EXCLUSIVE

## როგორ „გადააგდეს“ დეპუტატმა და მთავარმა პროკურორმა ბელგიელი ბიზნესმენი?



„დეპუტატი ბჟალავა ერთ შეხვედრაზე მეუბნება: „ამ საქმით დაინტერესებულია მურთაზ ზოდელავა. 200 ათასი დოლარი მაქვს მისაცემი და უნდა გაჩერდეო“

# დედამთილს ეჭვი რძლის ნათესავზე აქვს...



მაია გოგოლაური, თათიას დედამთილი:
„ამ საქმეში შინაურის ხელი რომ ურევია, ეს კი ვიცი და... როცა შემატყობინეს ბარბარეს სიკვდილი... ვიძახდი, რომ იქ შინაურის ხელი ურევია-მეთქი. შინაურმა გაუკეთა-მეთქი“



თამარ გოგოლაური, დიდი ბებია:
„კოლაგიდან წამოვიდა ეგეთი ლაპარაკი, შვილო... მითხრეს, რომ აქ ასე ამბობენ, დეიდის გაკეთებულიაო. ბიძას გამორიცხავენ და ჩემი რძლის მამიდაზე ამბობენ კიდევ“

EXCLUSIVE

## ვინ ჩააგდო 10 თვის ბარბარე ქვევრში და რის თქმას ვერ ბედავს ბავშვის დედა



## შემთხვევის ადგილზე მყოფი კრიმპოლის თანამშრომელი ზურაბ ვაზაგაშვილის საქმეზე ალაპარაკდა EXCLUSIVE

გელა მეგონია:
„ახლა რასაც გეტყვით, პირველად ვამბობ და თუ საჭიროა, შესაბამის ორგანოებსაც მივცემ ჩვენებას“...
„ორ წუთში მოვიდნენ ვიღაც პირები, რომლებმაც დაიწყეს მანქანაში იარაღის ჩადება“



## რა კავშირი აქვს ექსმინისტრის დაკითხვას ბანის გაპრეზიდენტებასთან



პროკურატურის პრესსამსახური: „ჩხარტიშვილი პროკურატურაში დაიკითხა...“
კახა კუკავა: „ამ პროექტზე არაფერი ვიცი...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თბილისის საერთაშორისო აეროპორტი რეალ

ნანა შონია




> **„ვთვლი, რომ სიტუაცია რადიკალურად შესაცვლელია და ამაზე ხმამაღალი საუბარი უნდა დაიწყოს, რადგან ის, რაც დღეს ქართულ ავიასივრცეში ხდება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს“**

## გაუხმაურებელი სკანდალი ავიაციაში - საქართველოს საჰაერო სივრცე ავიაკატასტროფას გადაურჩა

**თბილისის საერთაშორისო აეროპორტი კატასტროფის რეალური საფრთხის წინაშე დგას, ადგილზე არსებული არასათანადო პირობების, მოუწესრიგებელი ასაფრენი ზოლისა და არაკვალიფიციური ავიადისპეჩერების გამო, კომპანია „აირზენამ“ შესაძლოა ფრენები შეაჩეროს. როგორც ჩვენთან საუბარში „აირზენას“ დირექტორი თამაზ გაიაშვილი ამბობს, შექმნილი მდგომარეობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და ხელისუფლებას დროული რეაგირებისკენ მოუწოდებს.**

**„პრაიმტაიმისთვის“ ექსკლუზიურად ცნობილი გახდა, რომ ცოტა ხნის წინ, საქართველოს საჰაერო სივრცე სერიოზულ ავიაკატასტროფას გადაურჩა. ავიადისპეჩერების გაუმართავი მუშაობის გამო, ორი საჰაერო ხომალდის შეჯახების საფრთხე შეიქმნა. ეს ინფორმაცია „პრაიმტაიმთან“ თამაზ გაიაშვილმაც დაადასტურა. რა ხდება ქართულ ავიაციაში და რატომ იზრდება ყოველდღიურად საფრთხის რისკი - „აირზენას“ ხელმძღვანელი ხელისუფლებას გაფრთხილებას აძლევს.**

**თამაზ გაიაშვილი, ავიაკომპანია „აირზენას“ დირექტორი:**
- დიდი ხანი ვიკავებდი თავს ავიაციის თემაზე საუბრისგან, რადგან ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, როგორც ყველას, მეც მქონდა მოლოდინი იმისა, რომ სიტუაცია რადიკალურად შეიცვლებოდა. მოგეხსენებთ, წინა ხელისუფლებამ ყველა დარგში, მათ შორის ამ სფეროშიც, პროფესიონალები საქმის გარეშე დატოვა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კი ამ ადამიანებს იმედი ჰქონდათ, რომ ისინი შესაბამისად დაფასდებოდნენ და რეალურად, დღესაც ელიან როდის დაუძახებენ. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, დღეს ვთვლი, რომ სიტუაცია რადიკალურად შესაცვლელია და ამაზე ხმამაღალი საუბარი უნდა დაიწყოს, რადგან ის, რაც დღეს ქართულ ავიასივრცეში ხდება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ავიამეთვალყურეების კუთხით ძალიან რთული მდგომარეობაა შექმნილი ავიასადისპეჩერო სამსახურში და აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენ ზოლზე. წინა ხელისუფლებამ 80% პროფესიონალი ავიადისპეჩერები დილეტანტებით ჩაანაცვლა. ამ დარგის სპეციალისტების მომზადება ერთ წელიწადში და ხუთ თვეში არ ხდება. ამ ხალხს კი, რეალურად, რამდენიმეთვიანი კურსები გაატარეს და ყველაზე საპასუხისმგებლო ადგილებზე დასვეს. წარმოგიდგენიათ, ეს ის ხალხია, რომელთა უმეტესობას საავიაციო განათლება არა აქვს. ეს კი, მოგეხსენებათ, არის ადგილი, სადაც ნებისმიერი გადაცდომა საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს. მე გეტყვით, რომ ერთი თვის მანძილზე, ქართული ავიასივრცე, ორჯერ, საშინელ კატასტროფას შემთხვევით გადაურჩა. ვინაიდან აღმოჩნდა, რომ ორი ლაინერი ერთსა და იმავე წერტილში მოძრაობდა. რომ არა შესაბამისი ტექნიკა, რომლითაც თვითმფრინავებია აღჭურვილი, პრეზიდენტის მიერ საგანგებოდ ნაქები ქართველი ავიადისპეჩერების იმედზე კატასტროფა გარდაუვალი იქნებოდა. ავტომატური სისტემა რომ არ ჩართულიყო და პილოტებს საფრთხის შესახებ არ ჰქონოდათ ინფორმაცია, წარმოგიდგენიათ რა მოხდებოდა?!..

**- თქვენ ამბობთ, რომ ცოტა ხნის წინ ჩვენ კატასტროფას გადავურჩით... როგორ ფიქრობთ, რა გზები არსებობს, რომ ეს საფრთხე აღარ შეიქმნას?**

- კი, გადავრჩით და სრულიად სასწაულად, ალბათ, ღვთის ნება იყო, მაგრამ სულ ასე ხომ არ გაგრძელდება, კოკა წყალზე ტყდება... პირველ რიგში, ეს არის არაკვალიფიციური კადრების ბრალი, ამიტომაც მივმართავ ხელისუფლებას, სათანადო ყურადღება გამოიჩინოს ამ სფეროს მიმართ. რადგან აქ ნებისმიერი გადაცდომა, კიდევ ერთხელ ვამბობ, საბედისწეროა. ავიადისპეჩერების საკითხი ერთი თემაა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ რა მდგომარეობაა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში უსაფრთხოების მხრივ. ადგილზე არსებული ინფრასტრუქტურა ყოველდღიური კატასტროფის რეალურ საფრთხეს ქმნის. ავიაკატასტროფის საფრთხე რეალური და ყოველდღიურია. აეროპორტის ასაფრენი ზოლი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ეს ასაფრენი ზოლი თავიდანვე 150 ტონის თვითმფრინავების აფრენა დაჯდომისთვის იყო დაგებული და უკვე 9 წელია, რაც ეს მაჩვენებელი 200-დან 500 ტონამდე გაიზარდა. ამის შედეგად დაძრულია ე.წ. ბეტონის პლიტები და ყველა მგზავრი გრძნობს აფრენის ან დაფრენის დროს რა ხდება თბილისის აეროპორტის ზოლზე. ეს იმიტომ, რომ არავის არ სურს წესები დაიცვას. ამ პრობლემის შესახებ მე შარშან აგვისტოშიც აქტიურად ვსაუბრობდი. ის საფრენი ზოლები, რაც წინა ხელისუფლების პირობებში გაკეთდა ბათუმსა და ქუთაისში, არაპერსპექტიულია და ეს არის წყალში გადაყრილი ფული. რადგან ბათუმში მხოლოდ ერთი მიმართულებით შეუძლია თვითმფრინავს ფრენა და ჩრდილოეთის ქარის შემთხვევაში მოძრაობა უნდა შეჩერდეს. ამიტომ, სამწუხაროდ, უსაფრთხოდ ვერც ბათუმის აეროპორტებს მოვიაზრებ. ჩვენ ვამბობთ, ასაფრენ-დასაფრენი ზოლი სასწრაფოდ უნდა მოწესრიგდეს და ასაფრენი მასის დროებით შეზღუდვა დაწესდეს, 80 ტონამდე, მანამ სანამ ასაფრენ-დასაფრენი ზოლი არ გარემონტდება და, რაც მთავარია, ღამის ფრენები სასწრაფოდ უნდა შეჩერდეს, რადგან ამ შემთხვევაში უფრო მეტად იზრდება რისკ-ფაქტორი საავიაციო უსაფრთხოების კუთხით. რადგან, სერიოზული პრობლემის შემთხვევაში თვითმფრინავები უსაფრთხოდ ვერ გაჩერდებიან. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი გეოგრაფიული მდებარეობითაც არაპერსპექტიულია, იმიტომ რომ ასაფრენ და დასაფრენ ზოლს ორივე მხარეს ლოჭინის და ორხევის ხევი ესაზღვრება. ამიტომაც ხელისუფლება დროულად უნდა შეუდგეს ამ პრობლემის მოგვარებას. ცა, ქვეყნისთვის სერიოზული აქტივია და მას სერიოზული გამოყენება სჭირდება. ჩვენ კარგა ხანია სწორად ვერ ვიყენებთ ამ აქტივს. შემოსავალი, რაც ცას მოაქვს, პრაქტიკულად ნავიგაციიდან იყო შემოსული და ამას, წინა ხელისუფლების პირობებში, რამდენიმე ადამიანი ინაწილებდა. ამიტომაც იყო თავიდან ბოლომდე უყურადღებოდ დარჩენილი ეს სფერო. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მე, როგორც ავიაკომპანიის ხელმძღვანელი, კიდევ ცოტახანს შევხედავ ამ მდგომარეობას და თუ ასე გაგრძელდა, თბილისის აეროპორტიდან ფრენებს შევაჩერებ.

**- შესაძლოა, რომ „აირზენამ“ ფრენები შეაჩეროს?**

- დიახ, შესაძლოა, რომ ფრენები შევწყვიტოთ, რადგან ჩვენ ჩვენს უსაფრთხოებაზე უნდა ვიზრუნოთ. კიდევ ერთხელ ვამბობ, ცოტა ხანს კიდევ შევხედავთ და თუ ასე გაგრძელდა ფრენებს შევაჩერებთ. შექმნილ მდგომარეობაში, რაც ხდება, არ ვაპირებ უბედურების მომსწრე გავხდე. ჩემი კომპანია ამას არ დაუშვებს. ამიტომაც, მივმართავ კიდევ ერთხელ ყველას, სანამ უკიდურესი ზომების მიღება მოგვიწევს, აუცილებლად გაითვალისწინონ ყველა ნორმა. ხელისუფლებამ ამ სფეროში ცვლილებები უნდა განახორციელოს. გეტყვით, რომ არჩევნების შემდეგ ავიაციაში მარტო ორი ადამიანი შეცვალეს, ეს იყო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი დავითიძე და გოგორიშვილი. გათავისუფლებიდან ცოტა ხანში დავითიძემ, ახალი ხელისუფლების პირობებში, კიდევ უფრო დიდ პოსტს გამოჰკრა ხელი, დააწინაურეს და ევროკონტროლში საქართველოს წარმომადგენლად დანიშნეს. არადა, ეს არის კაცი, რომელსაც არავითარი საავიაციო განათლება არა აქვს და გიორგი კარბელაშვილის მიერ ქუჩიდან არის მოყვანილი. ალბათ, ხელისუფლება ძველი კადრების გარკვეული პერიოდით შენარჩუნებას ცდილობს, მაგრამ ეს ხალხი საბოტაჟს უწყობს მათ და ამის შესახებ უნდა გაიგონ. სიტუაცია ჩიხში ჰყავთ შეყვანილი. დღეს, ძალიან ბევრი ბიზნესმენია უკმაყოფილო სხვადასხვა კუთხით და ისინი გამოსავალს ვერ პოულობენ, რადგან ეფექტურად არ ხდება სახელმწიფოში რეგულირება. ეკონომიკის სამინისტროში მინისტრი და მისი მოადგილე ისე არიან




> **„ქართული ავიასივრცე, ორჯერ, საშინელ კატასტროფას შემთხვევით გადაურჩა. აღმოჩნდა, რომ ორი ლაინერი ერთსა და იმავე წერტილში მოძრაობდა. რომ არა შესაბამისი ტექნიკა, რომლითაც თვითმფრინავებია აღჭურვილი, პრეზიდენტის მიერ საგანგებოდ ნაქები ქართველი ავიადისპეჩერების იმედზე კატასტროფა გარდაუვალი იქნებოდა“**


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ური კატასტროფის საფრთხის წინაშე დგას



EXCLUSIVE

## თამაზ გაიაშვილი ხელისუფლებას მოსალოდნელ ტრაგედიაზე აფრთხილებს

**„ავიამეთვალყურეების კუთხით ძალიან რთული მდგომარეობაა შექმნილი ავიასადისპეჩერო სამსახურში და აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენ ზოლზე. წინა ხელისუფლებამ 80% პროფესიონალი ავიადისპეჩერები დილეტანტებით ჩაანაცვლა. ამ დარგის სპეციალისტების მომზადება ერთ წელიწადში და ხუთ თვეში არ ხდება. ამ ხალხს კი, რეალურად, რამდენიმეთვიანი კურსები გაატარეს და ყველაზე საპასუხისმგებლო ადგილებზე დასვეს“**

გადატვირთული, ღამის პირველ საათზეც რომ მიხვიდეთ, შეიძლება სამსახურში დაგხვდნენ. რადგან ამ ხალხს, წინა ხელისუფლების მხრიდან, ძალიან მძიმე მემკვიდრეობა დახვდათ. ფაქტია, რომ მთავრობის ცვლილების შემდეგ გამოჩნდებიან ხოლმე მედროვე ადამიანები და ამ ხალხს რეგულარულად აწუხებენ. ამიტომაც ძალიან ეფექტური ზომები უნდა გატარდეს და ახალმა ხელისუფლებამ უნდა იცოდეს ვის ესაუბრება. ეკონომიკის სამინისტროშიც რეალურად შეცვლილია მინისტრი და მისი მოადგილე, დანარჩენები კი ისევ ისინი არიან და კვლავ იგივე პრობლემების წინაშე ამყოფებენ საზოგადოებას.

**- რა პრობლემებს უქმნიდნენ ეს ადამიანები ავიაკომპანიებს მანამდე და რა ვითარებაა დღეს?**

- პირველ რიგში, არაკვალიფიციური კადრების პრობლემა დგას, არაპროფესიონალები არიან. ამ ხალხის ჩანაცვლება კი დროულად და ეფექტურად უნდა განხორციელდეს. ამიტომაც, კიდევ ერთხელ მინდა, მეტი აქტიურობისკენ და ყურადღებისკენ მოვუწოდო ხელისუფლებას, ყურადღება მანამდე უნდა იქნას მიქცეული, სანამ სერიოზული კატასტროფა მოხდება. ვერ წარმოიდგენთ რა ხდება იგივე ღამის ფრენებთან დაკავშირებით, თუ უსაფრთხოების ყველა ზომა არ გაქვს დაცული, ღამე რისკები კიდევ უფრო მეტია. ევროპის ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში აეროპორტები რეგულატული ავიაგადაზიდვებისთვის ღამის საათებში დაკეტილია. ჩვენთან პირიქით ხდება, დღისით აეროპორტი პრაქტიკულად არ მუშაობს, ღამით კი ასი პროცენტით დატვირთულია. ევროპის უსაფრთხოებისა და ჩვენი უსაფრთხოების ხარისხის ერთმანეთთან შედარება წარმოუდგენელია. ეს ყველაფერი კი იმ ფონზე ხდება, როდესაც საავიაციო უსაფრთხოება დაბალ დონეზეა დაყვანილი. მიუხედავად იმისა, რომ ნავიგაციის ახალი ხელმძღვანელი პროფესიონალია, მას საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა ერგო. ავიაცია სერიოზული დარგია და მას შესაბამისი ყურადღების მიქცევა სჭირდება. რადგან, ეს არის ტრანსპორტი სადაც რისკფაქტორები მაღალია. ერთი მფრინავის მომზადებას მინიმუმ რვა წელი სჭირდება, კარგი სპეციალისტები სათანადო პირობების გარეშე არ რჩებიან საქართველოში, მაგრამ მათი მოზიდვა შესაძლებელია. ამ დარგს სერიოზული ყურადღება სჭირდება და ეს პრობლემა სწრაფად უნდა გადაწყდეს. რადგან ქვეყანა სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციას ატარებს, ტრანსპორტის ყველა დარგს სერიოზული დაცვა და ყურადღება სჭირდება. ათასობით მეზღვაური დარჩა დაუცველი, არადა, ჩვენ საზღვაო ქვეყანა ვართ, ამავდროულად ავიაკომპანიები უგულებელყოფილია სახელმწიფოს მიერ, არადა, მოგეხსენებათ, რომ ქართული დროშის გამტანი და სერიოზული იმიჯია სახელმწიფოსთვის. ჩემი აზრით, აუცილებელია შეიქმნას ტრანსპორტის სამინისტრო, რომელიც დაიცავს ქართული საწარმოების ინტერესებს, როგორც ეს მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში ხდება.

საქართველოს საქაერონავიგაციაში „აირზენას“ დირექტორის პრეტენზიებს არ იზიარებენ, თუმცა ადასტურებენ, რამდენიმე კვირის წინ მომხდარ ფაქტს. როგორც ჩვენთან საუბარში საქაერონავიგაციის პიარმენეჯემა ირმა ხითარიშვილმა განაცხადა, ამაზე გამოძიება დაწყებულია და მის დასრულებამდე ავიადისპეჩერს უფლებამოსილება შეჩერებული აქვს.

**ირმა ხითარიშვილი, საქაერონავიგაციის პიარმენეჯერი:**

- რამდენიმე დღის წინ მომხდარ შემთხვევაზე გეტყვით, რომ თურქეთისა და აზერბაიჯანის ავიახაზები კვეთდნენ საქართველოს ტერიტორიას. მოგეხსენებათ, აქ ყველამ უნდა დაიკავოს თავისი პარამეტრები. თურქეთს თავისი პარამეტრი ეჭირა, აზერბაიჯანს თავისი, თურქეთმა ჩვენ საფრენ ბილიკზე დაჯდომა და პარამეტრების შეცვლა მოითხოვა. ჩვენმა ავიადისპეჩერმა, რომელიც გვარად ვინოგრადოვია, მისცა სიხშირე, რომელიც თურქმა პილოტმა სწორად ვერ გაიგო. ამიტომ თვითმფრინავმა როგორც კი ჩამოსვლა დაიწყო, ამ მეთვალყურემ სწრაფი რეაგირება მოახდინა და თავისი სიხშირე დაიკავა. საჰაერო კონფლიქტი მისი აქტიური მოქმედების შედეგად ამოიწურა. სიტუაცია მალევე გამოსწორდა. დღეს, აზერბაიჯანის მხარემ გააკეთა განცხადება, რომ არავითარი კონფლიქტი არ ყოფილა, თუმცა ეს ვინოგრადოვი დროებით გათავისუფლებულია თანამდებობიდან, იმიტომ რომ მიმდინარეობს გამოძიება, რომელსაც ეკონომიკის სამინისტროს საგამოძიებო ბიურო აწარმოებს. გამოძიების დასრულებამდე ვინოგრადოვს უფლებამოვალეობა აქვს შეჩერებული, თუმცა არსებობს ჩანაწერები, რომელიც ადასტურებს, რომ თურქი პილოტი მის შეცდომაზე საუბრობს და ბოდიშებს იხდის. 11 ივლისს ავიაციის სააგენტომ თურქი პილოტისგან ბოდიშის წერილი მიიღო. მაგრამ ამის მიუხედავად გამოძიება მიმდინარეობს. ჩვენი ავიადისპეჩერების სწრაფი რეაგირების შედეგი იყო ის, რომ უბედური შემთხვევა არ მოხდა. რადგან მათ ეს ძალიან მალევე შენიშნეს.

**- თქვენ ამბობთ, რომ ავიადისპეჩერების პრობლემა დღეს რეალურად არ დგას?**

- არა, დღეს რეალურად არ დგას ეს პრობლემა. მართალია რამდენიმე წლის წინ ახალი კადრები მივიღეთ, მაგრამ ისინი მუდმივად გადიან სტაჟირებას კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით. ახლაც, ცოტა ხნის წინ, სტაჟირებაზე იყვნენ წასულები. ბატონ თამაზ გაიაშვილის დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენთვის ცნობილია, მაგრამ მე, ჩემი პირადი დამოკიდებულება მაქვს, რასაც ჩემი ხელმძღვანელობა სრულად იზიარებს. არა მგონია დისპეჩერების პრობლემა იდგეს, რადგან ისინი მაღალ დონეზე არიან მომზადებულნი, თავისუფლად ფლობენ რუსულ და ინგლისურ ენებს. ჩვენთან ნებისმიერ კადრს მაღალი კვალიფიკაცია აქვს.

ფაქტია, რომ გაიაშვილი სერიოზულ პრობლემებზე საუბრობს, კვალიფიციური კადრების მომზადებისთვის კი რამდენიმეთვიანი სტაჟირება არასაკმარისია. ცხადია, პრობლემა არსებობს და ხელისუფლებამ მისი გადაჭრის გზებზე ტრაგედიამდე უნდა იზრუნოს.

## ავიაკომპანია „აირზენამ“ შესაძლოა ფრენები შეაჩეროს




**„შესაძლოა, რომ ფრენები შევწყვიტოთ, რადგან ჩვენ ჩვენს უსაფრთხოებაზე უნდა ვიზრუნოთ. კიდევ ერთხელ ვამბობ, ცოტა ხანს კიდევ შევხედავთ და თუ ასე გაგრძელდა, ფრენებს შევაჩერებთ“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბარბარე რაფალიანცის მამ

**my View**
თამარ გორთამაშვილი

**10 თვის ბარბარე რაფალიანცის მკვლელობიდან 9 თვე გავიდა. საპარლამენტო არჩევნების წინა ღამეს სოფელ კოლაგში დატრიალებული ტრაგედია, სოფელს ისევ ახსოვს. იმ საშინელ ღამეს მექერიშვილების სახლში შეკრებილმა კოლაგელებმა ჩვილი ბავშვი წყლით სავსე ქვევრიდან ამოიყვანეს. მას შემდეგ გამოძიება მიდის, თუმცა მკვლელის ვინაობა დღემდე უცნობია. კოლაგში ადგილობრივები საკუთარ ვერსიებს მხოლოდ პირად საუბრებში ამხელენ - ეჭვი შინაურზეა.**

ამ თემაზე, დღემდე, ხმამაღლა მხოლოდ ბარბარე რაფალიანცის დედა თათია მექერიშვილი და დეიდა, დალი მექერიშვილი საუბრობენ. ბარბარეს მამას და მის ოჯახს, ჩვილის მკვლელობის შესახებ ჯერ არსად უსაუბრიათ.

რას ფიქრობს მომხდარის შესახებ დედოფლისწყაროს რაიონის, სოფელ ქვემო ქედაში მცხოვრები, ბარბარე რაფალიანცის მამის ოჯახი, ამის გასარკვევად „პრაიმტაიმი" ქვემო ქედაში ჩავიდა. აღმოჩნდა, რომ პალიკო რაფალიანცის დედას, მაია გოგოლაურს და ბებიას, თამარ გოგოლაურსაც ეჭვი შინაურზე აქვთ. კონკრეტულ პიროვნებას არც ერთი არ ასახელებს, თუმცა ამბობენ, რომ სახლში, იმ ღამით, უცხო არავინ შესულა. უფრო მეტიც, ბარბარეს ოჯახის წევრებს, ეჭვი აქვთ, რომ მკვლელს, ამ სისხლიან პროვოკაციაში, ფული გადაუხადეს.

მაია გოგოლაური „პრაიმტაიმთან" საუბარში მომხდარის დეტალებს იხსენებს და საკუთარ ეჭვებზე პირველად საუბრობს.

**მაია გოგოლაური:** - მე წნორში ვიყავი, როცა დამირეკეს და მითხრეს რაც მოხდა; მაშინვე ტაქსი დავიჭირე და კოლაგში წავედი. რა მოხდა, როგორ მოხდა ყველაფერი, აბა, მე საიდან უნდა გამეგო.

**- თქვენ ვისზე გაქვთ ეჭვი?**

- ვერაფერს გეტყვით, რაზე და ვისზე მაქვს ეჭვი. ბავშვმა სიარული არ იცოდა, ბობღვა არ იცოდა და საწოლში იწვა.

**- კოლაგშიც და ქვემო ქედაშიც ადგილობრივები პირად საუბრებში ეჭვის დონეზე ამბობენ, რომ ბავშვის მკვლელი ოჯახის ახლობელია, რატომ გაჩნდა ეს ეჭვი?**

- ჩემი ვარაუდი ისაა, რომ თუ არა შინაურმა, სხვამ ვინ იცოდა იმათ სახლში, სად ქვევრი იყო და სად საწოლი. ამის მიუხედავად, ხელს ვერავის დავადებთ. გამოძიებას ველოდებით, გვეუბნებიან, რომ ყველაფერს გავაკეთებთო. ჩვენ სულ ვურეკავთ გამომძიებლებს და მე ისე არ გავჩერდები, რომ ეს საქმე ბოლომდე არ გამოიძიონ. ახლაც გვეუბნებიან, რომ ეჭვმიტანილები გვყავსო.

**- მათაც შინაურზე აქვთ ეჭვი?**

- დიახ. ასე ამბობენ, რომ კვალი შინაურამდე მიდისო. ის შინაური ვინ არის, კონკრეტულად არ ვიცით.



ნინო რაფალიანცი

„პოლიცია ამბობდა, თქვენ აზრზე არა ხართ, ისეთი ვილაც არის გარეული ამ საქმეში, რომ გაიგოთ თმები ყალყზე დაგიდგებათო"



მაია გოგოლაური

„ამიტომაც არის ჩემი რძალი გაჩუმებული და ვერაფერს ვერ ამბობს... ალბათ, იმავე შინაურის ეშინია თათიას, ვინც ეს გააკეთა და ვინც ბალღი მოკლა... ვინც შვილი მოუკლა იმის..."



თამარ გოგოლაური

-რატომ არ ელაპარაკებით თქვენი რძლის დას?
- რა ვიცი, უბრალოდ, არ მინდა, რომ დაველაპარაკო... ამ საქმეში შინაურის ხელი რომ ურევია, ეს კი ვიცი და... მე როცა გავიგე და როცა შემატყობინეს ბარბარეს სიკვდილი, გზაში, მთელი ღამე ტირილში გავატარე და ვიძახდი, რომ იქ შინაურის ხელი ურევია-მეთქი. შინაურმა გაუკეთა

# დედამთილს ეჭვი რძლის ნათესავზე აქვს...

**თამარ გოგოლაური (დიდი ბებია)**: - მაგათ კი იციან ვიც არის, მაგრამ...

**ნინო რაფალიანცი (მამიდა)**: - შეიძლება იციან, მაგრამ, ალბათ, საბუთი არ აქვთ და ამიტომ ვერ ამბობენ.

**თამარ გოგოლაური**: - კარგი რა, ჩემო შვილო, ლამის წელი გავიდა და...

**მაია გოგოლაური:** - მაშინვე იცოდნენ რა მოხდა და როგორ იყო მაგრამ...

**- თქვენ ფიქრობთ რომ განგებ არ გაახმაურეს?**

- თავიდან ხომ სხვები იყვნენ, ის პოლიცია შეცვალეს. თავიდან ის პოლიცია არ დადგა კვალზე, არავინ ისე არ მოქმედებდა, როგორც უნდა ემოქმედა. ჩვენ იმ საღამოსვე ჩავედით და ხომ ვხედავდით იქ რაც ხდებოდა.

**- თქვენ ამბობთ, რომ ძალიან კარგად იციან ვინ არის დამნაშავეო, რის საფუძველზე ამბობთ ამას?**

**თამარ გოგოლაური:** - დავიჯერო არ იციან ვინ არის? როგორ არ იციან... ყველაფერი კარგად იციან...

**მაია გოგოლაური:** - რაღა მაინცდამაინც ამ არჩევნებს დაამთხვიეს? რატომ დაემთხვა ასე - ახლა ღვინიაშვილი იძახის, რატომ არ დაკითხეს ბერიკაშვილიო... ან ეს ბერიკაშვილი ვინ არის, ან ღვინიაშვილი...

**- თქვენც მოითხოვთ ბერიკაშვილის დაკითხვას?**

- რა თქმა უნდა, მოვითხოვთ, ჩვენ ყველას დაკითხვას მოვითხოვთ ვისზეც ეჭვია.

**- მათ შორის ოჯახის წევრებისაც?**

- დიახ, მათ შორის ოჯახის წევრებისაც.

**თამარ გოგოლაური:** - აბა, არ მოვითხოვთ, ასეთი ტრაგედია დატრიალდა ჩვენს თავს და გავჩუმდებით?

**მაია გოგოლაური:** - არავითარ შემთხვევაში არ გავჩუმდებით.

**თამარ გოგოლაური:** - მე როცა გავიგე ეს ამბავი, მაშინვე ის ვთქვი, რომ შინაურის ხელი ურევია მეთქი. უცხომ რა იცოდა ბავშვი სად იწვა, ან ქვევრი სად იყო?

**- შინაურს რაში დასჭირდებოდა ამის გაკეთება?**

- არ ვიცით...

სანამ ზემო ქედაში ჩავიდოდით, ერთი კვირით ადრე, „პრაიმტაიმი" სოფელ კოლაგში, მექერიშვილების ოჯახს ესაუბრა. მექერიშვილები გამოძიების დაჩქარებას მოითხოვდნენ. ბარბარე რაფალიანცის დედა, თათია მექერიშვილი, რომელიც მეორე შვილს ელოდება, ჩვენთან საუბრის დროს შეუძლოდ გახდა. ბუნებრივია, ნერვიულობდა, თუმცა, როდესაც ჩვენ მისი დის შესახებ სოფელში გავრცელებულ ხმებზე ვკითხეთ, მან საუბრის გაგრძელება ვერ შეძლო... თათიას დედამთილი, მაია გოგოლაური, მისი რძლის ასეთ საქციელს შიშით ხსნის. ამბობს, რომ თათიას სიმართლის თქმის ეშინია...




**- თათია რას ამბობს თქვენთან, როდესაც მე ვესაუბრე, ძალიან ნერვიულობდა...**

**მაია გოგოლაური:** - თათია იმაზე ნერვიულობდა, რომ მასაც შინაურზე აქვს ეჭვი. გამოძიებამაც ხომ თქვა, რომ შინაურის კვალზე ვართო... მე საერთოდ არ მაინტერესებს, ის სხვა შინაური მე ვიქნები, ჩემი შვილი იქნება, თუ იმათი დედა იქნება, დეიდა, მამიდა თუ სხვა, მე სულ არ მაინტერესებს, ვინც იქნება, დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. ის თოთო ბავშვი, ენაამოუდგმელი, სიცხიანი, ხომ არაფერს უშლიდა იმათ, ის არაფერში არ იყო დამნაშავე...

**- ფიქრობთ, რომ ბავშვი რაღაცისთვის გამოიყენეს?**

- შეიწირეს... რატომ შეიწირეს, ეს მაინტერესებს ძალიან.

**- ფიქრობთ, რომ ეს პროვოკაციის მცდელობა იყო, რომ ბავშვის მკვლელობა ან ერთ მხარეს დაბრალებოდა ან მეორეს?**

- ფაქტია, არჩევნების წინა დღეს მოხდა...

**- რატომ შეარჩიეს ამისთვის მაინცდამაინც ბარბარე?**

- აბა რა გითხრათ, არ ვიცით... ჩემი რძალი როგორც ამბობდა, მაგის დას იყვნენ დამუქრებულები, რატომ იყვნენ და იმის ოჯახი რას უშლიდა, არ ვიცით.

**- დას ხომ ჰყავდა თავისი შვილები, მაშინ იმ ბავშვებს დაემუქრებოდათ საფრთხე...**

- იმ დამ თავისი შვილები გაარიდა, არ ვიცით რას უნდა მივაწეროთ ეს ყველაფერი, არ ვიცით...

**- ამიტომ წამოვიდა სოფელში ეჭვი დეიდაზე?**

- კოლაგიდან წამოვიდა ეგეთი ლაპარაკი შვილო, იქიდან დაიწყო მაგაზე ლაპარაკი და ჩვენც მაგას ვიმეორებთ. პირადად დალიზე ჩვენ არაფერი გვითქვამს, იქიდან იყო ასეთი ხმები. წნორში ვმუშაობ და ერთხელ, როცა ჩემი უფროსები ჩამოვიდნენ, მითხრეს, რომ აქ ასე ამბობენ დეიდის გაკეთებულიაო. ბიძას გამორიცხავენ და ჩემი რძლის მამიდაზე ამბობენ კიდევ.

**- ვინ არის ეს ქალბატონი? ისიც კოლაგში ცხოვრობს?**

- კი, იქ ცხოვრობს, შეიძლება არ დამიჯეროთ და არ ვიცნობ.

**- თქვენ რას ფიქრობთ, რატომ გავრცელდა ეს ხმები?**

- ალბათ, იმიტომ რომ რაღაც ეჭვები ჰქონდათ...

**- თქვენ თავადაც გაქვთ ეჭვი მათზე?**

- რა ვიცი, რა გითხრათ, მე შინაურზე მაქვს ეჭვი. ძალიან შინაურზე, ვინც ძალიან კარგად იცოდა, სად იყო ქვევრი, როდის გავიდოდნენ, როდის გამოვიდოდნენ, როდის პურის საჭმელად შევიდოდნენ. რა ვიცით, შეიძლება ფული აიღეს და ეგ გააკეთეს.

**- ფულია გადახდილი?**

- მე ამას ვფიქრობ, სხვა რა გითხრათ... აბა, უფულოდ ვინ გააკეთებდა... თქვენ თვითონ დაფიქრდით და მითხარით, სხვანაირად როგორ იქნებოდა?



თათია მექერიშვილი, ბარბარე რაფალიანცი და პალიკო რაფალიანცი

# რას მალავს თათია მექერიშვილი და რისი თქმა ვერ მოასწრო მან „პრაიმტაიმთან"


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ის ოჯახი დუმილს არღვევს

**„წნორში ვმუშაობ და ერთხელ, როცა ჩემი უფროსები ჩამოვიდნენ, მითხრეს, რომ აქ ასე ამბობენ დეიდის გაკეთებულიაო“**



**ჩვენ ყველას დაკითხვას მოვითხოვთ ვისზეც ეჭვია.**
**- მათ შორის ოჯახის წევრებისაც?**
**- დიახ, მათ შორის ოჯახის წევრებისაც. მე როცა გავიგე ეს ამბავი, მაშინვე ის ვთქვი, რომ შინაურის ხელი ურევია მეთქი. უცხომ რა იცოდა ბავშვი სად იწვა, ან ქვევრი სად იყო?**

**- აბა, უფულოდ ამას ვინ გააკეთებდა...**
**- ოჯახის წევრებს გადაუხადეს ფული?**
**- არ ვიცი... ოჯახის წევრია, თუ ვინ, ბარბარეს სულმა გადაუხადოს საზღაური და გაიგებს მერე როგორია, უცოდველი ბავშვი სიცოცხლეს რომ გამოასალმეს...**

## EXCLUSIVE

## „მე არ მაინტერესებს და იქნება თუ ძმა იქნება, უნდა აგოს პასუხი, ყველამ უნდა ვიცოდეთ ვინ არის მკვლელი“

**- ოჯახის წევრებს გადაუხადეს ფული?**

- არ ვიცი... არ ვიცი... ოჯახის წევრია, თუ ვინ, ბარბარეს სულმა გადაუხადოს საზღაური და გაიგებს მერე როგორია, უცოდველი ბავშვი სიცოცხლეს რომ გამოასალმეს...

როგორც აღმოჩნდა, რაფალიანცების ოჯახს მექერიშვილებთან არც თუ ისე კარგი დამოკიდებულება აქვთ. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ბარბარე გარდაიცვალა. თამარ გოგოლაური ამბობს, რომ ოჯახის წევრები, ქედაში სამძიმარზე არ ჩამოსულან და მხოლოდ დაკრძალვას დაესწრნენ. როგორც კოლაგში ამბობენ, ბარბარე რაფალიანცის დეიდა, დალი მექერიშვილი, ბარბარეს მკვლელობიდან მეორე დილას, საარჩევნო უბანზე იყო მისული.

**- კოლაგში ამბობენ, რომ მეორე დღეს ბარბარეს დეიდა საარჩევნო უბანზე იყო მისული. აქ არ ჩამოსულა?..**

- აქ ეგ არ ჩამოსულა და რა ვიცით... მარტო დაკრძალვაზე მოვიდა.

**- დაკრძალვამდე არ ჩამოსულან ოჯახის წევრები?**

- არა, ჩემი რძლის დეიდა და ბიძა იყვნენ მარტო სამძიმარზე...

**- თათიას და რატომ არ ჩამოვიდა, რამ შეუშალა ხელი?**

- რა ვიცით... ვერ ვიტყვით ვერაფერს, სანამ გამოძიება არ დასრულდება.

**- თათიას ოჯახს როგორ ახასიათებთ?**

- რა ვიცი, ორჯერ ვარ მაგათთან ნამყოფი. ის ვიცით, რომ მამა ნასამართლევია, ქალი ჰყავს მოკლულიო, ამბობენ.

**- თათიას დაზე, დალიზე რას მეტყვით?**

**მაია გოგოლაური:** - თათიას დაზე ვერაფერს გეტყვით...

**- როგორი გოგონაა?**

**თამარ გოგოლაური:** - დაკრძალვაზე რომ ჩამოვიდა, არც კი დაველაპარაკებივარ.

**- რატომ? არ ელაპარაკებით?**

- რაღაცნაირი, თავისებური გოგოა.

**- თქვენ არ გინდათ მასთან საუბარი?**

- არაფერს არ ამბობს...

**- თქვენ ეჭვი თათიას დაზე გაქვთ?**

- რას ამბობთ... ეგ როგორ ვთქვა...

**- აბა, რატომ არ ელაპარაკებით თქვენი რძლის დას?**

- რა ვიცი, უბრალოდ, არ მინდა, რომ დაველაპარაკო... ამ საქმეში შინაურის ხელი რომ ურევია, ეს კი ვიცი და... მე როცა გავიგე და როცა შემატყობინეს ბარბარეს სიკვდილი, გზაში, მთელი ღამე ტირილში გავატარე და ვიძახდი, რომ იქ შინაურის ხელი ურევია-მეთქი. შინაურმა გაუკეთა-მეთქი.

**ნინო რაფალიანცი (ბარბარეს მამიდა):** - ექსპერტიზაზე რომ ველოდებოდით, პოლიცია ამბობდა, თქვენ აზრზე არა ხართ, ისეთი ვიღაც არის გარეული ამ საქმეში, რომ გაიგოთ თმები ყალყზე დაგიდგებათო. სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

**მაია გოგოლაური: -** მერე კი დამალეს...

**ნინო რაფალიანცი:** - მერე უკვე არაფერს აღარ ამბობდნენ. ამიტომ ვამბობთ, რომ ყველამ კარგად იცის. წეღანაც ხომ ვთქვი, რომ თვითონ პოლიცია ამბობდა, რომ ისეთი ვიღაცაა გარეულიო და სანამ ბარბარეს ჩამოასვენებენო იმ პიროვნებას მოგიყვანთ აქო და თქვენი თვალით ნახავთო. მე ზუსტად პოლიციის სიტყვებს ვიმეორებ. მაგრამ იქ არავის არავინ მოუყვანია.

**- მერე არ ჰკითხეთ, ხომ გყავდათ ეჭვმიტანილიო?**

- აღარავინ არაფერს ამბობდა. მერე ახლიდან დაიწყო და ახლები ამბობენ, რომ ცხელ კვალზე არ დადგნენო, არაფერი არ იციანო. ანაბეჭდები და ყველაფერი წაშლილი არისო.

რაფალიანცების ოჯახი ფიქრობს, რომ ბარბარეს მშობლები, თათია და პალიკო, კოლაგში, დღესაც საფრთხის ქვეშ არიან. თათია მექერიშვილის დედამთილი რძალს სიმართლის თქმას ურჩევს.

**- თქვენი შვილი, ბარბარეს მამა რას ამბობს?**

**მაია გოგოლაური: -** ჩემი ბიჭი რას იტყვის?! გამოძიებას ელოდება. რა იქნება.

**- თქვენი შვილი კოლაგში მუშაობს?**

- კი, იმ ამბის შემდეგ სიდედრი და სიმამრი იყვნენ ჩამოსულები და წაიყვანეს. მე იმის მეშინია, რომ ჩემს შვილსაც არაფერი დაუშაონ.

**- ფიქრობთ, რომ საფრთხის ქვეშაა?**

- აბა, თოთო ბავშვი რომ გაიმეტეს და...

**- შეიძლება თათიამ რომ რამე თქვას და ალაპარაკდეს, საფრთხეში ჩაიგდოს თავი?**

- შეიძლება. ამიტომაც არის ჩემი რძალი გაჩუმებული და ვერაფერს ვერ ამბობს.

**- რატომ არ ეუბნებით ამ ყველაფერს გამოძიებას?**

- რამდენჯერაც აქ ჩამოვიდნენ, ჩვენ არ დაგვასწრეს, არ დავესწარით. იმიტომ რომ დაკითხვით თათიას და პალიკოს კითხავენ მარტო. ფაქტი იმათ ნახეს....

**- მთელი ეს პერიოდი, ქედაში არ ცხოვრობენ თათია და პალიკო?**

- ახლა იმიტომ წავიდნენ, რომ უჭირთ და იქნებ ერთი ორი კაპიკი გააკეთონ? მაშინაც იმიტომ იყვნენ იქ, რომ უჭირდათ და არა იმიტომ, რომ მათთვის შვილი მოეკლათ...

**მაგრამ ხომ ვერ წარმოიდგენდა თათია, რომ მის შვილს გაიმეტებდნენ?**

- ვინ წარმოიდგენდა მაგას...

**- არ გინდათ თქვენ რომ იქ იყოს თათია?**

- არც თათია მინდა, და არც ჩემი შვილი მინდა, რომ იქ იყოს...

**- რატომ გგონიათ, რომ საფრთხე ემუქრება თათიას და თქვენი შვილის სიცოცხლეს?**

- შვილო, აბა რა გითხრათ, იმას ვფიქრობ, რომ კიდევ ვინმემ რაღაც არ ქნას...

**- თქვენ ფიქრობთ, რომ თქვენი რძალი და შვილი ახლაც იმ დამნაშავეების წრეში არიან?**

- თუ ისინი დაჭერილები არ არიან, ვინც ეგ გააკეთა, მაგათ გაახარებენ მითხარით?

**- ანუ, ეს იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხმას ამოიღებენ და თავიანთი ეჭვების შესახებ იტყვიან, საფრთხე დაემუქრებათ?**

- აბა, რა ვიცი... მაგრამ ხმა უნდა ამოიღონ, კი არ უნდა გაჩუმდნენ...

**- ამიტომაც არის თქვენი აზრით თათია ჩუმად, ვისი ეშინია?**

- მე რა ვიცი, შვილო, აბა ვისი ეშინია... ალბათ, იმავე შინაურის ეშინია თათიას, ვინც ეს გააკეთა და ვინც ბალღი მოკლა... ვინც შვილი მოუკლა იმის...

**- თქვენ როგორ ფიქრობთ, იცის თათიამ?**

- როგორ არ იცის, მე რამდენჯერ მაქვს ნათქვამი პირდაპირ თათიასთვისაც, ეგ მეთქი, შვილო, შინაურის გაკეთებულია... შინაურის გაკეთებულია, აბა, სხვა ვისი...

**- არ გქონიათ თათიას ოჯახის წევრებთან ამ თემაზე საუბარი, არ გითქვამთ, რასაც ფიქრობთ ხმამაღლა?**

- როგორ არ გვითქვამს, ვეუბნებით, რომ შინაურების გაკეთებულია.

**- ამას რომ ამბობთ, რას გეუბნებიან?**

- რა ვიცი აბა, თავის დაზე დალუკაზე უარს აცხადებენ.

**- მაგრამ თქვენც რომ ეჭვი გაქვთ, ფაქტია...**

- ეჭვები იმიტომ მაქვს, რომ ეგ არის შინაურის ნამოქმედარი, იმიტომ რომ იქ უცხო არ შევიდოდა და იმან არ იცოდა სად იყო ბავშვი, სად ლოგინი იდგა და სად ქვევრი...

**- ეს იმ შინაურის გაკეთებულია, ვინც სახლში არ იყო იმ წუთას, თათია და მისი ქმარი, ხომ ზემოთ იყვნენ და ვახშმობდნენ...**

- კი, რა თქმა უნდა... მე არ მაინტერესებს და იქნება თუ ძმა იქნება, უნდა აგოს პასუხი, ყველა მაგას ვიძახით, უნდა აგონ პასუხი. ყველამ უნდა ვიცოდეთ ვინ არის მკვლელი.

**- თუ არ გაიხსნება ეს საქმე, რას აპირებთ?**

- რას ვაპირებთ და დახურვით არ დავახურინებთ გამოძიებას. 15 წლის ამბები გამოუკვლევიათ და გამოუძიებიათ და ეს როგორ ვერ უნდა გამოიძიონ. ისტორიას არ ახსოვს ასეთი ამბავი, რაც აქ მოხდა.

რამდენიმე დღის წინ ბარბარე რაფალიანცის ოჯახი, შინაგან საქმეთა სამინისტრომ სიმართლის დეტექტორზე შეამოწმა. ბარბარე რაფალიანცის დედა, თათია მექერიშვილი ნერვიულობის ნიადაგზე შეუძლოდ გახდა, რის გამოც ის საავადმყოფოშიც კი გადაიყვანეს. ჯერჯერობით უცნობია, რა დასკვნას დადებს შინაგან საქმეთა სამინისტრო, თუმცა ოჯახის წევრების სიმართლის დეტექტორზე გაყვანით, ეჭვები, რომელიც ბარბარეს მამის ოჯახში არსებობს, კიდევ უფრო მყარდება.

**თამარ გოგოლაური:**

**„დავიჯერო არ იციან ვინ არის? როგორ არ იციან... ყველაფერი კარგად იციან...“**



თათია მექერიშვილი და დალი მექერიშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ლიდერებს" ერთ ციხეში მოათავსებენ

**my View**
თამარ გორთამაშვილი

**სასჯელაღსრულების სისტემაში ცვლილებებია, თუმცა არა საკადრო, არამედ სისტემური. მინისტრი, რომლის შესახებაც ვრცელდებოდა ხმა, რომ პროფილს იცვლის და განათლებაში გადადის, აღმოჩნდა, რომ არსად წასვლას არ აპირებს, მანამ სანამ ყველა პროექტს, რომელიც მისი გუნდის ინიციატივით დაიწყო, ბოლომდე არ მიიყვანს.**

სოზარ სუბარი, რომელიც ციხეში არსებული პრობლემების აღიარების შემდეგ, ოპონენტთა კრიტიკის ობიექტიც გახდა, დღეს „პრაიმტაიმს" ყველა იმ კითხვაზე პასუხობს, რაც მისი მისამართით ამ 8 თვის განმავლობაში დაგროვდა.

ვინ მოკლა პატიმარი ლევან კორტავა, გახდა თუ არა ნარკოტიკის ზედოზირება პატიმრის თვითმკვლელობის მიზეზი, რა გზით აპირებს უწყება ე.წ. „მაყურებლებთან" ბრძოლას და როგორ ერევა მინისტრი იმ მძიმე მემკვიდრეობას, რომელიც მას უწყების შიგნით დახვდა. სოზარ სუბარის ექსკლუზიური ინტერვიუ „პრაიმტაიმში".

**სოზარ სუბარი: „**ძალიან რთული მემკვიდრეობაა, მართალია, მაგრამ ჩემდა გასაოცრად სირთულეები ისეთ სფეროებშიც აღმოჩნდა, სადაც მეგონა, რომ არ უნდა ყოფილიყო. ამაში ვგულისხმობ ინფრასტრუქტურას და უსაფრთხოების სისტემებს, რომელიც ვფიქრობდი, რომ ოდნავ მაინც იქნებოდა მოწესრიგებული, სამწუხაროდ, ეს ასე არ აღმოჩნდა. ძალიან კარგად ვიცოდით, რომ ეს სისტემა ძალადობაზე იყო დაფუძნებული, ადამიანის წამებასა და უუფლებობაზე იყო აგებული; მართალია, ნანახმა და გამოვლენილმა ფაქტებმა ჩვენს წარმოდგენას გადააჭარბა, მაგრამ დაახლოებით წარმოდგენა მაინც მქონდა, თუმცა იგივე უსაფრთხოების კუთხით და ინფრასტრუქტურული კუთხით თუ ასე მოუწესრიგებელი იქნებოდა, მე პირადად ამას ვერ წარმოვიდგენდი... ამას დავუმატოთ კორუფციის წარმოუდგენლად მაღალი დონე. ქვეყანაში ძალიან ბევრს ვლაპარაკობდით ელიტურ კორუფციაზე, თუმცა იყო სფეროები, სადაც, ელიტური კორუფციის გარდა, სხვა ტიპის კორუფცია თითქოს დამარცხდა... საერთოდ, კორუფცია ბოლომდე ვერსად, ვერც ერთ ქვეყანაში ვერასდროს ვერ დამარცხდება, მაგრამ დღეს მნიშვნელოვნად იკლო, რაც ძალიან დიდი წარმატებაა. ამ სისტემაში ელიტურ კორუფციასთან ერთად, ქვედა დონის კორუფციაც ყვაოდა. ელიტური კორუფციის მაგალითად ხშირად მომყავს ის, რომ მაგალითად, პატიმრის კვება თვეში 90 ლარი ჯდებოდა. 24 ათას პატიმარზე გათვლით ეს არის 26 000 000 ლარი წელიწადში. დღეს პატიმრის კვება ჯდება 90 ლარზე ოდნავ ნაკლები და დღევანდელი საკვები არის სამჯერ და ოთხჯერ უკეთესი, ვიდრე საკვები, რომელსაც მაშინ აჭმევდნენ. არც ერთი პატიმარი, ვისაც ოდნავ მაინც შესაძლებლობა ჰქონდა, თვეში 200 ლარი მაინც ჩარიცხულიყო მის ანგარიშზე, ციხის საკვებს არ ჭამდა. აქედან შეიძლება რამდენიმე დონის კორუფცია დავინახოთ: პირველი - ამ 26 მილიონიდან მინიმუმ ნახევრის და სავარაუდოდ უფრო მეტის მოპარვა ხდებოდა. მეორე - ეს უვარგისი საჭმელი, რომელსაც არავინ არ ჭამდა, იყრებოდა და მიჰქონდათ საკუთარ ფერმებში ღორების საჭმელად, რომლის ხორცსაც, ხშირ შემთხვევაში, ისევ თვითონ ასაღებდნენ სისტემაში საკვებად. და მესამე, რადგან იქ არავინ არ ჭამდა, ციხის მაღაზიებში იყო ძალიან გაძლიერებული ვაჭრობა. აქ კი ისევ მათი ფირმები ვაჭრობდნენ. ამ მაღაზიებში, გარე ქსელთან შედარებით, ძალიან მაღალი ფასები და გარედან რაიმე პროდუქტის შეტანის მაქსიმალური აკრძალვა იყო, რომ შიგნით, რაც შეიძლება მეტი ვაჭრობა ყოფილიყო. მარტო საკვებში რეალურად რამდენიმე ათეული მილიონი ლარის ამოქაჩვა ხდებოდა პატიმრებიდან. ამას დავუმატოთ წამლები, იმიტომ რომ ძალიან ცუდი მომარაგება იყო და სწორედ წამლებიდან ხდებოდა ასევე უზარმაზარი ფულის ამოქაჩვა. რაც მთავარია, ეს მაღაზიები, სასადილოები, უფასოდ ჰქონდათ გადაცემული ამ ფირმებს სახელმწიფოს ხარჯზე. აი, აქ კეთდებოდა უზარმაზარი ფული და პლუს კიდევ მშენებლობებში. ეს იყო სწორედ ელიტური კორუფცია, რომელსაც ემატებოდა კიდევ ქვედა დონის კორუფციაც, როცა ხდებოდა პატიმრის გადაყვანა ერთი ოთახიდან მეორეში, ერთი ციხიდან სხვა ციხეში, ან საავადმყოფოში და ა.შ. ყველა ეს მოქმედება კორუფციული იყო. სისტემაში ახლადმისულმა, როცა პირველად დავიწყე ამაზე ლაპარაკი, საზოგადოებაში ნაკლებად არსებობდა რწმენა, რომ შეიძლება ასეთი რამ ყოფილიყო. ჩემი მეუღლეც კი ეჭვით უყურებდა, მთლად ასე იყო თუ არა, რასაც მე ვამბობდი, სანამ უშუალოდ არ დაელაპარაკა რამდენიმე ადამიანს, რომლებიც ციხიდან გამოვიდნენ.

ეს იყო ის სისტემა, რაც დაგვხვდა, ამას დავუმატოთ ინფრასტრუქტურა, რომელიც აბსოლუტურად მოუწესრიგებელია. წარმოვიდგინოთ ციხე, დაწესებულება, რომელშიც 4 000 პატიმარია, სადაც არ არის საკნები, პატიმრები ცხოვრობენ 300-კაციან დიდ ბარაკებში, ორსართულიან, ზოგჯერ ოთხსართულიან საწოლებზეც კი სძინავთ, სადაც 5-6 კორპუსია და 6-7 ჰა ტერიტორია უკავია, რომელიც მოფენილია ქვებით და რამე რომ მოხდეს, ნებისმიერი ქვა უკვე იარაღია, სადაც არ არის უსაფრთხოებისთვის სათვალთვალო კამერები... რომელსაც ემსახურება 200 კაცი, სამ ცვლად, ანუ ცვლაში დაახლოებით 60-70 კაცია. წარმოუდგენელია აქ გქონდეს სრული კონტროლი. იმ დროს, როდესაც აწყობილი ჰქონდათ უკანონო მოსმენის და მიყურადების მთელი სისტემა, ამაში იხარჯებოდა ფული და არა იმაში, რომ უსაფრთხოების თვალსაზრისით სისტემები ყოფილიყო აწყობილი. რამდენიმე ციხე იყო აბსოლუტურად გამოუსადეგარი, რომლის დახურვის რეკომენდაციებს წლების განმავლობაში იძლეოდა ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტი (CPT), ვიძლეოდი მეც, როდესაც სახალხო დამცველი ვიყავი, იძლეოდა ჩემ შემდგომ ომბუდსმენი. სამი მათგანი აშენებული იყო მე-19 საუკუნეში - თბილისის #1, რომელიც აშენებული იყო, როგორც მანთაშოვების საწყობი, ზუგდიდის #4, რომელიც აშენებული იყო, როგორც დადიანების საჯინიბო. ეს ორი დავხურეთ, რაც შეეხება მესამეს, ბათუმის დაწესებულებას, აღმოჩნდა, რომ თვითონ შენობა მყარია, უბრალოდ, შიგნით არის საშინელი პირობები. ამიტომ ვიწყებთ კაპიტალურ რემონტს და შემოდგომაზე ამას დავამთავრებთ.

**- ამ ორი დაწესებულების დახურვა შესაძლებელი გახდა, ალბათ, პატიმრების რაოდენობის შემცირების ხარჯზე...**

- შესაძლოა, არც დაგვეხურა და გაგვერემონტებინა, იმიტომ რომ იქ ახლები უნდა ავაშენოთ, ზუგდიდში ახალი ციხე სხვა ადგილას შენდება, ქალაქის ცენტრში აღარ იქნება... დავხურეთ, იმიტომ რომ თვითონ ის შენობაა საშინელება. წარმოიდგინეთ საჯინიბო, მე-19 საუკუნის ცხენების თავლა, სადაც 21-ე საუკუნეში ჰყავდათ პატიმრები. თუმცა უცნაური ის არის, რომ სააკაშვილის პერიოდში აშენებულ ზოგიერთ კორპუსში კიდევ უარესი მდგომარეობა იყო, ვიდრე მე-19 საუკუნის თავლაში. მაგალითად, „მატროსოვზე", დაწესებულება, სადაც ადრე ქალები იყვნენ და შემდეგ უკვე ყოფილი თანამშრომლები. ისინი განთავსებული იყვნენ ბარაკში, სადაც 300-500 კაცს ეძინა. ეს იყო თუნუქით გადახურული ბეტონის კედლები, ყველა პატიმარს თავზე აწვიმდა. ამას დაუმატეთ სამედიცინო მომსახურების სრული იგნორირება, რის გამოც საქართველოში ორნახევარჯერ მაღალი იყო სიკვდილიანობა პატიმრებს შორის, ვიდრე ეს იყო ევროპაში ან ამერიკაში და სადაც ერთ ადამიანზე იხარჯებოდა სამჯერ ნაკლები, ვიდრე ეს იხარჯებოდა სამოქალაქო სექტორში. მაშინ, როცა სინამდვილეში უფრო მეტი უნდა იხარჯებოდეს, იმიტომ რომ ჩაკეტილ სივრცეში გაცილებით მეტი შესაძლებლობაა სხვადასხვა დაავადებების გავრცელებისა.

იყო ისეთი პრობლემებიც, რომელთა არსებობასაც ვერც კი წარმოვიდგენდით. მაგალითად, ჩვენი ციხეების ნახევარი, რომელიც ბუნებაში არსებობს, იურიდიულად არსად არაა გაფორმებული, არ არსებობდა არანაირი დოკუმენტი. ასეთია მე-8 დაწესებულება, რომლის დოკუმენტაციაც არ არსებობს. ასევეა ქსნის ტუბერკულოზის დაწესებულება, რომელიც ჩვენ გავხსენით. სინამდვილეში ვის მიწაზე ვართ ახლაც არ ვიცით. არც იცოდნენ და არც აინტერესებდათ, ისე მართავდნენ, რომ საერთოდ ქაღალდი, დოკუმენტი, მათთვის არაფერი არ იყო. არ არსებობს დებულება სპეცნაზმა რა შემთხვევაში როგორ უნდა იმოქმედოს. არ არსებობს პულტებზე მეთვალყურეობის დებულება, რა წესები არსებობს გარე პერიმეტრის კონტროლის, ან როგორი უნდა იყოს მორიგეობა... ყველაფერი თვითდინებაზე იყო მიშვებული. ერთადერთი „გამართული" იყო ადამიანის წამება და ის, რომ ხმის ამოღება ვერავის გაებედა. ერთხელ, ინტერვიუში ვთქვი და ძალიან არასწორად იქნა გაგებული, რომ როცა ასეთი ინფრასტრუქტურა გაქვს, როცა არაფერს არ აქცევ ყურადღებას, ამ შემთხვევაში გასაგებია რატომაც ხდებოდა იმ მეთოდებით მართვა. სხვა მეთოდებით, უბრალოდ, ვერ მართავდი. ამიტომაც ეს რომ არ მოგიწიოს, საჭიროა, რომ ყველაფერი კანონის ფარგლებში მოაქციო. მაშინ, ჩემი ეს სიტყვები არასწორად იქნა გაგებული, როგორც ჩანს, მაგრამ ახლა რასაც ვამბობ, მგონი გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ მართავდნენ ასე... და არც სურდათ, რომ სხვანაირად ემართათ, თორემ, ამის მოწესრიგება ამდენი წლის განმავლობაში უმარტივესი საქმე იყო.

**- კადრების პრობლემაც დაგხვდათ?**

- კადრებს რაც შეეხება, დაახლოებით 500-ზე მეტი ადამიანი გათავისუფლდა ჩვენი სისტემიდან. ისინი ვერ აკმაყოფილებდნენ ვერანაირ სტანდარტს. გარკვეულ ნაწილს კი დანაშაულში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული. ახლა, უკვე გეგმაზომიერ ატესტაციას ვიწყებთ, ყველა მიმართულებით, სამედიცინო პერსონალის, ციხის დაწესებულებების თანამშრომლების, ეს იქნება სოციალური სამსახური, უსაფრთხოება, რეჟიმი თუ ბადრაგი... ვინც ღირსეულია დარჩება, რადგან მათი გამოცდილება არის უაღრესად მნიშვნელოვანი და ვინც ვერ აკმაყოფილებს ამ სტანდარტს ბუნებრივია, რომ მათი ჩანაცვლება მოხდება ახალი კადრებით. ეს ჩანაცვლება არ ნიშნავს იმას, რომ ვიღაცამ გამოცდა ჩააბარა და ავტომატურად იწყებს მუშაობას. ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი ტრენინგცენტრი, რომელსაც ქალბატონი მაია ხასია ხელმძღვანელობს. მთელი პროგრამები შეიმუშავა უკვე, თუ როგორ უნდა მოხდეს, ვთქვათ, სოცმუშაკის, ბადრაგის, ზედამხედველობის სამსახურის დატრენინგება. მსურველები ამ ტრენინგებს გაივლიან, გამოცდებს ჩააბარებენ და მერე დაიწყებენ მუშაობას. უნდა აღვნიშნო, რომ ბადრაგის ტრენინგის ცნება საერთოდ არ არსებობდა მანამდე, პირველად ჩვენ დავიწყეთ.

**- ლიდერების, ე.წ. „მაყურებლების" საკითხს მინდა შევეხო, რომელიც, როგორც თავადაც ამბობთ, დღესაც რჩება ციხეში პრობლემად. თუ გაქვთ რაიმე მექანიზმი შემუშავებული, რომელსაც ამ მიმართულებით აამუშავებთ?**

- ლიდერების პრობლემა დგას მსოფლიოს ნებისმიერ ციხეში, მაგრამ, ცხადია, ამას ჩვენთან და ზოგადად, ყოფილი საბჭოეთის ციხეებში, ავადმყოფური სახე აქვს მიცემული. უბრალოდ, არასწორი იყო ის ტერმინი, რასაც ამ ბოლო პერიოდში ზოგიერთი პოლიტიკოსი და მერე პრესაც მათზე დაყრდნობით იყენებდა, რომ „მაყურებლები" ციხეში ბრუნდებიან. სინამდვილეში „მაყურებლები" კი არ ბრუნდებიან, არამედ რეალურად ახლა ვიწყებთ იმაზე მუშაობას, რომ ადმინისტრაციის როლი გაძლიერდეს. „მაყურებლები", იგივე „ლიდერები", დღეს არიან და ამას ჩვენ, ძველი ხელისუფლებისგან განსხვავებით, არ ვმალავთ, ოღონდ იმავე ძველი ხელისუფლებისგან განსხვავებით, ჩვენ არ ვმართავთ ციხეს მათი ხელით. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ციხეში „ლიდერები" არიან, ჩვენ ვაღიარებთ, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტას დასჭირდება გარკვეული პერიოდი, მაგრამ ჩვენ არ ვიყენებთ მათ ძალაუფლებას სხვების სამართავად. მთლიანობაში, ბოლომდე ამ პრობლემის აღმოფხვრა შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებს დავამთავრებთ, რომლებიც ჩვენ გვაქვს. ამ მხრივ, ძალიან სერიოზული გარღვევა გვექნება წლის ბოლოს, შემოდგომაზე ოქტომბერ-ნოემბერში და საბოლოოდ ინფრასტრუქტურული პროექტები მომავალი წლის ბოლოს დამთავრდება. რა მოხდება წლევანდელი წლის ბოლოსთვის - პირველი ეს არის ის, რომ მე-16 დაწესებულება დამთავრდება. ეს იყო 2 700 კაცზე გათვლილი დაწესებულება, რომელშიც 3 000-ზე მეტი პატიმარი იყო. ჩვენ სრულ რეკონსტრუქციას ვახდენთ, 2 700-დან 1 100 კაცზე ჩამოდის მისი ლიმიტი. განათლების სამინისტრო გვეხმარება ძალიან სერიოზულად და მასთან ერთად ვაკეთებთ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს. ასევე, ძალიან ბევრ კომპანიასთან გვაქვს მოლაპარაკება, რომლებიც თანხმდებიან, რომ იქ დასაქმების პროგრამები დაიწყონ. ეს იქნება ზონა, რომელიც თავისუფალი იქნება სრულიად კრიმინალური მენტალიტეტის ადამიანებისგან - ეს ერთი. მეორე - იქნება ნახევრად ღია დაწესებულება, სადაც არიან ადამიანები, რომლებიც არიან კრიმინალური სუბკულტურის მიმდევრები, მაგრამ ისინი განსაკუთრებული დამრღვევები არ არიან და ამიტომაც არ იქნებიან ჩაკეტილ სისტემაში. მათ, სათითაოდ, მთელი დღის განმავლობაში, თავისუფლად სეირნობის საშუალება ექნებათ. მათაც ექნებათ პაემნების, სატელეფონო ზარების საშუალება, მაგრამ ისინი იქნებიან ერთად და მათ სხვა პატიმრებზე თავისი ზეგავლენის მოხდენის საშუალება არ ექნებათ. მესამე - ეს იქნება მკაცრი უსაფრთხოების ციხე (ამ ეტაპზე ერთი და შემდეგ ვნახოთ), ეს არის სრულიად ახალი სიტყვა ქართულ სინამდვილეში, ეს იქნება ციხე, სადაც ისეთი პატიმრები იქნებიან, რომლებიც განსაკუთრებით ხშირად არღვევენ რეჟიმს, არ ემორჩილებიან ადმინისტრაციას, ან ძალიან ცუდ და ბოროტ ზეგავლენებს ავრცელებენ სხვა ადამიანებზე, ისინი იქნებიან აქ ძალიან მკაცრ, მაგრამ ძალიან კარგ პირობებში. კვადრატული მეტრი ფართობი, ერთ ადამიანზე იქნება უფრო მაღალი, ვიდრე ნახევრად ღია ციხეში. მათ ექნებათ დღეში ერთი საათი სეირნობის საშუალება, იქ იქნება ძალიან ბევრი და ძალიან მაღალკვალიფიციური, სულ სხვა სტანდარტებით გაწვრთნილი თანამშრომლები. მკაცრად იქნება შეზღუდული პაემნებიც, სატელეფონო კავშირებიც. ვისაც ურჩევნია ასეთი ცხოვრება, ეს მისი არჩევანია. ჩვენ იქ არავის ისეთს არ მოვათავსებთ ვინც არ იმსახურებს. ამ წლის ბოლოსთვის უნდა დავამთავროთ ფსიქიატრიული საავადმყოფო, იმიტომ რომ ძალიან ბევრი ადამიანია, რომელსაც ფსიქიკური პრობლემები აქვს და განსაკუთრებით ეს არის იგივე იმ წამების შედეგი, რომელსაც ისინი ამ წლების განმავლობაში განიცდიდნენ. ამ ადამიანებისთვის იქნება ცალკე საავადმყოფო, რომლის საშუალებაც აქამდე არ ჰქონდათ. ისინი იმკურნალებენ და ეს იქნება კარგი მათთვისაც და მათი ოჯახებისთვისაც. იმიტომ რომ, როცა ადამიანი გათავისუფლების შემდეგ ასეთი პრობლემებით მიდის ოჯახში, ის უკვე პრობლემაა თვითონ ოჯახისთვისაც, საზოგადოებისთვისაც და მისი უკან შემობრუნების ალბათობა მაღალია. ხოლო გარკვეული მკურნალობის და რეაბილიტაციის შემდეგ მისი საზოგადოებაში დაბრუნება გაცილებით ნაკლები საფრთხის შემცველია.

**- რამდენად გათვლილი გაქვთ ის საფრთხეები, რომელიც ამ კრიმინალური მენტალიტეტის პატიმრების ერთად მოთავსების გადაწყვეტილებას შეიძლება მოჰყვეს. ეს ხომ ნიშნავს, მათ განეიტრალებას, როდესაც სხვებზე გავლენის საშუალება აღარ მიეცემათ. ხომ არ არის საფრთხე მათი მხრიდან რაიმე სახის პროვოკაციის, იმ სიტუაციის და გავლენის შესანარჩუნებლად, რაც დღეს აქვთ?**

- პირდაპირ გეტყვით, რა თქმა უნდა, შესაძლოა მოხდეს, გავლენას ვერ შეინარჩუნებენ, მაგრამ შესაძლოა იყოს მცდელობა, თუნდაც იმიტომ რომ მათი სუბკულტურის წესებიც ავალდებულებს მათ გარკვეულ ქმედებებს.

**- მზად ხართ ამისთვის?**

- ბოლომდე მზად ვერასდროს ვერაფრისთვის ვერ იქნები. მოულოდნელობები ყოველთვის შეიძლება იყოს, მაგრამ სადაც ეს ვიცით და სადაც გვიფიქრია ამაზე, ე.ი. მზადაც ვართ იმისთვის, რომ ნებისმიერი მსგავსი რამ აღვკვეთოთ. ცხადია, საფრთხე არსებობს, რომ შეიძლება ეს ძალიან მძიმე შედეგით დამთავრდეს და ამას მაქსიმალურად ვერიდებით.

**- საჭიროების შემთხვევაში სპეცრაზმს გამოიყენებთ?**

- რა თქმა უნდა, ბუნებრივია, ოღონდ სასურველია, რომ აქამდე საქმე არ მივიდეს, თორემ სახელმწიფოს აქვს ძალის გამოყენების ლეგიტიმური უფლება და ერთადერთი ინსტიტუტი, რომელსაც ძალის ლეგიტიმური გამოყენების უფლება აქვს, ეს სახელმწიფოა. უბრალოდ, ეს არ უნდა მოხდეს არას-



## სუბარის უწყებამ „მაყურებლებთან" დაკავშირებით ახალი სტრატეგია შეიმუშავა



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



## სოზარ სუბარი:

# „ლაპარაკი იყო ჩემს წასვლაზეც, რაც არ არის სწორი“

## EXCLUSIVE

## „ჩემთვის ეს თანამდებობა საქმის გაკეთების საშუალებაა და მეტი არაფერი“

წორად, არ უნდა მოხდეს უკანონოდ, ეს არ უნდა მოხდეს ძალის გადამეტებით.

**- მას შემდეგ, რაც ციხე გახდა შედარებით ჰუმანური, მას შემდეგ, რაც, როგორც თავად ამბობთ, ის აღარ არის წამების და ღირსების შელახვის ადგილი, ხომ არ ფიქრობთ, რომ პატიმართა გარკვეული ჯგუფები შეეცდებიან ეს შეცვლილი პოლიტიკა გამოიყენონ, საკუთარი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მაგალითად შემიძლია ქალთა კოლონია მოგიყვანოთ, იქ შიმშილობაც კი გამოაცხადეს გათავისუფლების მოთხოვნით.**

- ქალთა დაწესებულების პატიმრები პრაქტიკულად ხელმეორე ამნისტიას ითხოვდნენ, რისი შანსიც არ არსებობს. ჩვენ მათ ეს კარგად ავუხსენით და კარგად იციან. სამაგიეროდ მათ ისიც ავუხსენით, რომ არსებობს უამრავი სხვა მეთოდი, რითიც შეიძლება შემსუბუქდეს მათი მდგომარეობა. მაგალითად, პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლება. დღეს გადავედით ღია მოსმენებზე. ჯერ ბავშვთა დაწესებულებაში დავიწყეთ ორი თვის წინ და ივნისში ეს ქალთა დაწესებულებაშიც დავიწყეთ. ამ შემთხვევაში ადამიანები პირდაპირ ხვდებიან ადგილობრივი საბჭოს წევრებს, და მათი საქმე განიხილება ინდივიდუალურად. ამის შემდეგ კითხვები აღარ უნდა დარჩეს, რატომ მიიღო საბჭომ ესა თუ ის გადაწყვეტილება. მეორე, როცა შეიქმნება მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია, მას ექნება შანსი, რომ გადახედოს ინდივიდუალურად იმ საქმეებს, სადაც ხარვეზი იყო. და მესამე - ციხე ზოგადად იმისთვის არსებობს, რომ დამნაშავე იქ იყოს და არა სხვაგან. კი, კარგად გვესმის, რომ ძალიან ხშირ შემთხვევაში ამ განვლილი 9 წლის განმავლობაში იყო არაადეკვატურად მკაცრი სასჯელები, მაგრამ ამისთვის იყო ამნისტია, რომელმაც ზოგიერთს 1/4 მოაკლო, ზოგს 1/3 , ზოგს ნახევარი. ამისთვის მოხდა შეკრებითობის გაუქმება. ამისთვის ამუშავდა პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმი, ამისთვის ამუშავდა ავადმყოფობით ადამიანის გათავისუფლების მექანიზმი უფრო ეფექტურად და ციხე მსოფლიოში არავის გაუუქმებია, ჯერ ასეთი ქვეყანა არ არსებობს და საქართველოში როგორ გავაუქმებთ?! ... მანიპულირებას მანამდეც ცდილობდნენ და აწიც ეცდებიან. აგერ ბრეივიკი ლამის ყოველ მეორე დღეს მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრშია და მანიპულირებს ვთქვათ იმით, რომ მისი კომპიუტერის მოდემს არ აქვს ისეთი სისწრაფე, რაც მას სჭირდება. რაც მეტს მისცემ, მეტს ითხოვს ადამიანი. ამიტომ ეს ზღვარი მკაფიოდ უნდა გავავლოთ. სად გადის ზღვარი მათ უფლებასა და სად საზოგადოების უსაფრთხოებასა და ინტერესს შორის. ეს ზღვარი გავლებულია, თუმცა ამ წუთში ეს ზღვარი გავლებულია ჩვენი გამოცდილებით, ჩვენი ხედვებით და არ არის ეს საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცეული. ამაზეც ვმუშაობთ პარალელურად და მთავრობაში უკვე გაგზავნილი გვაქვს ჩვენი ცვლილებების პროექტი. ისევ მანიპულირებას რომ მივუბრუნდეთ, ეს თემა არასდროს არ დამთავრდება. მკაცრ ციხეში სხვანაირი მანიპულირებებია, მსუბუქ რეჟიმში სხვანაირი. რამდენიმე პატიმარია, რომლებიც დღესაც იხდიან სასჯელს, ვთქვათ, ბაჩო ახალაიას დროს, ხორცის ნაჭერს იჭრიდნენ და უგდებდნენ ბაჩოს, როცა ის ციხეში შემოვიდოდა. არიან ასეთი ადამიანებიც, ეს იყო მანიპულირების რაღაც ფორმა. ვიღაცებთან დათმობაზე მიდიოდნენ მაშინ, ვიღაცებთან არა. ეს სისტემა სულ არამდგრად წონასწორობებზეა აგებული. ამას წინ, მაგალითად, კვებაზე შემოვიდა პრობლემები, ჩიოდნენ, რომ წიწიბურაში არის შავი მარცვლები, რა გითხრათ, ოჯახში გაკეთებული წიწიბურაც არ მინახავს მე ასეთი მარცვლების გარეშე. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ არც ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, ამასთან მიახლოებული კვება არ არის და ძალიან ბევრ პოსტსოციალისტურ ქვეყანაზე უკეთესი კვებაც გვაქვს.

**- რაც შეეხება აკრძალული ნივთების შეტანას, იგივე ნარკოტიკები, ტელეფონები და ა.შ. დაფიქსირდა უკვე შემთხვევები, როგორ ხდება დღეს ციხეში მათი შეტანა და როგორ აპირებთ ამის გაკონტროლებას?**

- ანალოგს მოვიყვან, 9 ათასი პატიმარია ლიტვაში, დაახლოებით ჩვენი რაოდენობის მოსახლეობაა. 10 ათასი ტელეფონია ამოღებული შარშანდელიდან წლევანდელ აპრილამდე პერიოდში. 15 თვის განმავლობაში 10 ათასი ტელეფონი 9 ათასი პატიმრიდან. სადღაც 200 გრ-ზე მეტი ნარკოტიკია ასევე ამოღებული და ფსიქოტრონულ ნივთიერებებს ვინ მოთვლის კიდევ რამდენია. იმის თქმა მსურს, რომ ციხე, სადაც ნარკოტიკი არ შედის, ასეთი თემა არ არსებობს მსოფლიოში. ამერიკის ყველაზე მაღალი უსაფრთხოების ციხეში, პირდაპირ კამერებით აქვთ გადაღებული როგორ ხარშავენ პატიმრები წამალს და როგორ ყნოსავენ კოკაინს. მთავარია, რომ ამას არ შევეგუოთ და ბოლომდე ვებრძოლოთ. ჩვენ, წელს, ამოღებული 50-მდე ტელეფონი გვაქვს ამოღებული. ინფორმაცია გვაქვს დაახლოებით 2-3 ათეული ტელეფონის არსებობაზე და უახლოეს ხანებში მოხდება მათი ამოღება. როცა საკნების სისტემა არ გაქვს და ბარაკული სისტემაა, ძალიან ძნელია რამის მონახვა. მთავარია, რომ მაქსიმალურად ვახდენთ კონტროლს. რაც შეეხება შეტანას და პროცედურებს, შეტანის მილიონნაირი გზა არსებობს, ზოგი ცდილობს საჭმელს რომ უგზავნიან, იმით შეიტანოს. მაგალითად, ბრაზილიაში დაფიქსირდა ნარკოტიკების მტრედებით შეტანის მეთოდი. საქართველოში იყო ნარკოტიკების კატებით შეტანის ხერხიც. ყველა მეთოდს იყენებს დამნაშავეთა სამყარო ციხის გარეთ და ციხეშიც. ამიტომაც ჩვენი მხრიდან კონტროლის მეთოდი არის ჩხრეკა, გაძლიერებული კონტროლი. მე კარგად მესმის, საზოგადოების გარკვეული ნაწილის აღშფოთება გამოიწვია იმან, როდესაც ერთ-ერთი ჩხრეკის კადრები გამოვიდა, სადაც ადამიანს აიძულებდნენ, რომ ბუქნები გაეკეთებინა, მაგრამ ეს მეთოდი იყო დღემდე, ეს მეთოდი არის დღესაც, ცოტახანში, როდესაც შევიძენთ ახალ ტექნიკას, ეს აღარ იქნება საჭირო, ეს ტექნიკაც არ დაგვხვდა ჩვენ. მეორე მხრივ, მთელს მსოფლიოში თუ კი ეჭვი არსებობს ზუსტად ასეთივე მეთოდებით ხდება ადამიანების შემოწმება.

**- თუ გქონიათ ფაქტი და თუ არიან კონტროლ ქვეშ ისეთი თანამშრომლები, რომლებზეც არსებობს ეჭვი, რომ მათ შეაქვთ ნარკოტიკები?**

- ნარკოტიკის შეტანაზე ასეთი ეჭვი კონკრეტულ ადამიანებზე არ გვაქვს, მაგრამ რამდენიმე დღის წინ გავათავისუფლეთ თანამშრომელი, რომელსაც სატელეფონო კონტაქტი ჰქონდა ერთ-ერთ მსჯავრდებულ ქალბატონთან. ნარკოტიკებთან დაკავშირებით საზოგადოებაში ეჭვები გაჩნდა, რომ ქუთაისში ერთი ადამიანი ნარკოტიკებით იყო გარდაცვლილი. ჩვენ არ უარვყავით ეს ფაქტი, იმიტომ რომ ვიცოდით, ის დაკავებამდე იყო ნარკოტიკების მომხმარებელი. მე რომ ვთქვა, ციხეში ნარკოტიკი არ შედის, გამორიცხულია. წინა ხელისუფლება რომ ამბობდა, საქართველოს ციხეებში ნარკოტიკი არ შედისო, ეს ისეთივე აბსურდია, როგორც ადრე ამბობდნენ, რომ საბჭოთა კავშირში სექსი არ არისო. წელიწადში დაახლოებით 100 საქმის აღძვრა ხდებოდა ახალაიას დროს და თუ არ იყო, რაზე აღძრავდნენ საქმეს?

**- იმ პატიმრის საქმეს რომ დავუბრუნდეთ, საბოლოოდ რა გაირკვა?**

- საბოლოოდ ექსპერტიზით დადგინდა, რომ არანაირი კავშირი მის გარდაცვალებასთან, არც ნარკოტიკებს და არც ფსიქოტროპულ ნივთიერებებს არ ჰქონდა. ის გარდაცვლილია ცეროზით. მას დაპატიმრებამდე ჰქონდა ღვიძლის პრობლემები. თუმცა მის ხელში აღმოჩნდა ფსიქოტროპული ნივთიერებებიც, რაც ჩვენი დაწესებულების უზარმაზარი პრობლემაა. პატიმრების აბსოლუტური უმრავლესობა სრულიად ხელოვნურად იყო „შეჯენილი“ ფსიქოტროპილ ნივთიერებებზე. 30,40, 60 აბი ფსიქოტროპული ნივთიერება, ეს არის მომაკვდინებელი დოზა, ის ანგრევს ორგანიზმს. როცა წამებების პირველმა ტალღამ გადაიარა და უამრავი ადამიანი დარჩა დამტვრეული, დანგრეული და ამის გაჩერება ვერ ხერხდებოდა, დაიწყეს ასე უკონტროლოდ ფსიქოტროპული ნივთიერებების მიცემა, რათა ამით გაეჩერებინათ ეს ადამიანები. ეს გახდა ერთ-ერთი მეთოდი. ჩვენ პირველივე დღიდან ღიად ვთქვით, რომ ეს პრობლემა დაგვხვდა და დავიწყეთ ღიად თანამშრომლობა არასამთავრობოებთან, ექსპერტებთან და შევქმენით მთელი პროგრამა, თუ როგორ უნდა მოვახდინოთ ამის შემცირება. ზოგიერთ დაწესებულებაში 700 კოლოფიდან 30 კოლოფზე ჩამოვიყვანეთ. 1 000 პატიმარზე თუ მოიხმარებოდა 200 კოლოფი, იგივე 1000 პატიმარზე დღეს მოიხმარება 30-40 კოლოფი. ზოგან მეტად მივაღწიეთ წარმატებას, ზოგან ნაკლებად. 3 500 ლარი ჯდება ერთი ადამიანის სისხლის გაწმენდა და ნარკო დამოკიდებულების მოხსნა. ჩვენ, ჩვენი მხრიდან ვეხმარებით, თუ კი ადამიანი გამოთქვამს მზადყოფნას რეაბილიტაციისთვის.

**- გეგუთში გარდაცვლილ ლევან კორტავას საქმეზე მინდა გკითხოთ. ოჯახის წევრები ითხოვენ იმ დამნაშავეების დასჯას, ვინც ეს ახალგაზრდა მოკლა. რამდენად იზიარებთ მომხდარზე პასუხისმგებლობას და რა შეგიძლიათ თქვათ, რეალურად რა მოხდა იქ?**

- მოხდა ის, რომ ადამაინი არის გარდაცვლილი და ის გარდაცვლილია ძალადობის შედეგად. გამოძიება თავისას იტყვის, მე ვიცი, რომ სწორ კვალზე დგანან. პასუხისმგებლობას, რა თქმა უნდა, ზოგადად ვგრძნობ, მაგრამ გარკვეულ ზღვრამდე. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ხდება წელიწადში რამდენიმე ათეული და ასეული მკვლელობაც კი. დანაშაული ხდება ყველგან, მათ შორის ციხეში. ამერიკის სკოლაში რომ ვიღაც შედის და ცხრილავს ხალხს, დგება თუ არა განათლების მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი, თუ იწყება პოლიტიკაზე კამათი? ჯერ არ გამიგია, რომ მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარიყოს ამაზე.

**- თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ თქვენ ვერ გააკონტროლეთ სიტუაცია...**

- პირველი - ეს ხდება ყველგან, მერე ჩვენი ოპონენტები „ნაციონალური მოძრაობიდან“ არიან. სახალხო დამცველის დასკვნაში წერია, რომ დაახლოებით 8% ყოველთვიურად იყო ნაძალადევი სიკვდილი. 8% უდრის 12 კაცს, მინიმუმ 12 კაცი მოკვდა წამებით ან ერთმანეთს შორის შელაპარაკებით. ჯერ იმაზე აიღონ პასუხისმგებლობა და შემდეგ ილაპარაკონ სხვის პასუხისმგებლობაზე. მაგალითად, 1 900 კაცია ქსნის დაწესებულებაში, სადაც ამავდოულად არის 60 თანამშრომელი. ამ 60 თანამშრომლიდან დაახლოებით 20 არის ტექნიკური მუშაკი, რომელიც ნაკლებად შედის ტერიტორიაზე, 50 კაცი უვლის 1 900 კაცს და ეს 1 900 კაცი განთავსებულია 5 კორპუსში, 7 ჰა ტერიტორიაზე. აი ეს მემკვიდრეობა დაგვახვედრეს. რაც შეეხება უშუალოდ კორტავას საქმეს, თუ გამოიკვეთა რამდენიმე თანამშრომლის გულგრილობა, ყველა ადამიანი იქნება დასჯილი ბოლომდე.

**- ერთი თვითმკვლელობის ფაქტიც დაფიქსირდა ამაზე რას იტყვით, რატომ ვერ დაინახეს რას აკეთებდა ეს ადამიანი, ვიდეოკონტროლი ხომ ხორციელდებოდა?**

- იგივე ამერიკის ციხეებში სიკვდილიანობა 7%-ია თვითმკვლელობები 13%, ეს არის ნარკოტიკების ზედოზირება. ზოგადად სუიციდებისკენ მიდრეკილება განსაკუთრებით მაღალია მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. საქართველოში მოხდა ერთი ფაქტი და ამ ფაქტზე ძალიან დროულად მოახდინა რეაგირება სამედიცინო პერსონალმა, შეამჩნიეს, რომ ეს ერთი ადამიანი იყო დეპრესიულ მდგომარეობაში მისცეს შესაბამისი ინფორმაცია უსაფრთხოებისა და რეჟიმის შესაბამის სამსახურებს. მათ გადაიყვანეს ეს პატიმარი სპეციალურ ოთახში სადაც დაკვირვება უნდა მომხდარიყო. თითქმის 10 წუთის მანძილზე ადამიანი რომელიც პულტთან უნდა ყოფილიყო და დაკვირვება უნდა ეწარმოებინა აღმოჩნდა, რომ არ იყო ადგილზე და ზუსტად იმ პერიოდში მოხდა ეს სამწუხარო ფაქტი. ეს ადამიანი გათავისუფლებულია სამსახურიდან. საქმე რეაგირებისთვის გადაგზავნილი გვაქვს საგამოძიებო ორგანოში, მაგრამ, სავარაუდოდ, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა იქ, ალბათ, ნაკლებად გამოიკვეთება. მე ვერ ვიტყვი, ამაზე გამოძიებამ უნდა იმსჯელოს. მთლიანობაში რომ ვთქვათ, ეს სფეროც მოუწესრიგებელია. ადამიანს, რომელიც მორიგეობს ამ პულტებთან რა პასუხმგებლობები აქვს. როგორ უნდა იმოქმედოს, როდესაც ადამიანს დასვამ ოთახში სადაც არის 20-30 ტელევიზორი და უნდა უყუროს ამ ტერიტორიაზე რა ხდება, ვერანაირი ადამიანი ამას ვერ გაუძლებს. ამიტომაც ახლა ვაწესრიგებთ ამ სისტემას, რამდენი საათი უნდა იყოს ერთი ადამიანი პულტთან, რა პასუხისმგებლობა უნდა აიღოს და ა.შ.

**- თუ გახსოვთ “მექანიზატორის” სკანდალთან დაკავშირებით დაკავებულთაგან ერთ-ერთი, პროფესორი, თედორაძე, რომელსაც გარკვეული პრეტენზიები ჰქონდა სამედიცონო მომსახურებასთან დაკავშირებით, ის ამბობდა, რომ გაუსაძლის პირობებში იყო. ამ კონკრეტულ ადამიანთან დაკავშირებით რეალობა როგორ შეიცვალა?**

- პირველ რიგში, გეტყვით, რომ ასეთი რეალობა არ ყოფილა. თუ არ ჩავთვლით, რომ ზოგადად ციხე ცუდია. ამის თავიდან ასაცილებლად კი არსებობს სხვა გზა. თუ დანაშაული არ მოხდება, ციხეც არ იქნება და ამიტომაც ამაზე ფიქრი დიდი ხნით ადრე უნდა დაიწყოს ნებისმიერმა ადამიანმა, მე თედორაძეს არ ვგულისხმობ. თუმცა თედორაძის პრეტენზიებს ჰქონდა გარკვეული საფუძველი, სადაც მან თქვა, რომ ჰქონდა კონკრეტული ფაქტი. ის სამი საათის მანძილზე ითხოვდა ექიმს, რომ გაესინჯა მისთვის წნევა და ექიმი არ მისულა. ცხადია, ჩვენ ყველაფერი აღმოვფხვერით და ის არის გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ. პირველივე დღეს, კარანტინში 24 საათიც კი არ გაუტარებია ამ ადამიანს და უმრავლეს მათგანს. ძალიან მოკლე დროში დავუმზადეთ მაღაზიის ბარათები. მაქსიმალური ყურადღება გამოვიჩინეთ, ამიტომაც ცოტა არ მესმის ბრალს რომ გვიყენებენ, თითქოს ის ჯურღმულშია. ჯურღმული მე მესამე და მეორე სართულზე არ გამიგია. იქ არის სტანდარტული პროცედურა, ყველა ადამიანი, ვინც მერვე დაწესებულებაში შედის, არის პირველ კორპუსში. ასე გარკვეული დრო დაჰყვეს და მერე გადავანაწილეთ უკან მდებარე კორპუსებში. სტანდარტული პროცედურაა და გამონაკლისი არავისთვის არ დაგვიშვია. ყველა მათგანი განთავსებული იყო ისეთ საკნებში სადაც დიდი სივრცეა. ამ ადამიანს გარკვეული პერიოდი ჰქონდა სურვილი გადაგვეყვანა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, რაზეც ჩვენ თანახმა ვიყავით, მაგრამ შემდეგ თვითონვე გადაიფიქრა. მეორე მხრივ, არიან ადამიანები, რომელთა მიმართაც საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღებაა, მაგრამ იმის გამო, რომ ეს ასე ხდება, განსაკუთრებულ პირობას ვერ შევუქმნით, იმიტომ რომ ამით სხვა პატიმრები დაიჩაგრებიან.

**- არაერთი სტატია იბეჭდება იმის შესახებ, რომ ციხეში ხდებოდა ადამიანების ორგანოებით ვაჭრობა, თქვენ გაქვთ ამის შესახებ ინფორმაცია?**

- მე ამის დადასტურებული ფაქტი არ მაქვს, თუ არ ჩავთვლით მოარულ ხმებს.

**- არც თქვენი სახალხო დამცველად ყოფნის პერიოდში გქონიათ რაიმე ფაქტი?**

- მაშინაც მესმოდა, დღესაც მესმის, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მე ეს მეთქვას, რადგან არასდროს ვამბობ იმას, რაც მე არ ვიცი.

**- ვრცელდება ინფორმაცია, რომ თქვენ, შესაძლოა, განათლების მინისტრის პოსტზე გიხილოთ. რას იტყვით... თუ შეესაბამება სიმართლეს, რომ თქვენ ამის შესახებ პრემიერსაც ესაუბრეთ?**

- განათლების მინისტრის პოსტზე ჩემი კანდიდატურა არ განიხილება, ლაპარაკი იყო ჩემს წასვლაზეც, რაც ასევე არ არის სწორი. ამას წინათ, მარგველაშვილმა თქვა, რომ სკამს არ ვარ გამოკიდებული და დაწერეს ჩემზე უხერხემლოაო. ე.ი. თუ იტყვი, რომ თანამდებობა არ არის მთავარი, ამას სხვაგვარი დამოკიდებულება მოჰყვება. მართლა ვამბობ, რომ ჩვენ საქმეს ვაკეთებთ და არაფერს არ ნიშნავს ეს თანამდებობა ჩვენთვის. პირადად ჩემთვის ეს თანამდებობა საქმის გაკეთების საშუალებაა და მეტი არაფერი. რა დღესაც დავინახავ, რომ ამოვწურე და გადავედი რუტინაში, ვიფიქრებ, რომ დროა დავისვენო და ბავშვებს მეტი ყურადღება დავუთმო. პირველი, როდესაც დავინიშნე ვთქვი რომ უნდა მოხდეს სისტემის გაადამიანურება. ეს არის უპირველესი ამოცანა და ეს ამოცანა მიღწეულია. დარჩა რამდენიმე სერიოზული პროექტი, რომელიც მინდა იმდაგვარად მივიყვანო ბოლომდე, როგორც მე წარმომიდგენია. ეს არის ცე ჰეპატიტის პროგრამა, ინფრასტრუქტურილი პროექტები, იგივე ფსიქიატრიული დაწესებულება და ახალი ნარკოპოლიტიკა, რომელშიც შსს და იუსტიციის სამინისტრო ლიდერი უწყებები არიან, მაგრამ ძალიან დიდ როლს ვასრულებთ ჩვენ და ჩვენი უწყება ამაში. ეს სამი პროექტია, რომელიც უნდა განვახორციელოთ გზაზეც რომ დადგეს, ჩავთვლი, რომ საქმე გაკეთებული მაქვს. რაც შეეხება ცე ჰეპატიტის პროგრამას, რომელიც უპრეცედენტოა, ის მართლა გარღვევაა აღმოსავლეთ ევროპის სივრცეში. ამაზე, როდესაც ჩემმა მოადგილემ არჩილ თალაკვაძემ დაიწყო მუშაობა, ვუთხარი, რომ დავივიწყოთ ყველნაირი სიძნელე, დავიწყოთ მუშაობა და იქნებ გავარღვიოთ. ძალიან დიდი მხარდაჭერა აღმოგვიჩინა ფონდმა „ღია საზოგადოება საქართველომ“ სერიოზული ექსპერტების დახმარებით შევძელით მართლა კარგი პროგრამის ჩამოყალიბება და წარვდექით მთავრობის წინაშე. პრემიერისგან და მთავრობისგან პირველი რეაქცია ის იყო, რომ, რას ლაპარაკობთ ეს ძალიან ძვირია და არ გავაკეთოთ ისე, რომ ციხეში ადამიანები მარტო იმიტომ ჩასხდნენ, რომ C ჰეპატიტი იმკურნალონო. როცა ავუხსენი, რომ ჩვენ ისეთი კრიტერიუმები გვაქვს ჩადებული, რომ ეს ასე არ იქნება, ციხეში მოვხვდები და ვიმკურნალო, ამის შემდეგ რეაქცია პრემიერმა თქვა - არ იქნება სწორი ამის განხორციელებას მხოლოდ ციხეში შევუდგეთ და საზოგადოებაში არა, ამიტომაც ერთი კვირის დავალება მოგვცა მე და ჯანდაცვის მინისტრს, ერთ კვირაში წარმოადგინეთ პროგრამაო და უკვე ძალიან მალე C ჰეპატიტის საყოველთაო პროგრამა დამტკიცდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერთ წელიწადში ამას დავამარცხებთ, მაგრამ რამდენიმე წელიწადში ეს დამარცხდება, როგორც ეპიდემია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პაატა ბურჭულაძეს ტაში მხოლ



ხათუნა მგალობლიშვილი

**9 ივლისის კულტურულ ღონისძიებაზე ყველაზე მეტი მოლოდინი იყო, რომ პოლიტიკური რეალობა რადიკალურად შეიცვლებოდა. თუმცა იყვნენ ადამიანები, რომლებიც პაატა ბურჭულაძის გაპოლიტიკოსებას თავიდანვე გამორიცხავდნენ. შესაბამისად, ასეთები მსოფლიო დონის საოპერო მომღერლის საიუბილეო კონცერტზე მხოლოდ და მხოლოდ არიების მოსასმენად მივიდნენ. იმედი, რომ ბურჭულაძე საკუთარ თავს კონცერტის დაწყებამდე ან დასრულების შემდეგ საპრეზიდენტო კანდიდატად გამოაცხადებდა, ნაკლებად არსებობდა. მით უფრო, რომ იუბილემდე ზუსტად ერთი დღით ადრე მისი ინკოგნიტო ახლობლის მოსაზრება გავრცელდა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ ბურჭულაძე არავითარ შემთხვევაში პოლიტიკაში არ წავიდოდა. თუმცა ინტრიგა ბურჭულაძემ კონცერტის დაწყებამდე თავადვე ჩააგდო.**

ბოლო ფრაზამ მარტივად გააჩინა კითხვები. მაშინ როდესაც ბანს შეეძლო, მარტივად ეპასუხა არსებული ჭორებისთვის, რომ არ აპირებს პოლიტიკაში მოსვლას და მით უფრო, მარგველაშვილთან შერკინებას. გარკვეულობის განცდა არც კონცერტის დასრულების შემდეგ დარჩა დაინტერესებულ ნაწილს. ერთადერთი წინადადება, რომელიც პოლიტიკურ კითხვებზე მივიღეთ, იყო: თქვენ შემოგევლეთ, დღეს არის დიდი დღე და სხვა საკითხებზე საუბარი არ მსურს...

მიუხედავად იმისა, რომ პაატა ბურჭულაძის გაპოლიტიკოსებას „ივანანას“ წარმომადგენლები კატეგორიულად უარყოფენ, ამბობენ, რომ ყველა პოლიტიკური შინაარსის კითხვაზე უკვე გაცემულია პასუხი, ჯონდი ბაღათურია მაინც ირწმუნება, რომ პაატა ბურჭულაძე უკვე არის საპრეზიდენტო კანდიდატი, უბრალოდ, ჯერ არ გადაუწყვეტია ამის შესახებ ხმამაღლა საუბარი. რამდენად გრძელდება მართლაც მოლაპარაკებები პაატა ბურჭულაძესა და ოპოზიციის ნაწილს შორის, ეს არავინ იცის, თუმცა, როგორც ამბობენ, ბურჭულაძე კვლავ საქართველოში იმყოფება და ძალიან მალე ის ოფიციალურად უარყოფს ყველანაირ კავშირს პოლიტიკასთან.

ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ბურჭულაძის თემის წინა პლანზე წამოწევა სწორედ „ოცნების“ ინტერესში შედის. თორნიკე შარაშენიძის განცხადებით, ბურჭულაძის დასახელება ამომრჩეველთა ხმებს ყველა მეტად სწორედ ნაციონალებს წაართმევდა. ყველამ მოვისმინეთ თავის დროზე ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილს ნინო ბურჯანაძე დაიკავებს და არავითარ შემთხვევაში დავით ბაქრაძე. შესაბამისად, საკმაოდ ლოგიკურიც არის, რომ ეჭვები ბურჭულაძის საპრეზიდენტო კანდიდატობის შესახებ სწორედ „ოცნებიდან“ მოდიოდეს.

**თორნიკე შარაშენიძე, ექსპერტი:**

– ვიღაცებს სურთ, რომ ხმა წაართვან ბაქრაძეს. ბურჭულაძეზე საუბარი შეიძლება იმიტომაც დაიწყო, რომ ხმები წაერთმიათ ბაქრაძისთვის. არ არის გამორიცხული, ამიტომ დაწყებულიყო საუბარი. გაყოფდა ხმებს. ბუნებრივია, ბაქრაძე პირველ ადგილს ვერ აიღებს, მაგრამ აქ ხომ მეორე ადგილზეა საუბარი და სურთ, რომ ბაქრაძე მეორე ადგილზეც ვერ გავიდეს. მეორე ადგილზე რომ გავა, „ნაციონალური მოძრაობა“ დაადასტურებს, რომ მას რაღაც ძალა კვლავ აქვს. შეიძლება სულაც ამიტომ იყო წამოწყებული.

**– გამორიცხავთ, რომ დააყენოს?**

– მე არ მიხარია, რომ პოლიტიკაში მოდიან მომღერლები, მსახიობები, სპორტსმენები. მგონი, არ აპირებს პოლიტიკაში მოსვლას ბურჭულაძე. საქართველოში თუ პოლიტიკური კულტურა განვითარდება, ამომრჩევლები ნაკლებად მისცემენ ხმას მომღერლებს და მსახიობებს და უფრო მეტ ხმას მისცემენ პოლიტიკოსებს.

**– რომ დააყენოს ბურჭულაძემ, ფიქრობთ, რომ მაინც მარგველაშვილი გაიმარჯვებს?**

– რა თქმა უნდა, მარგველაშვილი გაიმარჯვებს.

არც მარგველაშვილი, არც თავად ბიძინა ივანიშვილი, არც ირაკლი ღარიბაშვილი, ანუ პრემიერის გუნდის არც ერთი ფავორიტი პაატა ბურჭულაძის კონცერტს არ დასწრებია. თუ არ ჩავთვლით ივანიშვილის წერილს, რომელიც კონცერტის დაწყებისას წამყვანმა ხმამაღლა წაუკითხა დამსწრე საზოგადოებას. ფილარმონიაში სრულიად მთავრობა იყო მიწვეული, მაგრამ ბოლომდე მხოლოდ ირაკლი ალასანია, მეუღლესთან ერთად, მაია ფანჯიკიძე, თეა წულუკიანი, ზურაბ აბაშიძე და არჩილ კბილაშვილი დარჩნენ. მართალია, მთავარი პროკურორი ალასანიას გუნდის წევრად არ ითვლება, მაგრამ ამ ბოლო დროს უფრო და უფრო მეტს საუბრობენ, რომ ბედუკაძის საკითხით მასზე ხელის შეწმენდა მოხდა და მეტი არაფერი. პოლიტიკოსები ამბობენ, რომ ბედუკაძის განთავისუფლება-არგანთავისუფლების საკითხი კბილაშვილმა ღარიბაშვილთან და პრემიერთან შეთანხმებით მიიღო, თუმცა შეცდომაზე მთელი პასუხისმგებლობა რატომღაც მხოლოდ მას დაეკისრა.

ლოგიკურია, რომ ალასანიას პირადი შემადგენლობის გამოჩენამ კონცერტზე კიდევ უფრო დიდი ინტრიგა ჩააგდო. თანაც თავდაცვის მინისტრმა „პრაიმტაიმთან“ საუბარში სულაც არ გამორიცხა ბურჭულაძის კანდიდატობა.

**ირაკლი ალასანია, თავდაცვის მინისტრი:**

**– ბატონო ირაკლი, როგორც ამბობენ, ბურჭულაძე საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებს ჩართვას...**

– შეიძლება...

**– თქვენ ფიქრობთ, რომ შეიძლება საპრეზიდენტო კანდიდატი გახდეს?**

– მგონი, უმჯობესია, თავად პაატას ჰკითხოთ.

თუმცა ამ ყველაფერს მეორე მხარეც აქვს – მთავრობა საკმაოდ დაძაბული განრიგითა და გათვლილი დღის წესრიგით მუშაობს. მარტივად შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვერ მოახერხეს და ვერ მონახეს დრო ბურჭულაძის საიუბილეო კონცერტზე მისასვლელად.

**ლევან ალაფიშვილი, ექსპერტი:**

– ძალიან ბევრი რამის ვარაუდი შეიძლება, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ეს იყო წმინდა საიუბილეო კონცერტი, მთავრობის საქმიანი დატვირთულობის გათვალისწინებით შესაძლებელია, ვივარაუდოთ, რომ ეს იყო დამთხვევა და პრემიერმა და დანარჩენმა წევრებმა მისვლა ვერ მოახერხეს. თუმცა ასევე შეიძლება განვიხილოთ იგივე მიუსვლელობა შეგნებულ ქმედებად. საფუძველი იმისა, რომ ეს ფაქტი პოლიტიკურ ჟესტად შევაფასო, არ არსებობს. თვითონ ბურჭულაძეს პოლიტიკოსებისთვის და საზოგადოებისთვის არასოდეს მიუცია საფუძველი, რომ ის განხილულიყო, როგორც პოლიტიკური ამბიციების მქონე ფიგურა.

**– თუმცა აქტიურად მიდის საუბარი მის პოლიტიკურ გეგმებზე...**

– სხვა საკითხია, რომ მას ასახელებდნენ, თუმცა ვიმეორებ, ბურჭულაძეს საკუთარი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი, ქმედებებით ამის საფუძველი არ მიუცია. ის დარჩა საზოგადოებრივ ფიგურად.

**– თქვენ ფიქრობთ, საუბარი მის კანდიდატობაზე დასრულდა?**

– ყოველ შემთხვევაში, დღეისთვის ამაზე საუბარი დასრულდა. მართალია, პოლიტიკოსები ერთმანეთს იმაშიც კი ეჯიბრებოდნენ, ვინ დაასახელებდა ბურჭულაძის კანდიდატურას პირველად, ამბობდნენ, რომ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, თითქმის გადაწყვეტილებამდე იყო მისული კონსულტაციები, თუმცა ბურჭულაძემ თავად დაუსვა ამ ხმებს წერტილი. ხვალ რა იქნება, არავინ იცის.

## თორნიკე შარაშენიძე: „საქართველოში თუ პოლიტიკური კულტურა განვითარდება, ამომრჩევლები ნაკლებად მისცემენ ხმას მომღერლებსა და მსახიობებს და უფრო მეტ ხმას მისცემენ პოლიტიკოსებს“



**პაატა ბურჭულაძე, საიუბილეო კონცერტის დაწყებამდე:**

– უბედნიერესი კაცი ვარ, რომ მოვესწარი ამ თარიღს – 35 წელი გავატარე სცენაზე. ეს არის ადამიანის ერთი ცხოვრება. კონცერტის შემდეგ გელოდებით...



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ოდ ირაკლი ალასანიამ დაუკრა



ქეთი ხატიაშვილი

**საკმარისი იყო პაატა ბურჭულაძეს, პოლიტიკაში საკუთარი ამბიციები დაეფიქსირებინა, რომ ის სცენაზე მარტო დარჩა. სცენაზე მოღვაწეობის იუბილე მსოფლიო დონის ვარსკვლავს პრემიერმა წერილით მიულოცა, პრეზიდენტმა არც წერილი გაუგზავნა და არც კონცერტს დაესწრო. იმ საღამოს პატრიარქსაც ელოდნენ, მაგრამ ილია მეორე დარბაზში არ ყოფილა. ირაკლი ალასანია, შეიძლება ითქვას, მაღალი პოლიტიკური ელიტიდან ერთადერთი იყო, ვინც ბანის იუბილეს „ლაივში“ დაესწრო.**

ასეა ყოველთვის, როცა პოლიტიკაში გადადიხარ და ჯონდი ბაღათურია გაანონსებს. და მაშინაც, როცა გარკვევით არ ამბობ, ერთვები თუ არა პოლიტიკაში, ბოლოს და ბოლოს. ასეთ დროს გასაგები ხდება, რომ ვაჭრობ ყველასთან. ეს ერთგვარ აუქციონსაც კი ემსგავსება.

დრო იმდენად გაიწელა, რომ უკვე ინტერესიც კი დაკარგა. ბურჭულაძემ დაახლოებით ის გააკეთა, რაც თავის დროზე ირაკლი ალასანიამ, რომელმაც თქვა პოლიტიკაში მოვდივარო, მაგრამ სანამ გამოჩნდა და ჩამოყალიბდა, რომელ პოლიტიკურ ძალასთან ერთიანდებოდა, ხალხი დაიღალა. ბურჭულაძე არც არაფერს ამბობს კონკრეტულს და არც ჟურნალისტების წინაშე ჩნდება.

ვის აწყობს პაატა ბურჭულაძის პოლიტიკაში ჩართვა? თავის დროზე ფიქრობდნენ, რომ ეკლესიას. ამ მიმართულებით ბევრი ვერსია გამოითქვა და დასაბუთებულმა არგუმენტებმაც გაიჟღერა. ითქვა, რომ ბიძინა ივანიშვილსა და ეკლესიას შორის დაულაგებელი ურთიერთობები განაპირობებს დაძაბულობას და ამიტომაც ეკლესია მას მხარს არ დაუჭერს. განსაკუთრებით პრემიერის ღია განცხადებების შემდეგ. „ეკლესიას ამდენი ფული, ჯიპები და ფუფუნება არ სჭირდებაო“, – დაახლოებით ასე გაიჟღერა მისმა ფრაზამ.

თუმცა, ილია მეორე ნახევრად პოლიტიკოსი ბანის კონცერტს არ დაესწრო და ამით თითქოს კითხვის ნიშნებსაც გასცა პასუხი. შესაძლოა, ეკლესიას რაიმე არ მოსწონს, მაგრამ ის პოლიტიკაში არ გადადის და თამაშს არ იწყებს.

და მაშინ ვინ? ერთ-ერთი ინფორმაციით, ეს ვიღაც იქნებ ვანო ჩხარტიშვილიც იყოს, მათ საკმაოდ კარგი ურთიერთობები აქვთ ერთმანეთთან და ნათესაურიც კი. ორივე ერთად კი ირაკლი ალასანიას მეგობარია.

პაატა ბურჭულაძე, ვანო ჩხარტიშვილი და ირაკლი ალასანია – ეს ერთი ხაზია და ერთი ინტერესი. როგორც მიანიშნებენ, ვანოსა და ირაკლის ურთიერთობები ერთმანეთთან ალიანსის დროსაც ჰქონდათ. ბიძინა ივანიშვილს შესაძლოა, იმდენად ალასანიას ამბიციები არ აწუხებდა, რამდენადაც მისი კავშირები ჩხარტიშვილსა და ბურჭულაძესთან. შესაძლოა, ამიტომაც იყო მიუღებელი ალასანია მისთვის და არასოდეს უშვებს პრემიერი შანსს, ყველას არ აგრძნობინოს, და მათ შორის ალასანიასაც, საკუთარი დამოკიდებულება.

ირაკლიმ ბევრი იშრომა იმისთვის, რომ სწორედ ის ყოფილიყო „ქართული ოცნების“ კანდიდატი, თუმცა ამაოდ. და შემდეგ გამოჩნდა პაატა ბურჭულაძეც. მის პოლიტიკურ ამბიციებზე ადრეც საუბრობდნენ. თუმცა, მას შემდეგ, რაც თითქოს რეალურად გამოჩნდა, უკვე რეალური მიზეზების ძებნაც დაიწყეს.

ერთ-ერთი ვერსიით, რომელიც ნამდვილად არ არის ლოგიკას მოკლებული, ბურჭულაძის პოლიტიკაში გამოჩენა ვანო ჩხარტიშვილსაც შეიძლება უკავშირდებოდეს.

ვანო ჩხარტიშვილსა და ბიძინა ივანიშვილს შორის ურთიერთობები რამდენჯერმე თითქოს დალაგდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც აირია. საერთო ენა მათ ვერ გამოძებნეს, პარალელურად პროკურატურაში საქმე აღიძრა ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ და მას ბადრი პატარკაციშვილის ქონების მითვისებას ედავებიან. თითქოს, ჩხარტიშვილს სერიოზული შუამავლებიც ჰყავდა ივანიშვილის კარზე გაგზავნილი, შეხვედრა ურეკში შედგა, შედეგი? ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ შედეგზე იქნება დამოკიდებული პაატა ბურჭულაძის პასუხიც. თუ ჩხარტიშვილს პროკურატურა აღარ მოედავება, პაატა ბურჭულაძე პოლიტიკიდან გვერდზე გაიწევს, თუ არადა, მეორე ტური გარდაუვალია. ექსპერტების დასკვნით, გიორგი მარგველაშვილი პაატა ბურჭულაძეს პირველ ტურში ვერ მოუგებს.



## ვის აწყობს პაატა ბურჭულაძის პოლიტიკაში ჩართვა?

მაგრამ რამდენად ექვემდებარება ბიძინა ივანიშვილი შანტაჟს?

რადგან პაატა ბურჭულაძე ამდენს ფიქრობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ პოლიტიკური ვაჭრობა მიდის. თემა შეიძლება იყოს ფული, ასევე კონკრეტული ინტერესები, მაგალითად, იგივე ვანო ჩხარტიშვილის. მით უფრო, რომ პროკურატურა ადასტურებს ჩხარტიშვილის დაკითხვის ფაქტს. კახა კუკავას განმარტებით კი, მან არაფერი იცის ვანო ჩხარტიშვილის იმ პროექტზე, რასაც პაატა ბურჭულაძე ჰქვია: ვერაფერს გეტყვი, ჩემთვის უცნობია, რამდენად შეიძლება იყოს ჩხარტიშვილის ამბავში დამოკიდებული პაატას გადაწყვეტილება... რაზეა დამოკიდებული, არ ვიცი, პაატა თავად მიღებს გადაწყვეტილებას, – განმარტავს კუკავა „პრაიმტაიმთან“ საუბარში.

სხვათა შორის, ჩხარტიშვილი საკუთარი პოლიტპროექტებით ცნობილია. თავის დროზე სწორედ მან შექმნა „ახლები“ და დავით გამყრელიძე, მოგვიანებით „ალიანსი“ და ირაკლი ალასანია, ახლა ჯერი პაატა ბურჭულაძეზე მიდგა. და ყოველთვის რაღაცას „ყიდულობდა“...

ვაჭრობა ბანს შეუძლია როგორც „ქართულ ოცნებასთან“, რომლის კანდიდატურასაც ის რეალურ კონკურენციას უწევს, ისე ნინო ბურჯანაძესთან, რომელსაც მთლიანად წაშლის პოლიტიკური შკალიდან. ბურჭულაძის გამოჩენა შეიძლება არც ნაციონალებს აწყობდეთ. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მესამე ადგილზე გადაინაცვლებენ, არამედ იმიტომ, რომ პაატა არ არის პოლიტიკოსი და მისთვის კერძო ინტერესები უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე პოლიტიკური ღირებულებები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ჭუტა წერეთლის საქმიანობ



**my View**
**მირიან ბოქოლიშვილი**

ბევრი გვსმენია წინა ხელისუფლებისა და მასთან დაახლოებული პირების მიერ ბიზნესების წართმევისა და წილების ჩამორთმევის შესახებ... ასევე, ბევრი გვსმენია იმის შესახებაც, რომ ივანიშვილის მთავრობა კანონიერ მესაკუთრეებს წართმეულ ქონებას უკან დაუბრუნებდა, თუმცა, როგორც შალვა ნათელაშვილი იტყოდა, ჯერჯერობით ერთი „ბუტკაც“ კი არავის დაბრუნებია, თუ არ ჩავთვლით იმ ყბადაღებულ 80 მილიონს, რომელიც ბიძინა ივანიშვილს ჩამოართვეს და ოქტომბრის არჩევნებიდან მალევე მეპატრონის ანგარიშზე დაბრუნდა... სხვა დაზარალებული ბიზნესმენები ჯერჯერობით მოლოდინის რეჟიმში არიან, მათ შორის კომპანია „მაქ სტოპის“ დირექტორი მინდია ქაშიბაძეც, რომელიც ამჟამადაც ოჯახთან ერთად ჩეხეთშია გადახვეწილი და ოფიციალური პრაღისგან პოლიტიკურ თავშესაფარს ელის. პარალელურად მინდია ქაშიბაძე სამართლებრივ დავას აწარმოებს საქართველოში, რომელიც მის წამებასა და იძულების წესით წილის წართმევას უკავშირდება. ჩეხეთში მყოფ ბიზნესმენს, მითვისება-გაფლანგვის ბრალდებით, საქართველოში დაუსწრებლად აქვს წინასწარი პატიმრობა მისჯილი, თუმცა ამჟამად საქმის არსებითი განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს. პარალელურად ბიზნესმენმა მისი წამების საქმის გამოსაძიებლად კბილაშვილის უწყებას მიმართა, თუმცა რაგინდ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს საქმე სწორედ იმ პროკურორს დაეწერა, რომლის შუამდგომლობითაც მინდია ქაშიბაძეს წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული. თავად წამების საქმეში კი ქაშიბაძე წინა ხელისუფლებასთან დაახლოებულ ბიზნესმენს, ავთო, იგივე ჭუტა წერეთელს ადანაშაულებს, რომელმაც, მისი თქმით, უკანონოდ წაართვა „მაქ სტოპის“ შვილობილი ორი კომპანია. გარდა ამისა, „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ბიზნესმენი დეტალურად ყვება, როგორ ახდენდა მოდულის შენობაში მასზე ზეწოლას გია დგებუაძე, იგივე „მასტერა“ და როგორ სთხოვდნენ მას „ნაციონალური მოძრაობის“ ანგარიშზე 300 ათასი დოლარის ჩარიცხვას.



ჭუტა წერეთელი

# რატომ გაიქცა ბიზნესმენი საქართველოდან?

# EXCLUSIVE

**მინდია ქაშიბაძე, ბიზნესმენი:**

– კომპანია „მაქ სტოპი“ შეიქმნა 2003 წლის მარტში. კომპანიას მშვიდი ცხოვრება ჰქონდა პრაქტიკულად სულ 9 თვე. 2004 წლიდან უკვე ზეწოლის პირველი ნიშნები გამოჩნდა. სახელმწიფომ გამომიცხადა, თითქოს მე რაღაც არაკანონიერი გზით შევიძინე და არასწორად გამოვწერე ანგარიშფაქტურა. დამაჯარიმეს საკმაოდ სოლიდური თანხით, დამაკისრეს საურავები. განსაკუთრებით გააქტიურდნენ 2007 წელს, როდესაც დამიბარეს და მითხრეს, რომ გარკვეული თანხები უნდა გადაიხადო „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდო.

**– უშუალოდ ვინ გთხოვდათ თანხის შეტანას „ნაციონალების“ ყულაბაში?**

– ეს საუბრები მიმდინარეობდა ფინანსურ პოლიციაში. სხვადასხვა რანგის თანამშრომლებისგან მოდიოდა შეთავაზება. იქ იყო ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი ირაკლი კირკიტაძე, დავით კირკიტაძის ძმა, მისგანაც იყო გარკვეული მინიშნებები და ფსიქოლოგიური ზემოქმედების მცდელობა. ვიღაც ახალგაზრდა ბიჭმა ფურცელზე დამიწერა ანგარიშის ნომერი. როგორც ჩანს, იმდენჯერ ჰქონდა დაწერილი ეს ნომერი, რომ ათნიშნა ციფრს ზეპირად წერდა. შემდეგ, რომ გადავამოწმე, ეს არ იყო არანაირი სახელმწიფო ანგარიში, ეს იყო კერძო ანგარიში, სადაც მე საკმაოდ სოლიდური თანხა უნდა ჩამერიცხა. ცხადია, ეს არ გავაკეთე და ამის შემდეგ კიდევ უფრო გართულდა სიტუაცია. დავიწყეთ ფინანსურ პოლიციასთან სამართლებრივი დავა და ამ დროს მოულოდნელად საქმეში ერთვება ავთო წერეთელი. მისი რძალი და ასევე, თემურ გიორგაძის (ენერგეტიკის შევარდნაძისდროინდელი მინისტრი) შვილი იყვნენ ჩვენი კომპანიის დამფუძნებლები და ვფლობდით 33-33-პროცენტიან წილს.

**– ავთო წერეთელმა რა პრობლემები შეგიქმნათ?**

– მას ყველა კარგად იცნობს, მისი საქმიანობის მეთოდები კარგადაა ცნობილი, იგივე წინა ომბუდსმენის ანგარიშიდან. ანალოგიური მეთოდებით დაიწყო ჩვენი კომპანიის წილის მისაკუთრება. უშუალოდ „მაქ სტოპის“ წილის მისაკუთრება ვერ მოახერხა, რადგან არაფრით არ დავთმე, მაგრამ მთლიანად მიისაკუთრა შვილობილი კომპანიები „ბესტკომპ ჯორჯია“ და „ტონერკომი“, რომელიც გახლდათ კარტრიჯების კომპანია. სამწუხაროდ, ამ ორივე კომპანიის წილის დათმობა მომიწია, რადგან თავხედური ზეწოლა მიმდინარეობდა ჩემი ოჯახის წევრებზე, მათ შორის შვილებზე. ვიფიქრე, ამით განეიტრალდებოდა სიტუაცია, მაგრამ ნურას უკაცრავად. მოტყუებით მიმიყვანეს ავთო წერეთლის ოფისში, ზოვრელის ქუჩაზე და იქ მოხდა ის, რაც მოხდა.

**– ანუ?**

– იყო ძალადობა, როგორც სიტყვიერი, ისე ფიზიკური. ამ ყველაფერში უშუალოდ მონაწილეობდა ავთო წერეთელი, რომელიც ბრტყელტუჩათი მაწამებდა. ხელზე ახლაც მეტყობა დაზიანების კვალი. ეს იყო ჩვეულებრივი წამება. როგორც კი ფეხი შევდგი ოფისში, სამმა კაცმა დამიწყო ცემა, მაგრამ ასეთი ადვილი არ არის ჩემთან გამკლავება, ამიტომ მოვიდნენ დამატებით მხარბეჭიანი ბიჭები, რომლებიც ასევე ფიზიკურად გამისწორდნენ.

**– და რას ითხოვდნენ თქვენგან?**

– ვითომ მე 650 ათასი დოლარი გადმომეცა მათგან და ეს თანხა უკან უნდა დააბრუნოო. ეს თანხა მე საერთოდ არ მიმიღია, არარსებულ ვალს მთხოვდნენ. სარჩელი შეიტანეს ფინანსურ პოლიციაში, თითქოს ქეში ფული მომცეს, ჩანთებით წამოვიღე, უნდა მიმეტანა კომპანიაში და ჩემი საჭიროებისთვის გამოვიყენე. საჩივარი შეიტანეს 2008 წელს, ვითომ ფულის გადმოცემიდან სამი წლის შემდეგ. გეკითხებით თქვენ – ამდენი თანხა რომ მოგცეთ ვინმემ, წლიური 12 პროცენტით და არ უბრუნებდეთ, არც პროცენტს იხდიდეთ, სამი წელი დაელოდებით საჩივრის შეტანას? არანაირი დოკუმენტი არ უჭირავთ ხელში. საქმე შეთითხნეს იმის გამო, რომ მე უარი ვთქვი „ნაციონალების“ ყულაბაში ფულის შეტანაზე. ამის გამო, სასამართლომ 2009 წლის ზაფხულში მომისაჯა წინასწარი პატიმრობა დაუსწრებლად, რადგან იმ პერიოდში ბიზნესის საქმეებზე ვიყავი ნორვეგიაში წასული. ყველაფერი ნათელი იყო, დაბრუნებას აზრი აღარ ჰქონდა. მანამდე 2009 წლის იანვარში დამიბარეს მოდულის შენობაში, სადაც შემხვდა ბატონი „მასტერა“, ცნობილი დგებუაძე. ცხადია, მათ დაიჭირეს წერეთლის პოზიცია. იქ იყო ფსიქოლოგიური ზეწოლა ჩემზე. „მასტერა“ მეუბნებოდა, – ავთოს ვალი უნდა გადაიხადო, ძმაო, ეს თანხა მოსატანიაო. ანუ როგორც ქურდები არჩევენ საქმეს, დაახლოებით ის სცენარი იყო. მოკლედ, მთელი ჩემი ბიზნესი გააკოტრეს და ხელში ჩაიგდეს, მაშინ, როცა „მაქ სტოპის“ პარტნიორი გახლდათ ცნობილი ამერიკული ბრენდი „ინტელი“ და სხვა კომპანიები. დავთმე შვილობილ კომპანიებში წილი, რადგან ვიფიქრე, ამით „მაქ სტოპს“ გადავარჩენდი, მაგრამ, სამწუხაროდ, იმდენი გააკეთეს, რომ ეს კომპანია მთლიანად გააკოტრეს. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ პირველი საჩივრის შინაარსი დღემდე გასაიდუმლოებულია. თავად უფრო ადრე აპირებდა, რომ საქმე აღეძრა ჩემს წინააღმდეგ, მაგრამ კოდუასთან დაპირისპირება მოუხდა და ოჯახთან ერთად თვითონ იყო გაქცეული, 6 თვე ვერ ჩამოდიოდა. როგორც გავიგეთ, კოდუასა და მის შვილებს შორის „ნაით ოფისში“ მოხდა რაღაც „პერესტრელკა“ და კოდუა ემუქრებოდა. შემდეგ, როგორც ჩანს, დაალაგა ურთიერთობები. ამის შემდეგ „მაქ სტოპში“ შეცვალეს დირექტორი, თემურ გიორგაძე დანიშნეს დირექტორად, რომელსაც დააწერინეს ახალი საჩივარი, რომ ვითომ მე, როგორც ყოფილმა დირექტორმა, კომპანიის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა მივითვისე. ამ პერიოდში უკვე ნორვეგიაში ვიყავი, საქართველოში მომისაჯეს წინასწარი

# როგორ გააკოტრეს კომპანია „მაქს ტოპი“? რა ზეწოლა ხორციელდებოდა ბიზნესმენ მინდია ქაშიბაძეზე ფინანსურ პოლიციაში, მოდულის შენობასა და ჭუტა წერეთლის კაბინეტში?



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ას პროკურატურა სწავლობს

პატიმრობა და ინტერპოლის ხაზით ძებნილად გამომაცხადეს. დამაკავა პრაღის ინტერპოლის ეროვნულმა ბიურომ და თითქმის ორი წლის განმავლობაში ვიმყოფებოდი წინასწარი დაკავების იზოლატორში. საბოლოოდ, ჩეხეთის სასამართლოს გადაწყვეტილებით, გამათავისუფლეს და უახლოეს ხანში ველოდები აქ პოლიტიკურ თავშესაფარს. მას შემდეგ მე საქართველოში არ ვყოფილვარ. 2012 წლის 18 სექტემბრიდან დაიწყო სასამართლოში არსებითი განხილვა საქართველოში, რომელიც დღემდე გრძელდება. ავთო წერეთელი ვერაფრით ვერ მიიყვანეს სასამართლოში ჩვენების მისაცემად.

**– თქვენ, გარდა იმისა, რომ მითვისების ფაქტზე გამართლებას ითხოვთ, როგორც ვიცი, ბიზნესის წართმევისა და არაადამიანური მოპყრობის გამოც ჩივით... რამდენად ეფექტური ღონისძიებები ტარდება ამ მიმართულებით, უკვე ახალი ხელისუფლების პირობებში?**

– სამწუხაროდ, არაეფექტური ზომები ტარდება. გასული წლის ნოემბერში შევიტანეთ სარჩელი და დღემდე ხელი არავინ მოკიდა ამ საქმეს. უფრო მეტიც, პროკურორად დანიშნეს პროკურორი გიორგი შალუტაშვილი, რომელმაც მოამზადა ჩემი წინასწარი დაკავების შუამდგომლობა. ეს ადამიანი იმ პერიოდში მუშაობდა ფინანსურ პოლიციაში და ახლახან გადმოიყვანეს პროკურატურაში. ცხადია, ეს კითხვის ნიშნებს ბადებს. ჩემი აზრით, დღევანდელი პროკურატურა ძალიან არაფექტურად მუშაობს და ავთო წერეთლის გავლენაც არ შესუსტებულა.

**– ანუ მოცემულობაა ასეთი: თუკი თქვენ გაგამართლათ სასამართლომ, ავთო წერეთლის დაპატიმრება მოუწევთ?**

– დიახ, ასე გამოდის, პრინციპში, თუმცა ჩემი იდეაფიქსი ნამდვილად არ გახლავთ ვინმეს დაკავება.

**მინდია ქაშიბაძე: „ჩემს წამებაში პირადად მონაწილეობდა წერეთელი, გარდა ამისა, ზეწოლა იყო „მასტერასგან“, ფინანსური პოლიციისა და კუდ-ის თანამშრომლებისგან“...**



მინდია ქაშიბაძე

## „იყო ძალადობა, როგორც სიტყვიერი, ისე ფიზიკური. ამ ყველაფერში უშუალოდ მონაწილეობდა ავთო წერეთელი, რომელიც ბრტყელტუჩათი მაწამებდა“



„პრაიმტაიმი“ ბიზნესმენ მინდია ქაშიბაძის მიერ გამოთქმულ ბრალდებებზე საპასუხოდ ავთო წერეთელს დაუკავშირდა. ის ქაშიბაძის ბრალდებებს უარყოფს და ჩეხეთში მყოფ ბიზნესმენს საქართველოში ჩამოსვლასა და სასამართლოს წინაშე წარდგენას ურჩევს.

**– ბატონო ავთო, ალბათ, ცნობილია მინდია ქაშიბაძის ბრალდებები თქვენს წინააღმდეგ... რას უპასუხებდით?**

– ეგ ყველაფერი სისულელეა. ავანტიურისტი და თაღლითი ადამიანია. ქაშიბაძე ჯერ თავის ბრალდებებში გაერკვიოს და სხვას ისე წაუყენოს ბრალდება.

**– თქვენ რას ედავებით ქაშიბაძეს?**

– მაგას ედავება გამოძიება. ჯერ გამოძიებას გასცეს პასუხი, წარდგეს სასამართლოს წინაშე და მერე ისე ისაუბროს ათასი სისულელე. მე არანაირი პრეტენზია არ მაქვს, მის მიმართ პრეტენზიები აქვს გამოძიებას და მიხედავს მაგას, როგორც საჭიროა. უკაცრავად, მეტს ვერაფერს გეტყვით, შეხვედრაზე შევდივარ.

ავთანდილ წერეთელმა ვრცელი განმარტების გაკეთება არ ისურვა, თუმცა მას განმარტებების გაკეთება მალე პროკურატურაში მოუწევს. მინდია ქაშიბაძის ადვოკატის, დიმიტრი გაბუნიას განცხადებით, წერეთლის სახელი ფიგურირებს კბილაშვილის უწყებაში შეტანილ საჩივარში და ის აუცილებლად დაიკითხება. რა სტატუსით მოხდება ჭუტა წერეთლის დაბარება პროკურატურაში, ეს, ალბათ, მალე გაირკვევა.

„აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ყველა ის პირი დაიკითხება, ვინც განცხადებაშია მოხსენიებული, მათ შორის ავთანდილ წერეთელიც. ფაქტია, რომ საქმეში გარკვეული პირების ბრალეულობა იკვეთება“, – ამბობს დიმიტრი გაბუნია.

ადვოკატი ადასტურებს, რომ ქაშიბაძე 2005-2006 წლებში ფინანსურ პოლიციაში დაიბარეს და „ნაციონალური მოძრაობის“ ანგარიშზე კონკრეტული თანხის გადარიცხვა მოსთხოვეს, რაზეც მისგან უარი მიიღეს და სწორედ ამის შემდეგ განხორციელდა ბიზნესმენზე დევნა. კერძოდ, მისი ბიზნესის მითვისებით დაინტერესდნენ ბიზნესმენები ავთანდილ წერეთელი და ენერგეტიკის შევარდნაძისდროინდელი მინისტრი თემურ გიორგაძე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გურამ დონაძე ტელევიზიას ქმნის?

მირიან ბოქოლიშვილი

**შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი გურამ დონაძე ტელევიზიას ქმნის. ამის შესახებ „პრაიმტაიმს“ ინფორმირებულმა წყარომ აცნობა. ჯერჯერობით უცნობია, როდის და რა სახელწოდებით გავა ტელეკომპანია ეთერში, თუმცა ცნობილია, რომ ის ინტერნეტის საშუალებით გავრცელდება და ძირითადად სტუდიური გადაცემებით შემოიფარგლება. როგორც ჩვენი წყარო ყვება, დონაძემ თანამშრომლობა უკვე შესთავაზა „რეალტივის“ რამდენიმე ყოფილ თანამშრომელს, თუმცა კონკრეტულად ვინ მიიღებს შემოთავაზებას, ჯერჯერობით უცნობია. პირველ ეტაპზე ინტერნეტტელევიზია შეზღუდული რესურსებით გავა ეთერში, ახალი ამბების გაშუქებას კი საინფორმაციო სააგენტოს ფორმატში მოახდენს. ინფორმაცია ჩვენ პირადად გურამ დონაძესთან გადავამოწმეთ, რომელიც „პრაიმტაიმის“ კითხვამ ხუმრობის ხასიათზე დააყენა.**

**– გურამ, გავიგე ტელევიზიის გაკეთებას აპირებ?**

– არა, ტელევიზიას არა, არასწორი ინფორმაცია გაქვს.

**– აბა?**

– მედია ჰოლდინგს ვაკეთებ, სადაც გაერთიანდება მსოფლიო ტელევიზიები.

**– ეს ხუმრობით და რეალურად თუ ფიქრობ ამაზე?**

– ნუ, თუ ღადაობაა, ღადაობა იყოს. სერიოზული პასუხი თუ გინდა, ეს არის მორიგი ჭორი.

მოკლედ, გურამ დონაძე გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებს, თუმცა პირად საუბრებში მისგან სამსახურის შეთავაზებას არ უარყოფენ „რეალტივის“ ყოფილი თანამშრომლები. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ერთ-ერთი მათგანი ადასტურებს, რომ რამდენიმე დღის წინ ყოფილი ხელმძღვანელისგან ნამდვილად მიიღო შეთავაზება.

„საუბარი იყო იმაზე, რომ იქმნება ახალი მედიასაშუალება. ეს იქნება უფრო სტუდია, დაახლოებით „ობიექტივის“ მსგავსი ფორმატი. „რეალტივის“ ყოფილ თანამშრომლებთან მიდის მოლაპარაკება, მეც დამირეკეს, მაგრამ მე უკვე სხვაგან ვმუშაობ. სხვები რას გადაწყვეტენ, ვერ გეტყვი“, – ამბობს ჩვენთან საუბრისას ერთ-ერთი ჟურნალისტი, რომლის ვინაობასაც, მისი თხოვნის შესაბამისად, არ ვასახელებთ.

გამოჩნდება თუ არა მედიასივრცეში ახალი ინტერნეტტელევიზია, ეს, ალბათ, უახლოეს ხანში გაირკვევა, ისევე, როგორც გურამ დონაძის ბრალეულობის საკითხი ამირან (ბუტა) რობაქიძის საქმეში. მკითხველს შევახსენებ, რომ ამ საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში უკვე დაიწყო. საქმეში, შსს-ს სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად, ფიგურირებს სწორედ გურამ დონაძეც, რომელსაც გამოძიება უფლებამოსილების გადამეტებაში ედავება. პროკურატურამ მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით წაუყენა, რაც 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ცოტა ხნის წინ რობაქიძის საქმეში გამოჩნდა ახალი ვიდეომასალა, რაც, ბრალდებულების მტკიცებით, მათ უდანაშაულობას ადასტურებს. ფირი დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის მაშინდელმა ხელმძღვანელმა და ერთ-ერთმა ბრალდებულმა, ირაკლი ფირცხალავამ გაასაჯაროვა, რის შემდეგაც ფირს ექსპერტიზა საზღვარგარეთ ჩაუტარდა. ფირზე აღბეჭდილია ბუტა რობაქიძის მკვლელობისა და მისი მეგობრების დაკავების დეტალები. კადრებში ასევე ჩანს, რომ შემთხვევის დროს მანქანაში, რომელშიც რობაქიძე და მისი მეგობრები იმყოფებოდნენ, იარაღი იდო.

# გურამ დონაძე: „ეს იქნება მედია ჰოლდინგი“...



# 26 წლის უზბეკი



მირიან ბოქოლიშვილი

**„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა ხულოს რაიონის კურორტ ბეშუმში მომხდარი სასტიკი მკვლელობის დეტალები... ბეშუმის ტყეში ნაპოვნი ახალგაზრდა გოგონას ცხედარი იდენტიფიცირებულია, მკვლელობის მოტივი – დადგენილი. შინაგან საქმეთა სამინისტროში ადასტურებენ, რომ დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ბრალდებით ორი პირი დააკავეს, დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის კი დაკავებულია კიდევ ერთი პირი.**

26 წლის უზბეკი გოგონას ცხედარი ბეშუმის ტყეში 3 ივლისს იპოვეს. თავდაპირველად გამოძიება დაუდგენელი პირის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე დაიწყო, თუმცა გამოძიების პროცესში გაირკვა, რომ გარდაცვლილი უზბეკეთის მოქალაქე რაიხონ კურამბაევაა.

ჩვენი ინფორმაციით, გამოძიების კვალმა სამართალდამცველები ბათუმში მდებარე დისკო კლუბ „არენასთან“ მიიყვანა, სადაც დაახლოებით თვე-ნახევრის განმავლობაში რაიხონ კურამბაევა პროსტიტუციაში გახლდათ ჩაბმული. ერთ-ერთი ვერსიით, დანაშაულებრივ ჯგუფს, რომლის წევრები ამ დროისთვის უკვე პასუხისგებაში არიან მიცემულნი, უზბეკეთიდან მოტყუებით ჩამოჰყავდათ ახალგაზრდა გოგონები, რომლებსაც შემდგომ სექსუალურ ექსპლუატაციას უწევდნენ. სწორედ ამ ჯგუფის სამიზნე გახდა რაიხონ კურამბაევაც. „პრაიმტაიმმა“ გაარკვია, რომ დანაშაულებრივ დაჯგუფებას, ასევე, უზბეკეთის მოქალაქე ნარგიზბეგიმ რაკჰმანოვა ედგა სათავეში, რომელმაც ქვეყნიდან გაქცევა მოახერხა. ბათუმში, ხიმშიაშვილის ქუჩაზე მას საცხოვრებელი სახლი ჰქონდა ნაქირავები, სადაც ორგანიზებას უწევდა უზბეკი გოგონების პროსტიტუციაში ჩაბმას. მათ შორის რაიხონ კურამბაევა მიავლინა დისკოკლუბ „არენაში“ და ჩვენს მიერ გადამოწმებული ინფორმაციით, მხოლოდ მისი სექსუალური ექსპლუატაციის შედეგად, 3000 აშშ დოლარი მიიღო. მას შემდეგ კი, რაც კურამბაევამ თავის დაღწევა სცადა, მას სასტიკად გაუსწორდნენ.

„ერთ-ერთი კამათის დროს რაიხონი ნარგიზბეგიმს დაემუქრა, რომ ის პოლიციაში განაცხადებდა მისი საქმიანობის შესახებ. იმისთვის, რომ კურამბაევას არ განეხორციელებინა მუქარა, ნარგიზბეგიმმა გადაწყვიტა რაიხონ კურამბაევას მოკვლა“, – გვიყვება ადგილობრივი იურისტი, რომელიც სასამართლოში გაეცნო აღნიშნულ საქმეს.

ნარგიზბეგიმ რაკჰმანოვამ საკუთარი განზრახვის სისრულეში მოყვანისთვის 2000 დოლარი გადაუხადა მის ნაცნობებს უზბეკეთის რესპუბლიკის მოქალაქეს, ხაეტ რაჯაბოვს და საქართველოს მოქალაქე კახაბერ დიასამიძეს (ორივე მათგანი ამჟამად განზრახ მკვლელობისთვის არიან დაკავებულნი). ისინი შეუთანხმდნენ ნაცნობ ტაქსის მძღოლს და რაიხონ კურამბაევა წაიყვანეს, თითქოსდა თბილისში აეროპორტში ჩაყვანისა და ქვეყნიდან გამგზავრების მიზნით.

„ხაშურის რაიონიდან მათ გადაუხვიეს ბორჯომის მიმართულებით, საიდანაც ავიდნენ ხულოს რაიონის კურორტ ბეშუმში „შქერნალის იაილის“ ტყეში, ავტომანქანიდან გადმოიყვანეს რაიხონ კურამბაევა, გაიყვანეს ავტომანქანიდან რამდენიმე მეტრში, სადაც კახა დიასამიძემ ძალის გამოყენებით მას მოტეხა კისერი, ხოლო ხაეტ რაჯაბოვმა კი ქვა ჩაარტყა თავის არეში, რის შედეგადაც რაიხონ კურამბაევა ადგილზე გარდაიცვალა. კახა დიასამიძემ და ხაეტ რაჯაბოვმა გვამი იქვე გადააგდეს და ხულოს რიონიდან ბათუმის მიმართულებით დაბრუნდნენ




**გამოძიების კვალმა სამართალდამცველები ბათუმში მდებარე დისკოკლუბ „არენასთან“ მიიყვანა, სადაც დაახლოებით თვე-ნახევრის განმავლობაში რაიხონ კურამბაევა პროსტიტუციაში იყო ჩაბმული**


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გოგონა ხულოში სასტიკი მეთოდებით მოკლეს

## შსს-მ კრიმინალური ჯგუფის წარმომადგენლები უკვე დააკავა




უკან“, – ყვება „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ადვოკატი.

მომხდარს შინაგან საქმეთა სამინისტროშიც ოფიციალურად ადასტურებენ, სადაც განგვიმარტეს, რომ მკვლელობის შემკვეთი ნარგიზბეგიმ რაკჰმანოვამ ქვეყანა დატოვა, მკვლელობის უშუალო შემსრულებლები კი დაკავებულნი არიან. დაკავებულია ასევე ტაქსის მძღოლი, რომელსაც დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის წაუყენეს ბრალი.

უზბეკი გოგონას მკვლელობა გახლდათ ერთ-ერთი რთული საქმე, რომელიც აჭარის სამართალდამცველებმა გახსნეს, თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ბოლო დროს შსს-მ აჭარაში ტრეფიკინგისა და პროსტიტუციის არაერთი საქმე გამოააშკარავა. მკითხველს გავახსენებთ რამდენიმე გახმაურებულ შემთხვევას:

1. 2012 წლის 23 დეკემბერს აჭარის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე ბათუმში ორი პიროვნება დააკავეს. შსს აცხადებს, რომ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაკავებულია ბათუმში, პუშკინის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „ანას“ მეპატრონე. აღნიშნული სასტუმრო 4 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა. დაკავებული წარსულში ნასამართლევია და დაკავების მომენტში პირობითი მსჯავრის ქვეშ იმყოფებოდა.

2. სამართალდამცველებმა ბათუმში, იმედაშვილის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „მირიანის“ მფლობელიც დააკავეს. მის მფლობელობაში არსებული სასტუმრო 2 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა. გამოძიების მსვლელობისას მოწმის

## „დიასამიძემ ძალის გამოყენებით მას მოტეხა კისერი, ხაეტ რაჯაბოვმა კი ქვა ჩაარტყა თავის არეში, რის შედეგადაც გოგონა ადგილზე გარდაიცვალა“

სტატუსით აღნიშნულ სასტუმროებში მყოფი ქალბატონებიც დაიკითხნენ. ორივე ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 254-ე მუხლით აღიძრა, რაც ჯარიმას ან ორიდან ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

3. შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, პროსტიტუციისთვის საცხოვრებლის გადაცემის ბრალდებით ხუთი პირი დააკავეს – საქართველოს მოქალაქეები ნანა მ. და ინგა ბ. და თურქეთის მოქალაქეები ჰუსეინ ი. ომერ ქ. და ჯესურ მ. შსს-ს განცხადებით: „საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და მოწმეთა ჩვენებების თანახმად, აღნიშნულ პირებს გონიოსა და ბათუმის ტერიტორიაზე ნაქირავები ჰქონდათ სასტუმროები და ორგანიზებას უწევდნენ პროსტიტუციის კერების მოწყობას. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, რაც 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. დაკავებულები აღიარებენ დანაშაულს და თანამშრომლობენ გამოძიებასთან“.






4. აჭარის პოლიციამ გახსნილად გამოაცხადა ტრეფიკინგის საქმე, რომლის გამოძიებაც თებერვალში დაიწყო. ტრეფიკინგის ბრალდებით დაკავებულია თურქეთის მოქალაქე, რომელიც, გამოძიების ცნობით, უზბეკეთის მოქალაქეს უწევდა ექსპლუატაციას. აჭარის შს მთავარი სამმართველოს უფროსის, ვალერი თელიას განცხადებით, 2013 წლის 5 თებერვალს დაიწყო გამოძიება უზბეკეთის მოქალაქის ტრეფიკინგის ფაქტზე. პოლიციამ ამ საქმეზე დააკავა და ბრალი წაუყენა თურქეთის მოქალაქე ჰამზა ბ.-ს. გამოძიების ცნობით, დაკავებული ბათუმში დროებით მყოფ უზბეკეთის მოქალაქე მადინა ე.-ს 2000 აშშ დოლარის სანაცვლოდ თურქეთში არალეგალურად გადაყვანას შეჰპირდა. ჰამზა ბ.-მ მას პასპორტი გამოართვა, რითაც თავისუფლად გადაადგილების უფლება შეუზღუდა. ჰამზა ბ.-მ მოტყუების, შანტაჟისა და იძულების გზით მადინა ე. პროსტიტუციაში ჩააბა და რამდენიმე კვირის განმავლობაში სექსუალურ ექსპლუატაციას უწევდა: მიჰყავდა ის ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილზე მდებარე დისკოკლუბ „არენაში“, სადაც თურქი ეროვნების მამაკაცებს ახვედრებდა, რის შემდეგაც პროსტიტუციის გზით გამომუშავებულ თანხას ითვისებდა. თელიას განცხადებით, მადინა ე.-ს თურქეთის მოქალაქე 2013 წლის 5 იანვრიდან 19 იანვრამდე უწევდა სექსუალურ ექსპლუატაციას ბათუმში მოქმედ დისკოკლუბებში და ასეთი გზით მას გამოსძალა 1800 დოლარი. გამოძიება სსკ-ის 143-ე პრიმა მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ადამიანით ვაჭრობა – ტრეფიკინგი) მიმდინარეობს, რაც 12-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აღნიშნული მუხლით არც ერთი პირი არ ყოფილა პასუხისგებაში მიცემული“, – აცხადებს ვალერი თელია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვახტანგ რჩეულიშვილი: „დექსუსმა“ გაგვაძევა და მოინდომა კომპანიის წართმევა, რაც, ღვთის წყალობით, არ მოხდა“

ხათუნა მგალობლიშვილი

**„სასამართლო გადაწყვეტილება იყო სამართლიანი“, – მაია რჩეულიშვილიც და რუსუდან კერვალიშვილიც სასამართლოს გადაწყვეტილებით კმაყოფილები არიან.**

**დაყადაღებული კომპანია და 500-ათასიანი გირაო ორივე დის სანაცვლოდ. მაია და რუსუდან კერვალიშვილები სასამართლომ 4-საათიანი პროცესის შემდეგ 250-250 ათასი ლარის გადახდის სანაცვლოდ გაათავისუფლა. მოსამართლემ დარბაზი მოსაფიქრებლად ექვსი საათისთვის დატოვა, გადაწყვეტილება კი ზუსტად რვა საათზე გამოცხადდა.**

**ბიზნესმენ ქალბატონებს თავდებში თვრამეტი დეპუტატი დაუდგა, მათ შორის უმრავლესობის წევრებიც. მაია რჩეულიშვილმა მათ მადლობა გადაუხადა, თუმცა იმედი სასამართლოს დაწყებამდე გამოთქვა, რომ მილიონიანი გირაო საბოლოოდ გონივრულ თანხამდე დავიდოდა. დისგან განსხვავებით, რუსუდან კერვალიშვილი სასამართლო პროცესამდე განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებდა. ის კატეგორიულად მოითხოვდა თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას და წინასწარვე უარს აცხადებდა ნებისმიერი რაოდენობის გირაოს გადახდაზე. თუმცა საბოლოოდ მოსაზრება მანაც შეიცვალა. ვახტანგ რჩეულიშვილის განცხადებით, მათი ბიზნესი იმდენად კრიზისულ მდგომარეობაშია, რომ მათთვის თითოეულ ლარს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან, პირადი თავისუფლების გარდა, მათ დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისთვის ერთწლიანი პერიოდი მოითხოვეს.**

**თუ რა სახსრებით მოხდება გირაოს თანხის დაფარვა, ამაზე რჩეულიშვილებმა ოფიციალური განცხადება გააკეთეს. „ცენტრ პოინტის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის, მაია რჩეულიშვილის განცხადებით, კომპანიას უამრავი ნაკვეთი გააჩნია, რომლის საშუალებითაც მოხდება აღნიშნული თანხის დაფარვა.**

**მაია რჩეულიშვილი:**

– ჩემდა საბედნიეროდ, კომპანიას უამრავი მიწის ნაკვეთი აქვს, რომელიც ჩემს საკუთრებაშია. ისინი შეფასდება სამხარაულის ეროვნული ბიუროს მიერ და მოხდება მათი ჩადება სასამართლოში.

პროცესის დაწყებამდე „პრაიმტაიმს“ ვახტანგ რჩეულიშვილი და რუსუდან კერვალიშვილი ესაუბრნენ. რა შეკითხვები აქვთ მათ გამოძიებასთან, ვის ადანაშაულებენ მომხდარში და ვის დაკითხვას ითხოვს რჩეულიშვილი?

**ვახტანგ რჩეულიშვილი:**

– რეალობა არის ასეთი: ჩვენ ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავთ. პირიქით, რაც უფრო ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი, უკეთესი იქნება. არასწორი იქნება, თუ მოხდება პატიმრობის შეფარდება. უნდა გაირკვეს, რამ მიიყვანა კომპანია ამ მდგომარეობამდე, ხელმძღვანელობის დაკავება ნიშნავს იმას, რომ ჩვენი მრავალწლიანი მცდელობა, გადავარჩინოთ კომპანია და შევასრულოთ აღებული ვალდებულებები, წყალში ჩაიყრება. ბიზნესში ასეთი ჩარევა დამღუპველია. მე თვითონ ვარ დაინტერესებული, რომ გაირკვეს, ვის მიუძღვის ბრალი კომპანიის ასეთ მდგომარეობაში ჩაგდებაში. „დექსუსი“ „ცენტრ პოინტში“ შემოვიდა „ცენტრ პოინტის“ შესწავლით. მან დადო დოკუმენტი, თუ რა არის „ცენტრ პოინტი“.

– თავად „დექსუსის“ მონაცემებს გაგაცნობთ, რომელიც მან თავად შეადგინა შესწავლის შედეგად: 26 მილიონი დებიტორული დავალიანება, ანუ რაც მოსახლეობას გააჩნდა კომპანიისადმი, 50 მილიონი – გასაყიდი ფართი, 16 მილიონი – თავისუფალი აქტივობების ღირებულება, ანუ ცალკეული შენობები, რაც გააჩნდა კომპანიას თბილისში. სულ ეს შეადგენდა 93 მილიონს და ეს ყველაფერი გადაეცა „დექსუსს“ ვალდებულებების შესასრულებლად. ეს იყო გათვლილი, რომ პროექტის დასრულებისთვის ჰყოფნოდა. ჩვენ თავიდან ხელისუფლებას დასახმარებლად მივმართეთ, რომ საგადასახადო ვალდებულებები შემცირებულიყო. ვთხოვეთ, გაეთვალისწინებინა ომი, კრიზისი და სხვა განმაპირობებელი ფაქტორები. პრობლემა იმით გადაწყდა, რომ ხელისუფლებამ გამოგზავნა „დექსუსი“. „დექსუსმა“ გაგვაძევა და მოინდომა კომპანიის წართმევა, რაც, ღვთის წყალობით, არ მოხდა. ამ მდგომარეობისთვის ასი მომჩივანი გვყავს. ეს ნორმალურია და ამ ადამიანებში არიან ინტრიგანებიც, თუმცა ბევრი მათგანი პატიოსანი ადამიანია. მათ ბინები აქვთ ნაყიდი და ჩვენ მათ წინაშე აღებული გვაქვს ვალდებულებები. ამ ადამიანებისთვის ერთადერთი იმედი არის მაია რჩეულიშვილი. მაია რომ არ იყოს, ვერავინ დაამთავრებს ამ მშენებლობებს. ამას ვერ უზრუნველყოფ ვერც მე, ვერც გუკა, ჩემი შვილი, და ვერც ვერავინ. ჩვენი სერიოზული პრობლემა იყო ასევე თაბუკაშვილის ხუთი ნომერი. ეს შენობა „დექსუსს“ გადაეცა და იმის მაგივრად, რომ დაემთავრებინა, გამოაცხადა, რომ ის არის ცუდი აშენებული და მოინდომა მისი დანგრევა. თუმცა ისე კარგად და მყარად იყო აშენებული, რომ ვერ დაანგრია და ააფეთქა. როგორც ჩანს, მერიას არ მოსწონდა ეს შენობა. იყო ცოტა მანიაკალური მცდელობა, ყველაფერი ისეთი აშენებულიყო, როგორიც თავად მოსწონდათ.

**– „დექსუსი“ მიზანმიმართულად იყო გამოგზავნილი?**

– გიგი უგულავა მხოლოდ კომპანიის მართვაში იყო, არ ყოფილა „დექსუსის“ დამფუძნებელი. ჩვენ გვქონდა პრობლემები და ხელისუფლებისგან ვითხოვდით დახმარებას. თუმცა მოგვიანებით იფიქრეს და გვითხრეს, რომ იმ შემთხვევაში დაგვეხმარებოდნენ, თუ ჩვენს კომპანიას სხვას გადავაბარებდით.

**– ეს გიგი უგულავამ მოგთხოვათ?**

– დიახ. როცა ჩვენ ვიკითხეთ, ვისთვის უნდა გადაგვებარებინა, უგულავამ წარმოგვიდგინა „დექსუსი“.

**– ანუ უშუალოდ მერთან აწარმოებდით მოლაპარაკებას?**

– დიახ. ჩვენ შეხვედრა გვქონდა ქალაქის მერთან, გიგი უგულავასთან, ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან.

**– ქადაგიძეზეა საუბარი?**

– დიახ, ქადაგიძეზეა საუბარი. ისინი უკვე ნამყოფები იყვნენ ადეიშვილთან, შეთანხმებული იყო მასთანაც და ჩვენ გვამცნეს ასეთი გადაწყვეტილება. ჩვენ გადავეცით მთელი ქონება. მარტო კომპანიის ქონება კი არა, მაიას პირადი ბინები და მამაჩემის მიერ ნაყიდი ფართები, რომლებსაც არაფერი საერთო არ ჰქონდა კომპანიასთან. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მოპარული და გაფლანგული ფული არ არსებობს, რადგან ჩვენ გადავეცით მათ 94 მილიონი. როცა გამოვედით კომპანიიდან, ერთადერთი შიმშილით არ დავიხოცეთ, თორემ დანარჩენი ძალიან პრობლემური პერიოდი გვქონდა. ჩვენ მივმართავთ ახლა ხელისუფლებას, პროკურატურას, უბრალოდ, ნუ შეაჩერებენ კომპანიის მუშაობას, სხვა ყველაფერზე თანახმა ვართ, ჩატარდეს გამოძიება. ჩვენ სინამდვილეში „დექსუსის“ მიერ დადებულმა დოკუმენტმა დაგვღუპა, როდესაც დაითვალეს და დამტკიცდა, რომ ჩვენს კომპანიას 100 მილიონის ქონება ჰქონდა. სწორედ ამის შემდეგ გახდა ჩვენი კომპანია მიმზიდველი მათთვის. ისეთი ლუკმა დაინახეს, რომ, ჩემი ღრმა რწმენით, აღარ უნდოდათ ხელიდან გაშვება და სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტეს ჩვენი ჩამოშორება და, პრინციპში, მოახერხეს კიდეც.



**როცა ჩვენ ვიკითხეთ, ვისთვის უნდა გადაგვებარებინა, უგულავამ წარმოგვიდგინა „დექსუსი“**



დექსუსი
მენეჯმენტ კომპანია



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რუსუდან კერვალიშვილი: „მათი მხრიდან მაიას და ვახტანგის მიმართ დამოკიდებულება იმდენად დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი იყო, რომ ეს ყოველგვარ ადამიანურ საქციელს სცილდებოდა“

## EXCLUSIVE



**რუსუდან კერვალიშვილი:**

- მე შეთქმულებების თეორიების არ მჯერა და ვარ ადამიანი, რომელსაც ყველასი სჯერა. მე ვთვლი, რომ „დექსუსი“-ს ახალგაზრდა თანამშრომლებს, რომლებსაც არ ჰქონდათ შესაბამისი გამოცდილება, ადამიანებთან ურთიერთობაზეც მცდარი წარმოდგენა ჰქონდათ და მათ გადაწყვიტეს, რომ დამფუძნებლების დემონიზაცია საშუალებას მისცემდათ საქმე ადვილად გაეკეთებინათ. სხვაგვარად გაუგებარია მათი საქციელი. მათ უნდა მიეღოთ საკმაოდ სოლიდური გასამრჯელო „ცენტრ პოინტის“ რეაბილიტაციისთვის. „ცენტრ პოინტის“ ქონება მათ მიერ იყო შეფასებული და ბუნებრივია, გაკოტრებული ორგანიზაციიდან გასამრჯელოს ვერ მიიღებ. კომპანიას იმ პერიოდისთვის ფინანსური ნაკადები შეწყვეტილი ჰქონდა, თუმცა ჰქონდა სოლიდური ქონება, რომელიც 94 მილიონ დოლარს შეადგენდა. მათ არ მიაქციეს ყურადღება იმას, რომ ამ ყველაფერში მთავარი ადამიანთან ურთიერთობა იყო. არ შეიძლება ადამიანები პიკამდე მიიყვანო, იმ უფლებით, რომ ხელშეკრულება, რომელიც ჩვენთან იყო დადებული, არ გვაძლევდა საშუალებას კომენტარები გაგვეკეთებინა.

**- ასეთი ხელშეკრულება შეგნებულად იყო შედგენილი?**

- ჩვენ ხელშეკრულებას იმდენ წუთში მოვაწერეთ ხელი, რამდენი წუთიც ხელის მოწერას სჭირდება. თუმცა ამ ჩანაფიქრში მე მზაკვრობა არც დამიშვია.

**- არ გაცნობიხართ ხელშეკრულებას?**

- თუკი ადამიანები ბიზნესის მართვასა და მოგებაზე ფიქრობენ, არ შეიძლება მზაკვრობა ყოფილიყო ჩადებული. პროცესთან დაკავშირებით უნდა იყოს ნდობა. მათ კი მაიასა და ვახტანგის მიმართ სიძულვილი ჰქონდათ გამოკვეთილი. როდესაც გაჯანსაღებას ცდილობ, არ შეიძლება ის ორგანიზაცია ჯერ მოკლა და მერე ეცადო მის გადარჩენას.

**- ამ ეტაპზე მხოლოდ ასი მომჩივარია, პერიოდულად იყო ხოლმე საპროტესტო აქციები „ცენტრ პოინტის“ მისამართით, ეს მუდამ გვესმოდა, ვხედავდით...**

- ეს პროცესები ჩვენთან „დექსუსი“-ს შემოსვლის შემდეგ დაიწყო, ეს ყოველთვის არ იყო.

**- ამ ეტაპზე რაიმე პოლიტიკურ სარჩულს ხედავთ? წინაპირობა ჰქონდა წინ თქვენს დაკითხვაზე დაბარებას?**

- მე, საერთოდ წარმოდგენა არ მქონდა, რომ დაკითხვაზე მოვხვდებოდი. ჩემთან მიმართებაში არანაირი წინაპირობა არ ყოფილა. მინდა შეგახსენოთ, რომ ეს იყო ის დღე, როდესაც პრემიერმა და იუსტიციის მინისტრმა თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებით მორატორიუმი გამოაცხადეს. ბუნებრივია, ამაში არ შედიოდა დაკითხვაზე დაბარება. ჩემზე, როგორც სტატუსის მქონეზე, ბრალი უნდა გამოიტანოს მხოლოდ საქართველოს პროკურორმა და პარალელურად, ძალიან აქტიური იყო მწამებლების საკითხი, ვფიქრობ, რომ მოხდა საკითხის გადაფარვა. როდესაც მე პროკურორის ოთახიდან გამოვედი, მთელი ტელევიზიები უკვე მობილიზებულები იყვნენ და ყველანაირი მზაობა იყო ბრიფინგისთვის. მივხვდი, რომ მე ვიყავი დადგმის ნაწილი, რომელსაც ის ფუნქცია უნდა შეესრულებინა, რომელიც მქონდა დავალებული. თუმცა, მეორე მხრივ, ბუნებრივია, საქმე უნდა იქნეს გამოძიებული, დამნაშავე უნდა იყოს დასჯილი - ამას აბსოლუტურად ვიზიარებ და დამნაშავე, მთელი სიმკაცრით უნდა დაისჯაოს.

**- თქვენ ამბობთ, რომ თქვენი საკითხით ბედუკაძის თემის გადაფარვა მოხდა?**

- დიახ, ასეა. მე ეს, როგორც რაჭველმა, გვიან გავაანალიზე. გადაწყვეტილება სპონტანურად იყო მიღებული, ამას მოწმობს ისიც, რომ პარლამენტის დავმჯდომარეს როცა დაუსვეს კითხვა, ის ძალიან დაიბნა, რადგან არ იცოდა ამ ამბის შესახებ. ჩემი ამოცანაა, ყველა დამნაშავე იყოს დასჯილი, მათ შორის აუცილებლად მეც, დანაშაულის შესაბამისად, ასევე ის ადამიანები, ვინც სხვა ადამიანებს ფიზიკურ ზიანს აყენებენ. სხვაგვარად სახელმიწფო არ აშენდება.

**- რამდენად მიზანმიმართულად იყო „დექსუსი“-ს გამოგზავნა?**

- მე მინდა დავიტოვო იმედი, რომ ეს ყველაფერი მათი გამოუცდელობის ბრალი იყო, მათ არ ჰქონდათ გამოცდილება, თუ როგორ უნდა განევითარებინათ ბიზნესი. მათი სტრატეგია იყო აბსოლუტურად მცდარიო. არ მჯერა, რომ იმ სტრატეგიას, რაც მათ ჰქონდათ, სხვაც იზიარებდა. ეს იყო ყველაზე მცდარი სტრატეგია, რაც კი შეიძლება შეიმუშავო კომპანიის გადასარჩენად. საერთოდ, რეაბილიტაციის პროცესის დაწყება პირველად ჩემი მხრიდან იყო ინიცირებული. 2010 წლის 7 ივნისს შევხვდი საქართველოს მაშინდელ იუსტიციის მინისტრს, ზურაბ ადეიშვილს და ავუხსენი სამშენებლო სექტორში არსებული სიტუაცია. ეს იყო 2008 წლის ომის შემდგომი რეალობა, როდესაც ფინანსების სიმწირე იყო, სამშენებლო სექტორს სისხლის გადასხმა სჭირდებოდა. მე მაშინ სტრატეგიის გეგმაც მივიტანე და ჩვენი კომპანიის გამოყენება, მაშინდელი სიტუაციისთვის, კარგი ნაბიჯი იქნებოდა. მე სტრატეგიასთან ერთად მაშინ ჩვენი ქონების ნუსხა მივიტანე, რაც კომპანიას ჰქონდა. ამ ქონებით შეიძლებოდა სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება, არა ჩვენი კომპანიის, არამედ სამშენებლო სექტორის მიმართ. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო კომპანიის შეფასება. ვერ დავწამებ ცილს, მათ შორის ვერც „დექსუსი“-ს წარმომადგენლებს, რომ მათ ჰქონდათ მკაფიო განზრახვა დანაშაულებრივი ქმედებისა. თუმცა მათი მხრიდან მაიას და ვახტანგის მიმართ დამოკიდებულება იმდენად დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი იყო, რომ ეს ყოველგვარ ადამიანურ საქციელს სცილდებოდა.

**- რა იყო კონკრეტულად?**

- მათი საქციელი ცივილიზებულ სამყაროსთან შეუსაბამო იყო. თუმცა ეს დანაშაული არ იყო, ეს, უბრალოდ, არ იყო სწორი ადამიანურად.

**- „დექსუსი“-ს გარდა სხვა გზა არ არსებობდა?**

- როგორ არ არსებობდა, მრავალი გზა იყო. იყო კომპანია, რომელსაც ჰქონდა დიდი დავალიანება, თუმცა ჰქონდა ქონება, საბანკო კრედიტების აღება მაშინ შეუძლებელი იყო, თუმცა თუ ამ კომპანიასთან შეძლებდნენ ურთიერთობის დალაგებას, სამშენებლო სექტორი გამოცოცხლდებოდა. ეს კი, თავის მხრივ, გამოაცოცხლებდა ვაჭრობას ელიავას ბაზრობაზე, მუშახელის დასაქმებას, ინჟინრების, მუშების დასაქმებას... ეს იყო ის, რაც მთლიანად შეადგენდა საქართველოს ბიზნესის ნაწილს. თუმცა მაშინ ხელისუფლებას კიდევ სხვა, უფრო სერიოზული პრობლემა ჰქონდა, ომის შედეგად მიღებულ ზიანს ვგულისხმობ, და იფიქრეს, რომ ეს პრობლემა მოიცდიდა. მე მაშინვე ვთქვი, რომ ეს გახდებოდა სოციალური პრობლემა. „დექსუსი“ რომ არ შემოსულიყო, ყველაფერი ისე გაგრძელდებოდა, როგორც მთელ დანარჩენ სამშენებლო სექტორშია გაგრძელებული. ყველანაირი საშინელი რყევების, გულისტკივილის და პრობლემების გარეშე.

**- მოითხოვთ, რომ გაირკვეს „დექსუსი“-ს შემოსვლის მიზნობრიობა და ფიქრობთ თუ არა, რომ უნდა დაიკითხოს გიგი უგულავა?**

- გიგი უგულავა მონაწილეობდა ძველი თბილისის განაშენიანების პროექტში. ამდენად, რადგან ის იყო ქალაქის მერი და რადგან მშენებლობების დიდი ნაწილი იყო თბილისში, სწორედ ამიტომ მოხდა მისი ამ საკითხთან დაკავშირება. შეიძლება ითქვას, რომ ის მონაწილეობდა მხოლოდ „დექსუსი“-ს შექმნაში და სხვა არაფერში. მასთან სხვა მეტი არაფერი არ შეიძლება იყოს დაკავშირებული.

**- თქვენ განაცხადეთ, რომ „დექსუსი“-ს ხელმძღვანელების დამოკიდებულება მაია და ვახტანგ რჩეულიშვილების მიმართ იყო არაადამიანური, შეგიძლიათ უფრო დეტალურად გვითხრათ, როგორ იქცეოდნენ?**

- მაიამ ააშენა ბათუმში ასი ათასი კვადრატული მეტრის შენობა, მინდა ვთქვა, რომ ეს მსოფლიოში ძალიან ცოტა ქალს განუხორციელებია. მშენებლობის დასრულების შემდეგ მაია, არათუ გახსნაზე მიიწვიეს, არამედ კატეგორიულად ეკრძალებოდა იმ ტერიტორიაზე გამოჩენა. ჩვენ პატიმრები ვიყავით, ოღონდ გარეთ.

**- რატომ აქამდე არ საუბრობდით ამაზე?**

- არ გვქონდა ამის უფლება. ეს გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით. ეს ხელშეკრულება ხომ არ შეუდგენია უგულავას. ამაში არ შეიძლება მხოლოდ ერთი ადამიანი იყოს დამნაშავე. აქ ჩართული იყო ბევრი უწყება, ბუნებრივია, პასუხისმგებლობა ყველაზე გადადის. თუმცა ყველაფერზე პასუხისმგებელი ვარ მე, როგორც კომპანიის დამფუძნებელი. ასევე, პასუხისმგებელი ვარ იმაზე, რომ ამდენი ადამიანი მენდობოდა. ადამიანები მე მენდნენ და არა „დექსუს“-ს. 2007 წლიდან მე მშნებლობის სფეროს ჩამოვშორდი, რადგან პარლამენტში შევედი. ამიტომ მაიას მარტოს უწევდა ყველაფრის გაკეთება.

**- ხელშეკრულებაში ასეთი პუნქტები რომ იყო ჩადებული, არ გიცდიათ შეგეცვალათ?**

- ხელშეკრულებაში ჩადებული იყო კაბალური პუნქტები, პირდაპირ ასე დავარქმევდი და ნებისმიერი ცვლილებების შეტანა ითვალისწინებდა მილიონნახევრიან ჯარიმას. ესეც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ჩვენ მაშინ, პრაქტიკულად, უსახსროდ ვიყავით და ეს თანხა ბუნებაში არ არსებობდა. ჩვენ ხელი მოვაწერეთ ამ ხელშეკრულებას ერთ არამშვენიერ დღეს, სრულიად ჯანსაღ გონებაზე მყოფებმა, ნოტარიუსის თანდასწრებით, შესაბამისად, ვერაფერს გავაპროტესტებდით. ეს ყველაფერი წამებში მოხდა.

**- არც წაგიკითხავთ?**

- ესეც ჩვენი ქართული ხასიათია. როდესაც ხელშეკრულებას დებ, მას კარგად უნდა გაეცნო. მე, სიმართლე თუ გაინტერესებთ, ინფორმაციებს, დეტალებს ხელშეკრულებიდან ახლა და ახლა ვიგებ.

**- როგორ ფიქრობთ, როგორ განვითარდება მოვლენები?**

- მე, არ ვეთანხმები იმას, რომ მოხდეს გირაოს შეფარდება. მე მოვითხოვ პატიმრობას. სანამ სიმართლე გაირკვევა და დეტალები გახდება ცნობილი, არ ვეთანხმები, რომ დაპატიმრებული იყოს თუნდაც „დექსუსი“-ს წარმომადგენელი და თავისუფალი იყოს „ცენტრ პოინტი“-ს წარმომადგენელი. რადგან არსებობს მოსახლეობის მაღალი ინტერესი და გარდა ამისა, მე ძალიან მძიმე წლები მაქვს გადატანილი სიჩუმის ვალდებულებების ფასად, ამიტომ მოვითხოვ დაპატიმრებას.

**- სიჩუმის ვალდებულება რომ დაგერღვიათ, რა მოხდებოდა?**

- ერთ კომენტარზეც კი მილიონნახევრიანი ჯარიმა იყო. ძალიან ძნელი იყო ჩემთვის ვყოფილიყავი პარლამენტის წევრი და შემენარჩუნებინა სიჩუმე, მე ძალიან დიდი ზიანი მივაყენე ჩემს დას და ვახტანგს. ცუდ მდგომარეობაში ჩავაყენე ჩემი ოჯახი.

ცენტრ პოინტ ინვესტი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ზაზა ხატიაშვილი ბიძინა ივანიშვილის პერ

მარიამ ნადირაძე

**ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი ძალიან გაბრაზებულია, რადგან მიიჩნევს, რომ ივანიშვილის ხელისუფლება მმართველობის პირველ ცხრა თვეში იმაზე უარესად იქცევა, ვიდრე მისი წინამორბედი. როგორც აღმოჩნდა, ასეთი განცხადებებისთვის მას საკმაოდ მყარი არგუმენტებიც გააჩნია. ხატიაშვილის მკვეთრმა გამოსვლებმა ეჭვი წარმოშვა იმის თაობაზე, რომ ის შესაძლოა, ვადის გასვლის შემდეგ პოლიტიკაში ვიხილოთ.**

რას ფიქრობს ამის თაობაზე, რატომ მიაჩნია ივანიშვილის გუნდში ყოფნა სირცხვილად და რატომ უპირებს პრემიერ-მინისტრს პერსონა ნონ გრატად გამოცხადებას, ამის შესახებ „პრაიმტაიმს" თავად ზაზა ხატიაშვილი უამბობს:

**– რას იტყვით იმ სამართლებრივ სივრცეზე, რომელშიც ჩვენ დღეს ვიმყოფებით? ბოლოს და ბოლოს, აღდგა სამართლიანობა?**

– ჩვენ საერთოდ ამოვარდნილები ვართ სამართლებრივი სივრციდან. როდესაც ვცხოვრობდით სააკაშვილის რეჟიმის პირობებში, სამოქალაქო საზოგადოება ვიბრძოდით, რომ ეს რეჟიმი უნდა დამთავრებულიყო. ყველამ ვიცოდით, რა ხდებოდა ციხეებში, სასამართლოებში და ყველას გვინდოდა, ნორმალურ სამართლებრივ სახელმწიფოში ცხოვრება. სწორედ ამ სურვილით დიდი ენთუზიაზმით მიიღო ხალხმა არჩევნებში მონაწილეობა და „ქართულმა ოცნებამ" გაიმარჯვა. ეს იყო მთავარი მოთხოვნა და არა დენის ტარიფის გაიაფება, ხვნა-თესვა და ა.შ. როდესაც წინასაარჩევნოდ გამოკითხვა ჩაატარეს და ხალხს ეკითხებოდნენ, რა გინდათო, უმრავლესობა სამართლიან სასამართლოს, დემოკრატიულ სახელმწიფოს ითხოვდა. ათიდან რვა გამოკითხული, მშიერიც რომ ყოფილიყო, ამას ითხოვდა. ყველამ ვიცით, რომ შიმშილობისა და უმუშევრობის დაძლევას ქვეყნის სამართლებრივი განვითარება სჭირდება, პირველ რიგში, და ხელისუფლების ნაკლები ჩარევა სამოქალაქო სექტორთან მიმართებაში. ივანიშვილმა, როგორც კარგმა ბიზნესმენმა, დაინახა, რომ სააკაშვილის რეჟიმის მიმართ ყველანაირი ნდობის რესურსი ამოწურული იყო და როგორც უნდა გაეყალბებინათ არჩევნები, ის ამ არჩევნებს მაინც წააგებდა.

**– ანუ გათვალა, რომ მოგებულ არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას?**

– ის ბიზნესმენია და არასდროს მიიღებდა მონაწილეობას წაგებულ თამაშში. მან ისიც ზუსტად იცოდა, რომ სააკაშვილი მას ვერ დაიჭერდა და ვერაფერსაც ვერ უზამდა. ამას გარდა, სწორად გათვალა სახელიც, რადგან ქართველი ხალხი ოცნებობდა სამართლიანობაზე. დაარქვა მან კოალიციას „ქართული ოცნება". თუ აკვირდებოდით, პოლიტიკაში მისი შემოსვლიდან მესამე თვეს, 2012 წლის თებერვალში სააკაშვილის რეჟიმმა დაკითხვაზე დაბარებული მოწმე ქიმერიძე მოკლა პოლიციის დაწესებულებაში. ამ დროს ივანიშვილი გულზე ხელს ირტყამს და ამბობს, რომ ეს არ უნდა მოხდეს, ხელისუფლებამ დამნაშავეები უნდა დასაჯოს და ა.შ. სხვათა შორის, როცა დავინახეთ, რომ ივანიშვილი ადეკვატურ რეაგირებას ახდენდა ადამიანის წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაზე, სამოქალაქო საზოგადოებამ მხარი დაუჭირა ივანიშვილს (აქვე გადავასწრებ სათქმელს და ვიტყვი, რომ მწარედ გაგვაცურა ამ კაცმა) და „ქართულმა ოცნებამ" დაიწყო წინსვლა რეიტინგებში. ამას შემდეგ დაერთო საარჩევნოდ შემონახული კოზირი – ციხის კადრები, რომელიც

> **„მე ვაპირებ, რომ ივანიშვილი გამოცხადდეს პერსონა ნონ გრატად, რადგან მისი გადაწყვეტილება მთავრობის სხდომაზე პირდაპირ კავშირშია მოწმე მიქაუტაძის გარდაცვალებასთან. გაგიგიათ, ასეთი გადაწყვეტილებები მთავრობის სხდომებზე მიიღებოდეს? ამას ვაპატიებ ივანიშვილს? მთელ მსოფლიოს გავაგებინებ, ვინ გვყავს პრემიერ-მინისტრად"**

მოგვიანებით ირკვევა, რომ 1 წლის განმავლობაში ინახებოდა და სააკაშვილის რეჟიმი, როგორც ყველა სხვა რეჟიმი, ბოლოს და ბოლოს, დასრულდა. პოლიტიკურ სცენაზე შემოვიდა „ოცნება" და წინასაარჩევნო დაპირებები სამართლიან სასამართლოზე და სამართლიანობის აღდგენაზე თვალსა და ხელს შუა ქრება. აქვე აგიხსნით, რატომ: ხელისუფლების პირველ თვეებში, ივანიშვილის მთავრობის ერთადერთი ჭკვიანი მინისტრი აკეთებს საკმაოდ კარგ სვლებს. მას შეაქვს რამდენიმე პროექტი პარლამენტში და

> **„ივანიშვილმა კარგად იცის, რომ მოწმეები ბორკილებდადებული მიჰყავთ პოლიციაში, აწამებენ, შემდეგ ისინი მიქაუტაძესავით თავს იხრჩობენ და ამას ლეგიტიმაციას უგრძელებს, მან ამით დაგვანახვა საკუთარი სახე – დიქტატორისა და სამოქალაქო საზოგადოების მტრის"**

ფიქრობს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე. მაგრამ მოდის შუალედური არჩევნები. კარგი იქნება, თუ ამას მიაქცევთ ყურადღებას. ამ არჩევნებს კატასტროფულად აგებს ივანიშვილი. მართალია, მან გაიმარჯვა, მაგრამ ნაძალადევის რაიონში წარმოდგენილი საკმაოდ კარგი კანდიდატი 39 პროცენტს იღებს მხოლოდ, ოპოზიცია კი – 69 პროცენტს. ეს იმ დროს, როდესაც 5 თვით ადრე იგივე რაიონში თეა წულუკიანი გაყალბებულ არჩევნებში იღებს 72 პროცენტს. ანუ გაყალბების გარეშე ის, სავარაუდოდ, მიიღებდა 90-ს. ანუ, გამოჩნდა, რომ ხუთ თვეში „ქართულ ოცნებას" ნაძალადევში აქვს 55-60-პროცენტიანი წყვეტა. ასეთი წყვეტა პირველ 5 თვეში არ ჰქონია არც გამსახურდიას, არც შევარდნაძეს და არც სააკაშვილს. ახლა მოდით, დავაკვირდეთ, რა ხდება პირველი აპრილის შემდეგ: არსებობდა საკანონმდებლო ცვლილება, რომ 2010 წლის 1-ლი ოქტომბრიდან მოწმის დაკითხვა უნდა მომხდარიყო პირდაპირ სასამართლო პროცესზე. ეს ცვლილება სააკაშვილის რეჟიმმა 2013 წლის დეკემბრამდე გადაწია. ამით ჩვენ ვიცავდით მოწმედ დაბარებულ პირებს წამებისგან, გაუპატიურებისგან, თვითმკვლელობამდე მიყვანისგან. სააკაშვილის არგუმენტი იყო, რომ პროკურატურა ამ ცვლილებისთვის მზად არ იყო. მოდის ივანიშვილი და წულუკიანს შეაქვს წინადადება, რომ ეს ნორმა ამ წლის სექტემბრიდან ამოქმედებულიყო. ამის გარდა, იგივე წულუკიანს შეაქვს კანონპროექტი, რომ ადვოკატისა და პროკურორის უფლებები გათანაბრდეს. ეს ყველაფერი შუალედურ არჩევნებამდე ხდება. ახლა ვნახოთ, რა მოვლენებს აქვს ადგილი 1-ლი აპრილის შემდეგ: გახსოვთ, ალბათ, ივანიშვილი ამბობდა, სამოქალაქო საზოგადოება უნდა გავაძლიეროო, ამასობაში კი სურვილი გაუჩნდა, რომ უნივერსიტეტის რექტორი თავად დანიშნოს. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ პროტესტი გამოთქვა, მან ამაზე კომენტარი არც კი გააკეთა. გამოდის, ინიციატივა მისგან მოდიოდა, ხომ?

**– თქვენ წყალგამყოფი პირველ აპრილზე გაავლეთ. რა შეიცვალა ამის შემდეგ?..**

– რაკი მან დაინახა, რომ 50 პროცენტი დაკარგა, გადაწყვიტა ადამიანების შეშინება სააკაშვილის რეჟიმით ტელესერიალების დახმარებით. როგორ ფიქრობთ, ზუგდიდში რომ ასეთი სამალავები იყო, ახლა გაიგეს? თუ როცა დასჭირდათ, მაშინ გამოიყენეს? ანუ აპრილამდე ივანიშვილი სულ სხვაა და აპრილის შემდეგ – სხვა. დაიწყო ყველაფერ იმის კოპირება, რასაც სააკაშვილი აკეთებდა. ეს იგივე იყო, რასაც გვარამია აკეთებდა. გახსოვთ, ფილმებს რომ იღებდა იმის საჩვენებლად, თუ ჩვენ არ ვიქნებით, რუსების ხელში აღმოჩნდებითო. დღეს ივანიშვილს ყველაზე მეტად აწყობს, რომ პარლამენტში ჰყავდეს „ნაციონალური მოძრაობა". ეს მისთვის არის თვალსაჩინოება ხალხის შესაშინებლად, რომ, თუ ის არ იქნება, ისევ ნაციონალების ხელში აღმოვჩნდებით. ასე რომ, მეთოდები იგივეა. ახლა კიდევ ერთ უბედურებაზე გიამბობთ, რაც ივანიშვილმა დამართა სამოქალაქო საზოგადოებას: როცა სააკაშვილმა საპროცესო კოდექსში იმ ნორმის ამოქმედება, რომლის მიხედვითაც მოწმე პირდაპირ სასამართლოზე უნდა დაიკითხოს, გადაიტანა 2013 წლის დეკემბრადე, მე პასუხისმგებლობა მოწმეების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე დავაკისრე მერაბიშვილს, ადეიშვილსა და სააკაშვილს. სწორედ ეს ნორმა რომ არ ამოქმედდა, ამიტომ მოხდა ქიმერიძის შემთხვევა, რომელიც პოლიციაში სწორედ მოწმედ მიიყვანეს. ეს პირდაპირ კავშირში იყო ერთმანეთთან. მაშინ „ქართული ოცნება" ზაზა ხატიაშვილს ტაშს უკრავდა. გუშინ ხელში ჩამივარდა მთავრობის 3 ივლისის სხდომის ოქმი, სადაც ირკვევა, რომ მოწმის დაკითხვის ახალი წესის ამოქმედება, რომელიც წულუკიანმა გადმოსწია 2013 წლის სექტემბრისთვის, ივანიშვილის მოთხოვნით გადაიდება 2014 წლის დეკემბრამდე. მან სააკაშვილს გაუსწრო. პრემიერ-მინისტრი, რომელიც ნიანგის ცრემლებს აფრქვევდა, როცა ქიმერიძე მოკლეს, ასეთი ინიციატივით შედის პარლამენტში. ეს თურმე კეთდება იმიტომ, რომ პროკურორები ამ ცვლილებისთვის მზად არ არიან... ეს ზუსტად ის არის, რასაც სააკაშვილი ამბობდა. თუ ჩვენ ვამბობთ, რომ სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი და კუბლაშვილი იყო რეჟიმი, მე იმ უფლებადამცველების არ მესმის, რომლებიც ივანიშვილს შუქურას ეძახიან – გმირიაო, გადაგვარჩინაო, დემოკრატიის მამაო... როცა უფლებადამცველი ვარ, მე გვარები – სააკაშვილი და ივანიშვილი არაფერს მეუბნება, მე მეუბნება სათქმელს მათი მოქმედებები. და ეს ხდება მაშინ, როცა მამუკა მიქაუტაძის გვამი გაციებული არ არის. მიქაუტაძის საქმეზე საია-მ ძალიან ოპერატიულად ჩაატარა ექსპერტიზა. ალბათობის მაღალი ხარისხით დასტურდება, რომ ეს ადამიანი იყო ნაწამები. ანუ, ივანიშვილს უკვე ცოცხალი მაგალითი აქვს, რომ მისი ხელისუფლების პირობებში ადამიანი წავიდა დაკითხვაზე და თავი ჩამოიხრჩო. ჩვენ, ასევე, გვესმის სხვადასხვა ფაქტები, რომ მოწმეებზე ხდება სხვადასხვა ტიპის ზეწოლა. ეს ივანიშვილმაც კარგად იცის, რადგან უკვე ბევრი ფაქტი გახმაურდა – ლამის აუთოებენ მოწმეებს და ამის შემდეგ მოწმის დაკითხვის წესს მაინც არ ცვლის. იცის, რომ მოწმეები ბორკილებდადებული მიჰყავთ პოლიციაში, აწამებენ, შემდეგ ისინი მიქაუტაძესავით თავს იხრჩობენ და ამას ლეგიტიმაციას უგრძელებს, მან ამით დაგვანახვა საკუთარი სახე – დიქტატორისა და სამოქალაქო საზოგადოების მტრის. ვერ წარმოვიდგენდი, ქიმერიძის მკვლელობის შემდეგ, რომ ხელისუფლება, რომელიც სამართლიანობის აღდგენის სახელით მოვიდა, იტყოდა, მოწმის დაკითხვის წესის ამოქმედება 2014 წლის დეკემბრამდე უნდა გადაიწიოსო.

**– თუ აკვირდებით, თეა წულუკიანი ჩრდილში მოექცა. რატომ?**

– წულუკიანი ასეთ სიბინძურეებზე არ წავა. პრემიერ-მინისტრი აღმოჩნდა კომუნიზმში ჩარჩენილი ადამიანი, როცა პროკურორი იყო მეფე. მისი გადაწყვეტილებები ძალიან ჰგავს ასლან აბაშიძის გადაწყვეტილებებს. თეა წულუკიანმა სამოქალაქო საზოგადოებისთვის ბევრი რამ გააკეთა. შემდეგ კი ივანიშვილი, ღარიბაშვილი და სხვადასხვა ადამიანები დაუპირისპირდნენ სამოქალაქო საზოგადოებას. წულუკიანს თავისი პოზიციით ჰქონდა უფლება, რომ პროკურორის მიერ ჩადენილ დანაშაულზე იუსტიციის სამინისტროს ეწარმოებინა გამოძიება. ადგნენ და კანონში შეიტანეს ცვლილება, რომ პროკურორის დანაშაულს იძიებს პროკურატურა. ყველა ასეთი ცვლილება ემსახურება საპროკურორო სახელმწიფოს გაძლიერებას. თქვენ გახსოვთ, ალბათ, რესპუბლიკელების განცხადებები იმის თაობაზე, რომ მათი გამიჯვნა ნაციონალური ხელისუფლებისგან დაიწყო მაშინ, როცა სააკაშვილის რეჟიმმა სასამართლო ხელისუფლებას ჩამოაშორა პროკურატურა, მას შემდეგ დაიწყო დაჭერები. ისევ იმ ხალხს ვეკითხები, თუ მაშინ არ გვატყუებდნენ, ახლა რატომ არ აკეთებენ იგივეს? მე იმედი მქონდა, რომ, თუ პროკურორი რამე სისულელეს ჩაიდენდა, თეა წულუკიანის იმედი მქონდა, რომ ის გამოიძიებდა. დღეს უსუფაშვილის პარლამენტმა გააძლიერა პროკურატურის უფლებები. როგორ შეიძლება, ახლა ამ ადამიანებს რამეში ენდო?

**– მართლა ფიქრობთ, რომ დღეს სიტუაცია გაუარესდა? თუ აპროტესტებთ იმას, რომ არაფერი შეცვლილა?**

– არც სააკაშვილის ხელისუფლება ხვრეტდა ხალხს ქუჩებში პირველ წელს. „ოცნებამ" იჩქარა და ხელისუფლების პირველივე ეტაპზე პროკურატურისგან საკანონმდებლო დონეზე შექმნა მონსტრი. ამბობდნენ, რომ სისტემური დანაშაული იყო ქვეყანაში. ამ დანაშაულს პროკურატურა არ ქმნიდა? თუ პროკურატურა არ ართმევდა ხალხს ქონებას? ის ხალხი, ვინც ჩემსა და თქვენს დევნაში იყო შემჩნეული, დააწინაურეს. როცა ივანიშვილი წინასაარჩევნოდ იტყუებოდა, სამართლიანობის აღდგენით მოვდივართო, მას რომ ეთქვა, ხელისუფლებაში მოვალ და მივცუნცულდები კოტე კუბლაშვილთან, ვეტყვი, შენ ხარ ის კაცი, ვინც სასამართლო რეფორმა უნდა დაასრულოს, გენდობი, მაგარი ბიოგრაფია გაქვსო, ვინმე ხმას მისცემდა? რომ ეთქვა, პროკურატურას გავაძლიერებო, ის ხელისუფლებაში მოსვლას შეძლებდა? რომ ეთქვა, ადვოკატების უფლებებს შევასუსტებო... ივანიშვილი საარჩევნო აფიორით მოვიდა. სააკაშვილის რეჟიმმა არჩევნები იმიტომ წააგო, რომ იყო გირგვლიანის, რობაქიძის, გამცემლიძის, ვაზაგაშვილის საქმე და ეს ყველაფერი პოლიციის ზღვარგადასულ ძალადობას უკავშირდებოდა. მაგრამ ეს ყველაფერი დაიწყო სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლიდან ორი წლის შემდეგ. პირველ წელს არც ივანიშვილი გვხოცავს და გვაუპატიურებს, მაგრამ იგივეს აკეთებს, რასაც ამავე პერიოდში სააკაშვილის რეჟიმი აკეთებდა.






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სონა ნონ გრატად გამოცხადებას მოითხოვს



# მიდის თუ არა პოლიტიკაში ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე?

**„თუ ჩვენ ვამბობთ, რომ სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი და კუბლაშვილი იყო რეჟიმი, მე იმ უფლებადამცველების არ მესმის, რომლებიც ივანიშვილს შუქურას ეძახიან“**

**„დღეს ივანიშვილს ყველაზე მეტად აწყობს, რომ პარლამენტში ჰყავდეს „ნაციონალური მოძრაობა“. ეს მისთვის არის თვალსაჩინოება ხალხის შესაშინებლად, რომ, თუ ის არ იქნება, ისევ ნაციონალების ხელში აღმოვჩნდებით. ასე რომ, მეთოდები იგივეა“**

ამიტომ მე მათ შორის განსხვავებას ვერ ვხედავ. დგას და ამბობს, სამოქალაქო საზოგადოებაში უნდა წავიდეო. სამარცხვინოა, ვის რაში სჭირდება ის სამოქალაქო საზოგადოებაში? ამ განცხადების ავტორი საპროკურორო სახელმწიფოს ქმნის.

**– ადამიანებს უნდა გაუჩნდეთ სამართლიანობის აღდგენის შეგრძნება მერაბიშვილისა და ახალაიას დაპატიმრებით და გირგვლიანის საქმის გახსნით?**

– როდესაც მუსოლინის რეჟიმი წავიდა, მის მოსამართლეებსა და პროკურორებს უფლება არ ეძლეოდათ, ეკლესიაში ხალხის გვერდით დამდგარიყვნენ, ცალკე ადგილი ჰქონდათ გამოყოფილი. ჩვენ უფრო ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება ვართ, ვიდრე იტალია? ამ ხელისუფლებამ ყველა დატოვა თავის ადგილზე, ვისაც სიბინძურეში ჰქონდა ხელი გასვრილი. იცით, რატომ? როცა ივანიშვილს იგივეს გაკეთება დასჭირდება, უკვე გამობრძმედილ კადრთან ექნება საქმე. მე ამის საშიშროებას აშკარად ვგრძნობ.

**– გამოითქვა მოსაზრება, რომ პოლიტიკაში წასვლას აპირებთ...**

– მე ივანიშვილის შექმნილ ოპოზიციაში რომ წავიდე, საკუთარი თავი შემზიზღდება. როცა ასოციაციის თავმჯდომარე გავხდი, სააკაშვილის ხელისუფლება მილიონ ევროს მთავაზობდა. გამომიგზავნეს შალვა ხაჭაპურიძე ამ წინადადებით, თუ მოვიგებდი, გადავმდგარიყავი. შემდეგ პოლიციის პოლკოვნიკი ჩადის ქუთაისში ბონდო შალიკიანთან და ეუბნება, ამ ფულს ზაზა არ აიღებს, შენ მოგცემთ და თან შენს შვილსაც გამოვუშვებთო, რომელიც იმ დროისთვის დაკავებული ჰყავდათ. ეს იმ დროს ხდება, როდესაც საჯაროდ მოვითხოვე სააკაშვილის პერსონა ნონ გრატად ცნობა. ლუკაშენკოს 4 ადვოკატი ჰყავდა ციხეში, როცა სააკაშვილს 111 ჰყავდა იგივე დროს. ასე რომ, ადამიანის უფლებებს რაც ეხებოდა, ამ საქმეში უკან დახევა არ ვიცოდი.

**– შალიკიანმაც უარი თქვა ფულზე?**

– აქეთ მითხრა, არ დასთანხმდე, შენი იმედი აქვს ხალხს და ასეთი რამ არ გააკეთოო. მათ ჯერ ნახევარი მილიონით დაიწყეს, მერე აწიეს თამასა. მაგრამ მე ეს არ გამიკეთებია. თუმცა ახლა რომ ვუყურებ, ეს რომ გამეკეთებინა და მერე პოლიტიკაში წავსულიყავი, ხალხი მაინც ყველაფერს მაპატიებდა. როგორც ივანიშვილს შერჩა მიშა სააკაშვილის დაფინანსება და ძალიან ბევრი რამ აპატიეს დღეს კოალიციაში შემავალ პირებს... გამოდის, რომ ის მილიონი რომ ამეღო და მერე „ქართულ ოცნებაში“ შევსულიყავი, ხალხი ტაშს დამიკრავდა. როდესაც მე ჩამოვიყვანე ევროპის ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორია და მან თქვა, რომ საქართველოში ადვოკატურა რისკის სფეროა, ეს იყო პრეზიდენტისთვის შოკი. მერე ევროპის ადვოკატთა ასოციაციის სამართლის საბჭოს პრეზიდენტმა ძალიან კრიტიკული წერილი მისწერა სააკაშვილს. შემდეგ თომას ჰამერბერგს შევხვდი და იდება დასკვნა, რომ ადვოკატურა რისკის სფეროა საქართველოში. ამაზე სააკაშვილი სულ გაგიჟდა. ერთი თვის შემდეგ ობსერვატორია ისევ ჩამოდის და უარეს დასკვნას დებს. როდესაც ივანიშვილი შემოდის პოლიტიკაში, სააკაშვილის რეჟიმს ჩემი დაპატიმრება აქვს გადაწყვეტილი და ადვოკატებს აიძულებენ, რამე დაწერონ ჩემი სახელის შესაბღალად. ერთ ადვოკატს, ლალი ჯიმშელაშვილს რომ შესთავაზეს იგივე, ხერხს მიმართა, – იმდენი მაქვს ხატიაშვილზე დასაწერი, თქვენი დაწერა რად მინდაო. გამოუშვეს. მაშინვე დამიწერა განცხადება, რომ ასეთი რამ ხდებოდა, აიღო ბილეთი, ჩავიდა ბრიუსელში და ჩაბარდა... მე მოვძებნე ეს გოგონა. 2012 წლის თებერვალში ჩავატარე პრესკონფერენცია, მივმართე მთელ ევროპულ მედიას, რომ მივესალმებოდი 21-ე საუკუნის ჰიტლერის სახელმწიფოდან და ჩავრთე ეს გოგონა. მას ბრიუსელმა პოლიტიკური თავშესაფარი უვადოდ მიანიჭა. ასე დავადასტურე, რომ საქართველოში ადვოკატების ინსტიტუციონალური დევნა მიმდინარეობდა. ოფიციალურმა ბრიუსელმა დამიჯერა. იმ მომენტში ჩემი აქტივები ძალიან მაღალი იყო და „ქართული ოცნებიდანაც“ მქონდა შეთავაზება.

**– რა ტიპის?**

– ვერ დაგიკონკრეტებთ, მაგრამ შემიძლია, გითხრათ, რომ საკმაოდ მსუყე შეთავაზებები მქონდა. მე მათ ვუთხარი, რომ არ ვაპირებდი ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მანდატით ვაჭრობას. 2012 წლის თებერვალში პატივცემულ ბიძინას შევუთვალე, – მე სააკაშვილის რეჟიმს ვებრძვი და თუ თქვენც რეჟიმი გახდებით, იგივე დამოკიდებულება მექნება თქვენს მიმართაც-მეთქი. იმ დროისთვის საქართველოში ჩამოდის მსოფლიო ადვოკატთა ასოციაცია, რომელსაც 2 წელი ველოდი. პალიკო კუბლაშვილმა მათ უთხრა, რომ თითქოს პოლიტიკაში ვაპირებდი წასვლას, ამიტომ აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს და ითხოვს პრეზიდენტის პერსონა ნონ გრატად გამოცხადებასო. ამ დროისთვის ამ მოთხოვნით საბუთები უკვე ორჯერ მქონდა შეტანილი, მათ შორის მაშინაც, როცა ივანიშვილი პოლიტიკაში ჯერაც არ იყო გამოჩენილი. ამით დავარწმუნე უცხოელები, რომ კუბლაშვილი იტყუებოდა. რამდენიმე თვეში „ოცნებამ“ გამივრცელა ინფორმაცია, რომ თითქოს სიღნაღში ვიყრიდი კენჭს. ამიტომაც ვამბობ, რომ ხელისუფლების ხელწერა არ შეცვლილა. სააკაშვილის ხელისუფლებაც იგივეს მაბრალებდა. შოკი იყო ეს ჩემთვის, თუმცა მაშინ „ოცნებას“ არ დავუპირისპირდი და განვაცხადე, რომ ეს, ეტყობა, მერაბიშვილის აგენტებმა გაავრცელესმეთქი. მე რომ ეს გამეკეთებინა, დავლუპავდი ადვოკატთა კორპუსს, და მათ, ვინც ციხეში იყო და ჩემი იმედი ჰქონდა. ეს რომ გამივრცელეს, ხომ ვიცოდი, ამას რა მოჰყვებოდა? ერთ დღეში მოვიდა მსოფლიო ადვოკატთა ასოციაციიდან წერილი, რომ მოვლენებს ოქტომბრის არჩევნებამდე დააკვირდებოდნენ და მანამდე დასკვნისგან თავს შეიკავებდნენ. მიუხედავად უამრავი არგუმენტისა, მათ მაინც შეიკავეს თავი არჩევნებამდე საქართველოში ჩამოსვლისგან. ერთი სიტყვით, ამდენი წლის შრომა წყალში ჩამეყარა. საბოლოოდ მსოფლიო ადვოკატთა ასოციაცია სამ ნოემბერს ჩამოვიდა და ადვოკატ დავითაშვილის პატიმრობა შეაფასა ხელისუფლების სირცხვილად. შეხვდა იუსტიციის მინისტრის მოადგილეს და მოითხოვა, კანონმდებლობაში შესულიყო ცვლილება ადვოკატისა და პროკურორის უფლებების გათანაბრების შესახებ...

**– მაგრამ სააკაშვილის პერსონა ნონ გრატად გამოცხადებას მაინც ვერ მიაღწიეთ...**

– სააკაშვილის რეჟიმი დასამარდა. მე მივაღწიე იმას, რომ მის ხელისუფლებას უცხოელები რეჟიმად მოიხსენიებდნენ, მივაღწიე, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ევროსტრუქტურებში მისაღები ფიგურა გახდა... თქვენ როგორ გგონიათ, ახლა გავჩერდები? მე ვაპირებ, რომ ივანიშვილი გამოცხადდეს პერსონა ნონ გრატად, რადგან მისი გადაწყვეტილება მთავრობის სხდომაზე პირდაპირ კავშირშია მოწმე მიქაუტაძის გარდაცვალებასთან. გაგიგიათ, ასეთი გადაწყვეტილებები მთავრობის სხდომებზე მიიღებოდეს? ამას ვაპატიებ ივანიშვილს? მთელ მსოფლიოს გავაგებინებ, ვინ გვყავს პრემიერ-მინისტრად.

**– ბოლოს და ბოლოს, პოლიტიკაში მიდიხართ?**

– არა, დეკემბერში კენჭისყრას ვაპირებ ისევ ასოციაციის თავმჯდომარეობაზე. სააკაშვილი და ივანიშვილი ერთნაირი მეთოდებით მებრძვიან. მაშინაც დამაბრალეს, პოლიტიკაში მიდისო და ახლაც იგივეს ამბობენ. მანანა კობახიძეს გააკეთებინეს ამაზე განცხადება. ვაი, ის საცოდავები, მე რომ პოლიტიკა მინდოდეს, ისინი იქნებოდნენ იქ და მე არ ვიქნებოდი?

**– თუ ვერ გაიმარჯვებთ?**

– მაშინ ვიქნები რიგითი ადვოკატი. მგონი, არავინ იტყვის უარს ჩემს მომსახურებაზე. დღეს ივანიშვილის ხელისუფლება, სააკაშვილის ხელისუფლების მსგავსად, ცდილობს ადვოკატების დაკითხვაზე დაბარებას. პირადად შევხვდი კბილაშვილს. ის წესიერი კაცია და მან პირადად გააფრთხილა ყველა პროკურორი, ასეთი რამ აღარ განმეორებულიყო. მან პირობა შეასრულა. ახლა, როდესაც ამ ხელისუფლებამ ვერაფრით გამაჩერა, დაიწყეს იმის მტკიცება, ზაზა ხატიაშვილი პოლიტიკაში მიდისო. ნეტა პრეზიდენტის არჩევნებში ხომ არ უნდა მივიღო მონაწილეობა? ივანიშვილის ხელისუფლებისგან განსხვავებით, სააკაშვილის დროს ამაზე განცხადებებს პარლამენტის თავმჯდომარე და მისი მოადგილე არ აკეთებდნენ. ამათ პირდაპირ მაჩვენეს, – „ჩვენ ამაზე ვიმსჯელეთ, „ვერხუშკამო“ და ასე გადავწყვიტეთო“. ეტყობა, ძალიან უნდათ, რომ პოლიტიკაში წავიდე, მერე რომ თქვან, აი, რატომ იბრძოდა ხატიაშვილიო. ანუ თქვან იგივე, რასაც მე მათზე ვამბობ. რა უნდა შემომთავაზონ ახლა მე, ვთქვათ, ყველაზე დიდი – მთავარი პროკურორობა. პროკურორი 500 პროკურორის პროკურორია, მე ვარ 4000 ადვოკატის თავმჯდომარე. კულტურის მინისტრად თუ უნდათ, რომ დამნიშნონ, არ ვიცი. იუსტიციის მინისტრი კი საქართველოს ახლა რომ ჰყავს, უახლეს ისტორიაში მისი ნახევარი მინისტრი არ ჰყოლია. აქედან გამომდინარე, რა თანამდებობა შეიძლებოდა მდომოდა მე და ვერ მივიღე?

**– ივანიშვილმა თქვა, რომ, თუ ნაციონალები არ იქნებიან, ოპოზიცია მის წიაღშივე წარმოიშობა... იქნებ ამას უმიზნებთ?**

– კარგით, რა, ეს ჩემთვის შეურაცხყოფაა. არც ერთ შემთხვევაში არ მოვხვდები „ნაციონალურ მოძრაობაში“ და ივანიშვილის გუნდში. მე მაქვს ერთი შემოთავაზება ევროპის ერთ-ერთ საადვოკატო ფირმაში 8000-ევროიანი ხელფასით, ადვოკატებს უნდა ვასწავლო წამების საკითხებზე ევროსასამართლოში საქმის გასაჩივრება, დაქვითვების გარეშე. პლუს, კვება და სასტუმრო. ამას გარდა, ევროპის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ გამიკეთა შეთავაზება. ევროპის ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორია მეუბნება, ჩვენი ექსპერტი იყავიო. გიჟი უნდა ვიყო, პოლიტიკაში რომ წავიდე, სადაც 2500 ლარი აქვთ ხელფასი. ერთი სიტყვით, მომავალში რა მოხდება, არ ვიცი, მაგრამ ახლა ჩემი ერთადერთი სურვილი ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნებში გამარჯვებაა. მე რომ ახლა პოლიტიკაში წავიდე, ისეთივე ნაძირალა ვიქნები, როგორ ნაძირალადაც მიმაჩნია ყველა ის ადამიანი, ვინც თავის დროზე მკვეთრ განცხადებას მხოლოდ პოლიტიკაში წასვლის მიზნით აკეთებდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სკანდალური ინტერვიუ

## რა მოხდა 10 ივლისს ღამის კლუბ „პალმებში“ და როგორ გაუსწორდნენ ძმები აბესაძეები ყოფილ პოლიციელს?

მირიან ბოქოლიშვილი

**ბაჩო ახალაიას საქმეში ერთ-ერთი მთავარი მოწმე, ზვიად აბესაძე შესაძლოა, დააპატიმრონ... მის წინააღმდეგ საქმე ძველი თბილისის შს სამმართველომ მოქალაქე გელა მებონიას საჩივრის საფუძველზე აღძრა. მებონია ზვიად აბესაძესა და მის ძმას, მუქარასა და ფიზიკურ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს. შინაგან საქმეთა მინისტრს კი საქმის პირად კონტროლზე აყვანას სთხოვს. გელა მებონია 2007 წლამდე კრიმინალურ პოლიციაში მუშაობდა და პირადად მონაწილეობდა აბესაძეების კუთვნილი ღამის კლუბის დახურვაში, რომელიც, მისი თქმით, რეალურად პროსტიტუციის კერას წარმოადგენს.**



გელა მებონია: „მივმართავ ირაკლი ღარიბაშვილს, პირად კონტროლზე აიყვანოს ეს საქმე“

### ბაჩო ახალაიას საქმეში მთავარი მოწმის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა

**„აბესაძეები ქალაქის ცენტრში ფლობენ დანაშაულებრივ დაწესებულებებს, სადაც ყვავის პროსტიტუცია, ტრიალებს ნარკოტიკები და იარაღი“**

მაშ ასე, რა მოხდა 10 ივლისს ღამის კლუბ „ორ პალმაში“? როგორ ემუქრებოდა ახალაიას საქმის მთავარი მოწმე კრიმპოლის ყოფილ თანამშრომელს და რა კავშირი აქვს მას მთავარ პროკურორთან? „პრაიმტაიმი“ დაზარალებულ გელა მებონიას ესაუბრა:

– ის, რაც მოხდა სულ რამდენიმე დღის წინ, ეს იყო უაღრესად შეურაცხმყოფელი ჩემთვის და პირდაპირ, თქვენი გაზეთის მეშვეობით მოვითხოვ სწრაფ და ადეკვატურ რეაგირებას. მოკლედ, 10 ივლისს მე და ჩემი 16 წლის ვაჟი ვმოძრაობდით ჩემი ავტომანქანით კოსტავას ქუჩაზე, სანაპიროს მიმართულებით. „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე მანქანას აუდუღდა წყალი, იქვე მდებარეობს სადღეღამისო ავტოსამრეცხაო, გამოვცვალე წყალი და ველოდი ძრავის გაციებას. მანამდე იქვე მდებარე ღამის კლუბ „ორ პალმაში“ შევედი წყლის საყიდლად, სადაც შემხვდა ჩემი მეგობარი, რომელიც დიდი ხნის უნახავი მყავდა. შემომთავაზა, ყავა დავლიოთო. დაახლოებით 5 წუთში მესმის გინება და უწმაწური სიტყვები, შენობაში შემოდის პიროვნება, ვინმე ზაზა აბესაძე, რომელიც გვაგინებდა იქ მყოფებს. დამშვიდებისკენ მოვუწოდე, რა დროსაც მოულოდნელად სახეში მუშტი დამარტყა და წამიერად გონება დავკარგე. ეს პიროვნება იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში და ალბათ, გააღიზიანა იმ ფაქტმა, რომ წინა ხელისუფლების დროს მე ვმონაწილეობდი ამ ღამის კლუბის დახურვაში, რადგან რეალურად ეს გახლავთ პროსტიტუციის ბუდე. ეს კლუბი ეკუთვნოდა და ამჟამადაც ეკუთვნის მის ძმას, ზვიად აბესაძეს, რომელიც გახლავთ ცნობილი კრიმინალი.

**– ეს ის ზვიად აბესაძეა, რომლის გატაცებასა და ფიზიკურ შეურაცხყოფასაც ედავებიან ბაჩო ახალაიას?**

– დიახ, ეს სწორედ ის აბესაძეა, რომელიც მთავარ მოწმედ ფიგურირებს ბაჩო ახალაიას საქმეში.

**– და რას გერჩოდათ მისი ძმა?**

– ხომ გითხარით, ალბათ, ძველი ისტორია ჰქონდა ჩადებული გულში. ძირს დაგდებულს მირტყა ფეხები და გაიძახოდა, – შე, ძაღლო, შენი დრო უკვე წავიდა, ეს კლუბი არის ჩემი ძმის და შენ აქ რას აკეთებო. მივხვდი, რომ სიტუაციის გართულება არ შეიძლებოდა, ნასვამი გახლდათ და აშკარა პროვოკაციაზე მოდიოდა. გვერდით მდებარე შენობის დაცვის თანამშრომლებმა გააკავეს, მე ხმა არ ამომიღია, რადგან იქ მათ ჰყავთ მეძავი ქალები და შესაძლოა, ეს ყველაფერი ჩემს წინააღმდეგ გამოეყენებინათ. ეს არის ნარკომანიისა და პროსტიტუციის ბუდე, სადაც ტრიალებს იარაღი და დანები. ეს ყველაფერი მდებარეობს თბილისის ცენტრში, ლაგუნა ვერეს გვერდით, სადაც ჩვენი შვილები დადიან. როგორც იქნა, ეს პიროვნება ჩასვეს მანქანაში და გააცილეს ტერიტორიას. ვიფიქრე, პატრული გამომეძახებინა, მაგრამ ბავშვს რომ შევხედე, შოკურ მდგომარეობაში იყო. ჩავსვი მანქანაში, სახლში ავიყვანე, 15 წუთში დავბრუნდი და გამოვიძახე საპატრულო პოლიცია. ამ დროს მირეკავს კრიმინალი ზვიად აბესაძე, ზაზა აბესაძის ძმა, ამ ბორდელის რეალური მეპატრონე. რატომ ვამბობ, რომ კრიმინალია? ეს პიროვნება წარსულში ნასამართლევია ყაჩაღობაზე, ქონების გამოძალვასა და თაღლითობაზე. სამწუხაროდ, დღეს მან დაიბრუნა ჩამორთმეული ქონებები და აგრძელებს პროსტიტუციისა და კრიმინალის ხელშეწყობას. მისი ერთ-ერთი ბორდელის დახურვის ოპერაციაში პირადად ვმონაწილეობდი, ამიტომ კარგად მიცნობდა თავადაც. სანამ საპატრულო პოლიცია მოვიდოდა, მირეკავს და მეუბნება: შე ძაღლო, ვერ მიხვდი, რომ შენი დრო დამთავრდა, მკიდია შენი პატრულიც და პოლიციაც, ხუთ წუთში მოვდივარ, დამხვდი, თორემ მიწიდან ამოგთხრი, „ორ პალმას“ შორის უნდა დაგმარხოო. ამას მეუბნება მე, ყოფილ პოლიციელს, კრიმინალი აბესაძე. ამასობაში მოვიდა საპატრულო ეკიპაჟი, მოხდა ჩემი დაკითხვა და ოქმის შევსება. 5 წუთში კლუბთან გამოჩნდა ზვიად აბესაძის კუთვნილი ჯიპი, საიდანაც გადმოვიდნენ თავად და სამი შეიარაღებული პირი. საერთოდ არაფრად ჩათვალა პატრულის თანამშრომლები, დაიწყო კვლავ გინება და შეტევა ჩემზე. ცდილობდა ჩემს პროვოცირებას, მაგრამ არ წამოვეგე. პოლიციის თანამშრომელს ვთხოვე, დამატებითი ეკიპაჟები გამოეძახა. სამ წუთში მოვიდნენ ისინიც, თუმცა ვერც ამან შეაკავა, მოკვლით მემუქრებოდა. „ტრაბახობდა“, – ბიჭო, შენ არ იცი, რომ არჩილ კბილაშვილი ჩემი მეგობარია, ვერ ხედავ, მისი დაცვა დამყვება, დედას გიტირებო. მისი ბორდელის წინ დამარხვით მემუქრებოდა. მასთან იმყოფებოდნენ პიროვნებები, რომელთაგან ორი, სხვადასხვა კრიმინალური საქმიანობისთვის, წარსულში დაკავებული მყავდა.

**– ამ ფაქტზე საქმე აღიძრა?**

– დიახ, ძველი თბილისის რაიონული სამმართველოს ვერის განყოფილებაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მივმართავ, შინაგან საქმეთა მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს, დროული და ადეკვატური რეაგირება მოახდინეთ ამ ფაქტზე, აიყვანეთ ეს საქმე პირად კონტროლზე და დაიცავით ყოფილი პოლიციელის მუნდირი და არა კრიმინალი ძმები, აბესაძეები. მე მაქვს იმედი და მჯერა, რომ შინაგან საქმეთა დღევანდელი სამინისტრო ამ ამბავს დროულად მიხედავს. ექსპერტიზა ჩატარებულია, სხეულზე დაზიანებები ნანახია, ასევე სამოსზე. თქვენი გაზეთით მივმართავ ირაკლი ღარიბაშვილს: ბატონო ირაკლი, ვიცი, რომ თქვენ გსურთ პოლიციის აღმშენებლობა და მოწოდებული ხართ კრიმინალთან ბრძოლისთვის, ნუ წაუყრუებთ ამ საქმეს და პასუხი აგებინეთ აბესაძეებს, რომლებიც არა მხოლოდ მე გამისწორდნენ, არამედ ქალაქის ცენტრში ფლობენ დანაშაულებრივ დაწესებულებებს, სადაც ყვავის პროსტიტუცია, ტრიალებს ნარკოტიკები და იარაღი. ნუ დაიყენებთ გვერდით ისეთ ადამიანებს, რომლებიც სათანადოდ არ რეაგირებენ ამ კრიმინალური დაჯგუფების წინააღმდეგ.

„პრაიმტაიმი“ შეეცადა, აბესაძეებს დაკავშირებოდა, თუმცა ისინი ჟურნალისტებთან არ კონტაქტობენ. ჩვენი სატელეფონო ზარები უპასუხოდ დატოვა ზვიად აბესაძემ, თუმცა მას პასუხების გაცემა, ალბათ, მაინც მოუწევს, ოღონდ ამჯერად სამართალდამცველების კითხვებზე.




**„ზვიად აბესაძე სამ შეიარაღებულ პირთან ერთად მოვარდა კლუბში... ბიჭო, არ იცი, რომ არჩილ კბილაშვილი ჩემი მეგობარია, ვერ ხედავ, მისი დაცვა დამყვება, დედას გიტირებო...“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# Უ ყოფილ ძალოვანთან

## შემთხვევის ადგილზე მყოფი კრიმპოლის თანამშრომელი ზურაბ ვაზაგაშვილის საქმეზე ალაპარაკდა

**დაზარალებული გელა მებონია 2007 წლამდე ძველი თბილისის კრიმინალური პოლიციის განყოფილებაში მუშაობდა და არაერთი გახმაურებული ფაქტის მომსწრეა. მან პოლიციის უწყება კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ პროტესტის ნიშნად დატოვა. „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში მებონია ზურაბ ვაზაგაშვილის საქმის სკანდალურ დეტალებს ამხელს და მზადაა, ამ საკითხთან დაკავშირებით საგამოძიებო ორგანოებს ჩვენებაც მისცეს. იმ დღეს მებონია თავად იმყოფებოდა კორტებთან და როგორც ის ყვება, ვაზაგაშვილის ავტომობილიდან სროლა საერთოდ არ განხორციელებულა, პოლიციის მაღალჩინოსნები კი ავტომობილში იარაღის ჩადებას გეგმავდნენ. ინფორმაცია, რომელსაც „პრაიმტაიმს“ კრიმინალური პოლიციის შემთხვევის ადგილზე მყოფი თანამშრომელი აწვდის, გამოძიებისთვისაც და გარდაცვლილის ოჯახისთვისაც სიახლეა.**

**გელა მებონია:**

– პოლიციის რიგებიდან წამოვედი კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ, როდესაც ვაზაგაშვილი და მისი თანმხლები პირები უმოწყალოდ ჩაცხრილეს. მე უშუალო მომსწრე გახლდით ამ სპეცოპერაციის, ვინაიდან წარმოვადგენდი ძველი თბილისის კრიმინალურ პოლიციას და ზუსტად ორ წუთში გამოვცხადდით ადგილზე. ვახდენდით პერიმეტრის კონტროლს. ყველაფერი მახსოვს და შემიძლია, დეტალურად მოგიყვეთ, რაც იქ მოხდა. ამ ფაქტის შემდეგ წავედი თბილისის მთავარ სამმართველოში, ჩავაბარე სამსახურებრივი მოწმობა და დავტოვე პოლიციის სტრუქტურა. იქ სხვა ფაქტორებიც იყო, რომლებზეც ცალკე მოგახსენებთ. ეს იყო ჩემი პროტესტი. იძულებული გავხდი, საქართველოდან საერთოდ წავსულიყავი.

**– და შეგიძლიათ, გაიხსენოთ, რა მოხდა რეალურად მაშინ კორტებთან?**



> **„ახლა რასაც გეტყვით, პირველად ვამბობ და თუ საჭიროა, შესაბამის ორგანოებსაც მივცემ ჩვენებას“...**

– მოხდა ის, რომ არაპროფესიონალურად იყო დაგეგმილი ოპერაცია. მაგ ბიჭების აყვანა შეიძლებოდა სრულიად მშვიდობიანად, გასროლის გარეშე. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ მათი ავტომობილიდან არ ყოფილა გასროლა, სროლა დაიწყო პოლიციამ. ეს ოპერაცია ტარდებოდა ისე, რომ საქმის კურსში არ იყო ძველი თბილისის სამმართველო. არც ქალაქის სამმართველოს უფროსისთვის, მერაბ ბაღათურიასთვის უთქვამთ რაიმე. როდესაც ჩვენ გამოვხატეთ ამაზე უკმაყოფილება, მოგვიწია სამსახურის დატოვება, მათ შორის ბაღათურიასაც, თამაზ ვასაძესაც და მოგვადგნენ ჩვენც.

**– ზეწოლა იყო თქვენზე?**

– ზეწოლა იყო, ცხადია. ეს ზეწოლა მოდიოდა ზედა რგოლებიდან. თამაზ ვასაძის ადგილას დაგვინიშნეს უფროსი ლეიტენანტი ირაკლი ყიფშიძე, რომელიც საერთოდ არ იყო საქმის კურსში კრიმინალური პოლიციის. გავიხსენებ ერთ-ერთ სპეცოპერაციას, რომელიც უნდა ჩაგვეტარებინა კოსტავას ქუჩაზე მდებარე ლომბარდში. გვქონდა ინფორმაცია, რომ ამ ლომბარდში მოქალაქეებს ჩაბარებულ ოქროს ნივთებზე აცლიდნენ ბრილიანტის თვლებს და ცირკონს უყენებდნენ. აღმოჩნდა, რომ ეს ლომბარდი ეკუთვნოდა გენერალური ინსპექციის მაღალჩინოსნის ბიძას, რომელიც გახლდათ ირაკლი ყიფშიძის მეგობარი. როდესაც უკვე უნდა აგვეყვანა ლომბარდის ხელმძღვანელობა, ყიფშიძე მოვიდა და მითხრა, რომ თავისუფალი ხარ, დაწერე პატაკი და წადიო. მე მისთვის სამსახურებრივი მოწმობა არ ჩამიბარებია. ამ პერიოდს დაემთხვა ვაზაგაშვილის საქმეც. მივხვდი, რომ აქ დარჩენას უკვე აზრი აღარ ჰქონდა, მივედი მთავარ სამმართველოში, ჩავაბარე მოწმობა და საერთოდ წამოვედი.

**– თქვენ თქვით, რომ სპეცოპერაციის დროს ორ წუთში გამოცხადდით კორტებთან... დღეს, როდესაც ვაზაგაშვილის საქმის ხელახალი გამოძიება მიმდინარეობს, პროკურატურიდან არავინ შეგხმიანებიათ?**

– არა, არავინ დამკავშირებია. ახლა რასაც გეტყვით პირველად ვამბობ და თუ საჭიროა, შესაბამის ორგანოებსაც მივცემ ჩვენებას. როდესაც ადგილზე მივედით, იქ უკვე იმყოფებოდნენ სამინისტროს მაღალჩინოსნები, მათ შორის ამ სპეცოპერაციის მთავარი ორგანიზატორი. მან ამ ბიჭების დასაკავებლად გამოიყენა სპეცრაზმი, ისინი ისროდნენ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან, სადაც მოძრაობდნენ მოქალაქეები, სამარშრუტო ტაქსები და ავტომობილები, ეს ხდება დღისით მზისით. მათი აყვანა შეიძლებოდა წყნარად და სრულიად უმტკივნეულოდ. ეტყობა, მათ ჩათვალეს, რომ თბილისი არის ჩიკაგო, სადაც ხშირია ასეთი ხოცვა-ჟლეტის მოწყობა ქალაქის ცენტრში. რა მნიშვნელობა აქვს, ის პირები კრიმინალები იყვნენ თუ არა? საქართველოს მოქალაქეობა კრიმინალისთვისაც არავის წაურთმევია და მასაც კანონის ფარგლებში უნდა მოექცე.

**– თუმცა საუბარია იმაზე, რომ ავტომობილიდან მათ ცეცხლი გაუხსნეს პოლიციას?**

– არანაირ ცეცხლის გახსნას ადგილი არ ჰქონია. ვერც ერთმა ექსპერტიზამ ვერ დაამტკიცა, რომ მანქანიდან ამოღებული იარაღით იყო გასროლა განხორციელებული. მეტსაც გეტყვით, როდესაც მე ვიმყოფებოდი ადგილზე, სპეცოპერაციის მეთაურებმა დაათვალიერეს უკვე დაცხრილული ავტომანქანა. მანქანა იყო გაჭედილი განათების ბოძსა და ღობეს შორის. საჭესთან იჯდა მძღოლი, უკვე გარდაცვლილი, მის გვერდით სავარძელზე ასევე გარდაცვლილი ახალგაზრდა და უკან მარჯვნივ კიდევ ერთი პიროვნება, რომელიც კვნესოდა. სამინისტროს მაღალჩინოსნებმა პირველადი დათვალიერებით მანქანაში იარაღი ვერ იპოვეს და ჩემი ყურით გავიგე მათი საუბარი, იქვე იდგნენ. მათი სახეებიც ვიცი და სახელებიც.

**– და რა საუბარს შეესწარით?**

– საუბარი იყო იმაზე, რომ იარაღი მოეტანათ და ჩაედოთ ამ ბიჭებისთვის. მე მათ ვუთხარი, პერიმეტრს ჩვენ ვაკონტროლებთ და კრიმინალისტების მოსვლამდე მანქანას არ მიეკაროთ-მეთქი, რაზეც მიპასუხეს, შენს საქმეს მიხედეო. ორ წუთში მოვიდნენ ვიღაც პირები, რომლებმაც დაიწყეს მანქანაში იარაღის ჩადება, მაგრამ იმავე დროს მოვიდნენ კრიმინალისტები. როდესაც მანქანის დათვალიერება დაიწყეს, მართლაც აღმოაჩინეს იარაღი, რომელიც მძღოლის ზურგს უკან იყო ჩადებული და პირველად ვერ დაინახეს. მეორე იარაღი მარჯვენა სავარძლის ქვეშ იდო. იქ იარაღი ნამდვილად იდო, მაგრამ სპეცოპერაციის ჩამტარებლებმა ვერ აღმოაჩინეს და დაგეგმეს იარაღის ჩადება. ერთი ამბავი ჰქონდათ, რომ ვერ იპოვეს მტკიცებულება, რითაც ახსნიდნენ სპეცრაზმის გამოყენებას. რეალურად ამ ბიჭებს იარაღი ჰქონდათ, მაგრამ გასროლა არ განუხორციელებიათ, ან როგორ განახორციელებდნენ, როდესაც ერთ გარდაცვლილს ზურგს უკან ედო იარაღი, მეორეს – სავარძლის ქვეშ. ჩასადები იარაღი ადგილზე ჰქონდათ მოტანილი, მაგრამ უკან წაიღეს და ამოიღეს ის, რაც რეალურად იდო მანქანაში. ზუსტად შევნიშნე, რომ მანქანას წინა საქარე მინაზე დაახლოებით შუაში ჰქონდა მოხვედრილი გარედან ნასროლი ტყვია. კრიმინალისტებმა ვერ დაამტკიცეს, რომ შიგნიდან იყო გასროლილი, გარედან კი მანქანას 100-ზე მეტი ტყვია ჰქონდა ნასროლი.

**– საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას აჟღერებთ, რომლითაც, სავარაუდოდ, გამოძიებაც დაინტერესდება... მზად ხართ, იგივე საგამოძიებო ორგანოებში გაიმეოროთ?**

– ამაზე არასდროს მილაპარაკია, მაგრამ, თუ საქმეს დასჭირდა, ამას ყველა იმ ორგანოს მოვუყვები, რომელიც გამომიძახებს.

**– აქამდე რატომ არ საუბრობდით ამ თემაზე?**

– იმიტომ, რომ დღესაც ვხედავ, რომ ძალოვან უწყებებში ბევრი ისეთი ადამიანია, რომელიც, წესით, იქ არ უნდა მუშაობდეს. ადვილი შესაძლებელი იყო, ჩემზე ზეწოლა განხორციელებულიყო.





> **„ორ წუთში მოვიდნენ ვიღაც პირები, რომლებმაც დაიწყეს მანქანაში იარაღის ჩადება“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ გაქრა მთავარი მტკიცე

მარიამ ნადირაძე

**საქმე არ ეხება ბობოლების დანაშაულებრივ სქემას და არც ყოფილი თუ ახალი ხელისუფლების პირველი პირების ინტერესის სფეროს, მაგრამ ეს არის საქმე, რომელიც გამოძიების მეთოდებითა და მიდგომებით ძალიან ჰგავს უახლესი ქართული მართლმსაჯულების ყველა ეტაპის იმ „საქმიან ფაბულას“, რომლის გამოც მედია სამი ხელისუფლების პირობებში საყვედურობდა გამოძიების ორგანოებს. ამ მხრივ, სამწუხაროდ, არაფერი შეცვლილა...**

თუმცა, სტატიის შესავალში გამოტანილ დასკვნას, ალბათ, მაშინ შეგვინდობს მკითხველი, როდესაც მხარეების პოზიციას მისი კითხვის დროს გაეცნობა.

მაშ ასე: მოქმედება ამა წლის 14 მარტს ვანის რაიონის სოფელ მთისძირში, შალვა ანდღულაძის ოჯახში ხდება. უკვე საკმაოდ გვიანია და ღია აივანზე სახელდახელოდ გაშლილი სუფრის წევრებიც ალკოჰოლით მიღებულ სიამოვნებას ერთმანეთის სიძულვილში ზრდიან. გაისმის რამდენიმე გასროლა და ოჯახში სტუმრად მისული მამიდაშვილი, დავით გოგსაძე მძიმე ჭრილობებით ვანის საავადმყოფოში მიჰყავთ, სადაც, სამწუხაროდ, არც ქირურგია, არც ანესთეზიოლოგი და გამოძახებული ექიმი გადაწყვეტილებას იღებს, რომ პაციენტი სამტრედიის საავადმყოფოში უნდა გადაიყვანონ. დავით გოგსაძე გზაში გარდაიცვლება.

რაკი ეს დეტალი მნიშვნელოვანია, მკითხველის ყურადღებას ისევ სუფრის წევრებზე მივაპყრობთ: ბიძაშვილ-მამიდაშვილების გარდა, იქ იმყოფებიან გიორგი მინაშვილი, რომელიც ოჯახის უფროსის შვილის ნათლიაა (ის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელია, კერძოდ კი კონტრდაზვერვის დეპარტამენტის რადიოეთერის კონტროლის სამმართველოს განყოფილების უფროსი), ბენია მინაშვილი – მათი მეზობელი, რომელსაც ორი სახლის მოშორებით გარდაცვლილი მამა უწევს სახლში და მისი ქვისლი, დავით დათაშვილი, რომელიც ნათესავის ოჯახში დაახლოებით ორი კვირის წინ მისივე თხოვნით ჩავიდა თბილისიდან, რათა ქვისლის ავადმყოფი მამისთვის მიეხედა....

15 მარტს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო სამმართველომ დავით დათაშვილი სამტრედიაში, ერთ-ერთ ოჯახში დააკავა, სადაც ის საკუთარი ფეხით მივიდა და განაცხადა, რომ პოლიციას ჩაბარდებოდა.

ერთი შეხედვით მშრალი ისტორია სულაც არ დარჩება მშრალად, თუ საქმეში უკეთ გავერკვევით და აღმოვაჩენთ, რომ გამოძიება, დაინტერესებით თუ საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო, შესაძლებელია, რეალურ სურათს კარგავდეს.



## როგორ ხდება ფაბრიკაცია „ახალ პროკურატურაში“

**დარეჯან დათაშვილი, ბრალდებულის დედა:**

– უკვე 10 წელია, შეერთებულ შტატებში ვცხოვრობ, ამერიკის მოქალაქე ვარ. ჩემი შვილის ცოლ-შვილიც ამერიკაში იმყოფებოდა, ჩემი შვილიც იქ იყო ომამდე... მერე საქართველოში წამოვიდა. როცა ქვეყანას უჭირდა, შორიდან ვერ შეძლო მოვლენებზე დაკვირვება... ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ აქ კიდევ ხდებოდა ისეთი უსამართლობა, რაც ბოლო წლების განმავლობაში გამიგონია...

**– თქვენს ვაჟს იარაღი საიდან ჰქონდა?**

– „ტეტე“ ჰქონდა შენახვის უფლებით... როგორც ჩანს, როცა მისმა ქვისლმა სთხოვა, მამაჩემს ყურადღება მიაქციეო, ვანში ის იარაღიც წაიღო... რაც მოხდა, იმის შესახებ ამერიკაში გავიგე. გულწრფელად გეუბნებით, ჩავთვალე, რომ შვილი აღარ მყავდა და ისიც იმ განსვენებულივით გარდაიცვალა... თუმცა მარწმუნებდნენ, რომ ყველაფერი ისე არ იყო, როგორც ამას გამოძიება ამბობდა. და საჭირო იყო ადვოკატის აყვანა. მირჩიეს ვინმე ნინო მოსეშვილი, თოთხმეტწლიანი საადვოკატო სტაჟით, რომელიც თითქოს ივანიშვილთან მუშაობდა და სერიოზული საქმეები ჰქონდა მოგებული. მას ჩემმა რძალმა 500 დოლარი გაუგზავნა იმისთვის, რომ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებაზე მისულიყო. მას მერე ეს ადვოკატი დამიკავშირდა და მითხრა, თქვენი შვილი პოლიციელებსაც და პროკურორებსაც ძალიან ეცოდებათ. ამბობენ, რომ, თუ მიცვალებულის ოჯახს გააჩუმებთ, საპროცესო შეთანხმებას გაუფორმებენ. ახლა ჯერჯერობით დათოს დანაშაული ვაღიარებინე და მერე საქმეს სხვანაირად მივხედავო. მე თავიდანვე ვუთხარი ამ ადვოკატს, რომ, თუ ის იმ ადვოკატთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც ბოლო 9 წლის განმავლობაში საპროცესო შეთანხმების მიღწევის გარდა, არაფერს აკეთებდნენ, მასთან შევწყვეტდი ურთიერთობას. რაც შეეხება ოჯახის დახმარებას, ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში დავთანხმდებოდი, თუ სიმართლეს აღიარებდნენ. ვთხოვდი, გაეკეთებინა ყველანაირი ექსპერტიზა, გაერკვია, რატომ არ მოხდა ჩემი შვილის შემთხვევის ადგილზე გაყვანა. ამოღებული ტყვიები და მასრები შედარებულია მხოლოდ დანაშაულის მასროთეკასთან. მეტიც, ეს ამოღებული ტყვიები და მასრები საპირისპირო მიმართულებიდან არის ამოღებული. ექსპერტი მეუბნება, ეს ტყვია და მასრა ერთ მთლიანობას შეადგენს თუ არა, ამას ვერ ვადგენთო, რადგან ამის დანადგარი არ ჰქონიათ. მაქვს კითხვა და მგონი, სრულიად ლოგიკური, თუ ეს დანადგარი არ არის ქუთაისში, იქნებ თბილისშია? თუ თბილისში არ არის, არის თუ არა სადმე მსოფლიოში? თუ არა, მაშინ როგორ ადგენენ, რომ ჩემი შვილისგან ნასროლი ტყვიებით არის ის ადამიანი გარდაცვლილი? არ ჰქონიათ მეტალომძებნიც, რომ დანარჩენი ტყვიებიც მოძებნილიყო. ამ ეჭვებს იმ ადვოკატთანაც გამოვთქვამდი, რომ ეს ყველაფერი გამოერკვია. შემთხვევის ადგილზეც კი არ ჩასულა. 2 ათასი დოლარი ისე აიღო ამ ქალმა წინ და უკან სიარულში თბილისსა და ქუთაისს შორის, რომ ჩემგან გატანებული თაფლიც კი არ შეუგზავნია ჩემი შვილისთვის, ესეც კი მომატყუა. ჩემი შვილი კი მეუბნება: ის, რაც საქმეშია, მე არ მომიყოლია, ჩქარ-ჩქარა მომაწერინეს ხელი. მეგონა, იმაზე ვაწერდი ხელს, რაც ადვოკატს ვუამბეო.

**ინგა შარაშენიძე, დავით დათაშვილის ადვოკატი:**

**– ბოლოს და ბოლოს, რეალურად რა მოხდა?**

– სინამდვილეში სუფრა დამთავრებული იყო... დათაშვილი უკვე გასულია და ელოდება ქვისლს, რა დროსაც მოიხედავს უკან და ხედავს, რომ დათუნა გოგსაძე დაჭრილი ჰყავს გიორგი მინაშვილს. გოგსაძე ფეხს ურტყამს სკამს, ეს სკამი გადმოვარდება და გამოექცევა. ერთი ნაბიჯილა აკლია დათომდე, უკან რაღაც უჭირავს და როცა დათომ დაინახა, რომ ის დანა იყო, მაშინ ესროლა იარაღიდან. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ გასროლით გარდაიცვალა ის ადამიანი. როგორც კი ხდება გასროლა, საკუთარ იარაღს აწვდის პოლიციელი გიორგი მინაშვილი ანდღულაძეს. ანდღულაძე მალავს მინაშვილის იარაღს.

**– გინდათ თქვათ, რომ დათაშვილი თავდაცვის პირობებში მოქმედებდა?**

– მინდა გითხრათ, რომ იყო ორმხრივი სროლა. მაგრამ ამ ვერსიაზე გამოძიებას საერთოდ არ უმუშავია. უფრო მეტიც, ეს ინციდენტი ხდება ღამის 12-ის ათ წუთზე. გამოძიებაში კი წერია, რომ პოლიციაში შეტყობინება შევიდა ღამის პირველის ნახევარზე, როდესაც დაჭრილი შეიყვანეს ვანის საავადმყოფოში. მე მაქვს ინფორმაცია გამოკითხვის შედეგად, რომ 12-ის ათი წუთისთვის შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ პოლიციის თანამშრომლები. ჩემთვის უცნობია, ეს ვანის საპატრულოა თუ სამხარეო პოლიციის თანამშრომლები არიან. იქ მყოფებს ეუბნებიან, რომ დათუნა გოგსაძე გადარჩება, მაგრამ არ იწყება არც შემთხვევის ადგილის დათვალიერება და არც შემთხვევის ადგილს იცავს ვინმე. რატომღაც ოთხის თხუთმეტ წუთზე ხდება შემთხვევის ადგილის დათვალიერება, საიდანაც ამოღებულია ორი ტყვია, ორი მასრა და ბრალდებულს ედავებიან, რომ მან სამი ჭრილობა მიაყენა გარდაცვლილს. ერთ-ერთი სახიფათო, რის გამოც ის გარდაიცვალა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დათუნა გოგსაძე სისხლდენით არის გარდაცვლილი და მას ერთი ჭრილობა აღენიშნება სიცოცხლისთვის სახიფათო და არა შეუთავსებელი. რადგან ახლა არსებითი განხილვა მიმდინარეობს, ბევრ რამეს ვერ ვიტყვი... საქმეში ჩანს, რომ გიორგი მინაშვილს აქვს ცეცხლნასროლი დაზიანება მარცხენა ხელზე. მას ექსპერტიზის დასკვნით დაუდგინდა მსუბუქი დაზიანება, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა.

**– ანუ, მასაც მოხვდა ტყვია?..**

– სწორედ ეს არის საქმე და ბევრი რამ საეჭვო ხდება ამ დეტალიდან. როდესაც ბრალდებული დააკავეს და ოქმი შეადგინეს, მისგან ამოიღეს არა ის ტანსაცმელი, რომელიც მას შემთხვევის დროს ეცვა, არამედ აბსოლუტურად სხვა და ექსპერტს წარუდგინეს სულ სხვა ფერისა და სულ სხვა ოდენობის ნივთმტკიცება. ექსპერტიზაზე კიდევ ჩნდება რაღაც ჩანთა, ვერ გეტყვით, საიდან, თითქოს ის დავით დათაშვილს ეკუთვნის. გიორგი მინაშვილს დახმარებას უწევს სამტრედიის საავადმყოფოს ქირურგი. მეორე დღეს კი ექსპერტიზაზე ათვალიერებენ გიორგი მინაშვილის ტანსაცმელს, სადაც ირკვევა, რომ ზედა ტანსაცმლის მკლავი სამტრედიის საავადმყოფოში მოაჭრეს. მაგრამ საქმეში ამის შესახებ არც ერთი საპროცესო დოკუმენტი არ დევს – მოაჭრეს, გადააგდეს, თუ რა ქნეს. არადა სწორედ ეს მკლავია მთავარი ნივთმტკიცება, რომელსაც ითხოვს ტრასოლოგი, რადგან ამით დადგინდებოდა რეალურად სროლის მანძილი, საქმეში არ არსებობს. გიორგი მინაშვილი გამოძიებაში ორჯერ აძლევს ჩვენებას და ორივე ურთიერთსაწინააღმდეგოა. პირველ ჩვენებაში ის ამბობს, რომ კონფლიქტის მხარეებს შუაში ედგა და ხელი აუკრა დავით დათაშვილს იარაღზე, მაგრამ კითხვას არავინ უსვამს, როდესაც ხელი აუკრა, რა მიმართულება მიიღო იარაღმა. მის ტანსაცმელს შეგნებულად არავინ იღებს... მე შემიძლია ვთქვა, რომ გიორგი მინაშვილის ტანსაცმელი არავის გადაუგდია, ის შეგნებულად არ ამოიღო გამოძიებამ... მას არც იმას ეკითხებიან, თავად ჰქონდა თუ არა იარაღი, არც იმას ეკითხებიან, რა ვითარებაში, რა დროს მოხვდა თავად მას ტყვია. დენთის ანალიზსაც არ იღებენ, იმის გასარკვევად, რომ ხომ შეიძლება დავით დათაშვილს იარაღი ჰქონდა და სხვას გამოერთმია? იქნებ ორმხრივი სროლა იყო და სხვისი ტყვია მოხვდა იმ ადამიანს? არც იმაზე გასჩენია ვინმეს ეჭვი, რომ ინციდენტის დროს ადგილზე იმყოფება პოლიციის მაღალჩინოსანი და შემთხვევის შესახებ პოლიციას არავინ ატყობინებს საათ-ნახევრის განმავლობაში. შეგნებულად დაიწყეს დათვალიერება გვიან, რადგან შემთხვევის ადგილი დაელაგებინათ ისე, როგორც საქმეს სჭირდებოდა. მოგვიანებით გიორგი მინაშვილი დამატებით დაკითხეს, რომელმაც აბსოლუტურად შეცვალა ჩვენება და დაუმძიმა დანაშაული დათაშვილს – 108-ე მუხლიდან 109-ე მუხლზე. ეს იცით, რის შემდეგ მოხდა? გიორგი მინაშვილი ბენია მინაშვილთან ერთად იყო მისული დავით დათაშვილის დედასთან და უთხრეს, რომ დათუნა გოგსაძეს ჰქონდა ბანკის ვალი საკრედიტო ბარათებზე და მას ეს თანხები უნდა გადაეხადა. მოგვიანებით მე მივედი შალვა ანდღულაძის ოჯახში, სადაც ეს შემთხვევა მოხდა. მან მოითხოვა ორი ბინა არაყიშვილზე და 40 ათასი დოლარი. დარეჯან დათაშვილმა კატეგორიული უარი თქვა ამაზე და შეუთვალა, რომ შეიძლებოდა ამ წინადადებაზე ეფიქრა, თუ სიმართლეს იტყოდნენ, რეალურად რატომ ვერ მოხერხდა დათუნა გოგსაძის გადარჩენა და საერთოდ რა უძღოდა ამ ყველაფერს წინ. გამოძიებამ იმიტომ არ მოიძია ის მოჭრილი მკლავი და წერილიც არ გაგზავნა საავადმყოფოში, რომ სიმართლე არ დადგენილიყო. ერთი სიტყვით, საქმეში უამრავი საპროცესო დარღვევაა. შალვა ანდღულაძე დარეჯან დათაშვილის დას პირადად დაჰპირდა, რომ პოლიცია და პროკურატურა მათია და მაქსიმუმს მიუსჯიან და რომ, დიახაც, შეკერეს მის წინააღმდეგ 109-ე მუხლი, მაშინ როდესაც არ აქვთ ბალისტიკური ექსპერტიზა, სასამართლოს სამედიცინო ექსპერტიზას არ დაესვა კითხვა, შეიძლებოდა თუ არა ამ პირის გადარჩენა. თუ შეიძლებოდა, მაშინ სულ სხვა დანაშაულზე მიგვითითებს. პოლიციელები რომ მალავენ მისვლის ფაქტს, ამაზე გამოკითხვა მაქვს ჩატარებული... მარტო გამომძიებელი ამ სიყალბეებს ვერ ჩაიდენდა. არაერთი საჩივარი გვაქვს შეტანილი გენერალურ პროკურატურაში მტკიცებულებების ფალსიფიკაციასა და განადგურებაზე. თბილისმა გადაგზავნა შსს-ს გენერალური ინსპექციის დასავლეთის რეგიონალურ სამმართველოში, ერთ-ერთი საჩივარი პირადად დავით სიმონიას გადაუგზავნეს საქმეზე დასართავად. მეორე საჩივარი რეაგირებისთვის ისევ დასავლეთის უფროს პროკურორს გადაუგზავნეს. რეალურად საქმე გვაქვს ერთმანეთისთვის ხელის დაფარებასთან. გამოძიება შვილმკვდარ დედასა და გარდაცვლილის ოჯახს უმტკიცებს, რომ მათი ოჯახის წევრი დავით დათაშვილმა მოკლა დალევის გამო. სიმართლეს არ ეუბნებიან. მაგრამ ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ოჯახმა იცის, რომ იქ ჩხუბი იყო. ერთ-ერთს ურეკავს გარდაცვლილის დედის მეზობელი და ეუბნება, მე ვნახე საქმე, ყოფილი პოლიციელი ვარ, ეს ტყვიები და მასრები



ადვოკატი ინგა შარაშენიძე

**„ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ აქ კიდევ ხდებოდა ისეთი უსამართლობა, რაც ბოლო წლების განმავლობაში გამიგონია...“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბულება მკვლელობის საქმეში?

**„მე შემიძლია ვთქვა, რომ გიორგი მინაშვილის ტანსაცმელი არავის გადაუგდია, ის შეგნებულად არ ამოიღო გამოძიებამ... მას არც იმას ეკითხებიან, თავად ჰქონდა თუ არა იარაღი, არც იმას ეკითხებიან, რა ვითარებაში, რა დროს მოხვდა თავად მას ტყვია. დენთის ანალიზსაც არ იღებენ, იმის გასარკვევად, რომ ხომ შეიძლება დავით დათაშვილს იარაღი ჰქონდა და სხვას გამოერთმია? იქნებ ორმხრივი სროლა იყო და სხვისი ტყვია მოხვდა იმ ადამიანს?“**



დავით სიმონია

EXCLUSIVE

**„აქოშინებული მეუბნებოდა, ახლა სოფლიდან მოშორებით ტყისკენ გავრბივარ, აქ რაღაც კონფლიქტი მომიხდა და იცოდე, თუ რამე მომივიდა, ტყისკენ მეძებეთო...“**

ეკუთვნის პოლიციის იარაღსო... ასე რომ, ოჯახმა ყველაფერი კარგად იცის. ამ საქმეს ვერავინ შეკერავდა პროკურორ დავით სიმონიას გარეშე. წარმოგიდგენიათ, გენერალურ პროკურატურაში ნინო ჟღენტი, ვინც დასავლეთ საქართველოს კურირებს, ჩვენ გვიმტკიცებს, რომ ჩვენების შეცვლა, მთავარი ნივთმტკიცების არამოღება არ ყოფილა საპროცესო დარღვევები. მაშ, რა არის საპროცესო დარღვევა?

„პრაიმტაიმს“ საშუალება მიეცა, რომ ადვოკატისგან შემოთავაზებულ კითხვებზე პასუხები საქმის ზედამხედველი პროკურორისგან მიეღო.

**დავით სიმონია:**

– ეს იყო ჩვეულებრივი ყოფითი სიტუაცია. დავით დათაშვილმა მოკლა სუფრის თამადა, რომელმაც მორიგი სადღეგრძელოს თქმის წინ მოუწოდა სუფრის წევრებს, მათ შორის დავით დათაშვილსაც, რომ სუფრასთან დამჯდარიყო, შეესვა მორიგი სადღეგრძელო და ა.შ. მთვრალ ადამიანებზე გვაქვს საუბარი... ეს გადაიზარდა ურთიერთშეურაცხყოფაში და დათაშვილმა წყნეთიდან ჩამოტანილი ცეცხლსასროლი იარაღიდან სამი გასროლით მოკლა ადამიანი. ეს არის მოკლე ფაბულა.

**– მაგრამ ნაპოვნია მხოლოდ ორი გული და მასრა...**

– სამწუხაროდ, ხდება ხოლმე, რომ ყველა მასრის პოვნა ვერ ხერხდება.

**– ცეცხლნასროლი ჭრილობა მიღებული აქვს სუფრის სხვა წევრსაც, გიორგი მინაშვილს...**

– ექსპერტიზით დადგენილია ის საკითხები, რაც გამოძიებას აინტერესებს. გიორგი მინაშვილს ცეცხლნასროლი დაზიანება აქვს მიღებული იმ ვითარებაში, რაც შეესაბამება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. თავად დაზარალებულის ჩვენებასა და სხვების ჩვენებებსაც.

**– გაქვთ ექსპერტიზის დასკვნა მის ტანსაცმელზე? ტრასოლოგს ხომ უნდა გაერკვია სროლის მანძილი ტანსაცმლის ზედაპირთან ტყვიის შეხებით?..**

– სროლის მანძილი ჩვენ გვაქვს დადგენილი თვითმხილველთა ჩვენებებით. რაც შეეხება იმ მკლავს, ის ოპერაციული ჩარევის დროს დაკარგულა.

**– მინაშვილს ოპერაცია გაუკეთეს?**

– დამუშავება ხომ გაუკეთეს და ამისთვის შეაჭრეს. ჩვენ ამოვიღეთ ის ტანსაცმელი, რაც მას ეცვა... ჩვენ თვითონ სხეულზე ჩავატარეთ ექსპერტიზა...

**– მაგრამ ტყვიის სხეულთან შეხებით ვერ დგინდება სროლის მანძილი...**

– რატომ ვერ დგინდება? ასე პოლემიკაში შევდივართ... ასეთი დეტალური საუბრისგან თავს შევიკავებ, რადგან ახლა საქმის განხილვა მიმდინარეობს და ყველაფრის შეფასება მოხდება სასამართლოს მიერ. სხვათა შორის, აქამდე ეჭვქვეშ არავის დაუყენებია სროლის მანძილი, სანამ დედამისი არ ჩამოვიდოდა ამერიკიდან... სროლის მანძილი დგინდება მოწმეების ჩვენებით. არსებობს ახლო და არა ახლო მანძილი. ეს ვითარება ბრალდებულის დანაშაულის კვალიფიკაციაზე მაინც არ მოახდენს გავლენას.

**– რატომ? ხომ შეიძლებოდა ორმხრივი სროლა ყოფილიყო?**

– ანუ ამბობთ, რომ გარდაცვლილსაც ჰქონდა იარაღი?

**– რატომ ასე ერთმნიშვნელოვნად? იქ სხვებიც იყვნენ, მათ შორის პოლიციის თანამშრომელიც, რომელსაც, დიდი ალბათობით, შეიძლებოდა ტაბელური იარაღი ჰქონოდა...**

– მინაშვილი პოლიციელი არ არის.

**– კონტრდაზვერვაში არ მუშაობს?**

– მას ისეთი სამსახური აქვს, რომ... მით უმეტეს, არასამსახურებრივ დროს ის საერთოდ არ ატარებს იარაღს. მეც მაქვს ცეცხლსასროლი იარაღი, მაგრამ 20 წელია, ხელი არ მომიკიდია.

**– ასე ცალსახად ამის უარყოფა როგორ შეგიძლიათ? ეს გამოძიებით დაადგინეთ?**

– არავის არ ჰქონია იარაღი, დავით დათაშვილის გარდა.

**– მისწერეთ საავადმყოფოს, ოფიციალურად ჰკითხეთ, რა ვითარებაში დაიკარგა ერთ-ერთი მთავარი ნივთმტკიცება, მინაშვილის პერანგის მკლავი?**

– კარგით, მე ახლა გეტყვით ერთ რამეს: სასამართლო განხილვა დამყარებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე. მტკიცებულებებს ორივე მხარე წარადგენს, ბრალდებული მხარის სისუსტეებით ისარგებლებს დაცვის მხარე და პირიქით. როცა ჩვენ საკმარისად ვთვლით ჩვენს მტკიცებულებებს ბრალდებისთვის, ზედმეტ დროსა და რესურსებს აღარ ვხარჯავთ ჩვენთვის მეორეხარისხოვანი მტკიცებულებების მოსაპოვებლად. მას ჩაუტარდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, დადგენილია დაზიანების ხარისხი, სროლის მიმართულება... ამ საქმეს ჰყავს მინიმუმ 4 თვითმხილველი.

**– თავიდან 108-ით იყო დაკვალიფიცირებული დანაშაული და მინაშვილის ჩვენების საფუძველზე დამძიმდა 109-ზე... ამბობენ, რომ მისი პირველი და მეორე ჩვენება ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებულია.**

– არ არის არსებითად განსხვავებული. მეორე ჩვენებაში ექსპერტიზის დასკვნის მიღების შემდეგ დაესვა ისეთი კითხვები, რაც მანამდე მას პირველადი დაკითხვის დროს არ ჰქონია დასმული. მან, უბრალოდ, დააზუსტა და განმარტა გარკვეული გარემოებები. მისი პირველი და მეორე ჩვენება ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება.

**– ექსპერტს დაესვა კითხვა, შესაძლებელი იყო თუ არა დავით გოგსაძის გადარჩენა?**

– ექსპერტს ასეთი კითხვა არ ესმება... საქმეში რომ ყოფილიყო ეჭვი, რომ ადამიანი ექიმების დაუდევრობის გამო გარდაიცვალა, რა თქმა უნდა, გამოძიება დაინტერესდებოდა ამ საკითხით...

**– მაგრამ ეს ეჭვი ხომ შეიძლებოდა მას შემდეგ გაჩენილიყო, როცა ექსპერტი ამ კითხვას უპასუხებდა?**

– დავით გოგსაძე მაშინვე წაიყვანეს ვანის რაიონულ საავადმყოფოში. ძალიან მალე მივიდა მასთან გამოძახებული ქირურგი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება პაციენტის სხვა საავადმყოფოში გადაყვანის შესახებ. სამწუხაროდ, ის გზაში გარდაიცვალა... მთავარი ის არის, რომ დავით დათაშვილს რომ არ ესროლა, ის იქნებოდა ცოცხალი.

**– რამდენადაც ვიცი, დათაშვილი თავისი ფეხით გამოცხადდა პოლიციაში. საქმეში კი გიწერიათ, რომ ოპერატიული ღონისძიების შედეგად დააკავეთ...**

– ის ერთ-ერთ ოჯახში მივიდა და ამ ოჯახის წევრებს უთხრა, რომ უნდოდა პოლიციაში გამოცხადება. ის ოჯახი დაუკავშირდა პოლიციას... დიახ, მან გამოიჩინა ინიციატივა, რომ გამოცხადებულიყო პოლიციაში.

**– ეს ხომ არ ნიშნავს მერე ოპერატიული ღონისძიებით დაკავებას?**

– ოპერატიული მუშაობაც მიდიოდა, მაგრამ მას ინიციატივას ნამდვილად ვერ დავუკარგავთ. საქმის მასალებშიც არის ასახული. ყველა დაკითხულია.

**– ბრალდებულის მხარეს უჩნდება ეჭვი, რომ მიმდინარეობს მტკიცებულებების ფალსიფიკაცია...**

– დიახ, ამ შინაარსის საჩივრები აქვთ შეტანილი ყველა ინსტანციაში.

**– და ყველა ინსტანცია მერე თქვენ გიგზავნით ამ საჩივრებს განსახილველად, კურიოზია, არა?**

– პირველადი საჩივარი დამეწერა მე. შემდგომები – არა...

**– მაგრამ იმ პროკურატურას, სადაც საქმის გამოძიება მიდის...**

– აბა, სხვა რეგიონი საქმის კურსში ვერ იქნება ამ საქმესთან დაკავშირებით... მთავარ პროკურატურას კი საფუძველი არ აქვს, რამეში ეჭვი შეიტანოს. პირდაპირ გეტყვით: ადამიანურად არავის აინტერესებს, ვიღაცის ტენდენციურად და არაობიექტურად დასჯა. ფაქტია, რომ ადამიანი არის მოკლული და სასამართლო შეაფასებს. რაც შეეხება კვალიფიკაციას, კი ბატონო, არის სადავო. საბოლოოდ მაინც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ეს 109-ე მუხლია თუ 108-ე. სხვა – თავდაცვა და გაუფრთხილებლობა ძალიან დაშორებულია საქმის გარემოებებს.

**– გამოძიების პროცესში იმსჯელეთ საერთოდ სხვა კვალიფიკაციაზე – ვთქვათ, თავდაცვაზე?..**

– ერთი ვერსია იყო მხოლოდ, რაც თვითონ ბრალდებულმა მოგვაწოდა, რომ თითქოს გოგსაძე აპირებდა მასზე თავდასხმას და ხელში, სავარაუდოდ, ეჭირა რაღაც ნივთი და მერე თავდაცვის მიზნით ამოვიღე იარაღი, ვერ გავთვალე მიმართულება და ტრაექტორია და საბოლოოდ ეს შედეგი დადგაო. ეს ვერსია იყო, რაც ჰქონდა ბრალდებულს და ჩვენი ვერსია. სხვა ვერსია არ განხილულა.

**ახლა კი სიურპრიზი გამოძიებისთვის: ბრალდებულის ადვოკატმა სამტრედიის საავადმყოფოდან მიიღო წერილი, რომელსაც ხელს აწერს უფროსი ექიმი ირაკლი ლაღიძე:**

„მოგახსენებთ, რომ 2013 წლის 14 მარტს შემოყვანილ იქნა პაციენტი, გიორგი მინაშვილი, რომელსაც ჰქონდა ცეცხლნასროლი ჭრილობა მარცხენა ქვედა კიდურში და მას გაეწია სამედიცინო დახმარება. თქვენი განცხადების საფუძველზე გაცნობებთ, რომ გიორგი მინაშვილის პერანგის მარცხენა მკლავის ნაწილი ჩვენს სტაციონარში არ ინახება და არც გადაგდებულა. აღვნიშნავ, რომ საოპერაციო ველის გასაშიშვლებლად პერანგი გადაიკვეთებოდა სიგრძივად, რაც უფრო მოსახერხებელია და მარტივი და არა ცირკულარულად იდაყვის დონეზე, რაც გვაფიქრებინებს, რომ პერანგის სამკლაური მედპერსონალის მიერ არ მოკვეთილა. პერანგის სამკლავის მოკვეთის ფაქტს ვერ ვიხსენებ“.

მკითხველი, ალბათ, თავადაც მიხვდა ტენდენციას, თუმცა ეს ტენდენცია მეტად გამოიკვეთება, როდესაც იმ მოწმის ჩვენებას წარმოგიდგენთ, რომელიც სასამართლომ დასაშვებ მტკიცებულებად რატომღაც არ მიიღო.

**მაშ ასე, „პრაიმტაიმს“ დავით დათაშვილის მეგობრის მამა, ტარიელ ხუციშვილი ესაუბრება:**

– იმ დღეს დათომ დაახლოებით საღამოს რვა საათზე დამირეკა და მთხოვა, მისი ოჯახის წევრები პანაშვიდზე წამომეყვანა ჩემი მანქანით. შემდეგი ზარი მისგან ძალიან გვიან შემოვიდა. აქოშინებული მეუბნებოდა, ახლა სოფლიდან მოშორებით ტყისკენ გავრბივარ, აქ რაღაც კონფლიქტი მომიხდა და იცოდე, თუ რამე მომივიდა, ტყისკენ მეძებეთო...

**– არ უთქვამს, ვინ მისდევდა?**

– არა, აღელვებული მელაპარაკებოდა, სუნთქვა უჭირდა...

**– თქვენ რატომ დაგირეკათ და არა თქვენს ვაჟს?**

– ჩვენც საკმაოდ მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. თანაც, ეტყობა, ჩემთან იმიტომ დარეკა, რომ ჩემი ნომერი უკვე აკრეფილი ჰქონდა, 4-5 საათით ადრე ხომ დამირეკა?

**– ეს ჩვენება მიეცით პროკურატურას?**

– არავინ მოსულა ჩემთან, თუმცა ადვოკატმა ამ ჩვენებისთვის შუამდგომლობა გააკეთა, მაგრამ, როგორც ვიცი, არ გაიზიარეს.



**„გენერალურ პროკურატურაში ნინო ჟღენტი, ვინც დასავლეთ საქართველოს კურირებს, ჩვენ გვიმტკიცებს, რომ ჩვენების შეცვლა, მთავარი ნივთმტკიცების არამოღება არ ყოფილა საპროცესო დარღვევები. მაშ, რა არის საპროცესო დარღვევა?“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა კადრები მიაწოდეს პროკურა

მირიან ბოქოლიშვილი

**ყოფილი გამომძიებელი გია ალავიძე ე.წ. მატროსოვის ციხიდან დაგვიკავშირდა და მისი საქმის შესახებ გვესაუბრა. ეს ის პიროვნებაა, რომელმაც ფარულად გადაიღო კადრები, როგორ ტოვებდნენ ციხეს გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებული პირები და რა პრივილეგიებით სარგებლობდნენ ისინი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ეს კადრები მოგვიანებით საზოგადოებამ ტელეეთერის საშუალებით იხილა, თუმცა, როგორც ალავიძე ამბობს, კიდევ არსებობს დამატებითი კადრები, რომელიც პროკურატურას მიაწოდა და საზოგადოებისთვის ამ დრომდე არ არის ცნობილი. ალავიძეს 2009 წლის განაჩენით თაღლითობის ბრალდებით 20-წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი. მან ამნისტიის აქტის გამოყენებაზე უარი თქვა. თაღლითობისთვის გასამართლებული ყოფილი გამომძიებელი თავს პოლიტპატიმრად მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ის სკანდალური კადრების გადაღებას შეეწირა, თუმცა ეს არ არის მისთვის პირველი სასჯელი. მანამდე ქრთამის აღებისთვის იხდიდა სასჯელს და რაგინდ უცნაურიც არ უნდა იყოს, ამ ბრალდებით სწორედ გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებულმა გერონტი ალანიამ დააკავა თავის დროზე, მოგვიანებით კი ბედის ირონიით, ისინი ერთ საპატიმროში აღმოჩნდნენ. მოვლენების განვითარებას ის ასე იხსენებს.**



– პირველად სასჯელს ყოფილი თანამშრომლებისთვის განკუთვნილ ციხეში, ავჭალაში ვიხდიდი. ახლა ამ ტიპის მსჯავრდადებულები მატროსოვის ციხეში ვართ. ავჭალაში რომ ვიყავი, გირგვლიანის მკვლელობისთვის მსჯავრდადებულები მოიყვანეს. ოთხივე: გერონტი ალანია, მიხეილ ბიბილურიძე, ავთანდილ აფციაური და ალექსანდრე ღაჭავა პრივილეგირებული პატიმრები იყვნენ. ციხე სამსახურივით ჰქონდათ – დილით მოვიდოდნენ, ღამით გადიოდნენ მანქანებით. პოლიციის სამმართველო გეგონებოდათ. ამ ყველაფერს ვხედავდი... გირგვლიანის მკვლელები აგვისტოს ომის დროს, 20 დღის განმავლობაში საერთოდ არ შესულან ციხეში, ცოტა ხანში კი ისინი პრეზიდენტმა შეიწყალა. მეც შეწყალებით გამოვედი, მაგრამ მოვახერხე, გადამეღო, როგორ გამოდიოდნენ და შედიოდნენ ციხეში ისინი პატიმრობის პერიოდში. გადავწყვიტე, გადაღებული მასალა „მაესტროში“ მიმეტანა ჟურნალისტ ნათია მიქიაშვილთან. გადაცემის გასვლიდან ცოტა ხანში ერთ-ერთი კაფედან გამოსვლისას მეორედ დამაკავეს, ვიღაც ქალისთვის მობილური ტელეფონის წართმევა დამაბრალეს და თაღლითობის მუხლით გამასამართლეს. ალბათ, გახსოვთ, ამ კადრების გასვლიდან ცოტა ხანში, „მაესტროს“ ოფისთან აფეთქება მოხდა. მაიძულებდნენ, ეს აფეთქება დამებრალებინა. ჩემთან არაერთხელ მოსულა გაგა მკურნალიძე, რომელიც რაღაც გარიგებებს მთავაზობდა.

**– პირველად, როდის დაგაკავეს?**

– ეს იყო 2005 წელს. სხვათა შორის, გირგვლიანის მკვლელებმა დამაპატიმრეს, მათ შორის გერონტი ალანიამ. ქრთამის აღებას მედავებოდნენ. შემდეგ ისე მოხდა, რომ სასჯელს ერთად ვიხდიდით. გვქონდა ერთმანეთთან შეხება. ბევრი რამ გახდა იმ პერიოდში ცნობილი. ეს ყველაფერი მტკიცებულებად გადავეცი პროკურატურას, ტელეფონის ამონაბეჭდი. ამ ტელეფონის ნომერი ჩემზე იყო გაფორმებული, ნომერი მოეწონათ, გამომართვეს და თვითონ ხმარობდნენ. გარეთაც რომ გავიდნენ, შემდეგაც მოიხმარდნენ ამ ნომერს. შემდეგ, როდესაც პირველი სასჯელისგან გავთავისუფლდი, მალულად გადავიღე ციხესთან კადრები, როგორ ტოვებდნენ დაწესებულებას და როგორ ბრუნდებოდნენ. ამის შემდეგ მოხდა ის, რომ უკან შემაბრუნეს თაღლითობით და 20 წელი მომისაჯეს.




**– ამჟამად რა ეტაპზეა თქვენი საქმე, თუ აპირებთ, საქმის გადახედვა მოითხოვოთ?**

– რა თქმა უნდა, უკვე ვითხოვ საქმის გადახედვას. ჩემმა ადვოკატმა მიმართა პროკურატურას. მოვითხოვ პროკურორსა და გამომძიებელზე სამართლებრივი დევნის დაწყებას, ყველა ის პირი უნდა დაისაჯოს, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ საქმის „შეკერვაში“. მე მივაწოდე ყველა მტკიცებულება პროკურატურას, წაიღეს ყველა დოკუმენტაცია. ჩემი დაკავების დროს დარღვეული იყო საპროცესო ნორმებიც. ადვოკატის მომსახურების საშუალებაც კი არ მომეცა, ისე დამაპატიმრეს. მე არც საპროცესოს გაფორმება მითხოვია და არც

# თიბისი სტატუსი წარმოგიდგენთ შავი ზღვის ჯაზ ფესტივალს




**თიბისი სტატუსისა და Eastern Promotions-ის საჩუქარი ჯაზის მოყვარულებს!**

18 ივლისიდან, ბათუმში, თქვენ გელით შავი ზღვის რიგით მე-7 ჯაზ ფესტივალი, რომელსაც წელსაც, ტრადიციულად, **თიბისი ბანკის პერსონალური საბანკო მომსახურება, TBC Status წარმოგიდგენთ.**

ბათუმის ტენისის კორტებზე წელს 4 დაუვიწყარი საღამო შედგება. თითოეულ ამ კონცერტზე TBC Status-ის მომხმარებლებს ელით ექსკლუზიური ფასები: **მათ, ვინც ჯაზ-ფესტივალის ბილეთებს შეიძენს PrimeCard, TBC Status და TBC Platinum ბარათებით, მიიღებს 15-20%-იან ფასდაკლებას.** ეს კი მხოლოდ იმიტომ, რომ ხართ TBC Status-ის მომხმარებელი და გიყვართ ჯაზი!

18 ივლისს ქართველი მსმენელი შეხვდება ჯაზის ლეგენდას, 8 გრემის მფლობელ უნივერსალურ ჯაზ-შემსრულებელს, Al Jarreau-ს... ის დღემდე რჩება ერთადერთ მუსიკოსად მსოფლიოში, რომელსაც გრემი აღებული აქვს სამ სხვადასხვა კატეგორიაში: ჯაზი, პოპი და არენბი.

19 ივლისს, შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალს გააგრძელებს მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი გიტარისტი Mike Stern-ი და ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ბასისტი Victor Wooten. როგორც საუკეთესო ბას-გიტარისტი, Mike Stern-ი სამჯერ იყო ნომინირებული გრემიზე....

20 ივლისს, ჯაზ-ფესტივალის პროგრამას გააგრძელებს კარმენ სოუზა, 27 წლის პორტუგალიელი ვოკალისტი, ლათინური ჯაზისა და ფუჟენის უბადლო შემსრულებელი...

21 ივლისს, ჯაზის მოყვარულებს ელით დაუვიწყარი საღამო Jose James-ის მონაწილეობით. ეს არის New Urban Jazz-ის, ჰიპ-ჰოპისა და ვოკალური ჯაზის საუკეთესო შემსრულებელი, რომელიც ცნობილია თავისი მუსიკალური პერფორმანსებითა და მუსიკისა და პოეზიის სინთეზის საოცარი უნარით.

კონცერტები შედგება ბათუმის ტენისის კორტებზე, (დასაწყისი 20:00 სთ). ოთხივე კონცერტს კლუბ Take Five"- ში დაასრულებს BIG JOHN & Vienna Soul Society.

არ გამოტოვოთ წლევანდელი შავი ზღვის ჯაზ ფესტივალი! გაითვალისწინეთ, რომ TBC Status-ის მომხმარებლებისთვის მოქმედებს ექსკლუზიური პირობები - **შეიძინეთ ბილეთები TBC PrimeCard, TBC Status და TBC Platinum ბარათებით და მიიღეთ 15-20%-იანი ფასდაკლება!**

Ⓐ



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ტურას გირგვლიანის საქმეზე?

შეწყალება, იმიტომ რომ უდანაშაულო ვარ და ამას დავამტკიცებ. ახლა პროკურატურაში დევს ყველა მასალა, მათ შორის ვიდეოკადრები. არის დეტალები, რომლებიც, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ალბათ, ჯერ არ ახმაურებენ და არც მე მსურს ამაზე საუბარი.

**– რა სახის დეტალზე საუბრობთ?**

– ეს არის კადრები, რომელიც საზოგადოებას არ უნახავს. ასევე, ვინ იყო იმ ხუთი კაცის გარდა საქმეში და ა.შ.

**„პრაიმტაიმი“ სამართლებრივ ნიუანსებზე გია ალავიძის ადვოკატს, „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტს, ეკა ქობესაშვილსაც ესაუბრა:**

– არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის დაკავება უკავშირდება იმ გახმაურებულ კადრებს, სადაც ასახულია, რა პირობებში იხდიდნენ სასჯელს გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებულები. ამ კადრების ავტორი გახლავთ სწორედ გია ალავიძე, რომელიც გარკვეული პერიოდის მანძილზე მათთან ერთად იხდიდა სასჯელს. მას შემდეგ, რაც განხორციელდა შეწყალება, გია ალავიძემ დატოვა საპატიმრო, გირგვლიანის მკვლელებს კი სასჯელი გაუნახევრდათ. ალავიძეს ამ დროისთვის უკვე ჰქონდა ინფორმაცია, თუ რა პრივილეგიებით სარგებლობდნენ შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნები ციხეში, ამიტომ დაუკავშირდა ჟურნალისტს და მოხდა ამ ყველაფრის ფირზე ასახვა. ის გარედან იღებდა ყველაფერს, როგორ გადიოდნენ პატიმრების ციხიდან, როგორ მიდიოდნენ მათთან სტუმრები და ა.შ. ზუსტად ამ კადრების გასვლის შემდეგ დაიწყო გია ალავიძეზე დევნა. მან კარგად იცოდა, ზუსტად რა დროს შედიოდნენ და გადიოდნენ ციხეში ეს პატიმრები, ამიტომაც გაუადვილდა კადრების მოპოვება. ერთ-ერთი ინტერნეტკაფედან გამოსვლის დროს მოხდა მისი დაკავება. ორი ბრალი „შეუკერეს“ და აქედან ერთ-ერთი უნდა წაეყენებინათ. ამასობაში დაარღვიეს ძალიან ბევრი საპროცესო ნორმა. საბოლოოდ ამ




## სკანდალური კადრების ავტორი „პრაიმტაიმს“ ციხიდან ინტერვიუს აძლევს და მთავარ პროკურატურას მიმართავს







კადრების გამომზეურებისთვის მიუსაჯეს 20-წლიანი პატიმრობა. ის გაასამართლეს თაღლითობის ოთხ ეპიზოდში. აქედან ორი პიროვნება განზრახ ადებდა ხელს და უშუალოდ მონაწილეობდა მისი საქმის ფაბრიკაციაში.

**– ამჟამად რა მექანიზმი არსებობს მის გასათავისუფლებლად?**

– გარდა იმისა, რომ ჩვენ პროკურატურისგან ვითხოვთ ამ საქმის ხელახალ გამოძიებას, ვინაიდან ცალსახად პოლიტიკური მოტივები იკვეთება, ველოდებით, რომ მის მიმართ გამოყენებული იქნება ის საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც სასჯელის შეკრებითობის გაუქმებით განხორციელდა. ამის საფუძველზე მას დარჩება 6-წლიანი პატიმრობა, ხოლო აგვისტოში უკვე შეეხება პირობით ვადამდე განთავისუფლების მექანიზმი და ცხადია, ამ მოთხოვნასაც დავაყენებთ. თუმცა ეს არის ტექნიკური მხარე. ჩვენი მთავარი პოზიციაა, რომ გია ალავიძის საქმე ხელახლა იქნას გამოძიებული, ვინაიდან ძალიან დიდი ალბათობაა, რომ მისი დაკავება გირგვლიანის მკვლელების საქმეს უკავშირდება.

**– თუ თქვენ პოლიტიკურ მოტივებზე საუბრობთ, რატომ არ მოხვდა ის პოლიტპატიმართა სიაში?**

– ის იყო მთლიანად იზოლირებული, არ ჰქონდა კომუნიკაცია საზოგადოებასთან და შესაბამისად, იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც პოლიტპატიმრების თემაზე მუშაობდნენ. არ ჰყავდა ადვოკატი და ასევე, არ იყო შესწავლილი მისი საქმე. აღსანიშნავია ისიც, რომ პატიმრობის პერიოდში მასზე ხორციელდებოდა მძიმე ფსიქოლოგიური ზეწოლა, ბევრჯერ დააყენეს სიკვდილის წინაშე და ცხადია, ეს საქმეებიც უნდა იყოს გამოძიებული. ჩვენ კონკრეტული პროკურორებისა და გამომძიებლების წინააღმდეგ უკვე გვაქვს შეტანილი საჩივარი.

**– ზეწოლა რაში გამოიხატებოდა?**

– ანუ მას ფიზიკური ლიკვიდაციით ემუქრებოდნენ, თუ სრულად არ გადასცემდათ იმ მასალას, რომელსაც ფლობდა და არ გასულა ეთერში. გამოჰყავდათ დაწესებულებიდან, მიჰყავდათ მოდულის შენობაში და ხორციელდებოდა მუქარა.

**– ანუ არსებობს კიდევ სხვა ფირები, რომლებიც არ გასაჯაროებულა?**

– დიახ, ეს ყველაფერი ამჟამად პროკურატურას აქვს. ეს ეხება ისევ და ისევ გირგვლიანის საქმეს.

ჟურნალისტი ნათია მიქიაშვილი დარწმუნებულია, რომ გია ალავიძის დაპატიმრება სწორედ იმ გახმაურებულ კადრებს უკავშირდება, რომელიც „მაესტროს“ ეთერით გადაიცა. ჟურნალისტი იხსენებს იმასაც, რომ იმ დღეს, როდესაც ეს კადრები ეთერში უნდა გასულიყო, ტელეკომპანიის შენობასთან აფეთქება მოხდა, დაუდგენელმა პირმა ხელყუმბარა ისროლა.

**ნათია მიქიაშვილი, ჟურნალისტი:**

– ამ კადრებსა და გია ალავიძის დაპატიმრებას შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. 2009 წლის 25 მაისს გავიდა ეს კადრები ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში. დაახლოებით 3 თუ 4 კვირის განმავლობაში ციხის მოპირდაპირე მხარეს მდებარე შენობაში ვცხოვრობდით. 100 პროცენტით მინდა დავარწმუნო თქვენი მკითხველი, რომ გია ალავიძემ და ჩვენმა ოპერატორებმა სიცოცხლის რისკის ფასად გადაიღეს ეს მასალა, სადაც დაფიქსირებულია, როგორ გამოდიოდნენ გირგვლიანის მკვლელობისთვის გასამართლებული პირები ციხის გარე ტერიტორიაზე. მაშინ გიამ მოგვცა ინტერვიუ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მას ხმა შევუცვალეთ და დავფარეთ გარეგნობა, როგორც ჩანს, მისი ამოცნობა მაინც არ გასჭირვებიათ და კადრების გასვლიდან მალევე გია ალავიძე დააპატიმრეს. ეს არ არის ერთადერთი ინფორმაცია, რომელსაც გია ალავიძე ფლობდა. სწორედ ამიტომ ვარწმუნებ თქვენს მკითხველს, რომ მისი დაკავების რეალური მოტივაცია არის პოლიტიკური. აბსოლუტურად სამართლიანად ითხოვს დღეს ეს ადამიანი საქმის გადახედვას და იმ ადამიანების დასჯას, ვინც მასზე ზეწოლას ახდენდა.

**– ეს ფილმი ეთერში გავიდა 2009 წლის 25 მაისს, თუმცა რამდენიმე საათით ადრე „მაესტროს“ შენობასთან მოხდა აფეთქება... როგორც მახსოვს, შენ ამ ფაქტს სწორედ ზემოხსენებულ კადრებს უკავშირებდი...**

– დიახ, 25 მაისს, გამთენიისას, „მაესტროს“ ოფისთან შემოაგდეს ხელყუმბარა. ძალიან დიდი ალბათობა იყო იმისა, რომ აფეთქებას მსხვერპლი მოჰყოლოდა. რომ არა შემთხვევითობა, იქ მინიმუმ 3 ადამიანი დაიღუპებოდა. საეთერო ჯგუფი იმ დროს „მაესტროში“ იმყოფებოდა და კარი სრულიად შემთხვევით იყო მოკეტილი. ღია რომ ყოფილიყო, შედეგი ნამდვილად ფატალური იქნებოდა. სავარაუდოდ, ეს იყო ერთგვარი გაფრთხილება, რომ კადრები ეთერში არ გასულიყო, თუმცა, ცხადია, ეს კადრები მაყურებელმა მაინც ნახა. ძალიან სასაცილოა, რომ ამ აფეთქებას მიეცა არა ტერორისტული აქტის კვალიფიკაცია, არამედ შენობის განზრახ დაზიანების, რაც ასევე დღემდე გამოუძიებელია.


ნათია მიქიაშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნაციონალები ან დაიშ

ნინო დათაშვილი

**ახლა გარჩევების დრო არ არის, „ნაციონალურ მოძრაობას“ მძიმე დრო უდგას. პოლიტიკური დაკავებები, შერჩევითი სამართალი, ბინძური პიარი – ეს ის სიტყვებია, რომელსაც ნაციონალები საკუთარ ლექსიკონში სხვადასხვა გამოსვლებისას იყენებენ. როგორი რთულიც არ უნდა იყოს ეს მათთვის, საპრეზიდენტო მარათონშიც აქტიურად ჩაერთვნენ.**

პარალელურად, პარტიის წმენდაზე, დაშვებულ შეცდომებსა და დანაშაულზეც კი ალაპარაკდნენ. ვანო მერაბიშვილი ციხეშია, პარტიის გენერალური მდივანი წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება. პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკური მომავალი კი ისევ გაურკვეველია. როგორც ამბობენ, მისი გეგმების შესახებ არც „ნაციონალურ მოძრაობაში“ იციან.

თუმცა, რასმუსენის ვიზიტის დროს სააკაშვილი უფრო კონკრეტული იყო, ვიდრე ადრე, ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნების წინ კლინტონთან შეხვედრის დროს. მაშინ მან ამერიკელი ჟურნალისტების შეკითხვას, რას აპირებდა საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, არ უპასუხა, ყურადღება საკუთარ მიღწევებზე გაამახვილა. რასმუსენთან საუბრის დროს კი თქვა, განათლების სფეროში უნდა დავკავდეო.

პარალელურად პარტია ყრილობისთვის ემზადება. მთავარი გადაწყვეტილებებიც სწორედ იქ იქნება მიღებული. ნაციონალებმა გადაწყვიტეს, ელიტა ახალი სახეებით ჩაანაცვლონ. თუმცა, კონკრეტული ჯერ ცნობილი არაფერია. ამ მიმართულებით აკაკი ბობოხიძის განცხადება გასკანდალდა. პირველად ნაციონალების ლიდერის ჩანაცვლების თემა სწორედ მან გაახმოვანა:




## აკაკი ბობოხიძე: „მე არ მითქვამს, რომ მაინცდამაინც მიშა უნდა წავიდეს. მე ვთქვი, რომ ვინც არის პოლიტიკური ხელმძღვანელი, უნდა წავიდეს ყველა“

– მიმაჩნია, რომ პარტიის ხელმძღვანელობის გადახალისება უნდა მოხდეს გამომდინარე იმ პოლიტიკური პასუხისმგებლობისგან, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელ პირებს გვეკისრება იმ შეცდომებზე, რომლებიც აღმოჩნდა, რომ ჩვენი ხელისუფლების პირობებში იყო დაშვებული. იქნება ეს სრულიად ახალი, თუ შერეული სახეები, ეს უნდა გადაწყვიტოს პარტიის ყრილობამ. ეს არ ნიშნავს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა დავტოვოთ. უბრალოდ, ხელმძღვანელი თანამდებობებიდან უნდა გადავდგეთ ის ადამიანები, ვინც თავის დროზე პოლიტიკური პასუხისმგებელი პირები ვიყავით. ეს უნდა გავაკეთოთ სწორედ იმის გამო, რომ ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს, თურმე, სერიოზული შეცდომები იქნა დაშვებული, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კარგი რამ გაკეთდა. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ პარტიამ უნდა იმსჯელოს და ახალი ხელმძღვანელობა აირჩიოს...



შესაძლოა, მან სწორედ სააკაშვილი და მერაბიშვილი იგულისხმა. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე მოთარგმნა თავისი ნათქვამი ბობოხიძემ. ხმაური და უკმაყოფილება ამ ხმებს, როგორც ჩანს, პარტიაშიც მოჰყვა. იქ გულშემატკივრები მიხეილ სააკაშვილსაც ჰყავს, ვანო მერაბიშვილსაც და ახალაიებსაც.

უკვე ერთი წელია, ექსპერტები ვარაუდობენ მათ დაშლას და დაქუცმაცებას. უკვე ერთი წელია, ამტკიცებენ, რომ პარტიას დავით ბაქრაძე ტოვებს. მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი ძველებურად არის. სიახლეები, როგორც ჩანს, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გამოჩნდება ნაციონალების ყრილობაზე. აკაკი ბობოხიძე ადასტურებს, რომ ყრილობაზე ყველა გადაწყვეტილება გამჟღავნდება.

– მე არ მითქვამს, რომ მაინცდამაინც მიშა უნდა წავიდეს. მე ვთქვი, რომ ვინც არის პოლიტიკური ხელმძღვანელი, უნდა წავიდეს ყველა. რატომ არის მარტო მიშა პოლიტიკური ხელმძღვანელი? ჩვენ თანაპარტიელები სულ ვსაუბრობთ და ეს არის მუდმივი პროცესი. მაგრამ ის, რომ მარტო მიშა უნდა წავიდეს, არც მითქვამს და არც ვაპირებ, რომ ვთქვა. პასუხისმგებლობა ყველამ უნდა გავინაწილოთ. რა, თუ რამე კარგი ხდებოდა, მონაწილე ვარ და თუ ცუდი ხდებოდა, არ ვარ მონაწილე? მე ყველაფრის მონაწილე ვარ. პარტია არც ერთმა ადამიანმა არ უნდა დატოვოს, ვინც ხელმძღვანელ თანამდებობაზე იყო. პოლიტიკური თანამდებობების დატოვება არ ნიშნავს პარტიის დატოვებას. ისე, როგორც რიგითი ადამიანები ემსახურებოდნენ ჩვენს პოლიტიკურ ლიდერობას, დღეს ჩვენ უნდა ვინებოთ კეთილი და მოვემსახუროთ ახალი ლიდერების პოლიტიკურ უზრუნველყოფას... ყრილობამ უნდა გადაწყვიტოს, ვინ დაიკავებს პოლიტიკური ლიდერის თანამდებობას. პარტიაში, საბედნიეროდ, გვაქვს იმის რესურსი, რომ ეგეთ მკვეთრ ცვლილებებს გავუძლოთ. ჩვენ პირველმა დავიწყეთ პარაიმერისის გზით საპრეზიდენტო კანდიდატის გამოვლენა. აი, ასეთმა ტიპის ღონისძიებებმა შეიძლება გამოავლინოს ახალი ან ძველი, თუმცა ნდობაგამოცხადებული ლიდერი პარტიის შიგნით.

**ექსპერტებიც ვარაუდობენ, რომ ნაციონალები დაიშლებიან. კახი კახიშვილი უკვე დიდი ხანია ამბობს, რომ დავით ბაქრაძე ნაცებს გამოეყოფა და ახალ პარტიას შექმნის:**

– ჩვენ თავიდანვე ვაცხადებდით, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ დაპირისპირება იქნებოდა. როდესაც პარტია არის ხელისუფლებაში, მეტნაკლებად ყველა ერთმანეთს იტანს, მაგრამ როდესაც იწყება ხელისუფლებიდან წასვლის პროცესები, ყველას ახსენდება წინა წყენები. „ნაცმოძრაობაში“ არის ძალა, რომელიც ცდილობს, გაემიჯნოს იმ ძალადობას, რომელიც ახლდა 9 წლის განმავლობაში „ნაცმოძრაობას“. მიდის გამიჯვნის პროცესები. არავის უნდა, რომ იმ კომშართან, ტანჯვასთან, წამებასთან ასოცირებული იყვნენ, რაც ცხრა წლის განმავლობაში ხდებოდა. თქვენ გახსოვთ, როდესაც „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებიდან წავიდა, მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი ცდილობდა, ახალაიებსა და ადეიშვილს გამიჯვნოდა, ანუ ნელ-ნელა იწყებდნენ დისტანცირებას. თუ მთელი „ნაცმოძრაობა“ ემიჯნებოდა ახალაიასა და ადეიშვილს, შემდეგ იყო პარტიაში ხალხი, ვისაც უნდოდა გამიჯვნა მერაბიშვილისგან და სააკაშვილისგან. ნელ-ნელა პროცესები ღრმა დაპირისპირებისკენ მიდიოდა. გახსოვთ მარიკა ვერულაშვილის განცხადება და არც ბობოხიძის განცხადება არ გამკვირვებია. ერთი დიდი პრობლემაა „ნაცმოძრაობაში“. ეს არის პარტია, რომელსაც აქვს ფული, როგორც თეთრი, ისე შავი, ის არის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი პარტია საქართველოში. გარდა იმისა, რომ ვიღაცას სურს, გაემიჯნოს და წავიდეს „ნაცმოძრაობიდან“, არის კიდევ ბრძოლა იმაზე, რომ ვინმემ აიძულოს ის ადამიანები, ვინც ასოცირებულნი არიან ძალადობასთან, წავიდნენ პარტიიდან და მოვიდეს ახალი ხელმძღვანელობა. წარმოიდგინეთ, იმ ნაწილისთვის, ვისაც გამიჯვნა უნდა პარტიისგან, რა რთულია ყველაფრის ახალი ფურცლიდან დაწყება უფულოდ. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გამოჩნდებიან ძალები, რომლებიც ჩუმად გავლენ „ნაცმოძრაობიდან“ და შექმნიან ახალ პარტიას. ისინი არ დაიწყებენ „ნაცმოძრაობის“ ოფიციალურ ქონებაზე ბრძოლას, მაგრამ მათ ექნებათ შესაბამისი დაფინანსებები. პირდაპირ ჩანს, რომ „ნაცმოძრაობაში“ მიდის მართული გადაჯგუფებები, რომელიც დაგეგმილია და რომელიც გამოიყენება იმისთვის, რომ ამომრჩეველი დააბნიონ. გარკვეული



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლებიან, ან გაიშლებიან

## ნიკა ჩიტიძე: „სააკაშვილი, როგორც ქარიზმატული პიროვნება და მერაბიშვილი, როგორც კარგი ორგანიზატორი, უკანონობასთან არ ასოცირდებოდნენ“



პერიოდი პარალელურ რეჟიმში იმუშაონ ცალ-ცალკე და შემდეგ ერთიანი შეტევა განახორციელონ ხელისუფლებაზე. ასევე, არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, „ნაცმოძრაობას“ ჩამოაშორონ ის ხალხი, ვინც ძალადობასთან ასოცირდებიან.

**– ვინ შეიძლება იყვნენ ეს ადამიანები, ვინც „ნაცმოძრაობიდან“ გავლენ?**

– ვფიქრობ, ბაქრაძის სერიოზული შეცდომაა, რომ ის საპრეზიდენტო არჩევნებში „ნაცმოძრაობის“ სახელით იყრის კენჭს. ის ამით უფრო ილრმავებს ასოციაციას ძალადობასთან. ერთია, რომ გამოხვალ და ამომრჩეველს ეტყვი, რომ არ იცოდი, ცხრა წლის განმავლობაში რაც ხდებოდა, მაგრამ მეორეა, როდესაც ხალხი გკითხავს, როცა გაიგე ეს ყველაფერი, შენ მაინც მიიღე მონაწილეობა არჩევნებში „ნაცმოძრაობის“ სახელით. ვფიქრობ, აუცილებლად გამოჩნდებიან ადამიანები, ვინც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გამოვლენ „ნაციონალური მოძრაობიდან“. ამას ჰქვია მართული ტექნოლოგიური გადაჯგუფება, როდესაც ისინი იმოქმედებენ პარტნიორულად, მაგრამ ამავდროულად ცალ-ცალკე. ეს სტრატეგიულად „ნაცმოძრაობისთვისაც“ მომგებიანია. ნებისმიერი ძალა, ათი წლის განმავლობაში რომ უნდოდეს „ნაცმოძრაობასთან“ თანამშრომლობა, ვერ ითანამშრომლებს, იმდენად დისკრედიტებულია. ამიტომაც უნდა შექმნან ისეთი პარტია, რომელშიც, ერთი მხრივ, იქნებიან „ნაცმოძრაობის“ ელიტარული წარმომადგენლები, რომლებიც არ ასოცირდებიან ძალადობასთან და რომლებიც შესაძლოა, მიმზიდველი პარტნიორები გახდნენ ნებისმიერი სხვა ოპოზიციიდან, რომლებიც დღეს პარლამენტში არ არიან, ან არიან. მაგალითად, თუ კოალიცია დაიშლება, ვერც ერთი სუბიექტი ვერასდროს ვერ მივა „ნაცმოძრაობასთან“ ვერც ერთ კოალიციაში. თუმცა თუ იქნება პარტია, სადაც იქნებიან ყოფილი მმართველი პარტიის წარმომადგენლები, მაგრამ ამავდროულად არაპირდაპირ ასოცირებულნი ძალადობასთან, რომლებსაც ექნებათ სერიოზული ფინანსური მხარდაჭერა, მათთან მისვლას დაასაბუთებენ იმით, რომ ესენი წესიერი ადამიანები იყვნენ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბოლოოდ, როდესაც დაიგეგმება ერთიანი შეტევა ხელისუფლებაზე, დუეტში არ იმუშავებენ ეს პარტიები. ვგულისხმობ „ნაცმოძრაობას“, მისგან წამოსულ მართულ პოლიტიკურ პარტიას და ასევე არასამთავრობოებს, რადგან მთელი პროცესია დაწყებული. თქვენ იცით, რომ იქმნება ბევრი დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია. დარწმუნებული ვარ, ამ არასამთავრობოების უკან დგას „ნაცმოძრაობა“.

**– რამდენ ჯგუფად შეიძლება დაიშალოს „ნაცმოძრაობა“?**

– რამდენი ფულიც ეყოფათ. ფაქტია, მიხეილ სააკაშვილი არ თმობს „ნაცმოძრაობას“. გარკვეულწილად ვანო მერაბიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს შორის მიმდინარეობდა ბრძოლა, ვინ დარჩებოდა პარტიის ლიდერად. ვანოს არ უნდოდა მიშასთან ერთად ყოფნა, მიშას არ უნდოდა ვანოსთან ყოფნა. არის ჯგუფი, რომელსაც არც ერთთან ყოფნა არ უნდოდა და მათგან დისტანცირებას ცდილობდა. ეს შეიძლება ყოფილიყო ბაქრაძე, ბოკერია და გიგი უგულავა. დღეს რა ვითარებაა, ზუსტად ვერ გეტყვით. მათთან ყოველდღე იცვლება სიტუაცია.

რაც შეეხება ბაქრაძეს, მუდმივად იყო საუბრები მისი პარტიიდან წავლის შესახებ, თუმცა ის „ნაციონალური მოძრაობის“ პრაიმერისში მონაწილეობს...

ექსპერტ ნიკა ჩიტიძის აზრით, ყოფილ მმართველ გუნდში დაპირისპირებაზე საუბარი იმ პროპაგანდის ნაწილია, რომელსაც მედიასაშუალებები და უმრავლესობის ნაწილი ატარებენ. ჩიტიძე მიიჩნევს, რომ პარტიას არა ხელმძღვანელობის გამოცვლა, არამედ რებრენდინგი სჭირდება. ექსპერტი არც ბობოხიძის განცხადებას ეთანხმება და თვლის, რომ სააკაშვილი და მერაბიშვილი უკანონობასთან არ ასოცირდებიან.

– ბოლო დროს ბევრს საუბრობენ „ნაციონალური მოძრაობის“ რებრენდინგზე. მიმაჩნია, რომ პარტია უნდა ჩამოყალიბდეს ტიპურ საკადრო პარტიად. ასეთ პარტიებში ყურადღება გამახვილებულია ხარისხზე. საშემოდგომო არჩევნების შემდეგ 12-მა ადამიანმა პარლამენტში დატოვა „ნაციონალური მოძრაობის“ რიგები. ისინი არ იყვნენ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ იდეოლოგიურად დაკავშირებული და რეალურად მათ უნდოდათ თანამდებობა. იგივე ეხებათ საკრებულოებს, განსაკუთრებით თბილისის საკრებულოს, სადაც ძალიან ბევრი ადამიანი გამოეყო „ნაციონალურ მოძრაობას“. ამიტომ საჭიროა რებრენდინგი, რომ, რაც შეიძლება მეტი ადამიანი იყოს ჩართული „ნაცმოძრაობაში“, ვინც მის იდეოლოგიურ ღირებულებებს გაიზიარებს. უნდა გამკაცრდეს პარტიაში მიღების სისტემა. რაც უფრო მეტი ინტელექტუალი ადამიანი იქნება, მგონია, რომ ეს უფრო გამოიწვევს სიმპათიას „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. ცალკეული ადამიანები ხშირ შემთხვევაში ჩირქს სცხებენ კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ავტორიტეტს. რაც შეეხება სააკაშვილისა და მერაბიშვილის საკითხს, ბობოხიძეს ვერ დავეთანხმები, რადგან სააკაშვილი, როგორც ქარიზმატული პიროვნება და მერაბიშვილი, როგორც კარგი ორგანიზატორი, არ ვფიქრობ, რომ უკანონობასთან ასოცირდებოდნენ. შეიძლება პროპაგანდის შედეგად ვიღაცის თვალში ასოცირდებიან, მაგრამ მიმაჩნია, რომ ის ადამიანები უფრო ასოცირდებიან მორალური ზნეობის უგულებელყოფასთან, ვინც „ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნების შემდგომ პერიოდში დატოვეს. პირიქით, მას, როგორც არჩევნებში დამარცხებულ პარტიას, მეტი მხარდაჭერა სჭირდებოდა. ჯანსაღმა და ნორმალურმა საზოგადოებამ უნდა დაინახოს ის მიღწევები, რომელიც სააკაშვილისა და მერაბიშვილის დროს განხორციელდა.

**– შიდა დაპირისპირებები ვის შორის შეიძლება დავინახოთ?**

– ვერ გეტყვით. სხვადასხვა საკითხებზე უთანხმოება არის, მაგრამ შიდა დაპირისპირება ვის შორის შეიძლება იყოს, ვერ გეტყვით. პარტიის ბირთვი ვინც არის, არა მგონია, ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ. ვფიქრობ, ამ ადამიანებს გააჩნიათ იმდენი ინტელექტუალიზმი, რომ გაითვალისწინონ, რომ დაპირისპირება არაფერს აძლევს მათ. რაღაც კონკურენცია, რა თქმა უნდა, არის. ამის მაგალითია პრაიმერისის ჩატარება. მეორე მხრივ, ეს პარტიის სიძლიერეზეც მიუთითებს. მოდით, ასე ვთქვათ, „ნაციონალურ მოძრაობაში“ ღია დაპირისპირება არ შეინიშნება. მმართველი ძალისა და მასმედიის საშუალებების პროპაგანდის ნაწილია, რომ წარმოაჩინონ „ნაციონალურ მოძრაობაში“ დაპირისპირება. ამ პარტიის პრობლემა იყო ის, რომ მის რიგებში იყვნენ ადამიანები, ვინც იდეურად არ იყო პარტიასთან დაკავშირებული.

„ნაციონალურ მოძრაობაში“ დაპირისპირებას უარყოფს უმცირესობის ერთ-ერთი წევრი სერგო რატიანი და თანაგუნდელ აკაკი ბობოხიძის სიტყვებს განმარტავს.

**სერგო რატიანი:**

– ბატონ კაკოს არ უთქვამს, რომ ისინი უნდა წავიდნენ ამ თანამდებობიდან. ის საუბრობდა გუნდისა და საკუთარ პასუხისმგებლობაზე. მე ზუსტად არ წამიკითხავს ეს განცხადება, მაგრამ როდესაც გავესაუბრე კაკოს, მან გააკეთა განმარტება. ის საუბრობდა იმ პრობლემებზე, რაც ჩვენი ხელისუფლების დროს იყო. ის ამბობდა, რომ უკეთესი იქნება, თუ ახალი სახეები წამოიწევს წინ... და საერთოდ, არანაირი დაპირისპირება არ არსებობს „ნაციონალურ მოძრაობაში“.



## კახი კახიშვილი: „ვანო მერაბიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს შორის მიმდინარეობდა ბრძოლა, ვინ დარჩებოდა პარტიის ლიდერად“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

**მარიამ ნადირაძე**

**არაერთხელ გაგვიგია, როგორ იდევნებოდნენ ადვოკატები ყოფილი ხელისუფლების პირობებში. 157 ადვოკატი ციხეშიც კი აღმოჩნდა, ძირითადად, თაღლითობისა და გამოძალვის ბრალდებებით, მაგრამ როდესაც ტარიელ მურმანიშვილს მოუსმენთ, მიხვდებით, რომ უპრეცედენტო შემთხვევასთან გაქვთ საქმე. ფაბულა ასეთია: მან თითქმის მილიონნახევრიანი საქმე მოაგებინა კლიენტს და შედეგად 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიიღო „ჰონორარად“. ციხე მან ამნისტიით დატოვა პოლიტპატიმრის სტატუსით.**

ვინ და რატომ იყო დაინტერესებული ადვოკატის იზოლირებით?

რა ბიზნესგარიგება მოხდა პარლამენტარსა და მთავარ პროკურორს შორის?

რა ქონება მიიღეს ამ გარიგებით მურთაზ ზოდელავამ და რომანოზ ბჟალავამ?

ამის შესახებ ადვოკატი ტარიელ მურმანიშვილი „პრაიმტაიმს“ ექსკლუზიურად უამბობს:

**– ადვოკატობამდე თქვენ პროკურორი იყავით. რატომ მიატოვეთ ეს საქმიანობა?**

– პროკურატურა 2007 წელს დავტოვე. როდესაც მაშინდელ ხელისუფლებას ხასიათში გადაუვიდა საქმეების უკანონოდ კეთება, ორჯერ დავწერე წასვლაზე განცხადება. არ მსურდა, ადეიშვილის სისტემას მოვმსახურებოდი იმ ფორმით, რა ფორმითაც ამას ითხოვდნენ.

**– მაინც რას გაიძულებდნენ?**

– როცა თვლი, რომ შენი აზრის მიხედვით უნდა გადაწყვიტო, არის თუ არა ესა თუ ის პიროვნება წარსადგენი სასამართლოს წინაშე, მიგაჩნია, რომ ერთი და ორი მტკიცებულებით ადამიანის ბედი არ უნდა გადაწყვიტო, გაგიჭირდება ამ პრინციპების წინააღმდეგ წასვლა. პროკურორს არავინ ეკითხებოდა საქმის ბედსა და მის გადაწყვეტას.

**– გქონდათ ისეთი საქმეები, რომლებიც პრინციპების მიუხედავად მაინც გაუშვით სასამართლოში?**

– არა. პრინციპულად ვიდექი ჩემს პოზიციებზე. ერთი პერიოდი ბრალდებულების ადვოკატი პროკურორიც კი შემარქვეს. პროკურატურიდან წამოსვლის შემდეგ ადვოკატობა დავიწყე.

**– და ციხეშიც მალევე აღმოჩნდით?**

– დაახლოებით 4 წელიწადში... 2010 წლის ოქტომბერში, პიროვნება, რომელსაც ადიგენიდან ვიცნობდი, აკაკი კახაძე დამიკავშირდა და მითხრა, რომ ბელგიის მოქალაქეებს სჭირდებოდათ სამართლებრივი დახმარება. ჩვენი შეხვედრა მოხდა „რედისონში“. გამაცნეს ბელგიის მოქალაქე, ანა ბალამწარაშვილი, ის იყო ბელგიელი ლუის რენიერსის სრულუფლებიანი წარმომადგენელი. ამ ქალბატონს პირველივე შეხვედრაზე ახლდა მაჟორიტარი დეპუტატი აბაშის რაიონიდან, რომანოზ ბჟალავა. საქმის არსი ბჟალავამ ამიხსნა. გაირკვა, რომ 2007 წლის მაისში რენიერსმა საქართველოში სამცხე-ჯავახეთის ტყეებში მოიპოვა ხე-ტყით სარგებლობის ოცწლიანი ლიცენზია. წელიწადში უნდა აეთვისებინა 22 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე. ამ ლიცენზიის თანახმად, უნდა გადაეხადა 2 მილიონ სამასი ათასი ლარი. უცხოელმა გადაიხადა თითქმის მილიონ-ნახევარი. დარჩენილი იყო 900 ათასი. ამ კაცს დაუკავშირდა ქართველი მეწარმე, ვინმე ზურაბ ადამია და შესთავაზა, რომ მას დაეხმარებოდა ხე-ტყის წარმოებაში, რადგან ორხევში ჰქონდა გადამამუშავებელი ქარხანა და ამზადებდა პარკეტს.

**– ბატონი რენიერსი ფიზიკური პირი იყო, თუ რაიმე კომპანიას ფლობდა?**

– ის, როგორც ორგანიზაცია, ჩემს კლიენტად არ დაფიქსირებულა. ადამიას წინადადება იმ უცხოელისთვისაც მისაღები იყო, რადგან ადგილზე ეყოლებოდა გამოცდილი კადრი, რომელიც ამ საქმეში ერკვეოდა. ზურა ადამია ნამდვილად კარგად ერკვეოდა ხე-ტყის ბიზნესში. ამ ურთიერთობის დროს რენიერსი და ზურაბ ადამია შეთანხმდნენ და გააფორმეს ხელშეკრულება, რომ დარჩენილ 900 ათას ლარს გადაიხდიდა ადამია და როდესაც გადახდა მოხდებოდა და ლიცენზია მოქმედებაში მოვიდოდა, მას მიეცემოდა 49-პროცენტიანი წილი. ამაზე ოფიციალური ხელშეკრულება გაფორმდა. საბოლოოდ ადამიამ ეს თანხა აღარ გადაიხადა და გაუქმდა ლიცენზია. ეს მოხდა 2008 წელს. საქართველოს კანონმდებლობით, როდესაც ლიცენზია უქმდება და ნაწილობრივ შეასრულებ პირობებს, გადახდილი თანხა უკან აღარ ბრუნდება. აღმოჩნდა, რომ თანხა გადახდილი იყო, ლიცენზია – დაკარგული... ერთი სიტყვით, მთხოვეს დახმარება, როგორც მთავრობასთან ურთიერთობაში, ისე ადამიასგან თანხის ამოღებაში... ამის გარდა, ბჟალავამ ამიხსნა, რომ როდესაც ლიცენზია ჯერ კიდევ მოქმედებდა და მილიონ-ნახევარი გადახდილი იყო, ხე-ტყეს ვერ აწარმოებდნენ, რადგან სრულად არ იყო დაფარული ლიცენზიის თანხა. ამის გამო რენიერსმა ადამიას რჩევით დააარსა კომპანია, რომელსაც უნდა შეეძინა ტექნიკა და მომზადებულიყო ხე-ტყის ათვისებისთვის. ამ კომპანიისთვის ამ კაცს სხვადასხვა დროს 400 ათასი ევრო ჰქონდა გადმორიცხული, რომელიც სრულად არ იყო დახარჯული, ანუ თანხა იყო შეჭმული.

**– ეს ტექნიკა ადამიას უნდა შეეძინა?**

– ადამიამ ხერხი გამოიყენა და შპს-ს ხელმძღვანელობაში არ დაფიქსირდა. მისი ხელმძღვანელი იყო ვინმე დინო, საბერძნეთის მოქალაქე, რომელმაც პროკურისტად (პროკურისტი არის მინდობილი პირი, რომელსაც საბანკო ოპერაციების განხორციელება შეუძლია. – მ.ნ.) ზურაბ ადამიას შვილი, გიორგი ადამია გააფორმა. ამ გზით ზურაბ ადამიას მიუწვდებოდა ხელი თანხების გადარიცხვა-გადმორიცხვაზე.

ბელგიურ მხარეს ამაზეც უკვე დავა ჰქონდა დაწყებული საფინანსო პოლიციაში, მაგრამ საქმე წინ არ მიდიოდა. ამიტომ სჭირდებოდათ ადვოკატი, რომელსაც ეცოდინებოდა სამართლებრივი მომსახურების გაწევა როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეზე და ასევე, ადმინისტრაციულ დავებს აწარმოებდა საქართველოს მთავრობასთან, გარემოს დაცვის სამინისტროსთან, ეკონომიკის სამინისტროსთან, რომ ლიცენზიის პირობები შესრულებულიყო. ესაჭიროებოდათ ისეთი ადვოკატი, რომელსაც საერთო სპეციალიზაცია ექნებოდა... ერთი სიტყვით, ერთი გასროლით რამდენიმე კურდღლის დაჭერა უნდოდათ, რა. ეთიკის კოდექსი არ იძლევა უფლებას, რომ ადვოკატმა ვინმეს რამე გარანტია მისცეს. მე თანხმობა გამოვთქვი, რომ ჩავერთვებოდი ამ საქმეში. აქ უკვე მეორე საკითხმა წამოიწია, როდესაც საქმე მიდგა ჩემს ანაზღაურებაზე. ამიხსნეს, რომ ვინაიდან იმ ადამიანმა გადაიხადა მილიონ-ნახევარი, შემდეგ 400 ათასი ევრო, საერთოდ რომ არ გაიქცეს საქართველოდან, ფულს ველარ მოვთხოვთო, – ასე ამიხსნა ვითარება რომანოზ ბჟალავამ. მკითხა, შენ თუ შეგიძლია ასეთ ვითარებაში იმუშაო, რომ პროცესის დასრულების შემდეგ ანაზღაურდეს გაწეული სამსახურიო? შემპირდა, რომ, თუ მათ სასარგებლოდ არ დასრულდებოდა პროცესი, მაინც ცოტაოდენ თანხას მომცემდნენ გაწეული ხარჯებისა და დროის ასანაზღაურებლად. ამაზე პარლამენტარი საუბრობდა, ბელგიის მოქალაქის ინტერესებს ვიცავდი, რომელსაც ჰქონდა მინდობილობა და ამბობდა, რომ შეეძლო, რენიერსის ქონება განეკარგა საქართველოში. ამიტომ ვიფიქრე, რომ სერიოზულ ხალხთან მქონდა საქმე. მარწმუნებდნენ, რომ შპს-დან მანქანები იყო დასაბრუნებელი. ბოლოს და ბოლოს, ის გაიყიდებოდა და მე ამ გზით გამისტუმრებდნენ. რაკი ჩემი ახლობელი იყო ჩარეული საქმეში და ბჟალავა მასთან მეგობრობდა, ვიფიქრე, რომ შეიძლებოდა, რისკი გამეწია და დამეწყო საქმე.

**– რისკი რაში მდგომარეობდა?**

– საქმე წარმატებით რომ არ დასრულებულიყო, ფაქტობრივად, არავინ არაფერს ამინაზღაურებდა. შემდეგ რამდენიმე ხელშეკრულება დაიდო. ერთი შრომითი ხელშეკრულებით შპს გვაქვსო და ამ შპს-ს იურისტად დაგნიშნავთ, 500-ლარიან ხელფასს დაგინიშნავთო. შემდეგ მომცეს ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, რომ სრული უფლება მქონდა, ყველა საქმე მეწარმოებინა. ამის გარდა, გამოვწერე ორდერი და ჩავერთე სისხლის სამართლის საქმეშიც, რომელიც ადამიას წინააღმდეგ იყო მიმართული. სწორი მიმართულება დავუსახე გამოძიებას, რომლის შედეგადაც დააპატიმრეს ზურაბ ადამია, ხოლო მისი შვილი ძებნილად გამოცხადდა. დავადასტურე, რომ 108 ათასი ევრო ჰქონდათ შეჭმული. შემდეგ, 2010 წლის დეკემბერში ეს ხალხი მეუბნება, მოგვეწონა შენი მუშაობა და ასეთ პირობას გთავაზობთო: თქვენ რომ უფრო დაინტერესებული იყოთ ამ საქმის წარმატებით, ჰონორარის სახით ამოღებული თანხის 50 პროცენტს მოგცემთო და ეს შეგვიძლია, ხელშეკრულებაშიც ავსახოთო. ეს თანხა ჩვენთვის მაინც დაკარგულიაო... ასე რომ, გავაგრძელე ამ ხალხთან ურთიერთობა. 2011 წლის 11 იანვარს მე, ბჟალავა და ჩემი მეგობარი, აკაკი კახაძე ბალამწარაშვი-

# როგორ EXCLUSIVE „გადააგდეს“ დეპუტატმა და მთავარმა პროკურორმა ბელგიელი ბიზნესმენი?


ტარიელ მურმანიშვილი

**„რუსეთის მოქალაქის სახელს რეალურად ბჟალავა და მურთაზ ზოდელავა არიან ამოფარებულნი“**


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვის ბიზნესგარიგებას ემსხვერპლა ადვოკატი?


რომანოზ ბჟალავა

## და რეალურად ვისია დღეს ხე-ტყის გადამამუშავებელი ქარხანა?


მურთაზ ზოდელავა

ლის სახლში შევხვდით ერთმანეთს და მოვაწერეთ ხელი ხელშეკრულებაზე.

**– საადვოკატო პრაქტიკაში არსებობს ასეთი სახის გარიგება?**

– კანონმდებლობა არ ზღუდავს ჰონორარის ოდენობას...

**– ანუ თქვენი ინიციატივა რომც ყოფილიყო ასეთი ჰონორარი, ამაში კანონდარღვევა არ იყო?**

– არა. თუმცა, მე რომ შემეთავაზებინა ეს პროცენტი, შეიძლებოდა გაქცეულიყვნენ და სხვა ადვოკატთან წასულიყვნენ. ამიტომაც ასეთ საქმეებზე ადვოკატები ძირითადად ჰონორარის ოდენობას 3-დან 7 პროცენტამდე ითხოვენ. მაგრამ ამ შემთხვევაში ინიციატივა მათგან მოდიოდა. ვიცოდი, რომ ძალიან მაღალი პროცენტი იყო, მაგრამ რისკიც მაღალი იყო, რომ ვერაფერი მიმეღო, ანუ საქმე ვერ მომეგო და ამიტომ.

**– თქვენ თავიდანვე არ გაგირკვევიათ, რომანოზ ბჟალავას ამ საქმეში რა ინტერესები ჰქონდა?**

– როგორც გავარკვიე, ბიზნესი რომ ამუშავდებოდა, მერე შევიდოდა ამ ბიზნესში და თავის ინტერესს ჩადებდა. ერთი სიტყვით, გავეცანი მათ მიერ შედგენილ სამოქალაქო სარჩელს, რომლის მიხედვითაც ისინი უჩიოდნენ ადამიას, რომ რაკი მან არ გადაიხადა 922 ათასი ლარი, ამით მოგვადგა ზიანიო. ავუხსენი, რომ ეს იყო ისეთი მოთხოვნა, რომ მასზე სასამართლო დიდი ალბათობით, მათ სასარგებლოდ გადაწყვეტილებას არ გამოიტანდა. უფრო სწორი იქნებოდა საკითხის ასე დაყენება: მე მილიონ-ნახევარი გადავიხადე, იმან არ გადაიხადა და გაუქმდა ლიცენზია, რაც გადახდილი მაქვს, ამით მომადგა განსაკუთრებული ზიანი. ამას ძალიან მარტივად დავასაბუთებდით სასამართლოში. მოვითხოვე სარჩელის შეცვლა, მაგრამ სარჩელის ფასის გაზრდა კანონმდებლობით არ შეიძლებოდა. ერთი სიტყვით, სასამართლო პროცესი აპრილის შუა რიცხვებში მოვიგე. ამის პარალელურად საქართველოს მთავრობასთან – ეკონომიკის სამინისტროსთან და სატყეო დეპარტამენტთან ვაწარმოებდით ადმინისტრაციულ დავას. საბოლოოდ ადამია დაპატიმრებული იყო და მან გადაწყვიტა, რომ ნებაყოფლობით აენაზღაურებინა თანხა, არ გაესაჩივრებინა სასამართლოს გადაწყვეტილება. როცა მხარესთან წავედი მოლაპარაკებაზე, მათ უარი თქვეს ანა ბალამწარაშვილთან დალაპარაკებაზე. ბჟალავა თავისთავად არ წამოვიდა, რადგან აშკარა გამოჩენა არ უნდოდა. როცა მოლაპარაკებაზე მიდგა საქმე, ბალამწარაშვილმა მოითხოვა, ადამიას ყველაფერი უნდა წავართვათ, რაც გააჩნიაო – საუბარი იყო სახლზე, კოლმეურნეობის მოედანზე ოფისზე, ქარხანაზე ორხევში. მე ამაზე კატეგორიული უარი განვაცხადე, რადგან ეს უკვე ძარცვა იყო და ამის მორალური უფლება არავის ჰქონდა. ერთი სიტყვით, მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ ორხევში მდებარე 7000 კვადრატული მეტრი ფართობის ქარხანა, რომლის შენობა-ნაგებობები განლაგებული იყო 18 ათას კვადრატულ მეტრ მიწის ნაკვეთზე, გაფორმდა რენიერსზე. ამ პერიოდში, როდესაც რამე ჩვენს სასარგებლოდ ხდებოდა, იმ ქალბატონს ვეუბნებოდი, რომ საქმის კურსში ჩაგვეყენებინა ჩვენი მარწმუნებელი, მაგრამ ის უარზე იყო და ამბობდა, რომ ის იყო ჩემი დამქირავებელი და ამიტომ მასთან ჩაბარებული ანგარიში ჩაბარებულად ითვლებოდა რენიერსთანაც. მაისში ეს ქონება უკვე მის სახელზე იყო დარეგისტრირებული. აგვისტოც მოვიდა და რომ ვნახე, ისინი ჩემს ჰონორარს აღარ მაძლევდნენ, სამოძრაო ფულსაც აღარ მაძლევდნენ...

**– თვეში ხომ გიხდიდნენ 500 ლარს?**

– არა. ერთი თეთრი არ მოუციათ. ორჯერ ჩამისხა კახაძემ ბენზინი. სულ ეს იყო... როცა ჩემი ანაზღაურება მოვითხოვე, ბალამწარაშვილმა მითხრა, რომ არაფრის ანაზღაურებას არ აპირებდა და გაწყვიტა ჩემთან კონტაქტი, ბელგიაში წავიდა. შემდეგ კახაძეს ვუთხარი...

**– კახაძესა და ბჟალავას რა ურთიერთობა ჰქონდათ?..**

– ის ბჟალავას თანაშემწე იყო. ბჟალავას ვუთხარი, რომ დავიწყებდი სამოქალაქო საქმეზე მუშაობას და დიდი ალბათობით მოვიგებდი კიდეც. შევთავაზე, თუ გინდათ, შევთანხმდეთ და პროცენტი დავწიოთ-მეთქი. ეს რომ გაიგო ბალამწარაშვილმა, ისინი შეთანხმდნენ, რომ მე არ უნდა მიმეღო არაფერი. ამიტომ დეპუტატი ბჟალავა ერთ შეხვედრაზე მეუბნება: „ამ საქმით დაინტერესებულია მურთაზ ზოდელავა. მე ვალდებულებები მაქვს მის წინაშე – 200 ათასი დოლარი მაქვს მისაცემი და უნდა გაჩერდეო.

**– რატომ უნდა მიეცა ეს თანხა?**

– საქმეში თავისი წილი ჩადო, მისი დამსახურებაა, რომ ჩვენ ეს საქმეები მოვიგეთო. სინამდვილეში, მარტო დავდიოდი ამ საქმეზე. ერთ დღეს კახაძეს ააყვანინა თავი ხილიანზე, იქ ცხოვრობს ზოდელავაო. უკან რომ დაბრუნდა, კახაძის პირით შემომითვალა დეპუტატმა ბჟალავამ, ზოდელავა ამბობს, ჭკვიანად იყოსო. გამიკვირდა, მოგებული საქმეა, ფულს არ ვძალავ, სამოქალაქო წესით უნდა ვიდავო, რატომ უნდა დამემუქროს ზოდელავა და რა უნდა მიქნას-მეთქი? მიუხედავად იმ საშინელი რეჟიმისა, მაინც ვერ წარმოვიდგენდი, რომ შეიძლებოდა ჩემი დაპატიმრება. მოგვიანებით, როცა ბჟალავას შევხვდი, ვუთხარი, რომ ვარ მოტყუებული და შეურაცხყოფილი და დავიწყებ სასამართლო დავას-მეთქი. ბჟალავამ დააწერინა განცხადება ქალბატონ ბალამწარაშვილს პროკურატურაში. ეს განცხადება გადააგზავნა სოდ-ში და დაიწყო გამოძიება. დაიწყეს ჩემი სატელეფონო მოსმენა.

**– განცხადებაში რა ეწერა?**

– რომ თითქოს მე და კახაძემ მას მოტყუებით მოვაწერინეთ ხელი ამ ხელშეკრულებაზე. არ ვიცოდი, რომ ამ პროცენტზე ვაწერდი ხელსო. ეს ჩემ მიმართ განხორციელებული თაღლითობაა და გთხოვთ პასუხისგებაში მიეცითო.

**– ანუ იმ ქალბატონს ეგონა, რომ ადვოკატი ვალდებული იყო, უფასოდ დაეცვა მისი ინტერესები?**

– ასე გამოვიდა. მან ჩამოიყვანა ის რენიერსიც, რომელმაც დაწერა, რომ თითქოს მე მას 250 ათასი დოლარის ზიანი მივაყენე. თუმცა დღესაც არ ვიცი, ეს როგორ მოვახერხე. ეს ხდება უკვე სექტემბერში. 5 სექტემბერს, იმ დროს, როდესაც უკვე ნაჩივლი აქვთ ჩემთვის, კახაძე მირეკავს, რომ ბალამწარაშვილს ისევ აქვს პრობლემა, თითქოს უკანონო გაჩეხვები აღმოუჩინეს იმ მონაკვეთზე, რომელიც მათ უნდა გადასცემოდათო.

**– მათ ლიცენზია ხომ არ მისცეს?**

– მაგრამ ჰქონდათ ვალდებულება, რომ იქ რეინჯერები დაეყენებინათ და ის მონაკვეთი უკანონო გაჩეხვებისგან დაეცვათ. როცა თანხა გადაიხადეს, მათ ჩააბარეს ტყე. ამათ კი რეინჯერები არ დააყენეს. ამაზე დაიწყო გამოძიება სამცხე-ჯავახეთში. ისევ გამაგზავნეს საადვოკატო მომსახურებისთვის.

**– თქვენ დასთანხმდით?**

– დიახ. ეს ჩემი მომსახურება ორდერით არის დადასტურებული. მე მაშინ არ ვიცოდი, რომ ნაჩივლი ჰქონდათ.

> **„დეპუტატი ბჟალავა ერთ შეხვედრაზე მეუბნება: „ამ საქმით დაინტერესებულია მურთაზ ზოდელავა. მე ვალდებულებები მაქვს მის წინაშე – 200 ათასი დოლარი მაქვს მისაცემი და უნდა გაჩერდეო“**

**– ის ხომ იცოდით, რომ ერთხელ პირობა არ შეასრულეს, რატომ დასთანხმდით?**

– კახაძეს დაურეკა ბალამწარაშვილმა და უთხრა, სასამართლოში დავა არ არის საჭირო, ნებაყოფლობით ავანაზღაურებ ჰონორარსო. მანამდე ასეთი რამ გაუკეთებიათ: კახაძე ისვენებდა ქობულეთში. სოდ-ს ბალამწარაშვილი დაუმუშავებია, რომ ჩაეწერა, როგორ ითხოვდა ის წილებს და ამისთვის აღჭურა ტექნიკით. კახაძე არ დაელაპარაკა მას. ბჟალავა მოვა ხვალ და მასთან ერთად დაგელაპარაკებიო. როგორც ჩანს, წილს ბალამწარაშვილს ბჟალავა სთხოვდა. მეორე დღეს მათთან სოდ-მა ის ქალბატონი აღჭურვილობით გაუშვა. გამოძიების მასალებში საბოლოოდ ჩაიწერა, რომ აპარატურამ გაჭედა, არ იმუშავა... სინამდვილეში მურთაზ ზოდელავამ ბჟალავას დააფარა ხელი, მაგრამ ვიღაც ხომ უნდა დაეჭირათ და დაიჭირეს კახაძე და მურმანიშვილი. კახაძე დაიჭირეს იმისთვის, რომ მას მერე ეთანამშრომლა და ჩემს წინააღმდეგ მიეცა ჩვენება.

**– მართლა ასე მოხდა?**

– თავიდან არანაირი ჩვენება არ მისცა, ამბობდა რაც რეალობა იყო. მერე მასთან შედიან ცნობილი პროკურორები და აიძულებენ ასეთი ჩვენების მიცემას.

**– ვინ იყვნენ ისინი?**

– არ მინდა მათი დაკონკრეტება... მე დამაკავა ნათია მოგელაძემ, რა თქმა უნდა, თვითონაც ხვდებოდა, რომ ეს უკანონო დაკავება იყო.

**– რა პირობებში?**

– ოფისში ვიყავი, კახაძის მეუღლემ დამირეკა, აკაკი დააკავესო. ნახევარ საათში ჩემთანაც მოვიდა სოდ-ი. წამიყვანეს, როგორც მოწმე. 8 საათი ვიჯექი მოდულში, არ ვიცოდი, რატომ ვიყავი... ეს 8 საათი 800 წელი გახდა. ღამის 12 საათზე დამაკავეს თაღლითობის მეორე ნაწილით, მერე იფიქრეს, ეს ცოტააო და მესამე ნაწილით დამიმძიმეს – სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და ჯგუფის მიერ, თურმე დასრულებული თაღლითობა ჩავიდინე.

**– იმ 250 ათასის ზარალს რით ხსნიდნენ...**

– რომ თითქოს მათ საკუთრებაში არსებულ ქარხანაში ვერ შედიოდნენ და ვერ მუშაობდნენ.

**– აქ თქვენი ბრალი რა იყო?**

– ვერ გეტყვით. ბალამწარაშვილმა უთხრა იმ ბელგიელს, რომ თითქოს კახაძე არ უშვებდა. სინამდვილეში მან კახაძეს დაავალა, ეს ქარხანა რომ არ გაიძარცვოს, მუშებს შენ უხელმძღვანელეო.

**– ციხეში რა პირობებში იყავით?**

– მარტო იმას გეტყვით, რომ ციხის ზღურბლს რომ გადააბიჯებ და შენს ზურგს უკან კარი დაიხურება, იქ უკვე მთავრდება იმის შეგრძნება, რომ შენ ადამიანი ხარ. იქ გიყურებენ, როგორც საექსპერიმენტო ცხოველს.

**– რამდენი წელი მოგისაჯეს?**

– 7 წელი, თაღლითობის მცდელობისთვის. ეს იყო უპრეცედენტო ამბავი. მსოფლიო ადვოკატთა ასოციაციამაც შეისწავლა ჩემი ამბავი, ევროპის ადამიანთა უფლებების დაცვის წარმომადგენლებიც იყვნენ ჩემთან და გაოგნებული დარჩნენ: მსოფლიოს პრაქტიკაში არ ყოფილა, რომ მოგებულ საქმეზე კლიენტმა იჩივლოს და ადვოკატი დაიჭირონ.

**– პოლიტპატიმრის სტატუსი რატომ მოგცემს?**

– ევროპარლამენტის რეზოლუციაში პირდაპირ წერია, რომ, თუ პიროვნების მიმართ განხორციელებულია დევნა პოლიტიკოსების მხრიდან, პოლიტპატიმრად ითვლება.

**– გამოდის, რომ პარლამენტმა ამ აქტით აღიარა ბჟალავას მხრიდან თქვენი დევნა...**

– დიახ.

**– ამ ყველაფერს სამართლებრივ მიმართულებას აძლევთ?**

– მოგეხსენებათ, 19000 განცხადებაა დაწერილი პროკურატურაში და არც ერთზე არ არის რაიმე გადაწყვეტილება მიღებული. 99 პროცენტზე გამოძიებაც კი არ არის დაწყებული. ციხეშივე ჩავთვალე, რომ დიდი ქაოსი იქნებოდა და ჩემს საქმეს ამ გზით პერსპექტივა არ ჰქონდა. ბოლოს და ბოლოს, პროკურატურას რესურსი არ აქვს იმისთვის, რომ ამდენ საქმეს მოერიოს, ვინც ჰყავს, ისიც არ არის კვალიფიციური კადრი. პროკურატურაში სამართლის ძებნა აბსურდია. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, ახალი გარემოებებით ვფიქრობდი საქმის გადასინჯვას, მაგრამ ამ მხრივაც ისეთი ხარვეზია კანონმდებლობაში, რომ ამის საშუალებაც არ მეძლევა.

**– ანუ ხარვეზების შემსწავლელ კომისიას თქვენც ელოდებით?**

– ამ კომისიასაც ველოდები და საკანონმდებლო ცვლილებასაც 310-ე მუხლში, რათა მომეცეს საშუალება, სასამართლოს ახლად აღმოჩენილი გარემოებებით მივმართო. თითქოს სექტემბრისთვის აპირებს პარლამენტი ამ ცვლილების მიღებას. მანამდე აზრი არ აქვს ბრძოლას ისევ იმ მოსამართლეებისა და პროკურორების პირობებში.

**– ორხევის ქარხანა დღეს ვის ხელშია?**

– ეს ყველაზე საინტერესო ნაწილია ამ ისტორიის: ბალამწარაშვილმა არჩევნების შემდეგ საჯარო რეესტრში წარადგინა საკუთარი მინდობილობა, როცა მიხვდა, რომ ბჟალავასა და ზოდელავას გავლენები აღარ ექნებოდა და ამ მინდობილობის საფუძველზე სამ ეტაპად თვითონ იყიდა ეს ქონება.

**– ეს რა მანევრია?**

– რენიერსი დატოვა მშრალზე. ის ქონება თვითონ 400 ათასად გაყიდა თავის თავზე. რენიერსს ერთი თეთრი არ მიუღია იქიდან. რენიერსი ახლა მას უჩივის. 2012 წლის ნოემბერში ამ გადმოფორმებული ქონების ორი ნაწილი ვიღაც რუსეთის მოქალაქის სახელზე გააფორმა. ეს პირდაპირ მიგვითითებს იმაზე, რასაც თავშივე ვამბობდი, რომ ეს იყო ფიქციური გარიგება და იმ რუსეთის მოქალაქის სახელს რეალურად ბჟალავა და მურთაზ ზოდელავა არიან ამოფარებულნი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ციხის კადრიდან პ



## გოგა ხაინდრავა:

# „ლადო ბედუკაძე რომ არ ყოფილიყო, თინა ხიდაშელი ან იქნებოდა ხელისუფლების სათავეში, ან არა...“

ქეთი ხატიაშვილი

**ახალ ხელისუფლებას მოუწევს, დაამტკიცოს, რომ ციხის სკანდალურ კადრებთან (ცოცხების კადრი) არანაირი შეხება არ აქვს. მით უფრო ახლა, როცა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ უკვე საპრეზიდენტო არჩევნებში ხელისუფლება ასევე სკანდალური ფირების გამოყენებით ცდილობს არჩევნების მოგებას. ეს უკვე იმდენად ცუდი ტონია, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ მთლიან შემადგენლობას თუ არა, ბიძინა ივანიშვილს, როგორც ქვეყნის პირველ პირსა და ლიდერს, მოუწევს საკუთარი პოზიციის დაფიქსირება და პოლიტიკაში ამ სიბინძურისგან დისტანცირება...**

(სხვათა შორის, ბევრი ფიქრობს, რომ ბიძინა ივანიშვილს არანაირი შეხება არ ჰქონდა და არა აქვს ამ ფირებთან, არც ბედუკაძესთან და არც საზღვარგარეთ მისი შენახვის ხარჯებს იხდიდა. ერთ-ერთ ასეთ ფიგურად ვანო ჩხარტიშვილი უკვე დასახელდა. ამბობენ, რომ სწორედ მან იყიდა ფირი...)

ასეთი აუცილებლობა არა მხოლოდ ციხის კადრების პოლიტიკაში ხელმეორედ გამოჩენამ დააყენა, არამედ არჩილ კბილაშვილის გადაწყვეტილებამაც. გენერალურმა პროკურორმა ლადო ბედუკაძემ ის სისხლის სამართლის პასუხისგებიდან გაათავისუფლა. ეს კი წერტილს უსვამს მთელ ამ ისტორიას, ყველა კითხვას უპასუხოდ ტოვებს და ერთადერთი, რაც ხელში გვრჩება, ეს ლადო ბედუკაძეა, რომელსაც თურმე ტაში უნდა დავუკრათ და ვადიდოთ...

ანუ, ბედუკაძის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან განთავისუფლებით გაურკვეველი და გამოუძიებელი დარჩება ყველაფერი, რაც იგივე ცოცხების კადრებს ეხება. ბედუკაძემ მხოლოდ ერთხელ, „პრაიმტაიმში“ თქვა სიმართლე, თქვა, რომ ცოცხების კადრი დადგმულია და რეალობას არ შეესაბამება, თუმცა სწორედ ამ კადრს მოჰყვა განსაკუთრებული პროტესტი წინასაარჩევნოდ, ხალხი ქუჩაში ცოცხებით გამოვიდა.

ახლა კი არჩილ კბილაშვილი ამბობს, რომ ის, რაც სერიოზულ დანაშაულად შეფასდა (ბევრი დარწმუნებული იყო, რომ პატიმრებს აწამებდნენ და ცოცხების მეშვეობით აუპატიურებდნენ), გამოძიებული არ იქნება. ლადო ბედუკაძეს ახლა უკვე აღარ სურს ცოცხების კადრზე საუბარი.

გაურკვეველია ბევრი დეტალი და მთლიანად ისტორიაც. პროკურატურის გადაწყვეტილებით კი, გამოძიებამ ეს თემა დახურა.

რა თქმა უნდა, ციხის კადრი, ისევე როგორც 10 თვის ჩვილის რაფალიანცის გარდაცვალება, მხოლოდ კრიმინალური საქმე არ არის. წინასაარჩევნოდ, ორივე მათგანი პოლიტიკური მიზნებისთვის იყო გამოყენებული. „ქართულმა ოცნებამ“ უნდა დაამტკიცოს, რომ ბინძური თამაშები და პროვოკაციები მისი ხელწერა არ არის.

ბიძინა ივანიშვილმა ევროკომისრის ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში შტეფან ფულეს ვიზიტის წინ გენერალურ პროკურორს მოუწოდა, გადახედოს ბედუკაძესთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას:

– როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, საქართველოს მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ მიიღო პატიმრების წამებისა და მათდამი არაადამიანური მოპყრობის არაერთ ფაქტზე ბრალდებული ბედუკაძის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან სრულად განთავისუფლების გადაწყვეტილება, რაც მე მოგვიანებით, საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებისგან შევიტყვე. ამ უკანასკნელებმა მთხოვეს, შემეფასებინა ეს გადაწყვეტილება და მე დავპირდი, რომ დეტალური შესწავლის შემდეგ გავაკეთებდი განცხადებას და გამოვხატავდი ჩემს პირად დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი...

რაც შეეხება ბედუკაძის საქმეს, მე გავეცანი ყველა იმ არგუმენტს, რომლებიც საფუძვლად დაედო მიღებულ გადაწყვეტილებას და მინდა, მკაფიოდ განვაცხადო, რომ პირადად ჩემთვის ისინი არასაკმარისი და არადამაჯერებელია. დარწმუნებული ვარ, რომ არანაირი სახის განსაკუთრებული გარემოება არ შეიძლება, იყოს საფუძველი წამების ჩამდენი პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან სრულად განთავისუფლებისთვის.

ამასთანავე, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დამიტოვა ამ საქმის სხვა ფიგურანტების მიმართ გამოჩენილმა ლოიალურობამ, რამაც, ჩემი აზრით, არაადეკვატურად ლმობიერ განაჩენებში ჰპოვა ასახვა...

მინდა ვთხოვო საქართველოს მთავარ პროკურორს, რომელიც, სასამართლოსგან განსხვავებით, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელია და ამიტომ შემიძლია, მას პირადად მივმართო. კიდევ ერთხელ კრიტიკულად გადახედოს მიღებულ გადაწყვეტილებებს და თუკი ჩემს მოსაზრებებს გაიზიარებს, იქნებ გამოინახოს სამართლებრივი საშუალებები მათი გადასინჯვისთვის.

**მიხეილ სააკაშვილი: „ბედუკაძე, რომელმაც თვითონ აწამა, გადაიღო, იყო პროდიუსერი, იყო მთავარი როლის შემსრულებელი, რეჟისორი და ლამის ოსკარზე წარადგინა შემდეგ პროკურატურამ, გამოაცხადეს პრაქტიკულად გმირად“**

და თუ კოალიცია „ქართული ოცნება“ მანამდე დუმდა და მხოლოდ თინა ხიდაშელმა და რესპუბლიკელებმა გააპროტესტეს ბედუკაძის მიმართ საქმის შეწყვეტის ფაქტი, პრემიერის თხოვნის შემდეგ უკვე პროკურატურას სხვებმაც ურჩიეს პრემიერის შეხედულების გათვალისწინება. მათ შორის, შს მინისტრმაც. ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, არჩილ კბილაშვილმა პრემიერის პოზიცია უნდა გაიზიაროს.

ჯერ პრემიერის თხოვნას, შემდეგ კი შს მინისტრის პოზიციას უკვე გენერალური პროკურორის მხრიდან მოჰყვა ხმაურიანი განცხადებები.

პრემიერის პასუხად კბილაშვილმა გაამხილა, რომ ბედუკაძემ კადრი გასავრცელებლად ციხიდან 2011 წელს გამოიტანა. სხვა დეტალები ამ ეპიზოდთან დაკავშირებით არ დაუზუსტებია.

შს მინისტრს კი შეახსენა: გადაწყვეტილების მიღებას ხომ შენც ესწრებოდიო. დაახლოებით ასე გაიჟღერა გენერალური პროკურორის ფრაზამ: „ვლადიმერ ბედუკაძეზე გადაწყვეტილების მიღებამდე საკითხის განხილვაში შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მონაწილეობდა...“

არჩილ კბილაშვილს შსს პრესსამსახურმა შეახსენა, რომ: „პროკურატურის საქმიანობაში შინაგან საქმეთა მინისტრი არ და ვერ ჩაერევა... შინაგან საქმეთა მინისტრმა ორჯერ განაცხადა, რომ იზიარებს პრემიერმინისტრის პოზიციას ბედუკაძის საქმესთან დაკავშირებით. ირაკლი ღარიბაშვილმა საჯაროდ უკვე მოუწოდა არჩილ კბილაშვილს, რომ მანაც გაიზიაროს პრემიერის პოზიცია. რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღებამდე ამ საკითხის განხილვაში მინისტრის მონაწილეობას, შინაგან საქმეთა მინისტრი არ არის მთავარი პროკურორის ხელმძღვანელი. როგორც ცნობილია, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ და მხოლოდ მთავარი პროკურორის უფლებამოსილებაა“.

უწყებებს შორის გადაძახილების მიუხედავად, გაირკვა, რომ გენერალური პროკურორის პოზიცია მიუღებელია, მაგრამ გასაგები. გასაგები იმიტომ, რომ კანონი კბილაშვილს აძლევს ბედუკაძის „შეწყალების“ უფლებას. და მერე რა, თუ წამება და არაადამიანური მოპყრობა ბრალის მოხსნასა და ამნისტიებს არ ითვალისწინებს. თავიდან საკმაოდ კატეგორიული იყო თინა ხიდაშელი, შემდეგ ტონიც შეარბილა და დამოკიდებულებაც.

## კბილაშვილს შეეშინდა?

ხვედელიძის შემდეგ ნერვებმა შეიძლება ითქვას, არჩილ კბილაშვილსაც კინაღამ უმტყუნა. პირველად მაშინ, როცა მიანიშნა, რომ კადრი ერთი წლით ადრე იყო გამოტანილი სისტემიდან. ეს თარიღი ემთხვევა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლას. უფრო სწორად ოდნავ უსწრებს წინ. სწორედ ეს გაამჟღავნა კბილაშვილმა

არჩილ კბილაშვილი:

– ბედუკაძემ ეს კადრები გასავრცელებლად 2011 წლის სექტემბერში გადასცა... მე შეგახსენებთ, რომ ივანიშვილმა განცხადება 2011 წლის ოქტომბერში გააკეთა, ანუ, როცა ბედუკაძემ ამ მასალების გავრცელების გადაწყვეტილება მიიღო, მას აბსოლუტურად არ შეიძლებოდა ჰქონოდა გათვლა რაიმე პოლიტიკურ შეღავათზე, ცვლილებაზე, რაც შეიძლებოდა ერთგვარ ქვეტექსტად აღქმულიყო იმისთვის, რომ ხელსაყრელ დროს ხელსაყრელი ნაბიჯი განახორციელა. ამას აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა, რათა შევაფასოთ ადამიანის მოქმედება...

ანუ, გენერალურმა პროკურორმა თქვა, რომ ჯერ ფირები იქნა გატანილი ციხიდან და შემდეგ უკვე ბიძინა ივანიშვილი შემოვიდა პოლიტიკაში. გენპროკურორს არ დაუკონკრეტებია, ვის და რა მიზნით გადაეცა ფირები. მან ეს პარალელი გაავლო, თუმცა იქვე დასძინა, რომ ამ ორ ფაქტორს შორის კავშირი არ არის.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის აზრით, ციხის კადრი და ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლა დროში ერთმანეთს შემთხვევით არ ემთხვევა.

მიხეილ სააკაშვილი:

– ბედუკაძე, რომელმაც თვითონ აწამა, გადაიღო, იყო პროდიუსერი, იყო მთავარი როლის შემსრულებელი, რეჟისორი და ლამის ოსკარზე წარადგინა შემდეგ პროკურატურამ, გამოაცხადეს პრაქტიკულად გმირად. დღეს გაირკვა ძალიან საინტერესო დეტალი, რომ უკვე 2011 წლის ზაფხულში ეს ფირები კონკრეტული ჯგუფისა და არცთუ ისე ღარიბი ადამიანის მიერ იქნა შეკვეთილი და გადაღებული, იმიტომ, რომ ამაში დიდი ფული გადაიხადეს. აღმოჩნდა ამ არაღარიბი ადამიანის ხელში, შემდგომი პოლიტიკური გამოყენების მიზნით და დღეს მთავარმა პროკურორმა დაამტკიცა, რომ მართლაც, ეს ფირები გადაეცა რაღაც ჯგუფებს, 2011 წლის აგვისტოში, ეს არის ორი თვით ადრე, ვიდრე დღევანდელი პრემიერი გამოაცხადებდა, რომ ის აპირებს საქართველოს ხელში ჩაგდებას.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ოლიტიკურ ციხემდე




## „ნუ აზიზღებთ საზოგადოებას თავს, ნუ შეგყავთ პრემიერი შეცდომაში“

მეორედ, არჩილ კბილაშვილს ნერვებმა მაშინ უმტყუნა, როცა თითი შს მინისტრისკენ გაიშვირა და მიანიშნა, გადაწყვეტილების მიღებისას მარტო არ ვყოფილვარო.

რას იზამთ, არჩილ კბილაშვილი, როგორც ჩანს, მზად არ არის გუნდური პასუხისმგებლობისთვის. მას შეეშინდა, რომ ხელებს შეაწმენდნენ და რამდენიმე წამოცდენა დაუშვა.

### გმირი?

ბედუკაძე, ალბათ, ერთადერთი გმირია, ვისაც არ სურს საკუთარ გმირულ საქციელზე საუბარი, მას იმის გახსენებაც არ უნდა, როგორ ჩაიდინა ეს „გმირობა“. არ შეუძლია, დეტალურად თქვას, რას საქმიანობდა, რა და როგორ მოხდა... მას საკუთარ გმირობაზე საკუთარი ხმაც კი აფრთხობს. დავით პაიჭაძესთან საუბრისას განაცხადა: არ ვიცი, ჩემი ხმა არის თუ არაო. ეს მაშინ მოხდა, როცა წამყვანმა ციხის სკანდალური კადრები აუდიოჩანაწერის სახით გაუშვა ეთერში, სადაც პატიმრის არაადამიანური მოპყრობის ფაქტი იყო ასახული და კარგად ისმოდა ბედუკაძის ხმა. „გმირს“ მოუწია, უარი ეთქვა საკუთარ თავზეც კი, იმდენად შემზარავია ის გმირობა, რომელსაც ლადო ბედუკაძის სახელი და გვარი უკავშირდება.

გადაცემა დიალოგი. დავით პაიჭაძე ეკითხება ბედუკაძეს: „ეს თქვენი ხმაა?.. არის თუ არა თქვენი ხმა, – „ქურდებს პატივს სცემ, ბიჭო?“, „არ შეიგინები?“ – მაყურებელს ესმის ციხეში ერთ-ერთი პატიმრის წამების ხმები.

ლადო ბედუკაძე პასუხობს: „ასეთი კადრები საქართველოს პრეზიდენტს აქვს 13 ათასი, მე არ ვიცი, რა კადრები გამოიყენეთ, რაც მე აქ მოვისმინე, რა თქმა უნდა, ჰგავს ჩემს ხმას, მაგრამ როგორ გითხრათ, არის თუ არა ჩემი ხმა, იმიტომ, რომ არ ვიცი, რა კადრები გამოიყენეთ თქვენ აქ, ამ გადაცემაში, თქვენ ახლა რიგით პროკურორს მაგონებთ...“ – შეტევაზე გადასვლა სცადა ბედუკაძემ, დავით პაიჭაძემ კი რუსი პროკურორი სკურატოვი გაიხსენა, რომელიც ფარულად ერთ-ერთ აბანოში შიშველი ქალების გარემოცვაში გადაიღეს.

დავით პაიჭაძე: „მე მახსენდება მაკომპრომეტირებელი მასალა რუსეთის გენერალურ პროკურორ კურატოვზე, ადამიანი, რომელიც ჰგავს გენერალურ პროკურორს... ასევე, ლაპარაკობთ თქვენ საკუთარ თავზე“.

ეს გადაცემა იყო სრული კრახი ბედუკაძისთვის და შემდეგ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც „ნაყიდ“ გმირებს შეუძლიათ მხოლოდ – მუქარა.

ლადო ბედუკაძე დათო პაიჭაძეს, შეიძლება ითქვას, რომ დაემუქრა: „სუბარს ვთხოვდი ერთ საკანში მოხვედრას, დაფიქრდით!“

### თინა და ლადო

ლადო ბედუკაძე მიიჩნევს, რომ, რომ არა ის, კოალიცია „ქართული ოცნება“ ვერ გაიმარჯვებდა. ჟურნალისტი ირმა ინაშვილი, თავის მხრივ, თვლის, რომ მხოლოდ მისმა და მისი გუნდის ძალისხმევამ მოიყვანა ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში... პრემიერს გამარჯვებაში სხვებიც ეცილებიან. მაგალითად, იგივე ნინო ბურჯანაძე, რომელსაც მიაჩნია, რომ 26 მაისი იყო გადამწყვეტი.

მაგრამ ნინო ბურჯანაძე პოლიტიკოსია, ირმა ინაშვილი – ჟურნალისტი და ვინ არის ლადო ბედუკაძე? კაცი, რომელიც ციხეში პატიმრებს აწამებდა, ახლა ცდილობს, პოლიტიკაში ჩაერთოს. და ეს რესპუბლიკელების კრიტიკით დაიწყო. ბედუკაძე წარმოადგენს კიდეც იმ ადამიანთა ჯგუფს, რომლისთვისაც რესპუბლიკელები ერთპროცენტიანი და ნულპროცენტიანი პარტიაა და საერთოდაც, ხალხმა ბიძინა ივანიშვილი აირჩია და არა „რესპუბლიკური პარტია“.

რესპუბლიკელები ცდილობენ, ამ ბინძურ კამპანიაში ყველას გასცენ პასუხი. ბედუკაძეს ისინი ამ პოლიტიკური მოტივითაც დაუპირისპირდნენ, ანუ კბილაშვილის „შეწყალება“ არ ნიშნავს რესპუბლიკელების წინააღმდეგ გალაშქრების უფლების მიღებას. ესეც იკითხება, ალბათ, იგივე თინა ხიდაშელის კომენტარებში, რომელიც რამდენადაც მწვავეა ბედუკაძის მისამართით, იმდენადვე რბილია კბილაშვილის მიმართ.

> **დავით უსუფაშვილი: „ბედუკაძის საქმეზე კანონი არ დაურღვევია და ამის მტკიცებულება არის ის, რომ შუამდგომლობა დაამტკიცა მოსამართლემ, ვის გადაწყვეტილებასაც აქვს ყველაზე დიდი მნიშვნელობა, კანონიერია თუ არა“**

**თინა ხიდაშელი:**

– არის დანაშაულები, საერთაშორისო წესებით დადგენილი და არა რომელიმე კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობით, რომელზეც არ არსებობს პატიება, რომლისთვისაც აუცილებლად უნდა დაისაჯოს დამნაშავე. თუკი ადამიანი მხილებულია და არსებობს ფაქტები, დადასტურებული სასამართლოს მიერ, წამების დანაშაულში, როგორც არ უნდა თანამშრომლობდეს გამოძიებასთან, შეიძლება იყოს შემსუბუქებაზე საუბარი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ვილაპარაკოთ პასუხისმგებლობიდან განთავისუფლებაზე.

პარლამენტის თავმჯდომარემ და „რესპუბლიკური პარტიის“ პირველმა პირმაც თქვა, რომ ბედუკაძის „გაშვება“ არასწორი იყო.

**დავით უსუფაშვილი:**

– ბედუკაძის საქმეზე კანონი არ დაურღვევია და ამის მტკიცებულება არის ის, რომ შუამდგომლობა დაამტკიცა მოსამართლემ, ვის გადაწყვეტილებასაც აქვს ყველაზე დიდი მნიშვნელობა, კანონიერია თუ არა. მე არ მაქვს არანაირი საფუძველი, ვიფიქრო, რომ მისი გადაწყვეტილება იყო უკანონო. კოალიციაში ვერ ვიხსენებ, ვინმეს ეთქვას, რომ ეს იყო სწორი გადაწყვეტილება. ჩვენ ვთვლით, რომ ამ ტიპის საქმეზე მსგავსი გადაწყვეტილება არ არის მიზანშეწონილი. მოსაზრებები შეგვიძლია ხმამაღლა გამოვთქვათ, მაგრამ კანონის ფარგლებში უნდა ვიმოქმედოთ.

### რატომ რესპუბლიკელები?

ანუ რესპუბლიკელები ორი პრობლემის წინაშე დგანან. ერთი, დაირღვა კანონი, წამებაში მხილებულისთვის ბრალის მოხსნა არ შეიძლებოდა. და მეორე, ასეთი პირი არის იმ გუნდის ერთ-ერთი აქტიური წევრი, ვინც მიიჩნევს, რომ რესპუბლიკელები თავიდან უნდა მოიშოროს ბიძინამ და საერთოდ, სჯობია ვადამდელი არჩევნები.

სხვათა შორის, რესპუბლიკელებს „ქართულ ოცნებაში“ არავინ ესარჩლებათ, კოალიციის სხვა სუბიექტები, ალბათ, მიიჩნევენ, რომ ეს მათ არ ეხებათ.

ზოგიერთები კი თინას გაჩუმებას ურჩევენ, ისინი ცდილობენ, საკითხი იურიდიული და პოლიტიკური სფეროდან „ზნეობრივ“ სფეროში გადაიყვანონ და თქვან: კი მაგრამ, თინა, იცი, შენ სად იქნებოდი, რომ არა ბედუკაძე (ისე, თინა ხიდაშელი პოლიტიკაში იქნებოდა, მაგრამ სად იქნებოდა ბედუკაძე, საკითხავი ეს არის)?

ბედუკაძის დასაცავად მაშინვე გამოენთო გოგა ხაინდრავა:

– ლადო ბედუკაძე რომ არ ყოფილიყო, თინა ხიდაშელი ან იქნებოდა ხელისუფლების სათავეში, ან არა. ციხეში ერთხელ თუ ვინმე არის ნამყოფი და მით უმეტეს, გლდანის ციხე იცის, რა არის, მან კარგად იცის, რა ემუქრებოდა ბედუკაძეს, რომ გაეგოთ, რომ მას ეს კადრები გაჰქონდა. სერგო თეთრაძის ფაქტი მინდა გავახსენო თინასაც და სხვასაც, ამ საშიშროების წინაშე იდგა ბედუკაძე. გასაგებია, რომ თანამონაწილე იყო, მაგრამ მე არც ერთი პატიმარი არ შემხვედრია ჯერ, რომელიც მის დანაშაულზე ლაპარაკობს.

**იგივე პათოსს იმეორებს ბედუკაძეც;**

– საინტერესოა, რატომ არ საუბრობდით, ქალბატონო თინიკო, ჩემს „დანაშაულებრივ მოღვაწეობაზე“ არჩევნების წინ, სტუდენტობის ქუჩაში გამოსვლისას, იქნებ გეწყინათ ჩემი ამდაგვარი ნაბიჯი?.. მოგთხოვთ ამაზე აუცილებლად პასუხს! თუმცა რაა გასაკვირი... თვითლუსტრაცია შესანიშნავი მაგალითია თქვენი მომავალი პოლიტიკური კარიერისთვის!

თინა ხიდაშელსაც მუქარა. მუქარის გარდა, ბედუკაძემ მას დებატებიც შესთავაზა. მოგვიანებით კი თქვა, რომ ხიდაშელისა და „ნაცსექტის ლიდერთა განცხადებები ერთიერთზე ემთხვევა... პარტია, რომლის რეიტინგი ნოლია, ნუ აზიზღებთ საზოგადოებას თავს, ნუ შეგყავთ პრემიერი შეცდომაში!

ვინ მართავს ბედუკაძეს ახლა, როცა ის პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს, და ვინ აფინანსებდა ციხეში მას მაშინ, როცა კადრები გადაიღო, და ვის გადასცა ეს კადრები. კითხვა ბევრია, პასუხები კი – მხოლოდ პოლიტიკური ვარაუდები. გამოძიება დაიხურა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ






- გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.
- უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

**ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:**

- ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;
- სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;
- გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;
- შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.



## დარეკეთ 114-ზე!

- გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;
- ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.

**კატეგორიულად აკრძალულია!**



- საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);
- სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;
- არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;
- გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);
- დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;
- გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;
- ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;
- გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.



**გახსოვდეთ, რომ:**

- პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.

**პატივცემულო მომხმარებლებო!**

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბაჩო ახალაია საპყრობილეს აგვისტოს ბოლოს დატოვებს?

ხათუნა მგალობლიშვილი

## გოგა ონიანი: „სავარაუდოდ, აგვისტოს ბოლოსთვის უნდა მიიღოს სასამართლომ გადაწყვეტილება, თუ შეგნებულად არ მოხდა საქმის გაჭიანურება“

**EXCLUSIVE**



**ბაჩო ახალაია აგვისტოს ბოლოს დიდი ალბათობით საპყრობილეს დატოვებს. ამის მოლოდინი მის ახლობლებსა და, პირველ რიგში, მის ადვოკატებს ნამდვილად აქვთ. მიზეზი ლოგიკურია, რადგან ყველა ბრალდება ნელ-ნელა ზუსტად ისე ქრება, რომ საბოლოოდ ის ნულამდე დავა. მთავარი სამი ეპიზოდი, რომელშიც ბაჩო ახალაიას ედავებოდნენ, მოწმეების დაკითხვის შედეგად „საპნის ბუშტივით გაქრა“. ადვოკატის, გოგა ონიანის განცხადებით, იალღუჯის პოლიგონის, ეგრეთწოდებული ზვიად აბესაძის ეპიზოდისა და ჯარისკაცების პროტესტის ბრალდებები მარტივად გაბათილდა. ყველა მათგანთან მიმართებაში უარყოფილია ახალაიას კავშირი. ყველაზე საინტერესო კი ერთ-ერთი მთავარი ეპიზოდი – ციხის ბუნტის დეტალებია. ახალაიას ადვოკატის განცხადებით, ამ ეპიზოდთან დაკავშირებით ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ჩვენებებს კანონიერი ქურდები აძლევენ. მათ გვერდით კი, როგორც ონიანი აცხადებს, სოზარ სუბარი დგას.**

**გოგა ონიანი, ბაჩო ახალაიას ადვოკატი:**

– ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ჩვენებებს ამ საქმეზე აძლევენ კანონიერი ქურდები და დღეს, სამწუხაროდ, ამ ადამიანების გვერდით აღმოჩნდა სოზარ სუბარი, რომელიც თავის დროზე, როცა სახალხო დამცველი იყო, აბსოლუტურად სხვაგვარად ფიქრობდა. 2005 წლის მოხსენებაში წერდა, რომ ბაჩო ახალაიას მისვლის შემდეგ სიტუაცია დარეგულირდა, აღარ შედიოდა ნარკოტიკები, აღმოიფხვრა კორუფცია და საუბრობდა იმაზე, რომ სწორედ ამ აკრძალვების გამო დაიგეგმა ციხის ბუნტი. მეტიც, სოზარი მაშინ იმასაც წერდა, რომ პატიმრებს შიმშილს აიძულებდნენ.

უამრავი მძიმე დანაშაულის მოსმენა მოსახლეობამ ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდიდან დაიწყო. მაშინ, როდესაც პოლიტიკური ქულების დასაწერად ჯერ კიდევ ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკური ძალები, მარტივად რომ ვთქვათ, გადაუმოწმებელ ფაქტებს ახმაურებდნენ, თანაც მტკიცებით ფორმაში. დღეს კი მისი მრავალრიცხოვანი ბრალეულობიდან ერთ-ერთ პუნქტში აშკარად საკუთარ თავს უპირისპირდებიან.

სოზარ სუბარის 2005 წლის მოხსენებაში კარგად ჩანს სახალხო დამცველის დამოკიდებულება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაშინდელი ხელმძღვანელის მიმართ. მაშინ სოზარს მიაჩნდა, რომ ახალაიას დეპარტამენტში მოსვლამ სახალხო დამცველის ოფისის დიდი ხნის ოცნება აასრულა. სოზარი საკუთარ მოხსენებაში ადასტურებს, რომ მაშინ საპყრობილეებში სამი ძირითადი პრობლემა იყო: ტოტალური კორუფცია, ნარკოტიკების შეუზღუდავი და აბსოლუტურად კონტროლირებადი გასაღება და კანონიერი ქურდების სრული კონტროლი ციხეში მიმდინარე პროცესებზე. დეტალურად აღწერს, როგორ ხდებოდა ეგრეთწოდებული „ობშიაკების“ შეგროვება, როგორ დაუნდობლად ისჯებოდნენ ის პატიმრები, ვინც ფულის გაღებაზე უარს ამბობდა და როგორ განსხვავებულ პირობებში იმყოფებოდნენ პრივილეგირებული პატიმრები...

**სახალხო დამცველის (სოზარი სუბარის) 2005 წლის მოხსენება:** „კანონიერი ქურდები ტოტალურად აკონტროლებდნენ ციხეში მიმდინარე მოვლენებს, ისინი არა მხოლოდ განსხვავებულ, მდიდრულად მოწყობილ საკნებში ცხოვრობდნენ, რომელთა კარი არასდროს იკეტებოდა – ეს იყო ციხის „ოქროს წესი“, არამედ ციხის შიგნით „მართლმსაჯულებას“ აღასრულებდნენ – ნებისმიერი პატიმარი ვალდებული იყო ყოველთვიურად გაეღო ხარკი ე.წ. 32 „საერთოსთვის“ („ობშიაკი“), ხოლო ვინც არ გადაიხდიდა, სასტიკად ისჯებოდა. 2005 წლის დეკემბრიდან, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ახალი ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ, ვითარება მკვეთრად შეიცვალა, რასაც ჩვენ დაჟინებით მოვითხოვდით მანამდეც საქართველოს იუსტიციის მინისტრისგან. დაიწყო რეალური და ძალიან მკაცრი ბრძოლა კორუფციასთან და სასჯელაღსრულების სისტემაში ნარკოტიკების გავრცელებასთან. ამ პროცესს გააფთრებული წინააღმდეგობა მოჰყვა კრიმინალური სამყაროს მხრიდან“.

სოზარ სუბარის რვა წლის წინანდელი მოხსენება პასუხს სცემს ყველა იმ კითხვას, რომელიც დღეს ახალ ხელისუფლებას აქვს ახალაიას მისამართით. მეტიც, სოზარი თავის მოხსენებაში ადასტურებს, რომ ეგრეთწოდებული ციხის ბუნტი სწორედ კანონიერ ქურდებთან ბრძოლას მოჰყვა შედეგად და ყველა ის ბრალდება, რაც მაშინვე ჟღერდებოდა ახალაიას მისამართით, მიზანმიმართულად კეთდებოდა.

სახალხო დამცველის 2005 წლის მოხსენება: „სურათის შექმნა, რომ დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელობა არღვევს ადამიანის უფლებებს, სცემს და აწამებს პატიმრებს, ლახავს მათ ღირსებას, არის შემადგენელი ნაწილი იმ სტრატეგიისა, რომელიც ქურდულმა სამყარომ დეპარტამენტის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ საბრძოლველად და ძველი გავლენის შესანარჩუნებლად აირჩია. ამ სტრატეგიის არსებობაში არაერთხელ დავრწმუნდით კონკრეტული ფაქტების გადამოწმებისას“.

ახალაიას ადვოკატი არ გამორიცხავს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ შესაძლოა, ახალი ბრალდებები გამოიკვეთოს, თუმცა ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ახალაიას საპყრობილეში დატოვება კონკრეტულ პოლიტიკურ მიზანს ემსახურება.

**გოგა ონიანი, ბაჩო ახალაიას ადვოკატი:**

– თავიდანვე, როდესაც ბაჩო ახალაია დააკავეს, ჩვენთვის ყველაზე მიუღებელი სწორედ ის გადაჭარბებული წინასწარი შეფასებები გახდა, მით უმეტეს, იუსტიციის მინისტრისა და სხვა თანამდებობის პირების მხრიდან. კეთდებოდა განცხადებები, რომ ახალაიამ მოკლა უამრავი ადამიანი, ის არის კაციჭამია. ჩვენ ვითხოვდით, რომ ჯერ ჩატარებულიყო გამოძიება და მხოლოდ ამის შემდეგ გაეკეთებინათ შეფასებები, რა ჩაიდინა ამ ადამიანმა 9 წლის განმავლობაში. ძალიან რთულია, თუმცა ვფიქრობ, საჭირო იყო გამოძიება, რომ ადამიანებისთვის ეს ყველაფერი ნათელი გამხდარიყო. მათ უნდა მოესმინათ ყველა ბრალდება და ასევე, მათი გამაბათილებელი პასუხები. ვფიქრობ, დღე-დღეზე მოსამართლეს უკვე გადაწყვეტილების მიღება მოუწევს. კარგი იყო ასევე ისიც, რომ პროცესები იყო საჯარო. ეს იყო თავად ბაჩო ახალაიას პირადი მოთხოვნა. მას სურდა, პირველ რიგში, დაემტკიცებინა, რომ ის ბინძური საქმეები, რომელსაც მას აბრალებდნენ, მხოლოდ და მხოლოდ ჩირქის მოცხებას ისახავდა მიზნად და მეტს არაფერს და ასევე, სურდა, საზოგადოებისთვის დაემტკიცებინა, რომ ეს ბრალდებები არარეალური იყო. ახლა ჩვენ როგორც სასამართლოს, ასევე საზოგადოების მხრიდან ველოდებით ფაქტების საღი გონებით განსჯას. ჩვენ ყველა მოწმის ჩვენებას ვაქვეყნებთ და ამ ყველაფერს საზოგადოება თავად მისცემს შეფასებას.

**– ელოდებით, რომ შეიძლება ახალი ბრალდებები გაჩნდეს ახალაიას წინააღმდეგ?**

– ბაჩო ახალაიას მუდამ ისეთი თანამდებობები ეკავა, რომლებიც უმძიმეს პასუხისმგებლობასა და რეალური საქმის კეთებას მოითხოვდა. საზოგადოებამ უნდა აწონდაწონოს ეს ყველაფერი, თუნდაც ის ბრალდებები, რაც დღეს არსებობს და მეორე მხრივ, ის გაკეთებული საქმეები, რაც ახალაიას სახელს უკავშირდება. ბუნებრივია, მუდამ იარსებებენ ადამიანები, რომლებიც უკმაყოფილოები იქნებიან, ასევე ის პოლიტპატიმრები, რომლებიც დიდი რაოდენობით გამოუშვეს ბოლო პერიოდში. ვთვლი, ცალკე სასაუბრო თემაა, ვინ იყო რეალურად პოლიტპატიმარი. რა თქმა უნდა, სუბიექტურად განწყობილი ადამიანები მუდამ დარჩებიან. რაც შეეხება ახალ ბრალდებებს, თუ ჩვენ მივდივართ ბელორუსის გზით, თუ ჩვენ მივდივართ იმ გზით, რომელიც უკრაინამ აირჩია და დღეს ამას თავადაც ნანობს, მაშინ არაფერია გამორიცხული. თუ, უბრალოდ, ვიღაცის ხუშტურის გამო უნდა იჯდეს ეს ადამიანი ციხეში, მაშინ გამორიცხული არაფერია.

**– სუბიექტურად განწყობილი ადამიანები რამდენად მოახდენენ ზეგავლენას ხელისუფლებაზე?**

– ხელისუფლებამ თავად მოახდინა ზეგავლენა საზოგადოებაზე, როდესაც წინასწარვე შეუქმნეს ახალაიას მიმართ ასეთი განწყობა. ხელისუფლება, სამწუხაროდ, ძალიან უპასუხისმგებლოდ მოიქცა, როდესაც ადამიანს წინასწარ დასდო ბრალი ბევრ უსაფუძვლო დანაშაულში, რომელიც საბოლოოდ სამართლებრივად აღარ წაეყენა ახალაიას. ჩემი აზრით, პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლება უნდა გამოვიდეს და ახსნას, რომ არასწორად მოიქცა. ბოდიშის მოხდას მათგან არავინ მოითხოვს, მაგრამ საზოგადოებას უნდა უთხრან სიმართლე. თუმცა ესეც რომ არა, საზოგადოება, ალბათ, უკვე თავადაც ხვდება ყველაფერს.

**– თუმცა ამ ნაბიჯს, ალბათ, არავინ ელოდება...**

– ჩემი აზრით, ეს იქნებოდა სწორი და სამართლიანი. თუმცა მე უფრო სხვა რამეს ველოდები. ხელისუფლება იპოვის ადამიანს, რომლის სისუსტესაც დააბრალებს იმას, რომ ბაჩო ახალაიას მიმართ მეტი ბრალდება არ არსებობს.

**– თქვენ ამბობთ, რომ ხელს შეაწმენდენ რომელიმე თანამდებობის პირს?**

– ალბათ, ასე მოხდება.

**– ვინ შეიძლება ეს გახდეს?**

– შეიძლება გენპროკურორი, ან მისი მოადგილე ან კიდევ სხვა ადამიანი. მაგალითისთვის ბედუკაძის განთავისუფლების გადაწყვეტილება შემიძლია მოვიყვანო. ეს არის დანაშაული, რომელსაც ხელისუფლება ძალიან დიდხანს ვერ ჩამოირეცხავს, თუმცა რატომღაც ყველა ერთად დაირაზმა და დაუპირისპირდა არჩილ კბილაშვილს. რა თქმა უნდა, ეს არ იყო სწორი ნაბიჯი, ეს არ არის გუნდურობა. საქმის ასე დაწყება ამორალური საქციელია, პასუხისმგებლობა მთლიანად მთავრობამ უნდა აიღოს, თუნდაც ეს წამგებიანი ნაბიჯი იყოს. არ შეიძლება, ხმების 5%-ის შენარჩუნების გამო გაწირო ადამიანი. რა თქმა უნდა, ეს გადაწყვეტილება კბილაშვილს დამოუკიდებლად არ მიუღია.

**– თქვენი საუბრიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, მალე ახალაია გაათავისუფლონ, როდის შეიძლება ეს მოხდეს?**

– სავარაუდოდ, აგვისტოს ბოლოსთვის უნდა მიიღოს სასამართლომ გადაწყვეტილება, თუ შეგნებულად არ მოხდა გაჭიანურება.



გოგა ონიანი



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# my View

ხათუნა მგალობლიშვილი

**„Occupy Wall Street“-ის ანალოგი საქართველოში ორმა კაკაბაძემ დააარსა. ყოველ შემთხვევაში ლოზუნგით თუ ვიმსჯელებთ, ნანა და ირაკლი კაკაბაძეებს „დაიკავე მანჰეტენის“ (ასეც მოიხსენიებენ ხოლმე ამ მოძრაობას) მსგავსი მასშტაბის საპროტესტო აქციების მოწყობა სურთ. ბუნებრივია, მხოლოდ სახელწოდება – „დაიკავე საქართველო“ ამას ვერ უზრუნველყოფს. ამერიკაში ობამას გაპრეზიდენტებიდან საკმაოდ დიდიხნიანი პაუზის შემდეგ დაიწყო გააქტიურება მოძრაობამ. მოგვიანებით კითხვაზე, რატომ დუმდნენ ამდენ ხანს, პასუხი იყო შემდეგი: გვქონდა განცდა, რომ ობამა მიიღებდა კანონებს, რომელიც დაარეგულირებდა საბანკო სისტემას, თუმცა რამდენიმეწლიანი მოლოდინი კრახით დასრულდა. პრინციპში, აქ ნამდვილად არის საერთო. ივანიშვილის დაპირებების მოლოდინში თითქმის ერთწლიანი პერიოდია გასული და როგორც ექსპერტები ამბობენ, ახალი კვლევებიც დაადასტურებს, რომ „ოცნების“ რეიტინგმა სწორედ იმედგაცრუების ფონზე დაიწია.**

„დაიკავე საქართველოს“ მთავარი მოთხოვნაც, ამერიკული ვარიანტის მსგავსადაც, საბანკო სისტემის რეფორმას, უმუშევრობის დონის დაწევასა და შემოსავლების სამართლიან განაწილებას უკავშირდება. მიუხედავად ბევრი მსგავსებისა, პარალელების გავლება, წესით, თავად კაკაბაძეს არ უნდა აწყობდეს. „დაიკავე უოლ სტრიტის“ ძალიან ბევრი აქტივისტი პოლიციამ გაუპატიურების, ნარკოტიკების გასაღებისა და მოხმარების ბრალდებით დააკავა. უბრალოდ, აღვნიშნავთ, რომ პოლიტპატიმრების მიმართაც ბევრი კითხვა იყო, რომლებიც დღემდე რჩება უპასუხოდ...

„დაიკავე საქართველოს“ ამერიკული ორიგინალი 2011 წლის 17 სექტემბერს შეიქმნა. ორგანიზატორებს სურდათ, საზოგადოების ყურადღება სახელმწიფოს ფინანსური ელიტის დანაშაულებზე მიექციათ. აქციებმა ბევრი ქალაქი მოიცვა და ბევრჯერაც დაირბა მათი შეკრებები. ქართულ რეალობაში დარბევის შიში აღარ აქვთ. უფრო მეტიც, მაგალითად, ნანა კაკაბაძე დარწმუნებულია, რომ, როდესაც დავით უსუფაშვილი გაიგებს, რომ ფართომასშტაბიანი აქცია იგეგმება პარლამენტის წინ, მათ დასახვედრად საგანგებო სხდომა დაინიშნება...

**ნანა კაკაბაძე, უფლებადამცველი:**

– ქუთაისში როდის წავალთ, ჯერ არ გადაგვიწყვეტია. ვიცით, რომ მალე პარლამენტი არდადეგების რეჟიმში გადადის, არის მოსაზრება, რომ, თუ ჩვენ ასეთი მასშტაბით ჩავალთ ქუთაისში, დაინიშნება საგანგებო სხდომა. თუმცა ჩვენ უკვე მომზადების პერიოდში ვართ და ვეცდებით, მალე გამოცხადდეს კონკრეტული თარიღი. ზოგადად, სამართლიანობის აღდგენა ჩვენი მთავარი სლოგანია. რეჟიმს უნდა მიეცეს შეფასება პარლამენტის მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა ვერ განვითარდება. ქვეყნების, რომლებმაც ასეთი ტიპის რეჟიმები გაასამართლეს, უარი თქვეს მათზე და მისცეს ისეთი შეფასება, როგორსაც იმსახურებდნენ, საქმე სულ სხვაგვარად წავიდა, მაგალითისთვის გერმანიას მოვიყვან. ამიტომ ჩვენც უნდა გავაკეთოთ ეს შეფასება აუცილებლად.

**– ახალი მოთხოვნა სოციალურ სფეროს უფრო უკავშირდება...**

– როდესაც ჩვენ შევიკრიბეთ სპორტის სასახლეში, იქ აღმოჩნდა, რომ ყველაზე დიდი რაოდენობა სწორედ იპოთეკით დაზარალებულები იყვნენ. მალე ქვეყანაში გაჩნდება კიდევ უფრო გალატაკებული მასა, რომელთა რიცხვი, მინიმუმ 75 ათასი უკვე არის და დაახლოებით 600 ათასი სახლის დაკარგვის რიგშია. ჩვენი ორგანიზაცია ძირითადად ციხეებსა და პატიმრებზე მუშაობდა, თუმცა, როდესაც ეს პრობლემა ვნახეთ, ორიენტაცია სწორედ ამ ადამიანების დახმარებაზე ავიღეთ. ვფიქრობ, პროცესი უკვე დაიწყო, თუნდაც იმ ნაბიჯით, რომ აჭარაში, კერძოდ, ქობულეთში გამოსახლებების შეჩერება ხდება და საუბარია გრძელვადიან უპროცენტო კრედიტზე. ვფიქრობ, ეს შეღავათები მთელ საქართველოზე გავრცელდება.

**– როდიდან დაიწყებთ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას?**

– ჩვენი მოძრაობა, მგონი, ყველაზე მასშტაბური ორგანიზაციაა და ჩვენი წევრები გვეუბნებიან, რომ დროა, დავიწყოთ ბევრად მასშტაბური მოქმედება. ამიტომ ჩვენ მთელი საქართველოს მასშტაბით ვიწყებთ მოქმედებას, ყველა სოფელში გვეყოლებიან წარმომადგენლები, ისინი იმუშავებენ და ხელისუფლებამდე მიიტანენ ჩვენს მთავარ მოთხოვნას – სამართლიანობის აღდგენას. ჩვენ ვითხოვთ პარლამენტისგან, შეიქმნას კომისია, რომელიც სწორედ ამ საქმით დაკავდება. ამ კომისიამ უნდა ითანამშრომლოს პროკურატურასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, დაზარალებულებთან და შედეგად უნდა მოხდეს ნაციონალების ცხრაწლიანი რეჟიმის შეფასება. თუმცა, როგორც ჩანს, საჭიროა სერიოზული ძალისხმევა, რომ ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი გადადგას. ამიტომ ჩვენ ვიწყებთ ამ მოძრაობას. დავიძვრებით ქუთაისისკენ, მივალთ პარლამენტთან და მოვითხოვთ პასუხს კითხვაზე – შექმნიან თუ არა კომისიას. ჩვენ პარლამენტს უკვე გავუგზავნეთ ევროპული ქვეყნების პრაქტიკა და გამოცდილება ამ მიმართულებით, თუ როგორ მოხდა სხვა ქვეყნებში ამ პრობლემის დარეგულირება. ყველაზე ოპტიმალური იყო ჩვენთვის ესპანეთის მაგალითი, სადაც ორწლიანი მორატორიუმი გამოცხადდა გამოსახლებაზე. ამ ორი წლის მანძილზე კი შემუშავდა კანონმდებლობა, რომელმაც დაარეგულირა მსგავსი საკითხები. ჩვენც იგივე მოთხოვნა გვაქვს. თუ ისინი ჩათვლიან, რომ ჩვენც უნდა ჩავერთოთ ამ პროცესში, მზად ვართ, მონაწილეობა მივიღოთ, თუ არადა დამოუკიდებლად მოაგვარონ ეს პრობლემა.



# ირაკლი კაკაბაძე: „თუ ხალხი ვერ მიიღებს უკეთესობას, მაშინ ისინი თავის ხელში აიღებენ სიტუაციის შეცვლის აუცილებლობას“

საქართველოს ყველა რეგიონიდან დაძრული მოსახლეობა მთავარ კითხვას სწორედ უსუფაშვილს დაუსვამს. პარალელურად კი ისინი საბანკო რეალობის შეცვლას მოითხოვენ, რეფორმის გატარების სახით. მიუხედავად იმისა, რომ ნანა კაკაბაძე აღიარებს საბანკო სექტორის დამოუკიდებლობას, ბრალს მაინც უყენებს – აქამდე ისინი თაღლითობას უფრო ეწეოდნენ, ვიდრე ბიზნესს.

„დაიკავე მანჰეტენის“ ანალოგის შექმნა, სავარაუდოდ, ირაკლი კაკაბაძის იდეაა. ის მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორიც არის და როგორც ამბობს, მოსახლეობა ძალიან მალე საკუთარ თავზე აიღებს ცვლილებების გატარების აუცილებლობებს. რა გზით მოხდება ეს, ამაზე კაკაბაძეს კონკრეტული პასუხი არ აქვს. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით.

**ირაკლი კაკაბაძე:**

– „დავიკავოთ საქართველო“ ემსახურება იმას, რომ სოციალური სამართლიანობა აღდგეს საქართველოში. ადამიანის უფლებებში შედის არა მარტო სამართლიანობის აღდგენა, არამედ დაცული უნდა იყოს სოციალური და ეკონომიკური უფლებები.

**– უფრო კონკრეტულად?**

– ზღვარი მდიდრებსა და ღარიბებს შორის კატასტროფულად არის გაზრდილი და უნდა შემცირდეს. მე ვფიქრობ, რომ სამართლიანობის აღდგენასა და პოლიტპატიმრებზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. პოლიტპატიმრების უფლებებიც მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა, მაგრამ ყველა ადამიანს ეკუთვნის სახლი, პური და ყველა ბავშვს ეკუთვნის წიგნი და განათლება. ჩვენ ვიწყებთ ბრძოლას და მივაღწევთ ამ მიზანს.

**– ამ გზით რამდენად მიღწევადია ეს მიზანი?**

– მე პროგნოზებს არ ვაკეთებ, გეუბნებით, რომ მიზნის მისაღწევად ბოლომდე ვიბრძოლებთ. სოციალური და ეკონომიკური უფლებები თუ არ არის დაცული, იქ პოლიტიკური უფლებების დაცვაზე საუბარი ზედმეტია. თქვენ თუ იმის საშუალება არ გექნებათ, რომ პური ჭამოთ და სახლში იცხოვროთ, თქვენი პოლიტიკური უფლებები ვერასდროს იქნება დაცული. ყოველთვის იქნებით ვიღაცის გავლენისა და მონობის ქვეშ.

**– ეს დაპირებაც იყო, პრინციპში...**

– არ ვიცი, ეს ვისი დაპირება იყო, მაგრამ საქმე რომ ძალიან ცუდად არის, ეს ვიცი.

**– უფრო ცუდად არის, ვიდრე რამდენიმე წლის წინათ?**

– უფრო ცუდად არის თუ არა, არ ვიცი, მაგრამ უკიდურესად ცუდად რომ არის, ეს ვიცი. თუ ხალხი ვერ მიიღებს უკეთესობას, მაშინ ისინი თავის ხელში აიღებენ სიტუაციის შეცვლის აუცილებლობას.

**– როგორ?**

– როგორც საერთოდ ხდება ხოლმე. არ დავკონკრეტდები.



ნანა კაკაბაძე: „თუმცა, როგორც ჩანს, საჭიროა სერიოზული ძალისხმევა, რომ ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი გადადგას. ამიტომ ჩვენ ვიწყებთ ამ მოძრაობას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება






# ვის გამო შედის ცვლილება კონსტიტუციაში

## ლევან ალაფიშვილი: „როგორც არ უნდა შევფუთოთ საკონსტიტუციო ცვლილება, არსი არის ასეთი – უცხოელებისთვის იხსნება სამოქმედო არეალი, ეს სახელმწიფოებრივად ძალიან საშიშია“

**ხათუნა მგალობლიშვილი**

**ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირისთვის ქართული პოლიტიკა მიმზიდველი ხდება. მისი სამოქმედო არეალი ბევრად უფრო ფართოვდება და თუ აქამდე ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს შეეძლო, მაგალითად, პარლამენტის წევრი გამხდარიყო, ცვლილების შემდეგ მას საშუალება მიეცემა, იყოს პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერი ან სულაც პრეზიდენტი.**

**ექსპერტების ნაწილის მოსაზრებით, ცვლილების ინიციატორებმა საკმაოდ სახიფათო სახელმწიფოებრივი თამაში წამოიწყეს. ლევან ალაფიშვილის განცხადებით, პრობლემის მარტივად მოგვარების გზა იქნებოდა, ივანიშვილს პრეზიდენტისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების განაცხადით რომ მიემართა. თუმცა ამის ნაცვლად პარლამენტი საკმაოდ ორაზროვან ცვლილებას ამზადებს, რომლის თანახმადაც მიმდინარე წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში უცხო ქვეყნის მოქალაქესაც ეძლევა საშუალება, კენჭი იყაროს, თუ ის საქართველოში ლეგალურად იმყოფება...**

**ლევან ალაფიშვილი:**

– რეალურად საქართველოს პოლიტიკური ისტებლიშმენტი შეიძლება ღია აღმოჩნდეს ნებისმიერი უცხოელისთვის. 39 მუხლის პირველი პრიმა მუხლი აკრძალვას აწესებს სწორედ ამ თვალსაზრისით – უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობები უნდა დაიკავონ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებმა. ამ შეზღუდვის არარსებობის პირობებში კი თანამდებობის დაკავება შეეძლება ყველას, მათ შორის უცხოელსაც. მოქალაქეობის კანონმდებლობით, უცხოელს, რომელიც მუდმივსაცხოვრებლად შემოვა საქართველოში, აქვს ვალდებულებები. მაგალითად, უნდა გაიაროს რეგისტრაცია და მიიღოს დროებითი ბინადრობის მოწმობა. ანუ უცხოელს, რომელიც ლეგალურად იმყოფება საქართველოში, ან ბინადრობის წესით, ან ვიზის მიღების წესით, შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქართულ პოლიტიკაში. თუმცა კომიკური ის არის, რომ ამ უცხოელს ეკრძალება პოლიტიკური პარტიის წევრობა. ანუ შეძლებს მონაწილეობა მიიღოს საპრეზიდენტო არჩევნებში, გახდეს პოლიტიკურად აქტიური პირი, თუმცა ვერ იქნება პოლიტიკური პარტიის წევრი. როგორც არ უნდა შევფუთოთ საკონსტიტუციო ცვლილება, არსი არის სწორედ ასეთი – უცხოელებისთვის იხსნება სამოქმედო არეალი. სახელმწიფოებრივად ძალიან საშიშია, თუკი უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეეძლება ასეთ მაღალ პოლიტიკური თანამდებობებზე არათუ პრეტენზიების გაცხადება, არამედ მხარდაჭერის შემთხვევაში ამ პოსტების დაკავება. თანაც ურთიერთსაპირისპირო სიტუაცია შეიქმნება, უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პრეზიდენტს ან სხვა მაღალი თანამდებობის პირს უფლება არ ექნება, სახელმწიფო საიდუმლოებებს გაეცნოს. თუ დასახელდება ვერსია, რომ სახელმწიფო საიდუმლოებების შესახებ კანონში უნდა შევიდეს ცვლილება, მაშინ კონსტიტუციის დარღვევით მოუწევთ მოქმედება. მაშინ სახელმწიფო საიდუმლოებების შესახებ კანონში უნდა ჩაწერონ, სიტყვასიტყვით: მხოლოდ იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეს ექნება უფლება, გაეცნოს სახელმწიფო საიდუმლოებებს, რომელიც დაიკავებს პრეზიდენტის პოსტს ან სხვა მაღალ თანამდებობას. ეს კი ცალსახად აღმოჩნდება კონკრეტულ თანამდებობაზე მორგებული კანონი და ბუნებრივია, არასწორია. აქედან გამომდინარე, ძალიან ქაოსური და რთული სიტუაცია იქმნება. ფაქტია, რომ ეს არის სახელმწიფოს პრობლემა. თუკი დღეს რომელიმე მხარეს აქვს რეალური წარმოდგენა არსებულ სიტუაციაზე, უნდა აღიაროს ეს და მარტივად მოაგვაროს პრობლემა: დღევანდელმა პრემიერმა მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს და მან მიანიჭოს ივანიშვილს მოქალაქეობა.

– თუმცა ცნობილია, რომ ივანიშვილი ელოდება ახალ პრეზიდენტს და სავარაუდოდ, სწორედ მარგველაშვილი მიანიჭებს მას მოქალაქეობას...

– პოლიტიკური ინტერპრეტაციები ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის, მიუღებელია. შეიძლება გავიგო, მაგრამ, როცა სახელმწიფოებრიობაზეა საუბარი, ამ შემთხვევაში პიროვნული ემოციები გვერდზე უნდა გადაიდოს. ამის გამო კონსტიტუციური ცვლილებების გატარება გვიწევს, ეს ფაქტია.

– თქვენ მაინც აქცენტს ივანიშვილზე აკეთებთ და არ ფიქრობთ, რომ ეს სხვა კონკრეტული პირებისთვისაც კეთდება, ამით ხომ ბევრ ადამიანს ეხსნება სამოქმედო საშუალება?

– მე იმიტომ არ დავკონკრეტდი და პრემიერზე მხოლოდ იმიტომ ვისაუბრე, რომ ივანიშვილი დღეს უკვე არის ამ კაზუსში. ყველას ექნება საშუალება, მოქმედების, არა მხოლოდ ლევან ვასაძეს, არამედ ყველას, ვისაც ექნება საქართველოში შემოსვლის ლეგალური საშუალება, ვიზა და ცხოვრების 5-წლიანი ბინადრობა. ეს შეიძლება ხვალ აღმოჩნდეს ნებისმიერი. მარტივად შესაძლებელია, ასეთი პოპულარული ადამიანი მოიძებნოს. წარმოიდგინეთ, უცხო ქვეყნის მოქალაქემ რომ მიმართოს ცესკოს, საპრეზიდენტო არჩევნებისთვის უარს ვერ ეტყვიან დარეგისტრირებაზე, თუ ის ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს. ამას ძალიან მარტივი ახსნა იარსებებს – უცხოელი იტყვის, კონსტიტუციაში გიწერიათ, რომ მე ეს უფლება მაქვს და ფაქტია, რომ თქვენ გყავთ უცხო ქვეყნის მოქალაქე პრემიერი. ძალიან დიდი წარმატებით უცხო ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს თუნდაც საფრანგეთის, ამერიკის, თურქეთის, რუსეთის მოქალაქეს ეხსნება კარი საპრეზიდენტო მარათონში.

**მხოლოდ იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეს ექნება უფლება, გაეცნოს სახელმწიფო საიდუმლოებებს, რომელიც დაიკავებს პრეზიდენტის პოსტს ან სხვა მაღალ თანამდებობას**

# ეს შეშლილი მარათონი



საპრეზიდენტო მარათონში უკვე 7 კანდიდატი დარეგისტრირდა. მათ შორის, ცნობილი სახეებიდან ჯერ მხოლოდ შალვა ნათელაშვილი და ნესტან კირთაძე არიან. „ქართულ ოცნებას“ კანდიდატი გამოცხადებული ჰყავს, „ნაციონალურ მოძრაობას“ კი – გამოსავლენი. ამ კვირაში, ალბათ, ოფიციალურად სიაში ნინო ბურჯანაძეც შევა.

ტრადიციულად საპრეზიდენტო რინგზე ისეთებიც ავიდნენ, ვისი სახელიც, საერთოდ, პირველად გავიგეთ და ახლა იმის გაგებაც გვიწევს, რომ მათ უცნაური აზრები აწუხებთ. ერთ-ერთი კანდიდატი, მაგალითად, დარწმუნებულია რომ: „სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის საქმიანობა ბიბლიაში უარყოფითად არის შეფასებული“. გელა სალუაშვილი მიიჩნევს, რომ მარკირება ანტიღვთიურია, ბიძინა ივანიშვილი კი – მისტიკა.








© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნინო ბურჯანაძე რეიტინგებს იპარავს?



**ნინო დათაშვილი**

ნინო ბურჯანაძემ ჯერ სალომე ზურაბიშვილის რეიტინგი „მოიპარა“, ახლა დავით ბაქრაძის პოზიციაზე „გადაინაცვლა“. NDI-ს კვლევები ტრადიციულად ხმაურისა და სკანდალის საგანი ხდება. პოლიტიკური რეიტინგებით ქართველი პოლიტიკოსები ისევ ცდილობენ, თავგზა აუბნიონ ელექტორატს.

თითქოს ნინო ბურჯანაძე რა შუაშია, მაგრამ იმას, რაც სააგენტო „პირველმა“ გააკეთა, ნამდვილად უდის პროვოკაციის სუნი, რომელსაც ხშირ შემთხვევაში პიარშიკები გეგმავენ ხოლმე. რა მოხდა ამ შემთხვევაში ძელი სათქმელია, ნინო ბურჯანაძის ოფისში აცხადებენ, რომ არაფერი იციან, სააგენტო პირველი კი ირწმუნება, კონფიდენციალურია ჩემი წყარო, მაგრამ სარწმუნოო, NDI სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით აღშფოთებულია და მას არასწორს უწოდებს.



Mzia Saganelidze (RFE/RL)

საქმე ის გახლავთ, რომ NDI-ს კვლევებში, რომელიც სააგენტო „პირველმა“ გამოაქვეყნა, პირველ ადგილს მარგველაშვილი იკავებს (34%), შემდეგ მოდის ნინო ბურჯანაძე (14%) და მას მოსდევს დავით ბაქრაძე (5%).

შეგახსენებთ, რომ წინა კვლევებში 5% ჰქონდა ნინო ბურჯანაძეს, 11% – დავით ბაქრაძეს. სალომე ზურაბიშვილს – 7%. სწორედ ეს 7% მიიწერეს მაშინ ბურჯანაძის ოფისში, მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს სალომეს პოზიცია იყო. ახლა, როგორც ჩანს, ბაქრაძის რეიტინგს გაჰკრეს ხელი.

NDI-ს საგანგებო განცხადებაში ნათქვამია:

„NDI ეხმაურება საინფორმაციო სააგენტო „პირველის“ მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციას, სათაურით – „გამოკითხულთა უმრავლესობა საპრეზიდენტო არჩევნებში გიორგი მარგველაშვილს უჭერს მხარს“.



გვსურს, გამოვეხმაუროთ საინფორმაციო სააგენტო „პირველის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ND-ს საზოგადოებრივი აზრის კვლევასთან დაკავშირებით, რომლის პრეზენტაციაც დღეს, 12 ივლისს გაიმართა.

პირველ რიგში, გვსურს აღვნიშნოთ, რომ დღევანდელ პრესკონფერენციაზე მოხდა კვლევის მხოლოდ ერთი ნაწილის პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილ იქნა ეროვნული და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.

პოლიტიკური რეიტინგების შესახებ ინფორმაცია საჯარო გახდება 15 ივლისს მედიისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე.

გვსურს, აღვნიშნოთ, რომ საინფორმაციო სააგენტო „პირველის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია პოლიტიკური რეიტინგების შესახებ მცდარია და აბსოლუტურად არ შეესაბამება იმ მონაცემებს, რისი პრეზენტაციაც მოხდება 15 ივლისს“.



და მაინც, რა არის ასეთი „პიარების“ მიზანი, თუკი ის ნამდვილად ნინო ბურჯანაძის ოფისს ეკუთვნის? მთავარი ის არის, რომ მერე თქვა, ჩვენ ეს ინფორმაცია მოვიპოვეთ და რა თქმა უნდა, NDI-მ მერე ის გადააკეთა, ნაციონალების სასარგებლოდო. გათვლა – იმედია, ვინმე დაიჯერებს, რომ NDI-მ საკუთარი მონაცემები შეცვალა. ბურჯანაძის პიარი ხომ ისედაც იმაზეა აგებული, როგორ ებრძვის ყველა მას. დავით ბაქრაძისა და ბიძინა ივანიშვილის შეხვედრაც მან შეაფასა, როგორც მის წინააღმდეგ შეთქმულება: მათ ჩემი ეშინიათ და არ უნდათ ჩემი გამარჯვებაო, დაახლოებით ასეთი იყო მისი პათოსი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნაზი შამანაურის სახელობის ოქროს მედალი წელს სამმა ქართველმა ჟურნალისტმა მიიღო

ნანა შონია

**აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის და ჟურნალისტური საქმიანობისთვის, წელს, ნაზი შამანაურის სახელობის ოქროს მედალი სამმა ქართველმა ჟურნალისტმა მიიღო.**

ხუთი თვის მანძილზე მედიაკავშირ „ობიექტივის“ მიერ ჩატარებული სატელეფონო გამოკითხვითა და საზოგადოებრივი აზრის კვლევით, 50-ზე მეტი ქართველი ჟურნალისტიდან, გამოკითხულთა უმეტესობამ ნაზი შამანაურის ოქროს მედლის ნომინანტად ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ ჟურნალისტი ნათია მიქიაშვილი, საინფორმაციო ანალიტიკური პორტალის for.ge-ს ჟურნალისტი ნინო მიქიაშვილი და „გურია ნიუსის“ ოზურგეთის ბიუროს ხელმძღვანელი თამუნა ლეფსვერიძე დაასახელა.

ქართველი ჟურნალისტების დაჯილდოების რიგით მეორე ცერემონიალს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის ცენტრმა „მუზამ“ უმასპინძლა. ცერემონიალს მედიის წარმომადგენლების გარდა, პოლიტიკოსები, ექსპერტები და საზოგადო მოღვაწეები დაესწრნენ. საღამოზე მოსულ სტუმრებს საჩუქრად წიგნი „ნაზი შამანაურის“ დღიურები გადაეცათ, სადაც დეტალურად არის აღწერილი თუ როგორ აწამა საბჭოთა რეჟიმმა 1983 წელს ქართველი ჟურნალისტი.

საღამოს დასასრულს კი შეკრებილ საზოგადოებას ჟურნალისტმა ირმა ინაშვილმა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მიმართვა გააცნო, სადაც პრემიერი ჟურნალისტებს აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის დაფიქსირებისკენ მოუწოდებს.

**ირმა ინაშვილი, ჟურნალისტი:** -„ობიექტივმა“ ნაზი შამანაურის სახელობის ოქროს მედალი შარშან დააწესა. ჩვენ ამ მედალს იმ ჟურნალისტებს ვანიჭებთ, რომლებსაც, აქტიურ ჟურნალისტურ საქმიანობასთან ერთად, მკაფიოდ გამოხატული მოქალაქეობრივი პოზიცია აქვთ და ადამიანის უფლებების დასაცავად იბრძვიან. ძალიან მიხარია, რომ წელს, ჩვენმა საზოგადოებამ მართლაც სამი რჩეული ჟურნალისტი შეარჩია, ნათია მიქიაშვილი, ნინო მიქიაშვილი და თამარ ლეფსვერიძე. მიხარია, რომ ჩვენი კონკურსი დღითი დღე უფრო პოპულარული ხდება. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა, სპეციალური მიმართვა გამოუგზავნა ჩვენი ღონისძიების მონაწილეებს და გამარჯვებულებს. ამ მიმართვაში კი პირდაპირაა ნათქვამი, რომ ჟურნალისტს უნდა ჰქონდეს მოქალაქეობრივი პოზიცია. ამასთან, ამ საღამოთი და ამ ჯილდოთი, ჩვენ საზოგადოებაში ვაბრუნებთ ნაზი შამანაურს, ჟურნალისტს, რომელიც საბჭოთა რეჟიმმა აწამა და გიჟად გამოაცხადა. ჩვენი მიზანია ნაზის რეაბილიტაცია და ეს ფუნქციაც გარკვეულწილად შევასრულეთ.





## ნაზი შამანაურის სახელობის ჯილდო ნათია მიქიაშვილს, ნინო მიქიაშვილსა და თამუნა ლეფსვერიძეს გადაეცათ






**ნათია მიქიაშვილი, ჟურნალისტი:** - დღეს, ჩემს ცხოვრებაში, საოცარი და მართლაც სასწაული დღეა. ცოტა ხნის წინ, სანამ აქ მოვიდოდი და ამ ჯილდოს გადმომცემდნენ, საპატრიარქოდან დამირეკეს, პატრიარქმა აკურთხა ჩემი საქმე და მეც დამლოცა. აქ მოსულს კი ეს ჯილდო გადმომეცა. პირველ რიგში, ძალიან დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც მთელი ამ წლების მანძილზე მიყურებდა და სჯეროდა ჩემი. დიდი მადლობა ირმას, ხშირად მითქვამს, რომ ის მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ადამიანი იბრძოდეს. მადლობა ყველა ჟურნალისტს, ტელეკომპანია „იმედს“, ვინაიდან „იმედი“ არის ტელევიზია, სადაც მე ჟურნალისტობა დავიწყე. ტელეკომპანია „მეცხრე არხს“, „მაესტროს“, რადგან მე ყველგან სრული თავისუფლება მქონდა.

**ნინო მიქიაშვილი, ჟურნალიტი:**

- ჩემთვის დიდი პატივია ამ ჯილდოს მიღება, მე მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც საჭიროდ ჩათვალა, რომ ამ ჯილდოს მფლობელი ვყოფილიყავი. დიდი მადლობა for.ge-ის რედაქციას, სადაც მე სრული თავისუფლება მაქვს, ისეთი, როგორიც მქონდა „ობიექტივში“. შარშან სამი ადამიანი დაჯილდოვდა ამ ჯილდოთი, ეს იყო ელისო ჩაფიძე, რომელიც დეპუტატია, ნანა ფაჟავა და ნანა ლეჟავა, რომლებიც დღეს უსამსახუროდ არიან დარჩენილნი და მე ვთვლი, რომ დღეს ეს ყველა ჩვენგანის სირცხვილია.

**თამუნა ლეფსვერიძე („გურია ნიუსი“-ს ოზურგეთის ბიუროს ხელმძღვანელი):** - ეს ყველაზე დიდი ჯილდოა, რაც კი ჩემი ცხოვრების მანძილზე მიმიღია. მინდა ყველა იმ ადამიანს ვუთხრა მადლობა, ვინც ღირსად მთვლიდა და ჩემს სტატიებს კითხულობდა. მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს რესპონდენტებს, რომლებიც მართლაც რთულ პერიოდში მიცხადებდნენ სრულ ნდობას და ეს იყო გმირობის ტოლფასი.

**სოზარ სუბარი, სასჯელაღსრულების მინისტრი:** - თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ღონისძიება გაიმართა და ეს მედლები დაწესდა. მე ყველას ვულოცავ ამ ჯილდოს. ნინო მიქიაშვილი არის ადამიანი, რომელიც ამდენი წლის მანძილზე ემსახურება სიმართლეს და გამორჩეული მოქალაქეობრივი პროზიცია აქვს. რაც შეეხება ნათია მიქიაშვილს, გირგვლიანის თემაზე მისმა სიუჟეტმა, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, ბევრი რამე შეცვალა პირადად ჩემთვის და ქართული საზოგადოებისთვის. რომ არა ის გადაცემა, არავინ იცის როგორ წარიმართებოდა პროცესები ქართულ საზოგადოებაში. ასევე გამოვარჩევ თამუნა ლეფსვერიძეს, რომელიც ძალიან დიდი ხანია მუშაობს ჟურნალისტიკაში ადამიანის უფლებების სფეროში. კარგია, რომ ჟურნალისტები, რომლებიც სიმართლეს ემსახურებიან, გრძნობდნენ, რომ მათი სამსახური არ დაიკარგება.

**მალხაზ გულაშვილი, „ჯორჯიან თაიმსის“ დამფუძნებელი:** „ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩაატარა „ობიექტივმა“ და ირმა ინაშვილმა, მე მგონია, რომ მსგავსი ტიპის ღონისძიება წაახალისებს იმ ჟურნალისტებს, რომლებიც უფრო შეუპოვრად შეებრძოლებიან რეჟიმს და ყოველგვარ უსამართლობას. მე მგონია, რომ საქართველოში დადგა ის დრო, რომ ნაზი შამანაური დაფასდეს. რადგან ყველამ იცით, რომ ის საბჭოთა რეჟიმის დროს დაამწყვდიეს და გიჟად გამოაცხადეს. ჩვენ, დაახლოებით ერთი წლის წინ, იგივე რეჟიმის წინაშე ვიდექით. მე მინდა ვთქვა, რომ თვითონ ირმა ინაშვილი არის ნაზი შამანაურის პროტოტიპი. ის ჟურნალისტები, რომლებიც დღეს დაჯილდოვნენ ნამდვილად იმსახურებენ ამ ჯილდოს. ვულოცავ მათ გამარჯვებას.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ანა ყიფიანი - ელისო ვირს



**my View**
**დეა თავბერიძე**

**5 წლისამ ზაზა აზმაიფარაშვილთან ერთად ბერკოვიჩის სიმფონიური კონცერტი დაუკრა. მაშინ ჩანაწერი პირველი არხის ეთერში გავიდა და ამ პატარა, ნიჭიერმა გოგონამ, თავისი საოცარი დაკვრით, ბევრი აალაპარაკა - „ეს კადრები შენახული გვაქვს, ძალიან სასაცილოა, რამდენიმე ბალიშზე ვზივარ და ძლივს ვწვდები პედალს“, - იხსენებს, ახლა უკვე მუსიკალურ სამყაროში თავისი ნიჭით გამორჩეული, ანა ყიფიანი... სწორედ მაშინ, 5 წლის ასაკში, იწყება მისთვის სცენის და პუბლიკის დიდი სიყვარული. მუსიკამ და ინსტრუმენტმა კი უფრო ადრე დაატყვევა.**

**ანა ყიფიანი:** - ჩემმა მშობლებმა იფიქრეს, კარგი იქნებოდა, რომ მოყვარულის დონეზე მაინც შემძლებოდა რაღაცების დაკვრა და მუსიკის მასწავლებელთან მიმიყვანეს, მაგრამ, ზუსტად ორ კვირაში, მასწავლებელმა თქვა, აქ ჩვეულებრივად არ არის საქმე, ძალიან მალე ითვისებს ყველაფერს და ვთვლი, ნიჭიერთა ათწლედში უნდა გადაიყვანოთო. წერა-კითხვა არ ვიცოდი, 5 წლისაც არ ვიყავი, ამიტომ ერთი წელი დავრჩი ამ მასწავლებელთან და 6-ის რომ ვხვდებოდი, ნიჭიერთა ათწლედში შემიყვანეს.

### ვიდეო ჩანაწერი

პატარას ძალიან მიყვარდა, როცა მე თვითონ მივუჯდებოდი ინსტრუმენტს, მაგრამ როდესაც სტუმრები მოდიოდნენ და მთხოვდნენ, ანა დაგვიკარიო, - ვერ ვიტანდი. ვიდეოზე არის ეს ჩანაწერი. ხელებს გადავიჯვარედინებ, წარბებს ვკრავ და ვამბობ - არა! და სხვა ოთახში გავდივარ. მერე კი, როცა ყურადღებას არავინ მაქცევს, გამოვკუსკუსდები და დაკვრას ვიწყებ... დაკვრას ბავშვობისას ძალიან დადებითი ემოცია მოჰქონდა, მაშინ ნამდვილად ვერ ვაანალიზებდი თუ რა გზა მექნებოდა გასავლელი, ურთულესი გამოდგა ჩემთვის ეს 13 წელიწადი.

### მუსიკალური კარიერა

დღემდე მახსოვს შეგრძნება, როდესაც ამ ურთულეს და უდიდეს ინსტრუმენტს სტენვეის პირველად შევეხე. ეს შეგრძნება არასოდეს დამავიწყდება, უზომოდ ბედნიერი ვიყავი, დარბაზიდან კი დიდი ემოცია მოდიოდა, მერე იყო უამრავი ადამინის შექება და ბოლოს, დიპლომი საუკეთესო შესრულებისთვის. ეს იყო ჩემი პირველი კონკურსი, 8 წლისამ კონსერვატორიის დიდ დარბაზში დავუკარი. ბედნიერი წუთები მაშინ ძალიან დიდხანს გამიგრძელდა. ბავშვობაში ყველაფერი ბევრად ლაღად იყო, მახსოვს, არანაირი ნერვიულობა არ ყოფილა. ახლა კი, პირიქით არის, ვნერვიულობ, ბევრად სხვა შეფასებებით გავდივარ, სხვა პასუხისმგებლობა მაქვს.

„მას ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ მომავალში დიდი და სერიოზული კარიერა ჰქონდეს“, - თქვა წლების წინ მასზე ელისო ბოლქვაძემ. „ანა ყიფიანს მოვუსმინე და აღფრთოვანებული დავრჩი, საოცარი გოგონაა“, - აღნიშნა წელს თბილისში მყოფმა ლექსო თორაძემ... ანა ყიფიანი არაერთი ეროვნული, თუ საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია, ის, უკვე წლებია, კონცერტებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მართავს. 15 წლისამ შვეიცარიაში ვერბიეს ფესტივალის ელჩის ტიტული მოიპოვა. რასაც მოჰყვა მასტერკლასები ცნობილი მუსიკოსებისგან. ამ ტიტულის მეშვეობით პიანისტმა მთელი წლის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაუკრა. ხოლო უფრო ადრე, 2008 წელს, ის იყო პირველი და ერთადერთი ქართველი, რომელმაც კრაინევის საერთაშორისო კონკურსზე გრან-პრი აიღო.

**ანა ყიფიანი:** „ვლადიმერ კრაინევის სახელობის კონკურსი, ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო იყო, იქ იმის იმედით არანაირად არა ჩავიდოდი, რომ გრან-პრი ამეღო, იმდენად არ ველოდი, რომ როცა გამოაცხადეს გრან-პრის მფლობელი ანი ყიფიანიაო, უბრალოდ, არ დავიჯერე... ამის შემდეგ ძალიან ბევრი კონკურსის გამარჯვებული და პირველი პრემიის მფლობელი გავხდი. საფრანგეთში მიშელ სონის საერთაშორისო ფონდ „SOS TALENTS“- ში გავწევრიანდი. ამ ფონდმა მიიწვია ერთ-ერთ კონცერტზე, პარიზში, ეს კონცერტი წამყვან ტელეარხ „მეცოზე“ პირდაპირ ეთერში გადაიცა, რაც ჩემთვის დიდი გამოცდილება იყო.

ამ ჩანაწერის შემდეგ თბილისში ჩამოსულმა მონაწილეობა ერთ-ერთ მოსმენაში მიიღო, ლიზა ლეონსკაიას ფონდისთვის სტიპენდიატს ირჩევდნენ, გაუმართლა, ლიზა ლეონსკაიამ გერმანიაში, რურის ფესტივალზე მიიწვია. მაშინ ბევრი გააკვირვა იმ ფაქტმა, რომ ამ ფესტივალზე 15 წლის ასაკში მოხვდა, რადგან, როგორც წესი, იქ მხოლოდ გამოცდილი და სახელგანთქმული მუსიკოსები უკრავენ... უცხოეთში ხშირი გასტროლები, უამრავი კონკურსი, და უამრავი პრიზი ნიჭიერთა ათწლედში ყოფნის პერიოდში იყო... შემდეგ კი დადგა არჩევანის დრო...

**ანა ყიფიანი:** - იმის მიუხედავად, რომ ბაშკიროვთან, პრესლერთან, დოლანთან, აგრეთვე ქართველ უდიდეს მუსიკოსებთან ბატონ ლექსო თორაძესთან, ალექსანდრე კორსანტიას-














სანამ კულისებიდან სცენამდე იმ პატარა მონაკვეთს გადავაბიჯებ, ყოველთვის არის ნერვიულობა, მაგრამ დავინახავ თუ არა ინსტრუმენტს და მაყურებელს, იქ ყველანაირი ნერვიულობა მთავრდება. მთავარია, მობილიზება და კონცენტრაცია იყოს... არ არსებობს, რომ დაკვრის დროს ინერვიულო, პირიქით, იმას აკეთებ, რაც ყველაზე მეტად გსიამოვნებს... ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი წუთებია, როდესაც სცენაზე ვარ... როდესაც ვუკრავ თავიდან ბოლომდე ჩემს თავთან ვარ, ჩემს ფიქრებთან, ჩემს გრძნობებთან, კომპოზიტორთან, ნაწარმოებთან, იმ ემოციებთან, რომელსაც გადმოვცემ... ეს არის წუთები, როდესაც გულისცემა იმდენად ჩქარდება, რომ კლავიატურაზე შენი თითების სისწრაფეს უტოლდება. სცენა, - ეს უდიდესი ადრენალინია, რაც მე ცხოვრების სტიმულს მაძლევს...


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ალაძის რჩეული მოსწავლე

## ლექსო თორაძე: „ანა ყიფიანს მოვუსმინე და აღფრთოვანებული დავრჩი, საოცარი გოგონაა“


ANA KIPIANI GALA DE LA FONDATION SOS TALENTS MICHEL SOGNY HOTEL MARCEL DASSAULT PARIS 2009



**ვლადიმერ კრაინევი: „ანა ყიფიანი არ არის ბავშვი, ის არის ჩამოყალიბებული მუსიკოსი, ძალიან ღრმა და ძალიან რთული შინაგანი სამყაროთი, ის ძალიან ძლიერი და თავისებური პიროვნებაა.“**

## EXCLUSIVE

## „ეს არის წუთები, როდესაც გულის ცემა იმდენად ჩქარდება, რომ კლავიატურაზე შენი თითების სისწრაფეს უტოლდება“



თან, ეთერ ანჯაფარიძესთან, მარინა მდივანთათ მქონდა შეხება, მაინც ვერ გადავწყვიტე სად წავსულიყავი. ზუსტად ამ პერიოდში ათწლედიდან მოვიდა მოთხოვნა და თელავის ფესტივალზე მიმიწვიეს, მასტერკლასის ფორმატში უნდა მიმეღო მონაწილეობა. ამ ფაქტმა ძალიან გამახარა და დიდი სიამოვნებით დავთანხმდი პროექტს. ამ ფესტივალს ყოველწლიურად ელისო ვირსალაძე ატარებს. ჩემი უდიდესი სურვილი იყო, მასთან დამეკრა. ამ მასტერკლასმა არანორმალურად დიდი ენერგია და მუხტი მომცა, მერე კი, ისე მოხდა, რომ ქალბატონმა ელისომ მითხრა, - მოსწავლედ აგიყვანო.

არადა, საქართველოში ხმები დადიოდა ელისოს ქართველი მოსწავლეები არ ჰყავს, რადგან ამბობს - ქართველები ზარმაცები არიანო, ანა ყიფიანს კი წილად ხვდა ბედნიერება, მსოფლიოში ცნობილი პიანისტი მისი პედაგოგი გამხდარიყო და მოსკოვის უმაღლესი კლასის კონსერვატორიაში ესწავლა. გაუმართლა კიდეც პედაგოგს იმედი და პირველი კურსი უმაღლესი ქულებით დახურა.

**ანა ყიფიანი:** - იმდენად მრავალფეროვანია სწავლება და იმდენად საინტერესო, რომ ყოველი დღე მართლა დიდი ბედნიერებაა. ყოველი ლექცია ჩემთვის ახალი ინფორმაციით დატვირთვაა, რომელსაც ძალიან დიდი შედეგი მოაქვს, იზრდები არა მხოლოდ როგორც პიანისტი და მუსიკოსი, არამედ, როგორც ხელოვანი. ფიქრობ და მსჯელობ სწორად, ხვდები, რომ გემოვნება არა მარტო კლასიკურ მუსიკაში გეხვეწება, არამედ სხვა მიმდევრობაში, ეს კი იმაში გეხმარება, რომ ამ თანამედროვეობაში იპოვო ის ჭეშმარიტება, რომელსაც ასე თუ ისე კარგავს 21-ე საუკუნე.

**- რუსეთმა როგორ მიგიღო?**

- მეუბნებოდნენ, დაფიქრდი, ღირს მოსკოვი? იქ ისეთი სიტუაციაა, იქნებ სხვაგან წახვიდეო... ერთ-ერთი ვარიანტი იყო ბატონ ლექსოსთან წავსულიყავი ამერიკაში, მაგრამ მან ხაზგასმით მითხრა, წადი ელისოსთან, ის ისეთ სკოლას მოგცემს და ზუსტად იმ გზაზე დაგაყენებს, რომელიც ძალიან გჭირდება და ამ გზას აუცილებლად გაყევიო...

თავიდან, როდესაც ჩავედი, ურთიერთობაში დაძაბულობა დამხვდა, საბუთების მიღება- გაფორმებაზე ძალიან ცივი და დისტანციური დამოკიდებულება, ვფიქრობდი, მგლის ხახაში შევყავი თავი-მეთქი. მაგრამ გადავწყვიტე ძლიერი ვყოფილიყავი და ამ ყველაფერს გავმკლავებოდი. მაშინ ჩემს თავს ვუთხარი, მშვიდად, ღირსეულად იყავი და ისინი შეიცვლებიან. მართლაც, როგორც კი გამოცდებზე დავუკარი და უმაღლესი ქულებით მოვეწყვე, აბსოლუტურად სხვანაირი სახეებით შემხვდნენ, ურთიერთობა დათბა, სხვა ტონი ჰქონდათ. ახლა კი, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან კარგი, თბილი და შემოქმედებითი ურთიერთობა მაქვს ყველასთან, ძალიან მიყვარს ჩემი პედაგოგები, პროფესორები და უდიდეს პატივს ვცემ მათ...

**- რას მეტყვი ელისო ვირსალაძეზე? ამბობენ, სტუდენტების მიმართ მკაცრი და მომთხოვნი არისო.**

- ის ძალიან სამართლიანია, ვთვლი, რომ სტუდენტმა, რომელიც კონსერვატორიაში, ელისო ვირსალაძესთან სწავლობ, ამაზე საერთოდ არ უნდა ილაპარაკო. რა თქმა უნდა, მკაცრიც უნდა იყოს, მომთხოვნიც და იმისთვის არის, რომ ახალი მოგცეს და სწორ გზაზე დაგაყენოს. შენ კი ნამუშევარი იმ დონეზე უნდა მიიტანო, რომ შეძლო ამ ნაწარმოებებში საკუთარი ინდივიდუალიზმის წარმოჩენა; მე მგონი, ამას კარგად ვახერხებ. აქედან გამომდინარე, ჩვენ საინტერესო და შერწყმული გაკვეთილები გვაქვს. ამ ერთი წლის განმავლობაში უდიდესი პროგრამა გამატარა. გამუდმებით წნეხში ვყავარ, მომცემს ნაწარმოებს, და მაშინ, როცა მშვიდად და აუღელვებლად ვმეცადინეობ სახლში, დამირეკავს, მზადა ხარ? ორ კვირაში კონცერტზე უნდა გაიტანოო. ვეწინააღმდეგები, ჯერ ზეპირადაც არ ვიცი- მეთქი. მაგრამ მერე მოვიკრებ ძალას და ნაწარმოები ორ კვირაში მართლაც მზად მაქვს. ეს არის რეჟიმი, რომელიც მოშვების და მოდუნების საშუალებას ერთი წამით არ გაძლევს. ყოველი გაკვეთილი ელისო ვირსალაძესთან ეს არის კონცერტი და 100 %-იანი ემოციური მუხტის გადმოცემა...

**- საქართველოში როდის დაუკრავ?**

- რამდენიმე წლის წინათ გერმანიაში დავუკარი, კონკურსზე „ოქროს კლავიში“, რომელსაც ქართველი პიანისტი ნინო ყამბეგაშვილი ატარებდა, პირველი პრემია ავიღე, ასევე იყო პრიზი ნიკა რაჭველისგან, კონცერტი ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში გაიმართა. ჩვენ ამის შესახებ ერთმანეთს უკვე ვესაუბრეთ და სიმფონიურ ორკესტრთან ერთად საერთო კონცერტს ვგეგმავთ. რაც შეეხება საქართველოში სოლო კონცერტს, ძალიან მინდა, რომ საახალწლოდ გავაკეთო.







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



დეა თავბერიძე




# ქართველი ხელოვანების გასტროლი ესტონეთში

**21-28 ივლისს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ესტონეთში გამართულ ფესტივალზე „საარემაას ოპერის დღეები“ საქართველოს სამივე საოპერო თეატრი მიიღებს მონაწილეობას. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის და ბათუმის ოპერისა ბალეტის სახელმწიფო თეატრები.**

„საარემაას ოპერის დღეები“ ბალტიისპირეთის რეგიონის უმთავრესი საოპერო ფესტივალია. მას წამყვანი ადგილი უკავია არა მხოლოდ კუნძულის, არამედ მთელი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებასა და ტურისტულ ბიზნესში, რასაც საარემაასთვის 2011 წელს ყველაზე მეტად განვითარებადი ტურისტული ობიექტის ტიტულის მინიჭებაც ადასტურებს.

„საარემაას ოპერის დღეების“ სტუმრებს ძირითად შემოქმედებით მასპინძლობას ქართველი ხელოვანები გაუწევენ.

# ბრაზილიაში დეფის კიდევ ერთი წიგნი გამოსცეს




**ქართველი შემოქმედის კიდევ ერთი წიგნი ბრაზილიაში და სიხარული, რომელიც დეფიმ „ჟოლოს“ გაუზიარა. რამდენიმე თვის წინ წიგნად გამოცემულ ნაწარმოებს „სკამი“ ამჯერად „სიტყვები სიტყვები სიტყვები“ შეემატა. ამ წიგნების წაკითხვა მკითხველს ორ ენაზე, ინგლისურსა და პორტუგალიურზე შეეძლებათ. სამომავლოდ, ბრაზილიაში დეფის კიდევ რამდენიმე წიგნის გამოცემაა დაგეგმილი. შეგახსენებთ, რომ კონტრაქტი დავით დეფისთან ბრაზილიის ცნობილმა გამომცემლობამ „ლუმე ედიტორ“-მა გააფორმა. ამიტომ პოეტი და რომანისტი განსაკუთრებულ მადლობას უხდის გამომცემლებს ფრანცისკო დოს სანტოსს და ფაბიო გუიმარაეს ბენსოუსენს, ასევე მთარგმნელებს: ამარილის ანჩიეტას, ლუცია ჰუგუენეის და ეკლაირ ანტონიო ალმეიდა ფილოს.**

**დეფი**: „სან პაულოსა და რიო დე ჟანეიროში, ერთ წელიწადში, რამდენიმე თვის ინტერვალით, ზედიზედ 3 რომანი და ერთი მოკლე მოთხრობა იბეჭდება. ეს მთელი სერიაა. ზოგჯერ კაცს თავი სარკოფაგში გგონია, ნეკროპოლისში, მაგრამ ზოგჯერ სიცოცხლეს მთელი შენი არსებით გრძნობ. ასეთი დღეები კი გაფიქრებინებს, რომ არასდროს უნდა დანებდე, შენც უნდა გაუძლო და სხვებიც ანუგეშო... შემოქმედებას და კერძოდ ლიტერატურას, საზღვრები არ აქვს თუ ის უნივერსალურია ყველასთვის... და აი - უკვე ოკეანეს გადაღმაც დავიდე ბინა. ეს წარმოუდგენლად მაგარი რამაა, მე ხომ ყოველთვის ვამბობდი, სამყაროს მოქალაქეობა სინამდვილეა-მეთქი და არა მითი. პოეზია ჩვენში და ჩვენ შორის მეგობრებო. სიახLOVE“.

# პოეტის დაბადების დღე და აუდიოდისკზე ჩაწერილი საუბრები





**ახალგაზრდების საყვარელ პოეტს ნიკო გომელაურს 12 ივლისს 43 წელი შეუსრულდებოდა... ამიტომაც შეიკრიბა პანთეონში უამრავი ახალგაზრდა. უხვად იყო ლექსები, ყვავილები და მოგონებები პოეტზე. ნიკო გომელაურის საღამო ათენშიც გაიმართა. საბერძნეთში მცხოვრებმა ქართველებმა პოეტის ლექსები წაიკითხეს და მის ხსოვნას პატივი ასე მიაგეს. თბილისში შეკრებილები კი ნიკო გომელაურის ლექსებთან ერთად საკუთარ ლექსებსაც კითხულობდნენ. ამ დღეს ნამდვილი პოეზიის საღამო მოეწყო. პოეტის ხსოვნას კიევიდან ჩამოსულმა სტუმარმაც მიუძღვნა ლექსი. როგორც გაირკვა მალე პოეტის აუდიოდისკი გამოვა. ამ დისკში ნიკო გომელაურის მიერ წაკითხულ ლექსებთან ერთად მისი საუბრებიც შედის. პრეზენტაცია სექტემბერში იგეგმება.**


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# arr



თამარ გონგაძე



# ქეთი მელუა ქმარს დაშორდაო...



ერთ-ერთი ინგლისური ყვითელი გამოცემა - „Come On“-ის 10 ივლისის ნომრის გარეკანზე ქეთი მელუას ფოტოს გატეხილი გული ახატია და ასეთი სათაური აქვს გამოტანილი - „ისევ მარტოხელაა?“ „დასრულდა?“ ჟურნალში ქეთი მელუასა და ჯეიმს თოსლენდის შესაძლო დაშორებაზე წერია. გამოცემა ერთი ფანის ნაამბობს ეყრდნობა, რომელიც ამბობს, რომ პარკში მარტო მოსეირნე მოწყენილი ქეთი დაინახა. მისი და ჯეიმსის გაშორებაზე რატომღაც ეჭვი დიდი ხანია არსებობსო... ნიუსში ვკითხულობთ, ამ თემაზე ქეთი კომენტარს არ აკეთებსო. მელუა ბოლო დროს ისეთი სისწრაფით იცვლის საკონტაქტო ნომრებს, მასთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ. სამაგიეროდ, მისმა ქართველმა მეგობარმა, ოპერის მომღერალმა თეონა დვალმა დაგვამშვიდა: „ეგ ჭორია, ზუსტად ვიცი, ერთად არიან. გიჟდებიან, ისე უყვართ ერთმანეთი. ჯეიმსი სულ კონცერტებს მართავს და ქეთის ძმა - ზურა მელუა ამ ბენდში გიტარაზე უკრავს. ახლახან სინგლი გამოუშვეს სახელწოდებით „Life is beautiful“. ძალიან პოპულარული სინგლია, ყველგან ტრიალებს. არა მგონია, ჯერჯერობით, საქართველოში ჩამოსვლას აპირებდნენ. შვილსაც ჯერ არ აჩენენ, გადაწყვიტეს, რომ ამ ეტაპზე კარიერას მიხედონ“. კვამლი კი უცეცხლოდ არ არის, მაგრამ ეტყობა, ბრიტანეთში კვამლს ისე დაუბერა ქარმა, რომ ჭორი ჩვენამდეც კი მიმოფანტა. წყვილს შორის რომანი სულ ახალი დაწყებული იყო, როდესაც ორი წლის წინ, „პრაიმტაიმმა“ ამ თემაზე პირველმა დაწერა. მოტორბოლაში ორგზის მსოფლიო ჩემპიონ ბრიტანელ სასიძოზე ჩვენი მეშვეობით შეიტყო საქართველომ. გვქონდა მეორე ექსკლუზივიც - თავად ჯეიმს თოსლენდის ინტერვიუ! მიყვარს ქართველები, მინდა მანდ ჩამოსვლაო. ჯეიმსმა „პრაიმტაიმს“ მეორე ინტერვიუც მისცა - მაშინ სპორტსმენმა ქეთის ხელი მალდივებზე სთხოვა და დანიშნა. წყვილმა გასული წლის სექტებერში იქორწინა. ერთ ჭერქვეშ ცხოვრება კი გაცილებით ადრე გადაწყვიტეს. მელუას დედამ, თამარ მელუამ ინტერვიუშიც გვითხრა: „ჯერ ერთმანეთს უნდა შეეწყონ და ქორწინებას ამის შემდეგ გადაწყვეტენ, რა საჩქაროაო“... როგორც ჩანს, შეეწყვნენ და კარგადაც.

# ნინი ქარსელაძემ სათვალეების ხაზი გამოუშვა



**ერთი თვეა, რაც ნინი ქარსელაძე სათვალის ხაზს აწარმოებს. ბრენდის სახელია - „ნინიანას“. ამბობს, რომ მისთვის იმდენად რთულია სასურველი სათვალის პოვნა, რომ მის შესაძენად პარიზში დადიოდა. დღეს კი ბედნიერია, რომ მის გაკეთებულ სათვალეს ატარებს. „ნინიანას“-მა 75 ცალი შუშის სათვალე გამოუშვა. აქედან 30 ცალი, მოსკოვში, მაღაზია „დალოოდში“ იყიდება, დანარჩენი კი თბილისში „No Name“-სა და „სიმპათიაში“. აქ მისი შეძენა 150-დან 200 ლარამდეა შესაძლებელი.**





**ნინი ქარსელაძე:** - მინდოდა რამე ისეთი გამეკეთებინა, რაც საქართველოში არ იყო. მე მგონი მივაგენი კიდეც. ეს ჩემი და ხათუნას ერთობლივი იდეაა.

სახელიც ერთად დაარქვეს. ნინის ყურთან ტატუ აქვს ინიციალებით N A. „დედაჩემს პასპორტით ნატალია ჰქვია, ჩემს დას ანასტასია და ბრენდს ორივეს ინიციალებისგან შემდგარი სახელი დავარქვით“.



ხათუნა ესკიზებს ხატავს, მერე სათვალის „აპრავებს“ ერთად უკვეთავენ ანტვერპენში, მის გასაფორმებელ ყვავილებს კი ჰოლანდიაში იძენენ, ხოლო შუშას, მის დაფერვასა და დიზაინს თბილისში ამზადებინებენ.





ნინი თვლის, რომ ეს მხოლოდ ჰობია. ვერც დიზაინერს უწოდებს თავის თავს. იქვე ამაყად დასძენს, რომ საკუთარ სათვალეს კარგად ატარებს, მისი სათვალე ასევე აქვთ მაკა ასათიანსა და სალომე ღვინიაშვილს. მალე ფოტოსესიას გააკეთებს, რათა უფრო მეტმა გაიგოს ამ სიახლის შესახებ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ქუჩის ბიჭების“ დაბრუნება შ

**my View**
**თამარ გონგაძე**

**„ქუჩის ბიჭები“ საოცრად გააქტიურდნენ. ძველი შემადგენლობით ბრუნდებიან, მოდი, ჩვენს გამოჩენას, „დიდი დაბრუნება“ დავარქვათო, ამბობენ. ახალი ეტაპი უდგათ, ახალი სუნთქვის. იმდენი სიახლე მომაყარეს, უცებ თავი ისევ 8-9 წლის წინანდელ „შოუბიზნესურ საქართველოში“ მეგონა. 1 აგვისტოს ბათუმის პიაცაზე გრანდიოზული სოლო კონცერტი აქვთ. ამჟამად სხვაზე ვერაფერზე ფიქრობენ, რაც არ უნდა ჰკითხოთ, მხოლოდ ამ კონცერტზე არიან გადართულნი. იკეტებიან სარეპეტიციო დარბაზში და არაფერი ახსოვთ. ივლისის ბოლოს უკვე ბათუმში ჩავლენ და გენერალურ რეპეტიციებს გაივლიან. ეს იქნება ჯგუფის რიგით მეთორმეტე სოლო კონცერტი. თუმცა ერთხმად აღიარებენ, რომ გამორჩეული და ძალზედ საპასუხისმგებლო. ეს ხომ სცენაზე დაბრუნებაა!**

ხუთი ალბომი, ათეულობით სოლო კონცერტი, ფანების არმია, დიდი სიყვარული, კიდევ უფრო დიდი ნოსტალგია - სხვა რა არის იმისთვის საჭირო, რომ სცენაზე სიმღერის სურვილმა ისევ დაგძლიოს. ბიჭები ბორჯომის საპატიო მოქალაქეები არიან. მშობლიურ ქალაქშიც უნდათ პროექტის გაკეთება - „ბორჯომისთვის ბორჯომელები“. ეს უფრო სამომავლო გეგმაა.





**პაატა ხაჩიძე: „ქუჩაში მეკითხებიან, მართლა დაბრუნდითო? მართლა დავბრუნდით! თუმცა ჩვენ არასდროს დავშლილვართ. უბრალოდ, ტაიმ აუტი გვქონდა აღებული. „ბითლზები“ დაიშალა, „ქუჩის ბიჭები“ - არა“**

### ბენდით

„ქუჩის ბიჭები“ ახალ პროექტს ცოცხალ ბენდთან ერთად აკეთებენ. ოთხკაციან ბენდს „Four Friends“ ჰქვია და ის სპეციალურად ამ სოლო კონცერტისთვის შეიკრიბა.

კონცერტს არ ეყოლება რეჟისორი, ბიჭები თვითონ აკეთებენ ყველაფერს. გვპირდებიან, რომ ძალიან ლამაზი ორსაათიანი კონცერტი იქნება. სექტემბერში ეთერით ბოი ბენდის ახალი კლიპი გამოჩნდება. ანი ლონლაძესთან დუეტზე კლიპი თორნიკე გულაშვილმა გადაიღო. ბიჭები ზაზა ხუბუკელაშვილის სიმღერაზეც აპირებენ კლიპის გადაღებას. პარალელურად, რიგით მეექვსე ალბომზე მუშაობენ.

„ფაქტობრივად, ეს ჩვენი ოქროს დისკი იქნება. მასში ძველი და ახალი სიმღერები შევა. გვექნება ჩვენი ჰიტები. ამას შემდეგ კი თბილისში კონცერტსაც გავაკეთებთ“,- აცხადებს პაატა ხაჩიძე.

პაატა ცეცხლაძე მოვიკითხე. ის ჯგუფმა 2004 წელს აიყვანა, მას შემდეგ, რაც ბენდიდან ირაკლი ნოზაძე, „პიკასო“ გაუშვეს. „საზღვარგარეთ ერთ-ერთ მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობს. ფოლკლორის მიმართულებით უნდოდა რომ წასულიყო და ეგრეც იქცევა. ჩვენ მას წარმატებებს ვუსურვებთ“, - აცხადებენ ბიჭები. ორი წლის წინ, ბენდს „პიკასო“ ისევ დაუბრუნდა. მაშინვე ორი კლიპი გადაიღეს. მოკლედ, ბიჭების გააქტიურება ძალიან მიხარია. ბევრი წარმატება და ძველებური პოპულარობა დაბრუნებოდეთ.

### შვიდწლიანი ტაიმ აუტი

**ზურა ხაჩიძე:** - ქვეყნის პოლიტიკური მოვლენების გამო შვიდი წელი ჩრდილში ვიყავით. ამ პერიოდში ძირითადად კომერციული კონცერტებით ვაგრძელებდით კარიერას. სამთავრობო კონცერტებზე ნამდვილად არ მიგვიწვდებოდა ხელი. არ მიყვარს, წაქცეულზე წიხლის მიყოლება, მაგრამ ფაქტია, ვიბლოკებოდით და არც ერთ საახალწლო კონცერტზე და დიდ ღონისძიებაზე მსმენელს „ქუჩის ბიჭები“ არ უნახავს. ეს ხალხმა კარგად იცის. თან ამ პერიოდში შოუბიზნესიც არ იყო აქტიური. ახალი არაფერი იქმნებოდა. ჩვენც ძირითადად სოლო პროექტებს ვაკეთებდით და კომერციული, პრივატული კონცერტებით ვიყავით დაკავებულნი. ამას დაემთხვა ისიც, რომ არც მე და არც გურამი არ ვიყავით საქართველოში.






**ირაკლი ნოზაძე:** - ბოლო ორი წლის მანძილზე ორი კლიპი გადავიღეთ: წელიწად-ნახევრის წინ „დაბრუნება“, რომლის ტექსტის ავტორი აჩი ფურცელაძეა, ხოლო ერთი წლის წინ კი „გასულები“, რომელიც საზღვარგარეთ ახალგაზრდებს ძალიან მოსწონთ.

**პაატა ხაჩიძე:** - ამ შვიდი წლის მანძილზე პირადი ცხოვრება ავიწყვე. ოჯახი შევქმენი. ორი ქალიშვილი მყავს - ხუთი წლის ქრისტინე და წლინახევრის სესილი. მუდმივად მქონდა ჯგუფში სიმღერის მონატრება. ამ პერიოდში სოლო სიმღერები მეც ჩავწერე. ოთხი სოლო სიმღერა მაქვს. კარგია, დამოუკიდებელი ხარ, მაგრამ ჯგუფში სიმღერას რომ ხარ მიჩვეული, მარტოობა მძიმეა. ჯგუფი და ერთობლივი ძალა სულ სხვაა. ამას მეგობრობაც ემატება. ამიერიდან უფრო აქტიურად გამოვჩნდებით, ვიდრე აქამდე ვჩანდით. გურამიკო საქართველოში ხშირად იქნება. მთელი ზამთარი აქეთ აპირებს დარჩენას.

**ირაკლი ნოზაძე:** - ჩვენთვის ძალიან საინტერესოა ის, რომ ცოცხალ ბენდთან ვმუშაობთ. ფონოგრამაზე სიმღერა ჩვენთვის მოძველებული თემაა.

**პაატა ხაჩიძე:** - ზურა ისეა მობილიზებული ამ კონცერტზე, რომ სხვა გეგმებზე საუბრისას მაინც ამ კონცერტზე საუბრობს.

**გურამ ლომიძე: -** დიდი იმპროვიზაციის საშუალებას გაძლევს ცოცხლად ბენდთან მუშაობა. ახალ მუსიკოსებთან ერთად მუშაობა ყოველთვის საინტერესოა. ამ მუსიკოსებს ესმით და ხვდებიან - სად და როგორ გამოგყვნენ.

**ზურა ხაჩიძე:** - იმიტომ, რომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია პიაცას კონცერტი. ამ საკონცერტო სივრცეში რა დონის მუსიკოსებს უმღერიათ, კარგად მოგეხსენებათ. ამდენწლიანი პაუზის მერე პიაცაზე ცოცხალი კონცერტი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. გვინდა ის სიახლე დავნერგოთ, რომ სადაც არ უნდა მიგვიწვიონ - ეს, შოუ იქნება თუ სხვა სივრცე, მხოლოდ ცოცხლად ვიმღერებთ.

**პაატა ხაჩიძე:** - ქუჩაში მეკითხებიან, მართლა დაბრუნდითო? მართლა დავბრუნდით! თუმცა ჩვენ არასდროს დავშლილვართ, ეს არც ერთ ჩვენთაგანს არ გვითქვამს. ჩვენ, უბრალოდ, ტაიმ აუტი გვქონდა აღებული. „ბითლზები“ დაიშალა, „ქუჩის ბიჭები“ - არა.

### სიურპრიზი

რაც შეეხება პიაცას კონცერტის რეპერტუარს. ბოი ბენდი მსმენელისთვის საყვარელი სიმღერების, ძველი ჰიტებისა და ახალი სიმღერების შესრულებას აპირებს. ოთხივე წევრი სოლო სიმღერებსაც შეასრულებს. ბიჭების გვერდით გელა გნოლიძე და პაატა ფაცურია არიან და მუსიკალური კუთხით ეხმარებიან.








© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვიდწლიანი ტაიმ აუტის შემდეგ




**ზურა ხაჩიძე:** - გვაქვს ინტრიგა. ამერიკიდან მოწვეული გვყავს მომღერალი. ეს სიურპრიზად დავტოვოთ. ის კონცერტს გახსნის. ასევე იმღერებს ნინი ქარსელაძე, ანი ლონღაძე, ძმები გულაშვილები, გელა გნოლიძე. ჩვენი კონცერტის მერე ვინც პასიურ რეჟიმშია, იმათაც გაუჩნდებათ კონცერტის ჩატარების სურვილი. ეს კონცერტი სიახლე იქნება იმითაც, რომ ჩვენ მივაღწიეთ და პიაცას ბილეთს ათ ლარად გავყიდით. აქამდე ჩატარებულ კონცერტებზე არ ჰქონდა ხალხს იმის საშუალება, რომ პიაცას კონცერტს დასწრებოდა. ან მოსაწვევები რიგდებოდა ან ბილეთი კატასროფულად ძვირი ღირდა. ჩვენს კონცერტზე კი - აჭარის მოსახლეობას, ჩასულ სტუმრებს - ყველას შეეძლება დასწრება. ბევრი მოწვეული სტუმარიც გვეყოლება.

**„გვინდა ადამიანებს სტიმული მივცეთ“**

გურამ ლომიძე ჩიკაგოდან თვე-ნახევარია დაბრუნდა. ბიჭებმა უცებ ჩართეს მოსამზადებელ ფერხულში. ინტერვიუზე ისევ ძველებურად დაგვიანებით და ახლად გაღვიძებული გამოგვეცხადა. წლები ბევრს ვერაფერს ცვლის...

**გურამ ლომიძე: -** ოთხი წელია ამერიკაში ვარ და საქართველოში ძირითადად ზაფხულობით ჩამოვდიოდი. აქ შოუბიზნესის კრიზისული პერიოდი იყო. არ შეიძლებოდა, რომ არ გავჩერებულიყავით და საკუთარი თავისთვის არ მიგვეხედა. ვგულისხმობ, შემოსავლიანი საქმისთვის ხელის მოკიდებას. ჩვენც სხვადასხვა ქვეყნებში დავიშალეთ და მუშაობა დავიწყეთ. ჩვენ-ჩვენი პირადი ცხოვრებით ვცხოვრობდით. ყველა ზაფხულს ვიკრიბებოდით და ახალ სიმღერას ვწერდით. მსმენელს თავს არ ვავიწყებდით. ახლა გადავწყვიტეთ სერიოზული ნაბიჯების გადადგმა. გვინდა ჩვენი კონცერტით მიძინებული შოუბიზნესი გამოვაცოცხლოთ და ამ სფეროს ადამიანებს სტიმული მივცეთ, რომ ყველაფერი დამთავრებული არ არის. პირიქით, ახლა იწყება. ამიტომაც გადავწყვიტეთ შევკრებილიყავით და ახალი ეტაპი დაგვეწყო. ახალი სიმღერები, ვიდეოები... გვემუშავა ცოცხალ შესრულებაზე. ჩვენ შევძლებთ სიტუაციის გამოცოცხლებას.

**ირაკლი ნოზაძე:** - ჩვენი მიზანია, ჩვენი სათქმელი ჩვენი ცოცხალი კონცერტებით ვთქვათ. გვინდა კონცერტი თბილისშიც გავაკეთოთ. სავარაუდოდ, ოქტომბრის შუა რიცხვებში. ეს იქნება დიდი კონცერტი.

**ზურა ხაჩიძე:** - მადლობა ყველას, ვინც მხარს გვიჭერს, რომ ეს დაბრუნება იყოს ღირსეული და კარგი. ამ პროექტის მხარდამჭერია აჭარის მთავრობა, ტელეკომპანიები - „მაესტრო“, „აჭარა“, „მეცხრე არხი“, „იმედი.“ მადლობა მათ.

**„მეგობრობა საზღვრების გარეშე“**

**პაატა ხაჩიძე:** - გვაქვს მეორე სიახლეც. ეს არის პროექტი „მეგობრობა საზღვრების გარეშე“ - აფხაზ და ოს ხალხს მეგობრობისკენ მოვუწოდებთ, რაც წლების მანძილზე გვქონდა. ჩვენ ერთნი ვართ, ერთ ტერიტორიაზე ვცხოვრობთ და გვინდა



ჩვენი სიმღერით დავათბოთ ეს ურთიერთობები. რამდენიმე ქალაქში ტურნე გვაქვს ჩაფიქრებული. გვინდა გორიდან დავიწყოთ და მერე საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს მოვიცავთ. მე ვფიქრობ, ამ ქალაქების მერე უფრო მეტი მოთხოვნა იქნება და მეტი კონცერტი გვექნება. ამ პროექტს ვაპატენტებთ. ძალიან კარგი სახელია და ვინმემ რომ არ გამოიყენოს მისი დაპატენტება გადავწყვიტეთ. ამ ღონისძიებაში ჩართულია კომპანია „ნიუ არტი“. ეს ჩვენი ერთობლივი პროექტია.

**ზურა ხაჩიძე:** - ყველა რაიონულ ცენტრში ღია ცის ქვეშ გვექნება უფასო ღონისძიებები. ჩვენი კონცერტით მეგობრობის ხელს ვუწვდით ჩვენს მეგობრებს. ისინი საქართველოს ნაწილნი არიან.

**- რა ასაკის ეტაპია თქვენს ცხოვრებაში?**

ზურა ხაჩიძე: - 33, 34, 35 წლისანი ვართ. გარდამტეხი პერიოდია. ანუ ახლა უნდა შევძლოთ და ბევრი რამ გავაკეთოთ. პიკზე ასვლა 40 წლის ასაკამდეც შეგვიძლია. 30-ის შემდეგ მამაკაცის ცხოვრებაში ძალიან სწრაფად გადის დრო. ბევრი რამ გვაქვს მოსასწრები. კარიერაშიც და პირადშიც. ჩვენს თავს მატერიალურად წინ წასვლის საშუალებაც უნდა მივცეთ.




## ბოიბენდი პიაცაზე ცოცხალ კონცერტს მართავს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ფონდი „საქართველოს ნაციონალ



**my View**

თამარ გონგაძე

**საერთაშორისო ფონდი „საქართველოს ნაციონალური ოპერა“ 17 ივლისს, „პრაიმტაიმის“ პრესკლუბის მეშვეობით, აცხადებს კონკურსს თანამედროვე ქართული საოპერო ნაწარმოების შექმნასთან დაკავშირებით. კონკურსის გამარჯვებულს გადაეცემა 10 000 ლარი და მისი ნაწარმოები დაიდგმება საქართველოს ერთ-ერთი პროფესიული თეატრის სცენაზე. სცენის შერჩევა დამოკიდებულია გამარჯვებული ნაწარმოების მასშტაბებზე. პროექტი დაფინანსებულია კომპანია „აფინიტას“ და მისი დამფუძნებლის - ბიზნესმენ ლუკა გორლეროს მიერ. კონკურსს თავისი პირობები აქვს: საოპერო ნაწარმოების ავტორის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 35 წელს; საოპერო ნაწარმოების ავტორი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე; ნაწარმოები არ უნდა აღემატებოდეს 1 საათს, ხოლო ორკესტრის შემადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს 14 მუსიკალურ საკრავს; (ნებადართულია ნებისმიერი მუსიკალური საკრავის გამოყენება); ლიბრეტო უნდა ეყრდნობოდეს თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებს; კონკურსში მონაწილემ უნდა დაიცვას ლიტერატურული ნაწარმოების ავტორის საავტორო უფლებები, რისთვისაც უნდა წარმოადგინოს ავტორთან ან მის წარმომადგენელთან სათანადო წესით გაფორმებული ხელშეკრულება; კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს პასპორტის ასლი, სადაც მითითებულია დაბადების თარიღი და ფოტო. აგრეთვე: სადირიჟორო პარტიტურა, საორკესტრო პარტიები, კლავირი მომღერლებისთვის და ლიბრეტო - ელექტრონული ფორმატით; საკონკურსო ნაწარმოებების განაცხადების მიღების საბოლოო თარიღი 2013 წლის 23 ოქტომბერია. ფონდ „საქართველოს ნაციონალური ოპერის“ უკან დათო საყვარელიძე და ბიზნესმენი ლუკა გორლერო არიან. მას შემდეგ, რაც ოპერის მმართველი აღარ არის, კონკურსის მოსაწყობად მოიცალა.**

**დათო საყვარელიძე:** „საქართველოში ყველანაირი კონკურსი ტარდება, მაგრამ ქართული ოპერის განვითარებისთვის არასდროს ჩატარებულა. ყოველ შემთხვევაში მე არ მახსენდება. საზღვარგარეთ მეკითხებიან, დამისახელეთ თქვენი თანამედროვე ოპერაო... და ვპასუხობთ ძველი ოპერების სახელებს. ბოლო ოპერა რომელია? ბიძინა კვერნაძის „შუშანიკი“? ოპერები სახლში უდევთ კომპოზიტორებს. ძალიან კარგი კომპოზიტორები გვყავს ქართველებს. გერმანელებს ამდენი კომპოზიტორი რომ ჰყავდეთ, არ იცით მათი სახელებით ყურებს როგორ გამოგვიჭედავდნენ. ბევრი გვყავს, უბრალოდ, ვერ ვხვდებით, რომ ისინი ძალიან ძვირფასები არიან. მათ ხელშეწყობა არ აქვთ. ფელიქს ღლონტი გარდაიცვალა და გული მწყდება, რომ ვერ შევუსრულე ოცნება და მისი ნაწარმოები „იბერიელები“ ვერ დავდგი. საოპერო ხელოვნება ძალიან ძვირადღირებულია. სახელმწიფო ოპერის დადგმის ფულს არასდროს გამოყოფდა. ამ დროს ოპერაში ამხელა შესაძლებლობები გვაქვს... მოკლედ, მინდა ამ კონკურსით ხელი შევუწყო თანამედროვე ქართველ კომპოზიტორებს“.

წინ ცხელი ზაფხულია. კომპოზიტორებს სახლებსა თუ აგარაკებზე შეგიძლიათ საკონკურსო ოპერის შექმნა. პირობებიც საინტერესოა...

„უფრო სოლიდური პრემია მინდოდა, რომ გვქონოდა, მაგრამ რაც შევძელი, ესაა... გარდა ამისა, თქვენს ნაწარმოებებს, რომელიმე თეატრის სცენაზე დავდგამთ. საზღვარგარეთაც გავუწევთ პრომოუშენს და მსოფლიოც გაგიცნობთ. ამდენად კონკურსი ნამდვილად მიმზიდველი და საინტერესოა. კონკურსანტების საუკეთესო სამეულის ნამუშევრები რომელიმე დარბაზში მაყურებლის წინაშე შესრულდება და რომელსაც მეტი ტაში და მოწონება ექნება, სცენაზეც ის ოპერა გაცოცხლდება.

ეს კონკურსი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ რამდენიმე ნაწარმოები შეიქმნება, თანამედრო ოპერაც გვექნება. მერე, რაც მეტ რეჟისორს მოუნდება მისი განხორციელება, მით უკეთესი. დღეს, ქართულ ოპერას რომ ვახსენებთ, მუზეუმის შეგრძნება გვეუფლება. ამ კონკურსით კი გვინდა თანამედროვე გმირებზე დავდგათ. თამაშის მანერაც სხვანაირი იქნება. თეატრებში ნებისმიერ აქტუალურ თემაზე უნდა იყოს საუბარი. საზოგადოებას რაც აწუხებს და ღრღნის, იმაზე უნდა ისაუბროს თეატრმა. ძალიან მაგარი თანამედროვე ლიტერატორები გვყავს. არც მათ ვაფასებთ. წიგნის მაღაზიები გადატენილია თანამედროვე მწერლების ნაწარმოებებით. რაც თანამედროვე მწერალს აწუხებს, იმაზე უნდა დაიდგას ოპერაც. ვფიქრობ, ეს ექსპერიმენტი გაამართლებს“.

**დათო საყვარელიძე: „მინდა ამ კონკურსით ხელი შევუწყო ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორებს, რომ თანამედროვე ქართული საოპერო ნაწარმოებები შექმნან“**

### გამოხმაურება

ფონდის ამ წამოწყებას არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა დათოსავე „ფეისბუქის“ გვერდზე. საინტერესო პოლემიკა გაჩაღდა. კონკურსის პირობების ქვეშ ასეთ კომენტარებს გადავაწყდი.

„ვაჟა აზარაშვილმა რომ დაწეროს და შვილიშვილის სახელით შემოიტანოს, როგორ მოედავებით?“ „თუ 35 წლამდე დავწერე, მაგრამ ახლა უკვე ხრონძი ვარ, არა?“ „ეგრე თქვა, ადრე დავით სარაჯიშვილმა და ქე დაწერა ფალიაშვილმა „აბესალომ და ეთერი“, ოღონდ მაშინ ათი ოქროს ფული იყო პრიზი...“

**ანიტა რაჭველიშვილი:** „ასაკის ასე შეზღუდვა ნამდვილად არალოგიკურია. ისიც არ მესმის, ასეთი პატარა საორკესტრო შემადგენლობისთვის რა ოპერა უნდა დაიწეროს? ანიტას დათო გამოეპასუხა: „ეს არის საერთაშორისო მოთხოვნა, ექსპერიმენტული ნაწარმოებების გამოსავლენად. ეს არ არის მასშტაბური საოპერო სპექტაკლის დადგმისთვის განკუთვნილი კონკურსი. ასაკი შეგნებულად გავზარდეთ საქართველოსთვის. ისე, ჩვენმა პარტნიორებმა, ნორვეგიაში, 20 წლამდე ჩაატარეს კონკურსი, რათა მომავალი განეჭვრიტათ. ეს, ალბათ, უფრო დამწყები კომპოზიტორების ხელის შეწყობაა და არა უკვე გამოცდილი ადამიანების კონკურსი!!! 2012 წლის ოქტომბერში გარდაიცვალა უდიდესი გერმანელი კომპოზიტორი, ჰანს ვერნერ ჰენცე, რომელსაც დაწერილი აქვს ოპერა „ელ სიმარონ“ (კუბელ რევოლუციონერზე). მისი ორკესტრი შედგება მხოლოდ ფლეიტის, გიტარისა და პერკუსიებისგან, ანუ 3 მუსიკოსისაგან და ერთი სოლისტისგან. მართალია უცნაური მუსიკაა, მაგრამ ძალიან საინტე-











© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ური ოპერა“ კონკურსს აცხადებს

„ვფიქრობ, თანამედროვე ლიტერატურა დაეხმარება კომპოზიტორებს. პირადად მინდა მაგალითი მივცე ყველას, რომ ხელოვნება უნდა იყოს დამოუკიდებელი, პოლიტიკის გავლენებისგან თავისუფალი. ამის გარეშე ჯანმრთელი ხელოვნება არ წარმოიქმნება. ეს კონკურსიც დამოუკიდებელია და არანაირ კავშირში არ არის სახელმწიფო ორგანიზაციებთან. იმედი მაქვს, ეს ფონდი შემდეგ საოპერო თეატრად გადაიქცევა და თავისი შენობაც ექნება“




რესო. აღიარებული კომპოზიტორია და მართლა მაგარი. ასეთი მაგალითები უამრავია! ეს ნამდვილად იყო მოვლენა თავის დროისთვის. თუ კარგად გავიაზრებთ, შეიძლება რაღაც საინტერესო კონცეფციის დონეზე მაინც გაკეთდეს“!

**ფონდის გარშემო**

ფონდი „საქართველოს ნაციონალური ოპერა“, 2010 წელს, დათო საყვარელიძის მიერ არის დაფუძნებული. დათოს ამ წამოწყებას ეხმარება მისი იტალიელი მეგობარი ლუკა გორლერო. ლუკა ფონდის ფინანსური კონსულტანტია. ფონდის განხორციელებული პროექტებია: ბათუმის ოპერის თეატრში დადგმული „ლუჩია დი ლამერმური“, ქუთაისის ოპერის თეატრში დადგმული სპექტაკლი „მადამ ბატერფლაი“...

**დათო საყვარელიძე:** „ამ ფონდის მუშაობით მინდა მაგალითი მივცე ყველას, რომ ხელოვნება აუცილებლად უნდა იყოს დამოუკიდებელი, პოლიტიკის გავლენებისგან თავისუფალი. ამის გარეშე ჯანმრთელი ხელოვნება არ წარმოიქმნება. მთელ მსოფლიოში ნებისმიერი დიდი ოპერის თეატრი დამოუკიდებელი ფონდის ფორმით ფუნქციონირებს. „ლა სკალაც“ ფონდია - „FONDAZIONE ALLA SCALA“, რომელსაც ბორდი და პრეზიდენტი ჰყავს. ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოსგან თანხებს არ იღებს. უბრალოდ, დაკვეთის შემთხვევაში, სერვისს დამოუკიდებლად ასრულებს. ასეთი მიდგომა საქართველოში ხელოვნების პოლიტიკის მიმართ ჩემი დამოკიდებულებაა. არ შეიძლება ხელოვნება განვითარდეს, თუ იგი თავისუფალი არ იქნება. ეს თავისუფლება მაქსიმალურად კარგად არის ევროპასა და ამერიკაში დაცული. დამოუკიდებელ ხელოვნებას მომავალი აქვს. მეც ამის ჩვენება მინდა. იმედი მაქვს, ეს ფონდი დაახლოებით ორი წლის შემდეგ საოპერო თეატრად გადაიქცევა და თავისი შენობა ექნება. რაც შეეხება თანამედროვე ქართული ოპერის შექმნას - საზღვარგარეთ ასეთი ტიპის ნაწარმოებები უამრავი იქმნება... და იქ მეკითხებიან, ოპერაში რა გაქვთ ახალიო? ახალ აკორდებს,

ახალ ჟღერადობას და შეგრძნებებს ეძებენ... ჩვენც წავიღებთ ამ ჩვენი კონკურსის ახალ ნაწარმოებებს საზღვარგარეთ. ჩვენგან ასეთ პროდუქტს ელოდებიან. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ იტალიელი ბიზნესმენი აფინანსებს ამ კონკურსს. ეს ხაზს უსვამს უცხოელი ბიზნესმენების გემოვნების დონეს. ლუკა გორლეროს უფრო საქმიანი მიდგომა აღმოაჩნდა ქართული ოპერის განვითარების საქმეში, ვიდრე მის ქართველ კოლეგებს აქ. ამისთვის მადლობას მოვახსენებ მას.

**კონდიციონერი ოპერის შენობაზე**

დათო საყვარელიძე 23 იანვრიდან აღარ არის ოპერის თეატრის მმართველი. მის ადგილს გიორგი ჟორდანია იკავებს. დღემდე ინტერესდება თეატრის ბედით. ბუნებრივია, წლებია მის ხელში იყო...

„შემოქმედებით ნაკლებად, შენობით ვინტერესდები. ძალიან ვღელავ, როდესაც ვხედავ, რომ ოპერის - ამ კულტურული ძეგლის შენობის ფასადზე კონდიციონერები მიაყენეს. ან დროებითია, ან რაღაც შეცდომაა. არ შეიძლება კულტურულ ძეგლზე კონდიციონერის მიკვრა. ეს ხომ სათაყვანებელი ძეგლია. ასეთ რამეს შეგნებული ორგანიზაციები არ კადრულობენ. ეს რომ ადრე გაგვეკეთებინა, მოვარდებოდა ძეგლთა დაცვა და მიწაში ჩაგვდებოდა. ამახინჯებენ ოპერას და ყურს არავინ იბერტყავს. ალბათ, ფულს ზოგავენ და

ცენტრალიზებული ვენტილაცია-კონდიცირება არ გააკეთეს. რომ წამოვედი, საშუალება მიეცათ ასეთი რამ გაეკეთებინათ. იონიზატორის გარეშე არ შეიძლება ვენტილაცია-კონდიცირება. იონიზატორს სარეპეტიციოებში ჰაერი გააქვს და გაფილტრული შემოაქვს. 90 მსახიობიდან ერთი რომ გაციებულია, სხვას რომ არ გადასდოს, ჰაერის გაფილტვრა უნდა ხდებოდეს. ერთი რომ დაახველებს, სხვას გადასდებს. ასე რომ, იონიზატორზე ეკონომიის გაკეთება სიძუნწეა... ეს კი, პროფესიულ თეატრში, კატასტროფაა. ჩვეულებრივი საერთაშორისო ნორმაა, არ შეიძლება თეატრში „ბორშჩის“ სუნი ტრიალებდეს. მაგრამ არ აწუხებთ... თუ რემონტს აკეთებ, ყური იმას დაუგდე, ვინც იცის. აი, ასეთ გადაწყვეტილებებს მთელი შეგნებით ვეწინააღმდეგები.

**- შეგეკითხებით, არ გაინტერესებთ თბილისის ოპერის ახლანდელი შემოქმედებითი ცხოვრება?**

- რომელ შემოქმედებაზეა ლაპარაკი? ჩემი წამოსვლის შემდეგ საშინელი ინფორმაცია მომდის იქ დარჩენილი ადამიანების ქცევაზე. თურმე „დანოსების“ წერა დაუწყიათ ერთმანეთზე. სამსახურიდან გამოუშვიათ კიდეც რამდენიმე ადამიანი „დანოსის“ საფუძველზე. ვერც კი წარმოვიდგენდი სა-



მსახურის შესანარჩუნებლად ასეთ რამეებს თუ იკადრებდნენ. მაგრამ ძალიან ბევრი ღირსეული ადამიანი დარჩა ოპერაში - სოლისტების დიდი ნაწილი, ორკესტრის მუსიკოსები, ვინც ჩემს მიმართ დიდი ერთგულება გამოხატა... მე მათ მინდა მადლობა ვუთხრა ყველაფრისთვის!!! ახლა ჩემი ფონდის მიერ გაკეთებულ გასტროლზე, ჩემივე დადგმული სპექტაკლები მიაქვთ ესტონეთში და არც მახსენებენ. ვითომ ეს ყველაფერი მათი გაკეთებულია.

**- ბოლოს, ვისარგებლებ შემთხვევით და გკითხავთ, როგორ წარმოგიდგენიათ პრეზიდენტად პაატა ბურჭულაძე?**

- ჩემთვის უკვე პრეზიდენტია! :) ისე კი, ხუმრობის გარეშე, ძალიან მინდოდა, რომ ის ყოფილიყო ოპერის ხელმძღვანელი, მაგრამ არ მოისურვა. ის ძალიან დიდი ფიგურაა. უდიდესი მომღერალია. ჩემი ნება რომ იყოს, პრეზიდენტად კარგ მომღერალს ავირჩევდი და პარლამენტს ოპერაში გადმოვიტანდი. პარლამენტარებს ხელფასებს დავაკლებდი და მათ ხელფასებს მუსიკოსებს და მომღერლებს დავურიგებდი. როგორც გამოცდილებამ გვაჩვენა, პოლიტიკოსები არ იმსახურებენ ამხელა ხელფასებს და ამდენ კომფორტს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ინტრიგები გოჩა კაპ



**my View**
**დეა თავბერიძე**

**სამეფო ინტრიგები, დაძაბული ურთიერთობები და საქართველოს უკანასკნელი დედოფალი ქუთაისის თეატრის სცენაზე. ისტორია, რომელიც რეჟისორის თქმით რეალობას ესადაგება და კითხვები, რომლებიც საუკუნეებია პასუხგაუცემელი რჩება. გოჩა კაპანაძემ თავისი ტკივილისა და სათქმელის გასაზიარებლად ჯაბა იოსელიანის პიესა შეარჩია. „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი“ მესხიშვილის თეატრში რამდენიმე დღის წინ გათამაშდა და მაყურებლის მოწონებაც დაიმსახურა.**

**- ქუთაისში რატომ გადაწყვიტეთ სპექტაკლის დადგმა?**

- იმიტომ რომ ძალიან მიყვარს ეს ქალაქი, ძალიან ქართული ქალაქია. სპექტაკლზე მუშაობა ქუთაისის თეატრის ინიციატივით მოხდა, ძალიან დიდხანს, წლების განმავლობაში უნდოდათ, რომ მე რაღაც გამეკეთებინა ამ თეატრში და ბოლოს და ბოლოს შედგა ჩვენი ურთიერთობა. როგორც ჩემთვისაა ცნობილი, კულტურის სამინისტრო რეგიონებს ამ მხრივ ძალიან ეხმარება და ეს მათი პროექტია. სპექტაკლი ჯაბა იოსელიანის პიესის მიხედვით დაიდგა. პიესა ჩვენ დროს ძალიან ეხმაურება. ეს არის თემა, რომელიც გამუდმებით გვაწუხებს - საით მივდივართ ევროპისკენ თუ რუსეთისკენ, რა პოლიტიკურ ორიენტაციას ირჩევს ქვეყანა, რა იდეოლოგიის მატარებელია, რატომ არის ქვეყანა მთელი ამ ორასსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში სულ დაპყრობილ მდგომარეობაში? სწორედ ამაზეა ამ პიესაში საუბარი. ჩემი აზრით, ძალიან თანამედროვედ ჟღერს. პიესა არის ძალადობაზე, ამ მოძალადეს კი ისტორიულად აქვს თავისი სახელი და ეს რუსეთია! სპექტაკლი უკანასკნელ დედოფალზე, მარიამ ბაგრატიონ- ციციშვილზეა, რომელმაც ქართველი ერის ღირსება დაიცვა. ის იყო ერეკლე მეფის საყვარელი რძალი და ამ ქალბატონმა აიღო თავის თავზე ერის ღირსების გადარჩენა.

**- რამდენად საინტერესო იყო თქვენთვის პიესაზე მუშაობა?**

- ძალიან საინტერესო იყო, იმიტომ რომ ძალიან ღრმა ისტორიაში ჩადიხარ, ინტრიგაა სამეფო ურთიერთობებში, ეს მონაკვეთი რომ ყოფილიყო შოტლანდიის ისტორია, ან ინგლისის, ან საფრანგეთის, ბევრად უფრო რეზონანსული იქნებოდა. თუმცა, ქართულ სამეფო ოჯახში დატრიალებული ისტორიებიც, დამერწმუნეთ, არანაკლებ საინტერესოა. პირადული, ქვეყნის ინტერესებს ეჯაჭვება და თავისი დაპირისპირებები აქვს. დარეჯანსა და ერეკლეს მეუღლეს მებრძოლების და შეთქმულების თავისი ფრთა ჰყავს, რუსეთს ქვეყნის სამეფო ტახტის გაუქმების თავისი ზრახვები აქვს, მარიამს თავისი მომხრეები ჰყავს... მოგეხსენებათ, ერეკლეს ძალიან ბევრი შვილი ჰყავდა, ყველა თავის ბოსტანში ისვრის თავისთვის საჭირო გვირგვინს. ასეთი მდგომარეობაა, ძალიან დაქსაქსულია ქვეყანა, არავინ არავის არ ენდობა, დარეჯანი ასეთ ფრაზასაც ამბობს - ისეთი დრო დადგა, საკუთარ შვილსაც ვერ ენდობიო.





## „ჩვენი მთავარი სათქმელი ის არის, რომ თუ ერთად არ ვიქნებით და ასე დავიქსაქსებით, გადაჯიშება გვემუქრება“





შემოდის, მაგრამ რეალურად თავისი ზრახვები აქვს, ის მტერი, რეალურად, ყოველთვის არსებობს. არა აქვს მნიშვნელობა ეს იქნება რუსეთი, ამერიკა თუ ევროპა... ერს უნდა ჰქონდეს თავისი პრიორიტეტები, ყველასთან უნდა იყოს ძალიან კარგად, მაგრამ მას უნდა შეეძლოს თავისი ტერიტორიული მთლიანობისა და თავისი მეობის დაცვა. აი, ამაზეა სპექტაკლი და პიესა. თუმცა ეს არ არის ქარქაშიანი ხმლებისა და ქართული დროშების ფრიალი. აქ არის უფრო მეტი ანალიზი, უფრო მეტი ფიქრი, რატომ ვერ თანხმდებიან ქართველები, რა აქვთ ასეთი ხასიათში... ამ პიესის გმირები ინდივიდუალისტები არიან, ყველას ჰგონია. რომ ყველაზე კარგად იცის ქვეყნის მართვა, ერთმანეთს არავინ უსმენს. სამწუხაროდ, დღესაც ასე ხდება. ერთად შეკრულ ერზე კარგი სანახავი არაფერია. ციციშვილი ამბობს - ფარასაც კი ყოჩი სჭირდება, ჩვენ კი იმდენად სხვადასხვა ვართ, სიმღერაც მრავალხმიანი გვაქვსო... ჩვენთან, საქართველოში, ყველა სოლისტია, ყველა მთავარია. გუნდური თამაში არ შეგვიძლია...

**- რა შეგიძლიათ მითხრათ მსახიობებზე, ადრე თუ გიმუშავიათ ქუთაისის თეატრთან?**

**მარიამ ციციშვილი გიორგი მეთორმეტეს მეორე ცოლი იყო. მას ასე ახასიათებენ, ლამაზი და მეტისმეტად მტკიცე ხასიათის მქონე. როდესაც ბაგრატიონების გადასახლება და დევნა დაიწყო, საქართველოს გენერალი ლაზარევი ეწვია. როგორც მის შესახებ წერენ „მეტად მდაბალი სულის ადამიანი“. ლაზარევმა დედოფლის სასახლეს ალყა შემოარტყა და ბრძანება გასცა, რაც შეიძლება მალე დაეტოვებინათ ბაგრატიონებს სასახლე. ეს ამბავი დილის 8 საათზე მოხდა... მარიამმა უპასუხა: - ჩემს შვილებს სძინავთო. ლაზარევი დარწმუნდა, რომ დედოფალი შვილების გაღვიძებამდე გვაცდევინებსო, ამიტომ მიუახლოვდა ტახტს და გადაწყვიტა დედოფლისთვის ფეხში ხელი წაევლო და ისე წამოეყენებინა, მაგრამ დედოფალი წამოვარდა და გენერალს მარცხენა გვერდში ხანჯალი ჩასცა. მერე კი მიაძახა: -ასეთის სიკვდილის ღირსია ის, ვინც გაბედა და ჩემს უბედურებას უპატიურებაც დაურთოო.**

**მარიამ დედოფალი ცოდვების მოსანანიებლად ბელგოროდის მონასტერში ჩაამწყვდიეს. მარიამი სამშობლოს ნახვას ველარ ეღირსა, იგი რუსეთში გარდაიცვალა... თუმცა, მოგვიანებით, მისი ნეშტი მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარს მიაბარეს.**




სიტუაცია ძალიან საინტერესოა და ბევრის ანალიზის საშუალებას გაძლევს. ძალიან კარგი კოსტიუმი გააკეთა ქეთი ციციშვილმა, რომელიც მარიამ ციციშვილის შორეული ნათესავია. შესანიშნავი თანამედროვე და ფოლკის ნაზავი გამოვიდა. მხატვრობა და სცენოგრაფია გერმანული თეატრის სტილშია გაკეთებული...

**- რას ეუბნებით ამ სპექტაკლით მაყურებელს, მთავარი მესიჯი რა არის?**

- ჩვენი მთავარი სათქმელი ის არის, რომ თუ ერთად არ ვიქნებით და ასე დაქსაქსულნი ვიქნებით, გადაჯიშება გვემუქრება, როგორც ლეონიძე ამბობს, ამიტომ ეს მოარული მტერი, რომელიც ხანდახან ღიმილით, ხანდახან კულტურით, ხანდახან კი ვითომდა კარგი მეგობრული დამოკიდებულებით




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ანაძის სპექტაკლში

**„მე თუ მკითხავთ, ხელოვანი თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი პოლიტიკური პარტიებისგან და პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიისაგან, მას თავისი სათქმელი აქვს და ყველაზე მაღლა უნდა იდგეს“**



## „ჩვენთან, საქართველოში, ყველა სოლისტია, ყველა მთავარია“

exclusive

**„პიესა არის ძალადობაზე, ამ მოძალადეს კი ისტორიულად აქვს თავისი სახელი და ეს რუსეთია!“**

**„თბილისში ჩასვლისთანავე აუცილებლად დავუკავშირდები და გავარკვევ ჯამბაზების ბედს, ბოლოს და ბოლოს უნდა ვიცოდეთ, რა გველის“**

- მხოლოდ ერთ მსახიობთან მიმუშავია, ქალბატონ მარიკა სამანიშვილთან, ძალიან პოპულარული მსახიობია, ის თამაშობს დედოფალ მარიამს. თამაშობენ ახალგაზრდა მსახიობები, მათ შორის, ამ თაობაში ძალიან პოპულარული პოეტები ზანგური და გიორგი შალამბერიძე, ამ თეატრის ძალიან ბევრი კარგი მსახიობია სპექტაკლში დაკავებული... ძალიან დიდი შრომა ჩაიდო. 17 რეპეტიციაში დავდგით სპექტაკლი. შეიძლება თბილისშიც ჩამოვიტანოთ, შეიძლება აზერბაიჯანშიც წავიღოთ. ბაქოში ახალი თეატრი გაიხსნა და სექტემბერში მისი პრეზენტაციაც იქნება. ახლა, ამ სპექტაკლთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკება. კიდევ ერთხელ მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ქუთაისის თეატრს, მთელი ჯგუფი მხარში გვედგა, ძალიან დაგვეხმარა თეატრის ხელმძღვანელი ბატონი გიორგი სიხარულიძე.

**- როგორც ვიცი, აზერბაიჯანული თეატრის მმართველი ბრძანდებით, ახლა რა მდგომარეობაშია თეატრი?**

- ტექნიკურის თვალსაზრისით, სამწუხაროდ, ისეთივე დაკონსერვებული მდგომარეობაა, როგორიც იყო. სარემონტოა, დიდი სცენა დანგრეულია, თეატრი დღემდე კერძო შემოწირულობებით არსებობს, სპექტაკლებს ვერ ვდგამთ, მხოლოდ რეპეტიციებს ვჯერდებით. თუმცა, მაინც არ ვჩერდებით, ვმუშაობთ და პრემიერებს ძალიან პრესტიჟულ თეატრებში ვთამაშობთ. 12-ში მარჯანიშვილის თეატრში ახალგაზრდა რეჟისორის თურგაი ველი-ზაძეს პრემიერა გვქონდა. მან აზერბაიჯანელი დრამატურგის იფთიხარ პირიევის პიესა „სიყვარულის ეკლიანი წრე“ დადგა. პრემიერა მცირე სცენაზე გაიმართა, რისთვისაც მარჯანიშვილის თეატრსა და მის ხელმძღვანელობას მადლობას ვუხდი, მათ უფასოდ და უანგაროდ დაგვითმეს სცენა. ჩვენთან სცენა ძალიან დანგრეულია. გული მტკივა, რომ არ გვეხმარებიან. არის მოლაპარაკება ჩვენს სამინისტროსა და აზერბაიჯანის სამინისტროს შორის, რომ მოსახლეობა გაიყვანონ თეატრის ფართიდან. მაგრამ მათი გაყვანა ძალიან დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და ეს ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

**- როგორც ვიცი ახალ ოპერაზეც მუშაობთ.**





## „ერთად შეკრულ ერზე კარგი სანახავი არაფერია“

- სექტემბერში, ბაქოში რუსულ დასთან მექნება ოპერა „ბუხი“. ოქტომბერში კი ბაქოს ნაციონალურ თეატრში -„ნეაპოლი მილიონერთა ქალაქი“. მანამდე კი თბილისში, ცხინვალის თეატრში გვექნება დათო ტურაშვილის „მატარებელი“.

**- რა ბედი ეწია თქვენს „მოხუც ჯამბაზებს“, როგორც მახსოვს, რობიკო სტურუამ სპექტაკლი მოხსნა.**

- ჯერჯერობით ისევ გაურკვეველი მდგომარეობაა, ბატონმა რობერტმა და მე შეხვედრა ველარ მოვახერხეთ, რადგან მთლიანად გადართული იყო ახალ სპექტაკლზე, „მარია კალასზე“, რომლის პრემიერაც რამდენიმე დღის წინ ჰქონდა. თბილისში ჩასვლისთანავე აუცილებლად დავუკავშირდები და გავარკვევ ჯამბაზების ბედს, უნდა ვიცოდეთ რა გველის. თუ სპექტაკლი რუსთაველის თეატრში არ დარჩება, მომავალი სეზონიდან აუცილებლად გამოჩნდებიან თეატრები, რომლებიც დიდი სიამოვნებით აიღებენ ამ პროექტს. ამის შესახებაც მქონდა ბატონ რობერტთან საუბარი. მან მითხრა, არ არის პრობლემაო, მაგრამ, მე როგორც ვიცი, ჯამბაზები ახალი სეზონიდან კვლავ უნდა იყოს რუსთაველის თეატრში, იმედია, ეს ისევ ძალაშია, თუ არა და სხვა სივრცეში გავიტან.

**- დღეს, საქართველოში, როგორია ხელოვანის ბედი, ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ, სასიკეთოდ თუ შეიცვალა რამე?**

- ვფიქრობ, ამისთვის ჯერ დრო არა აქვთ, თუმცა ფინანსურად ცოტა გამოსწორდა, როგორც ვხვდები და ვიცი. ჯერჯერობით, როგორც ჩანს, ქვეყნის შენებისკენ არის მათი ხედვები და ამ პროგრამით მიდიან. თეატრებში, ყველა ახალ კანონს ველოდებით. როგორც ვიცი, რამდენიმე პარლამენტარმა უკმაყოფილება გამოთქვა, რაღაც დამატებებზეა საუბარი. ალბათ, მერე ჩამოყალიბდება ეს კანონიც. მე თუ მკითხავთ, ხელოვანი თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი პოლიტიკური პარტიებისგან და პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიისგან, მას თავისი სათქმელი აქვს და ყველაზე მაღლა უნდა იდგეს. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას თუ რამე არ მოსწონს და მიაჩნია, რომ ეს მის და ქვეყნის ღირსებასთან შეუფერებელია, ამაზე ხმა არ ამოიღოს და პროტესტი არ გამოხატოს. ალბათ, ბევრჯერ მოგვისმენია, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, შექსპირს აქვს გენიალურად ნათქვამი. ჰამლეტი ამბობს - „სიკვდილის შემდეგ საფლავის ქვაზე ცუდი წარწერა გერჩივნოთ, სიცოცხლეში არტისტების ყბაში ჩავარდნას“. ასე რომ, ძალიან დიდი იმედი გვაქვს მსახიობების, რომლებიც პარლამენტში არიან, ისინი ჩემი კოლეგები არიან და მათ ძალიან დიდ პატივს ვცემ. ესაა ის „რუპორი“, რომელმაც უნდა თქვას, რა სტკივა ერს და რა სტკივა ქართულ, ამ შემთხვევაში, კონკრეტულ კულტურას. რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი პრობლემაა, როგორც ყველგან, ასევე კულტურაშიც...







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N28 (226) ორშაბათი 15 ივლისი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge




exclusive



# „ქუჩის ბიჭების“ დაბრუნება შვიდწლიანი ტაიმ აუტის შემდეგ

## ინტრიგები გოჩა კაპანაძის სპექტაკლში



exclusive

## ანა ყიფიანი - ელისო ვირსალაძის რჩეული მოსწავლე



exclusive

ISSN 1987-7404

9 771987 740005



დათო საყვარელიძე:

„მინდა ამ კონკურსით ხელი შევუწყო ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორებს, რომ თანამედროვე ქართული საოპერო ნაწარმოებები შექმნან“

exclusive

# ფონდი „საქართველოს ნაციონალური ოპერა“ კონკურსს აცხადებს



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება